# ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ

№ 32 (392) ◆ 12 – 18 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ. 2002 Წ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ ◆ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1995 Წ.




*ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ:*

## „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐᲛ" ᲜᲘᲕᲗᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ

გვ.8,9

დაბომბვის ადგილზე – სოფელ ჭონთიოს ახლომდებარე ფერდობზე მოვიპოვეთ საპარაშუტო სისტემის ნაწილი, რომელიც ფოტოსურათზეა გამოსახული და რუსული წარმოების მანათობელ საავიაციო ბომბს ეკუთვნის.

**რომ არა რუსული ბომბები, ხელისუფლება საჰაერო თავდაცვაზე კიდევ დიდხანს არ იზრუნებდა...**

– ის ჩეჩნები, რომლებიც თბილისში ყიდულობენ ბინებს, ძირითადად ბანდიტები არიან. მათ ფულის შოვნის სხვა წყარო ვერც კი წარმოუდგენიათ. მაფიას ისეთი წესები აქვს შესისხლხორცებული, ქართველ მაფიოზებს აზრადაც არ მოუვათ...

– ვფიქრობ, ნადარეიშვილსა და აბაშიძეს შორის მიმდინარე დაპირისპირებაც პრეზიდენტის მიერაა ინსპირირებული, რადგან პრეზიდენტი სწორედ ასეთი დაპირისპირებებით საზრდოობს. რამდენიმე კვირა საზოგადოება ამ დაპირისპირებით იქნება გართული, ამას სხვა მოჰყვება, შემდეგ კიდევ რაღაც იფეთქებს და ამასობაში შევარდნაძე ავიწყდებათ.

გვ.3



## ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲞᲝᲞᲣᲚᲘᲡᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ

*მკითხველის პოლიცინეი*

გვ.35

*ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ:*

გვ.14,27

## ᲬᲛᲔᲜᲓᲐᲡ ᲒᲔᲚᲐᲔᲕᲘ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ...

ანონიმი ინფორმატორის ცნობით, ქართულმა მხარემ გელაევს დაავალა პანკისის გაწმენდა არაბებისა და არაკონტროლირებადი ჯგუფებისაგან. ფულს ამერიკელები იხდიან... ***მოსკოვსკიე ნოვოსტი***

## ...ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲝᲡ ᲑᲝᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘ ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲨᲘ?

ლოგიკის მიხედვით – რა თქმა უნდა!

საქართველოს მოსახლეობა ძალიან დააზარალა ჩეჩნეთიდან გადმოსულმა ბანდიტებმა, აქედან გამომდინარე, საქართველოსაც აქვს საბაბი, რუსეთის ტერიტორიაზე, ჩეჩნეთში დაბომბოს ბოევიკთა ბაზები.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲔᲑᲘ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲗᲐᲠᲔᲨᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

საქართველოს მთებს ბომბავენ, ხოცავენ ძროხებს და თან ეს ჩვენ არ გვიქნიაო, – გაიძახიან. აბა, სხვა ვინ დაერეოდა ქართულ ძროხებს? ***ნოვაია გაზეტა***



## „ᲙᲐᲪᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲡ" ᲗᲐᲕᲡᲐᲮᲣᲠᲘ..."

– რაშიც შენს სულს არ ჩადებ, სისხლის წვეთებს არ ჩაღვრი, ყველაფერი უსახური, უმიზნო და მკვდარია.

– რომ არ მოგატყუოთ, ძალიან მარტო ვარ... ალბათ... მე ახლა მესმის, რატომ მოიკლა გალაკტიონმა თავი, რაზე ტიროდა ბარათაშვილი, რას ბღაოდა ვერლენი... და რაზე ჩხუბობდნენ სხვები.

გვ.17

## ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲐᲠᲢᲐᲮᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲒᲐ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲣᲜᲐᲡ...

გვ.6,11



„მდიდარი ქართველები შავი ზღვის დელფინის ტყავისგან ფეხსაცმელებს იკერავენ?!"

„ვირიშვილი ვიყო, თუ გატყუებდე – თევზის ტირილის ხმა მესმოდა. კი, ვიცი, რომ მეჩვენებოდა, მაგრამ რა უნდა მექნა?! ერთი სიტყვით, მებადურები კი არა, ზუთხის აბორტმახერები ვართ".

**ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ:** გვ.11 **„ᲖᲦᲕᲘᲡ ᲙᲐᲢᲐ" ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲚᲔᲑᲖᲔ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲙᲐᲛᲑᲐᲚᲐᲓ ᲡᲐᲦᲓᲔᲑᲐ**

თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლები მართლმადიდებლური ენციკლოპედიის მე-3 ტომში X-XII საუკუნის სომხური არქიტექტურის ტიპურ ნიმუშებად არის გამოცხადებული.

## ᲯᲕᲐᲠᲡ, ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲝᲜᲡ ᲒᲕᲔᲓᲐᲕᲔᲑᲘᲐᲜ...

გვ.12,13



## [redacted]

## ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲐᲠᲐᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘ

**შეყვარებული კრიმინალი**

კინაღამ გული შემიწუხდა გაოცებისგან. ზღურბლზე იდგა პოლიციელებითა და შეიარაღებული ბადრაგით გარშემორტყმული ჩემი ტუსაღი თაყვანისმცემელი და ისე მიღიმოდა, სულ დავმუნჯდი.

**წადი აქედან ან ჭამე კუბდარი!**

მარხვის დღე იყო, ოთხშაბათი, ერთ-ერთი კოდორელის ოჯახში კი საგანგებოდ მომზადებული კუბდარი შემომთავაზა ერთმა სვანმა. – გმადლობთ, დღეს მარხვაა და ვერ გეახლებით-მეთქი, – ვუპასუხე. გადაირია. წადი, მოშორდი აქაურობას, ან ჭამე კუბდარიო...

გვ.5

## „Ø åâàðäí àäçå äàë ïî ðó÷åí èåî ìîåé ëèêâèäàöèè íåêîåì óâîðó âçàêîíå Êàëàø åâó"

გვ.5

„ß îòêðûòî ãîâîðþ, ÷òî Ø åâàðäí àäçå äàë ïîðó÷åí èå î ìîåé ëèêâèäàöèè íåêîåì óâîðó â çàêîíå Êàëàø åâó. ×òî ïîëó÷èë âçàì åí Êàëàø åâ? Êàëàø åâ åçèä, âîð â çàêîíå, ñì äàâñêîé îõðàíîé, æèâåò â ñàì îì ïðåñòèæíîì ðàéîíå. Åì ó âû äåëåí äîì, êîòîðûé îöåí èâàåòñÿ, ïî ñàì ûì ñêðîìíûì ìåðêàì, òàì â íåñêîëüêî ñîò òûñÿ÷ äîëëàðîâ. Òå. îí ïîëó÷èë èí äóëüãåí öèþ èç ðóê ïðåçèäåíòà, äëÿ íåãî ñòðàíà ñòàíîâèòñÿ ìàëèíîé. Íàâåðíîå, ýòî òàê è íàäî ñòî èò."

***იგორ გიორგაძე***

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

გვ.10

## *შეკვეთილია, უნდა მოკვდეს!*

**ქრთამად ორ-ნახევარ მილიონ დოლარად ღირებული ვრუბელის ნახატი აიღო...**

მელაძეს სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. ძალიან თავმოყვარე კი იყო, მაგრამ ძალა მოიკრიბა და მითხრა: – თუ შეგიძლია, დახვრეტა ამაცილო, მე გეტყვი შარიქაძის მკვლელსა და მკვლელობის შემკვეთის გვარებს. მტკიცება კი შენზე იყოსო. შარიქაძე აფხაზეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ, ივანე კარდაშინმა მოაკვლევინა, რომელთანაც ორივე დაპირისპირებული იყო და რაკი შარიქაძე მოიშორა, ახლა რიჟინაშვილს მოაკვლევინებს...

## ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲓᲔᲑᲘᲗ!

## საზღვარი „წითელ ხიდთანაც“ დაირღვა

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი კიდევ ერთხელ დაირღვა, ოღონდ ამჯერად „წითელ ხიდთან“, საიდანაც აზერბაიჯანში შეძენილი ყალბი ქართული პირადობის მოწმობებით ირანის მოქალაქეები ცდილობდნენ ქვეყანაში შემოსვლას. ერთ-ერთი ვერსიით, ისინი საქართველოს გავლით ევროპაში აპირებდნენ გადასვლას, მეორის თანახმად, შესაძლოა დაკავებულები ფუნდამენტალისტი კამიკაძეებიც არიან. სამივე დაკავებულს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. მათ საქმეს უშიშროების სამინისტრო იძიებს...

## უსტინოვს ბოევიკები „არ გაატანეს“

დაკავებული 14 ჩეჩენი ბოევიკის რუსეთში, ლეფორტოვოს ციხეში გადასაყვანად თბილისში რფ გენერალური პროკურორი ვლადიმირ უსტინოვი ჩამობრძანდა, რამდენიმე თანაშემწე პროკურორთან ერთად. ნუგზარ გაბრიჩიძემ რუს კოლეგას ჩეჩენი ბოევიკები „არ გაატანა“ იმ მოტივით, რომ უსტინოვმა ჩეჩენთა ტერორისტობის დამამტკიცებელი საბუთები ვერ წარმოადგინა...

კვირის ბოლოს უსტინოვმა რუს პროკურორთა საგანგებო დელეგაცია მოავლინა თბილისს, რომლებიც ქართულ მხარესთან აწარმოებენ მოლაპარაკებას ჩეჩენ ბოევიკთა რუსეთში ექსტრადიციის შესახებ... ბოევიკებს ქართულმა სასამართლომ უკვე მიუსაჯა წინასწარი სამთვიანი პატიმრობა. ჩეჩნები და მათი ადვოკატები გასამართლებას საქართველოში ითხოვენ იმ არგუმენტით, რომ მათ საქართველოს საზღვარი დაარღვიეს და არა რუსეთისა... უსტინოვი ირწმუნება, სანამ ჩეჩნები საქართველოს საზღვარს დაარღვევდნენ, რუსეთის საზღვარი გადაკვეთეს უკანონოდ და ამიტომ რუსეთში უნდა გასამართლდნენო.

## რა განზრახვა აქვს პუტინს?

პანკისის ხეობაში საომარი მოქმედებების დასაწყებად კრემლის პროპაგანდა საფუძვლიან ზეგავლენას ახდენს რუსეთის საზოგადოებრივ აზრზე. რუსეთის საინფორმაციო საშუალებების ინტერნეტ-ვერსიები გამუდმებით ატარებენ სოციოლოგიურ გამოკითხვას თემაზე — „თანახმაა თუ არა რუსეთის მოსახლეობა პანკისის ხეობაში ჩეჩენი ტერორისტების გასანადგურებლად სამხედრო ოპერაცია ჩატარდეს?“ მოსკოვს დაგეგმილი აქვს თხოვნით მიმართოს გაეროს, ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის დასაწყები შესაბამისი მანდატის მისაღებად.

ოფიციალური მოსკოვის აზრით, საქართველოში ყველაზე უკეთ გაამართლებს ისრაელში გამოყენებული კონტრტერორისტული მოდელი, რომელიც ტერორისტების წინააღმდეგ პერიოდულ, პერმანენტულ სამხედრო დარტყმებს გულისხმობს! ექსპერტთა აზრით კი რუსეთი ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების დაწყებას აპირებს მასხადოვის რაზმების გასანადგურებლად, რასაც ბევრი რუსი ჯარისკაცის სიცოცხლეც შეეწირება. სწორედ ამ პროპაგანდისტული კამპანიით ცდილობს პუტინი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას. საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა მხარს უჭერს საქართველოში კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებას.

## ჩვენთან „დიდი გასავალი“ აქვს შიმშილობას!

პანკისის ხეობაში „ხაჭაპურის საჭმელად“ და „ჯიპის საყიდლად“ შესულ სამ სტავროპოლელ მილიციელს, რომლებიც ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს, სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მათ თავდებად თვით რუსეთის საკონსულო დაუდგა, მაგრამ სასამართლომ არ დააკმაყოფილა ექვმიტანილების ადვოკატთა მოთხოვნაც აღმკვეთი ღონისძიებების შეცვლის შესახებ. როგორც ჩანს, სტავროპოლელმა მილიციელებმა კარგად იციან, რომ საქართველოში „დიდი გასავალი“ აქვს ასეთ შემთხვევებში შიმშილობის გამოცხადებას და 10-დღიანი შიმშილობა გამოაცხადეს და თან... პრესკონფერენციის ჩატარებაც მოითხოვეს, მაგრამ ქართველ სამართალდამცველებსა და ძალოვნებზე ამ ფაქტს დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია...

## ხელი მოეწერა საკრედიტო ხელშეკრულებას

აშშ-ის ვაჭრობისა და განვითარების სააგენტომ ენერგეტიკული დერეფნებისა და მილსადენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას ორი სოლიდური გრანტი გამოუყო. საკრედიტო ხელშეკრულებას ოფიციალურად ხელი მოაწერეს საქართველოში აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილზმა და ნავთობის კორპორაციის ხელმძღვანელმა გია ჭანტურიამ. პირველი გრანტი 680 ათასი დოლარის ოდენობით ორი გაზსაცავის დაპროექტებისათვის გამოიყო. ორივე გაზსაცავი შაჰ-დენიზი-თბილისი-არზრუმის გაზსადენის ამოქმედებისას, 2004 წელს ჩადგება მწყობრში. მეორე გრანტი, 270 ათასი დოლარის ოდენობით, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისთვისაა განკუთვნილი და მისი მშენებლობისას გარემოს უსაფრთხოების დაცვის საკითხებში 22 უცხოელი კონსულტანტის დაქირავებას მოხმარდება.

## რუსეთის დელეგაცია სოხუმს ეწვია

სოხუმს ეწვია რუსეთის სამთავრობო დელეგაცია სეპარატისტულ მთავრობასთან ეკონომიკური საკითხების განსახილველად, უფრო სწორად, კომერციული გარიგებების დასადებად. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება. ქართული მხარე მოსკოვს ბრალად სდებს სუვერენული სახელმწიფოს უპატივცემულობას, რაც რუს ხელისუფალთა მიერ სავიზო რეჟიმისა და რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების უხეში დარღვევით გამოიხატა, რომლის საფუძველზეც ოფიციალურ თბილისთან შეუთანხმებლად სოხუმის რეჟიმთან ნებისმიერი სახის სავაჭრო-ფინანსური გარიგება დაუშვებელია...

## „სასტუმრო „ივერიის“ ადმინისტრაცია“ მოუწოდებს

უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა ასლან აბაშიძეს, თამაზ ნადარეიშვილსა და, შესაბამისად, „აღორძინებასა“ და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას შორის. „აღორძინების“ კატეგორიულ მოთხოვნას აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების დაუყოვნებელი გაუქმების შესახებ, ლტოლვილთა რისხვა მოჰყვა. თბილისსა და ზუგდიდში გაიმართა მიტინგები, სადაც ასლან აბაშიძის აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის პოსტიდან მოხსნა მოითხოვეს!

თამაზ ნადარეიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადეს მეომართა კავშირმა და „ტყის ძმებმა“, რომლებმაც გააკრიტიკეს „აღორძინებისა“ და ასლან აბაშიძის პოლიტიკაც და მისი სამშვიდობო მისიაც. ვალში არც „აღორძინება“ დარჩენილა და აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას „სასტუმრო „ივერიის“ ადმინისტრაცია“, ნადარეიშვილს კი „გაკოტრებული ჩინოვნიკი“ უწოდა...

თამაზ ნადარეიშვილის თქმით, ყოველივე ეს მტრის წისქვილზე ასხამს წყალს და მოუწოდა „აღორძინებას“, შეიკრიბონ, იმსჯელონ და მოილაპარაკონ, თუ რა გზას დაადგნენ მომავალში...

## საკითხს ანტიკორუფციული საბჭო შეისწავლის

დაიწყო სკანდალი უმსხვილესი სახელმწიფო კომპანია „ელექტროკავშირის“ ირგვლივ, რომელიც ადგილობრივი სატელეფონო ხაზების 70%-ზე მეტს ფლობს. გაირკვა, რომ კომპანია ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული უცნობი ფირმის საკუთრება ხდება. მასთან ქართულ „მხარეს“ წამგებიანი ხელშეკრულება საიდუმლოდ გაუფორმებია. ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე დღეში „ელექტროკავშირის“ გენერალური დირექტორი თემურ ბუცხრიკიძე ავადმყოფობის მომიზეზებით თანამდებობიდან გადადგა. ახლა, როგორც ჩანს, „საკითხის“ გარკვევა მთავრობის სხდომას და შემდეგ ანტიკორუფციულ საბჭოს მოუწევს...

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გასაიდუმლოებული ხელშეკრულება უცნობ ფირმასთან ტრანსპორტის მინისტრ მერაბ ადეიშვილის უშუალო მითითებით დაიდო, რასაც იგი კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ეს ამბავი მხოლოდ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ შეიტყო. მინისტრის თქმით, პასუხისმგებლობა მთლიანად ქონების მართვის სამინისტროს ეკისრება!

## ელექტროენერგიაში „რეალურ ფასს“ გადავიხდით

სექტემბერში მოსახლეობას მორიგი სიურპრიზი ელის — ელექტროენერგიაზე ტარიფი გაიზრდება. „ეი-ი-ეს თელასსა“ და სემეკს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. სემეკი ცდილობს, კომპანიის მიერ წარმოდგენილი ახალი ტარიფი — 15, 4 თეთრი — მინიმუმამდე დაიყვანოს, მაგრამ „ეი-ი-ეს თელასი“ კატეგორიულად მოითხოვს ელექტროენერგიაზე „რეალური ფასის“ დაწესებას საქართველოს ხელისუფლებასთან 1998 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოში „ეი-ი-ეს თელასის“ შემოსვლამდე კვტ/სთ ელექტროენერგია 6 თეთრი ღირდა. მას შემდეგ ტარიფი უკვე მეოთხედ იზრდება. კომპანიის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ახალი ტარიფი მუდმივი იქნება და ასეთ სიურპრიზს აღარასოდეს შემოგვთავაზებს(!).

## მეპურეები და პარლამენტარები მოილაპარაკებენ

პურის მწარმოებელმა წვრილმა მეწარმეებმა საგადასახადო ცვლილებები გააპროტესტეს (რომლის თანახმადაც საშუალო ზომის პურის საცხობი ღუმლის კვადრატული მეტრი ფართობი 320 ლარის ოდენობის გადასახადით იბეგრება). ცვლილება 1-ელი აგვისტოდან შევიდა ძალაში და მეპურეებიც აჯანყდნენ. მათი თქმით, წვრილი მეწარმეები ვერ შეძლებენ ამხელა გადასახადის გადახდას, გაკოტრდებიან და უამრავი ადამიანი უმუშევარი დარჩება.

ახლა ყველაფერი პარლამენტის სესიაზეა დამოკიდებული, რომელიც სექტემბერში გაიმართება. მანამდე კი პარლამენტარები და მეპურეები შეეცდებიან მოლაპარაკებას და მეწარმეებისათვის მისაღები საგადასახადო თანხის დადგენას. მეპურეები იმუქრებიან, რომ თუ პარლამენტი არ დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნას, შემოდგომაზე ფართომასშტაბიან აქციებს დაიწყებენ...

## გადაწყდა ნავთობსადენის მშენებლობა

გადაწყდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება. 8 აგვისტოს ლონდონში შეკრებილმა ინვესტორებმა პროექტის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. ამ ფაქტს გამოეხმაურა ოფიციალური ვაშინგტონი და საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობებს ოფიციალური მილოცვები გაუგზავნა. თბილისში უკვე შეიქმნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანია. გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სამხრეთ კავკასიაში ნავთობსადენის პროექტის ამოქმედებას მშვიდობისა და სტაბილურობის მყარი გარანტი უწოდა.

## შეზღუდვას კონტრშეზღუდვა მოჰყვა

რუსეთის სამოქალაქო ავიაციის მიერ ქართული ავიაკომპანიების წინააღმდეგ მიმართული სანქციები, ანუ ქართული თვითმფრინავების რუსეთის საჰაერო სივრცეში ფრენაზე დაწესებული შეზღუდვები მოიხსნა მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემაც დაუწესა რუსეთის ავიაკომპანიებს საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენაზე შეზღუდვა. რუსები თავიანთ ანტიქართულ დემარშს (რის გამოც ქართულმა ავიაკომპანიებმა ათიათასობით დოლარი იზარალეს), იმით ამართლებდნენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სარაკეტო ტექნიკის გამოცდა მიმდინარეობდა. თუმცა „გამოცდა“ რატომღაც არ დამუქრებია სომხეთისა და აზერბაიჯანის სამგზავრო თვითმფრინავებს, რომლებიც იმავე საჰაერო სივრცეში დაფრინავენ... რუსეთმა ქართულ ავიაკომპანიებს ფრენის ძველ განრიგზე დაბრუნება შესთავაზა, თუმცა ქართული მხარე რუსეთის ავიაკომპანიებისათვის დაწესებული შეზღუდვების მოხსნას არ ჩქარობდა. უკანასკნელი ინფორმაციით, მოსკოვი-თბილისი-მოსკოვის რეისები ჩვეული განრიგით განახლდება.

## ახალი პასპორტი 50 დოლარი ეღირება

გავრცელდა ინფორმაცია, რომ წლის ბოლომდე საქართველოში ახალი პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და პასპორტები შემოვა. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ახალი პასპორტების ყდაზე „საქართველოს რესპუბლიკის“ ნაცვლად, მხოლოდ „საქართველო“ ეწერება. ახალი პასპორტების აღება კი... 50 დოლარი ეღირება, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს მოსახლეობაში.

## შემთხვევა გურამიშვილის პროსპექტზე

პარასკევს, გურამიშვილის პროსპექტზე მოძრავ ხალხით სავსე ტრამვაის ხანძარი გაუჩნდა და დაიწვა. საბედნიეროდ, მგზავრები გადარჩნენ. ხანძარი ელექტროხაზის გაწყვეტამ გამოიწვია. შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა დენის გათიშვა ვერ მოახერხეს, რის გამოც ხანძრის ჩაქრობა ნახევარი საათის შემდეგ დაიწყეს, როცა ტრამვაი უკვე დანახშირებული იყო.

## ვაქცინაცია ვერ მოხერხდა

ცხინვალის რეგიონის ოსურ სოფლებში საქონლის საშიში დაავადება — პასტერელეოზი გაჩნდა. დაეცა 130-მდე მსხვილფეხა პირუტყვი. ცხინვალის ვეტერინარულ სამსახურებს ვაქცინა არ აქვთ და საქონლის მასობრივ აცრას ვერ ახერხებენ. შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კარანტინი გამოაცხადა, რათა ინფექცია და დაავადებული საქონლის ხორცპროდუქტები ქართულ სოფლებშიც არ გავრცელდეს. კვირის ბოლოს ქართულ სოფლებს თბილისიდან ვაქცინა მიაშველეს და საქონელი აცრეს.

ბოტანიკის ინსტიტუტის სწავლული მდივნის თემურ ჩიკვაიძის განცხადებით, საქართველოში გავრცელებული პირუტყვის სხვადასხვა დაავადება მოსახლეობას საფრთხეს უქმნის არა მარტო ხორცპროდუქტების მოხმარებით. საშიშია დაუმუშავებელი ხილ-ბოსტნეულის გამოყენებაც. ჯილეხისა და სხვა დაავადებების მიკრობები მიწის ზედაპირთან ძალიან ახლოს ბუდობს და, შესაბამისად, დიდია ალბათობა ხილ-ბოსტნეულის დასნებოვნებისა.

## რეალური პარტნიორი მხოლოდ „იტერაა“?!

„თბილგაზის“ პრივატიზაციის საკითხი, სავარაუდოდ, საბოლოოდ მოიხსნება დღის წესრიგიდან — ქართული მხარე რუსულ „იტერასთან“ ერთად ახალი საწარმოს შექმნას აპირებს. მას შემდეგ, რაც ისრაელის კომპანია „ტაჰალმა“ „თბილგაზის“ შესყიდვაზე უარი თქვა, „თბილგაზის“ რეალურ პარტნიორად მხოლოდ „იტერაღა“ დარჩა. ახლა დავა იმაზე მიმდინარეობს, თუ როგორი ფორმით და რა პირობებით უნდა შეიქმნას ახალი ქართულ-რუსული საწარმო.

## ავტოკატასტროფა უღელტეხილზე

9 აგვისტოს, გამთენიისას, 9 ადამიანი დაიღუპა და 10 დაშავდა რიკოთის უღელტეხილზე მომხდარი საზარელი ავარიის შედეგად. გვირაბის გადასასვლელთან ერთმანეთს შეეჯახნენ მიკროავტობუსი და „ლაზის“ ტიპის ავტობუსი. მგზავრებით სავსე ავტობუსი 20 მეტრის სიღრმის ხევში გადაიჩეხა, მიკროავტობუსი კი ამოტრიალდა. წინასწარი ინფორმაციით, ავტობუსის მძღოლმა ვერ დაიმორჩილა საჭე. მიკროავტობუსს თბილისელი, ვინმე თევდორაძე მართავდა, რომელსაც თბილისიდან ბათუმში მიჰყავდა მგზავრები. მიმდინარეობს გამოძიება. ოთხი მგზავრის მდგომარეობა კვლავ მძიმეა.

## კრიმინალური ქრონიკა

6 აგვისტოს, წყნეთის გზაზე, სამარშრუტო ტაქსის სამი ბანდიტი დაესხა თავს. მათ მგზავრები გაძარცვეს, შემდეგ კი გამვლელი მანქანა გააჩერეს და თბილისისკენ გაიტაცეს. ბოროტმოქმედებს წყნეთიდან პოლიცია დაედევნა და ჯიქიას ქუჩაზე წამოეწია. ბანდიტებმა პოლიციელებს ხელყუმბარა ესროლეს, რის შედეგად დაიჭრა გამვლელი მოქალაქე და ბავშვი. სამართალდამცველებმა ერთი ბანდიტის, გვარად პეკელიანის დაკავება შეძლეს, დანარჩენები მიიმალნენ. დაკავებული აცხადებს, რომ აფხაზეთიდან დევნილია.

## ზესტაფონელი ენერგეტიკოსები გაიფიცნენ

ზესტაფონში მაღალი ძაბვის საწარმოს თანამშრომელთა გაფიცვის შედეგად საქართველოს რამდენიმე რაიონი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ზესტაფონელი ენერგეტიკოსები 17 თვის ხელფასს მოითხოვენ და მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ენერგოკავშირის გათიშვით იმუქრებიან. შედეგად, ელექტროენერგია შეუწყდება რკინიგზასაც, რომელიც საკურორტო სეზონზე მთელი დატვირთვით მუშაობს.

## პრეზიდენტის სახელობის ახალი სტიპენდიანტები

პრეზიდენტმა შევარდნაძემ ინდონეზიაში გამართულ ფიზიკის ოლიმპიადაში მონაწილე თბილისის სამეცნიერო ლიცეუმის მოსწავლეები მიიღო. ქართველმა მოსწავლეებმა ოლიმპიადაზე ორი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პრეზიდენტმა მიულოცა მათ წარმატება და თითოეულს თავისი სახელობის სტიპენდია დაუნიშნა.

## ბაღდადელი დიქტატორი აბობოქრდა




„ერაყი მზადაა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს აშშ-ის ჯარებს, რომლებიც ერაყში შესაჭრელად და ხელისუფლების დასამხობად ემზადებიან“, განაცხადა სადამ ჰუსეინმა და ერს საომარი „სულისკვეთების ამაღლებისაკენ“ მოუწოდა. ამასობაში კი ვაშინგტონში სადამ ჰუსეინის მიერ ქვეყნიდან გარეკილ ოპოზიციონერებს თეთრ სახლში მასპინძლობენ და ჰუსეინის დამხობის შემდეგ ერაყის განვითარების საკითხებზე მსჯელობენ. გაავებული ბაღდადელი დიქტატორი მუქარას მუქარაზე უთვლის პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას. ჰუსეინის ოპოზიციონერები არწმუნებენ ვაშინგტონს, რომ თუ ამერიკა ბაღდადს დაარტყამს და იქ სამხედრო ოპერაციას ჩაატარებს, სადამს არავინ დაუჭერს მხარს, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეებიც. ერაყის მოსახლეობა და არმია ჰუსეინის რეჟიმს ვეღარ უძლებს და მის დამხობაზე ოცნებობენო, — ირწმუნებიან ოპოზიციონერები.

## ოპერაციის სტატუსი არ შეიზღუდება

გავლენიანმა გაზეთმა „ვაშინგტონ თაიმსმა“ მრავლისმთქმელი სტატია გამოაქვეყნა. სტატიის თანახმად, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ ტერორიზმთან ბრძოლის ახალი გეგმა შეიმუშავა. ამ გეგმის საფუძველზე ვაშინგტონი რამდენიმე სახელმწიფოსთან აპირებს ხელშეკრულების გაფორმებას, რაც ამერიკელ „კომანდოსებს“ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ტერორისტების წინააღმდეგ თავისუფალი ბრძოლის უფლებას მისცემს. ასეთი ტიპის ანტიტერორისტულ მისიას სამხედრო ოპერაციის სტატუსი უნდა მიენიჭოს და არ უნდა იყოს სამოქალაქო კანონებით შეზღუდული. ამასთან, ახალი გეგმა არ ითვალისწინებს მხოლოდ „ალ ქაიდას“ წინააღმდეგ ბრძოლას. პენტაგონის განცხადებით, აქტიური სამხედრო ოპერაცია დაიწყება ნებისმიერი დაჯგუფების წინააღმდეგ ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც კი აშშ-ის წინააღმდეგ ქმედებაში იქნებიან მხილებულნი.

## რეგიონში კვლავ სტიქია მძვინვარებს

რუსეთის სამხრეთ რეგიონებს მორიგმა სტიქიამ გადაუარა. კრასნოდარის მხარეში მოსულმა ძლიერმა წვიმებმა მდინარეები აადიდა. წაილეკა შავი ზღვის სანაპირო ზოლი. დაიხრჩო 40-მდე დამსვენებელი. ნიაღვარმა სარკინიგზო ლიანდაგებიც აყარა. წინასწარი მონაცემებით, რეგიონს ერთი მილიარდი რუბლის ზარალი მიადგა.

## კამიკაძემ პალატაში აიფეთქა თავი

პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადში ფუნდამენტალისტი ისლამისტები ქრისტიანი მისიონერების საავადმყოფოს დაესხნენ თავს. მოკლეს ხუთი ადამიანი, მათ შორის სამი მედდა და ორი პაციენტი. დანარჩენები სასწაულით გადაურჩნენ სიკვდილს. ერთმა ტერორისტმა კამიკაძემ პალატაში აიფეთქა თავი, ორი თავდამსხმელი კი აფეთქების შემდეგ გაიქცა.

## „მარადიული“ პრეზიდენტი

საფარმურატ ნიაზოვმა კიდევ ერთი „სასიამოვნო სიახლე“ შესთავაზა საერთაშორისო თანამეგობრობას. ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის საფუძველზეც თურქმენბაში თურქმენეთის სამუდამო პრეზიდენტად გამოცხადდა(!). ეს ფაქტი მხოლოდ იმით კი არ არის საინტერესო, რომ ნიაზოვი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პრეზიდენტი იქნება, არამედ იმითაც, რომ თურქმენბაში პოსტზე დარჩება... სიკვდილის შემდეგაც. ერთმა დასავლელმა მიმომხილველმა იხუმრა: ეს იმას ნიშნავს, თურქმენეთში ალაჰთან ერთად უზენაესი თურქმენბაში იქნება, ხოლო ქვეყნის მომავალი პრეზიდენტები მისი „მოციქულებიო“.

## ახალი ვირუსი მომაკვდინებელია

აშშ-ის ზოგიერთ რეგიონში გავრცელდა ე.წ. დასავლეთ ნილოსის ვირუსი. ამ ვირუსის გადამტანნი კოღოები არიან. მათი ნაკბენი ცხოველებისა და ადამიანებისათვის მომაკვდინებელია. მისისიპიში, ლუიზიანასა და ტეხასში ამ ვირუსით ინფიცირების უკვე 100-მდე ფაქტია დაფიქსირებული. საბედნიეროდ, ასევე შემთხვევაში შინაური ცხოველები აღმოჩნდნენ დაავადებულნი.

# ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ „ᲣᲩᲮᲘᲙᲘᲜᲔᲑᲡ" ᲠᲣᲡᲔᲗᲡ... ᲛᲐᲜ ᲔᲡ ᲙᲐᲠᲢᲘ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲘᲗᲐᲛᲐᲨᲐ

„...აშკარაა, რომ პრეზიდენტ პუტინის უახლოეს მრჩევლებს ვაშინგტონის თანხმობა სურთ საქართველოში ანტიტერორისტული ინტერვენციის განსახორციელებლად. კრემლს, იმედი აქვს, შეძლებს ვაშინგტონის დაყოლიებას გარიგებაზე — ერაყი საქართველოს სანაცვლოდ! ანუ რუსეთი აღარ აღუდგება წინ აშშ-ის სამხედრო ოპერაციას ერაყის წინააღმდეგ რამდენიმე თვის შემდეგ თუკი ვაშინგტონი დათანხმდება რუსეთის ინტერვენციას საქართველოში", — წერს გავლენიანი „უოლსტრიტ ჟორნელი" და სტატიის ამ ფრაგმენტიდანაც კარგად ჩანს საქართველოს ირგვლივ შექმნილი ურთულესი ვითარება. ამ დროს კი ქართველობას კვლავაც ტრადიციული გათიშულობა გვღუპავს და შეგნებულად თუ შეუგნებლად მტრის წისქვილზე ვასხამთ წყალს. ლამის სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს „აღორძინება" და აფხაზეთის დევნილი ხელისუფლება, რომლებიც ხელისუფლების დანაშაულებრივი დუმილის ფონზე, რას აღარ უწოდებენ ერთმანეთს და დაობენ — ომით დავბრუნდეთ აფხაზეთში თუ მშვიდობით; უნდა არსებობდეს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა თუ არა; მიენდოს ასლან აბაშიძეს სამშვიდობო მისიის წარმართვა თუ არა; იქნებ ვიცე-პრეზიდენტად დავნიშნოთ აჭარის ლიდერიო და ა.შ. რუსეთი კი უკვე აშკარად გვემუქრება, ჩრდილოეთ კავკასიაში უპრეცედენტო კონტრტერორისტულ სამხედრო მანევრებს ატარებს და გაიძახის — საქართველო ტერორიზმის ბუდეაო! ხელისუფლება კი კვლავაც არაფერს აკეთებს, კვლავ მძვინვარებს კორუფცია, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებაზეც კვლავ უცხოელი ფილანთროპები და ორგანიზაციები ზრუნავენ. პარალიზებულია თბილისის საკრებულოს მუშაობის დაწყების საქმე, რაც პოლიტიკური დაპირისპირებების კიდევ უფრო გამძაფრებას იწვევს. პოლიტიკურ სპექტრშიც პოლიტიკოსები კვლავ აქეთ-იქით „გარბიგამორბიან" და პარტიათა გამსხვილება-გაერთიანების ნაცვლად იქსაქსებიან და სუსტდებიან... ნაციონალური მოძრაობიდან რეზო შავიშვილის უხმაუროდ წასვლისას, როცა მან წასვლის მიზეზზე მინიშნებაც კი არ გააკეთა, ბევრმა ნაციონალებს ლეიბორისტთა ბედი, ანუ განხეთქილება უწინასწარმეტყველა. ზოგმა ისიც თქვა, — საერთოდ რა უნდოდა შავიშვილს სააკაშვილის გვერდითო... თბილისის საკრებულოს ბედის გარკვევის განუსაზღვრელი ვადით გადატანასაც ნაციონალურ მოძრაობას საყვედურობენ, უფრო სწორად, შეცდომად უთვლიან ხმების გადათვლის შესახებ სარჩელის შეტანას სასამართლოში, რითაც „ოსტატურად" ისარგებლა ხელისუფლებამ და ა.შ. ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით ნაციონალური მოძრაობის ლიდერს **ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ:**



შავიშვილი მთავრობასთან კონფრონტაციის დაძაბულ რეჟიმში მუშაობას ვერ შეძლებდა...

— რეზო შავიშვილს აქვს თავისი პარტია „დასი" და, ვფიქრობ, ის ვერ დარჩებოდა ჩვენთან. ნაციონალური მოძრაობა აპირებს ჩამოყალიბდეს პარტიად სექტემბრის დასაწყისში, ამიტომ შავიშვილს ვერ მოვთხოვდით ორი პარტიის წევრობას. ისევე, როგორც ვთანამშრომლობთ ზვიად ძიძიგურთან, ეროვნულ ძალთა გაერთიანებიდან და დავით ბერძენიშვილთან, რესპუბლიკური პარტიიდან, ასევე ვგეგმავთ თანამშრომლობას რეზო შავიშვილთანაც, როგორც „დასის" წარმომადგენელთან. ეს გახლავთ ორგანიზაციული ასპექტი მომხდარისა. მეორე კი გახლავთ პოლიტიკური ასპექტი: რეზო შავიშვილი ინტელიგენტია, მაგრამ ყველას არ შეუძლია დაპირისპირების იმ რეჟიმით მუშაობა, რომელშიც ჩაგვაყენა პრეზიდენტმა. არჩევნების შედეგების ცნობაზე უარის თქმა, ჩვენზე ზეწოლა გვაიძულებს, ინტენსიური პოლიტიკური ბრძოლით დავუპირისპირდეთ ხელისუფლებას. ხანდახან დედაჩემსაც კი, რომელიც რეზო შავიშვილის თაობის ინტელიგენტია, ეხამუშება ჩვენი ბრძოლის დაძაბული რიტმი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. ამ ბრძოლაში გვერდით ბოლომდე დგომას ყველას ვერ მოვთხოვთ... რეზო შავიშვილის გადაწყვეტილების მიზეზი, ვფიქრობ, არის ის, რომ პრეზიდენტ შევარდნაძესა და ამ მთავრობასთან კონფრონტაციის რეჟიმში მუშაობას ვერ შეძლებდა. გაგიგონიათ ბოლო თვეების მანძილზე რეზო შავიშვილის თუნდაც ერთი განცხადება? კი, ბატონო, პიროვნულად ბევრ კონსულტაციას ვიღებთ მისგან, მაგრამ საჯარო პოლიტიკოსი ნამდვილად არ არის. ვერც მოსთხოვ გამოიცვალოს თავისი ბუნება. ადამიანს ან აქვს ჩადებული შინაგანი ბრძოლის ჟინი და სურვილი, ან არა. ვისაც არა აქვს, ვერ გავკიცხავ. განხეთქილებას კი ნაციონალურ მოძრაობაში გამოვრიცხავ...

**— 18 აგვისტოს ზურაბ ჟვანია და ირინა სარიშვილი-ჭანტურია სენსაციური განცხადების გაკეთებას აპირებენ ახალი პოლიტიკური გაერთიანების შექმნის შესახებ. თქვენი აზრით, რამდენად პერსპექტიული იქნება ამ ალიანსის მოღვაწეობა?**

— პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბება ასეთი შემადგენლობით, საკამათოა. თუმცა ჟვანიასა და სარიშვილი-ჭანტურიას განზრახვას დადებითად ვაფასებთ და მზად ვართ ვითანამშრომლოთ, — მაგალითად, ძალადობის წინააღმდეგ საერთო ფრონტით ვიბრძოლოთ. ამასთან, ნებისმიერ ფასად გაერთიანება არ არის ის რეცეპტი, რომელსაც პოლიტიკაში წარმატებები მოაქვს. არსებობს გარკვეული პრინციპები, რომლის გარშემოც უნდა მოხდეს გაერთიანება. მომხრე ვარ, კოალიცია შეიქმნას არა მხოლოდ „ძველი სახეებით", არამედ „ახალი სახეებითაც". მე მოვახერხე ხუთი-ექვსი სერიოზული პარტიის შემოკრება და თუ ჟვანია მოახერხებს იმავეს, მივესალმები და ვითანამშრომლებთ. ჩვენ არა მხოლოდ მთავრობა და პრეზიდენტი უნდა გამოვცვალოთ, არამედ სერიოზულად უნდა განვაახლოთ პოლიტიკური სპექტრი.

**— ბოლო დროს საშიშ ზღვარს მიაღწია დაპირისპირებამ ასლან აბაშიძესა და თამაზ ნადარეიშვილს შორის. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?**

— შემოდგომაზე შევარდნაძე აუცილებლად შეეცდება არა მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის პროექტის შემოტანას, არამედ აფხაზეთში საომარი მოქმედებების სიმულირებას. შევარდნაძე სასიკეთოს ვერაფერს აკეთებს და ძალაუფლების შენარჩუნებისა და მის შემდეგ თავისივე კლანისთვის ძალაუფლების გადაცემის ინსტრუმენტი არის აფხაზეთში ომის სიმულირება. შარშან, მისი ბრძანებით ჩეჩნები რომ გადაიყვანეს კოდორში, ასეთივე ტიპის საომარ სიმულაციას შეეცდება წელსაც. გაისად კი შეიძლება პირდაპირი სამხედრო მოქმედებაც განახორციელოს, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ეცოდინება ამ ნაბიჯის კატასტროფული შედეგი. რა თქმა უნდა, ამ გზით აფხაზეთს სამუდამოდ დავკარგავთ, მაგრამ შევარდნაძე შეინარჩუნებს კონტროლს თბილისსა და ორ-სამ საბაჟო პუნქტზე თავის ნათესავებთან ერთად. შარშან ასლან აბაშიძის დანიშვნა პირად წარმომადგენლად აფხაზეთის საკითხებში ნიშნავდა იმას, რომ შევარდნაძე თითქოს წილში სვამდა აბაშიძეს აფხაზეთის დაბრუნების საქმეში. ფაქტია, ვინც აფხაზეთს დაიბრუნებს ან გასაღებს მოარგებს ამ კონფლიქტის მოგვარებას, მას გზა ხსნილი ექნება პრეზიდენტის სავარძლისკენ. შევარდნაძემ ბათუმში ჩაუტანა ეს „გასაღები" აბაშიძეს და უთხრა, — აჰა, შენ საქართველოს მომავალი პრეზიდენტობაო! მაგრამ როგორც კი აბაშიძე ჩავიდა მოსკოვში, შევარდნაძე საათში რვაჯერ რეკავდა საქართველოს საელჩოში და ნერვიულობდა — რუსებმა მართლა რამე არ დაუთმონ აბაშიძეს, პროცესი არ დაიძრას ადგილიდან და აბაშიძემაც მართლა არ მოინდომოს პრეზიდენტობაო! ასე რომ, ერთ დღეს მისცა ეს „გასაღები", მეორე დღიდან კი ავალებდა თავის დიპლომატებს, ყველანაირად შეეშალათ ხელი აბაშიძის მისიის წარმატებისთვის. აი, ეს იყო რეალობა. ვფიქრობ, ნადარეიშვილსა და აბაშიძეს შორის მიმდინარე დაპირისპირებაც პრეზიდენტის მიერაა ინსპირირებული, რადგან პრეზიდენტი სწორედ ასეთი დაპირისპირებებით საზრდოობს. რამდენიმე კვირა საზოგადოება ამ დაპირისპირებით იქნება გართული, ამას სხვა მოჰყვება, შემდეგ კიდევ რაღაც იფეთქებს და ამასობაში შევარდნაძე ავიწყდებათ. ქვეყნის მთავარი პრობლემა შევარდნაძის მმართველობაა და არა ის, თუ რას ამბობენ ერთმანეთზე აბაშიძე და ნადარეიშვილი.

შევარდნაძე არასოდეს დაუშვებს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას. იგი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი კენედი მოაკვლევინა ვიცე-პრეზიდენტმა ჯონსონმა. ისიც უთქვამს, რომ ნებისმიერი ვიცე-პრეზიდენტი ერთადერთი რამითაა დაკავებული — როგორ მოიშოროს პრეზიდენტიო! ეს გახლავთ შევარდნაძის კონსპირაციული აზროვნების ზუსტი გამოხატულება. ასე რომ, ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება ტოლფასია იმისა, რომ შევარდნაძე გადადგეს. ამ იდეას განხორციელება არ უწერია.

**— რას უნდა ნიშნავდეს ასლან აბაშიძისთვის ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღების იდეით გამოსვლა?**

— შევარდნაძე არასოდეს დაუშვებს ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას. იგი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი კენედი მოაკვლევინა ვიცე-პრეზიდენტმა ჯონსონმა. ისიც უთქვამს, რომ ნებისმიერი ვიცე-პრეზიდენტი ერთადერთი რამითაა დაკავებული — როგორ მოიშოროს პრეზიდენტიო! ეს გახლავთ შევარდნაძის კონსპირაციული აზროვნების ზუსტი გამოხატულება. ასე რომ, ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება ტოლფასია იმისა, რომ შევარდნაძე გადადგეს. ამ იდეას განხორციელება არ უწერია.

**— რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება კულმინაციას აღწევს და „კვანძი" ალბათ შემოდგომაზე გაიხსნება, როცა აშშ ერაყს დაარტყამს, მაგრამ როგორი შედეგი ექნება საქართველოსთვის „კვანძის გახსნას"?**

— რუსეთი ჩვენი პოტენციური მოწინააღმდეგეცაა და პოტენციური მოკავშირეც. მოკავშირეობა გაცილებით რთული მისაღწევია. დაპირისპირების არსი არის ის, რომ გარდა ორ ქვეყანას შორის არსებული სუბიექტური და ობიექტური პრობლემებისა, შევარდნაძე მუდმივად „უჩხიკინებს" რუსეთს და მიაჩნია, რაც უფრო მეტად გალანძღავენ მას რუსი პოლიტიკოსები, საქართველოს მოსახლეობა მით უფრო დარწმუნდება, თუ როგორ ებრძვის რუსეთი შევარდნაძეს. ხალხიც იტყვის, — მაინც უნდა დავუდგეთ ჩვენს პრეზიდენტს გვერდითო! მან ეს კარტი ზედმეტად გადაითამაშა. ამასთან, პრეზიდენტი უკვე პროდასავლური ორიენტაციის დისკრედიტაციასაც ეწევა იმის მუდმივი ძახილით, აი, ამერიკა მიჭერს მხარსო. იმავდროულად კი ჩეჩნების თემის ასე „შეჩხიკინება" რუსეთისთვის, ძალიან საშიშია. ის ჩეჩნები, რომლებიც თბილისში ყიდულობენ ბინებს, ძირითადად, ბანდიტები არიან. მათ ფულის შოვნის სხვა წყარო ვერც კი წარმოუდგენიათ. მათ მაფიას ისეთი წესები აქვს შესისხლხორცებული, ქართველ მაფიოზებს აზრადაც რომ არ მოუვათ. მე არ ვლაპარაკობ რიგით ჩეჩნებზე და სწორი ნაბიჯი იყო, როცა ისინი დავიცავით და შევიფარეთ. მაგრამ ამ ბანდიტური ელემენტების გამოყენება რუსეთთან თამაშში და, ძირითადად, შიდაპოლიტიკურ თამაშშიც, საშიშია. ამით ცდილობენ კიდევ რამდენიმე თვით გაუძლიერონ პრეზიდენტს პოზიცია, მოიგონ დრო და არ აცნობიერებენ, რომ თითოეულ მოქალაქეს უქმნიან დიდ საფრთხეს. თორემ, რუსების აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ თვითონ ამერიკელები არ დაუშვებენ. შესაბამისად, არც ის აზრი დაიბადება — ერაყი საქართველოს სანაცვლოდო!

**— ლეიბორისტთა ლიდერმა გისაყვედურათ, ნაციონალების ლოზუნგი, „თბილისი შევარდნაძის გარეშე", გადაიქცა ლოზუნგად „თბილისი საკრებულოს გარეშე", დედაქალაქი კი კვლავ ზოდელავას ბანდის ხელში დარჩაო.**

— ზოდელავას მთავრობაში სწორედ ლეიბორისტები არიან, კერძოდ, ვიცე-პრემიერ მუხრან მდივანის სახით. ასე რომ, ცოტა უცნაურია, ბანდა უწოდო მთავრობას, რომელიც ლეიბორისტული საკრებულოს მიერაა დაკომპლექტებული. მეორეც: ვფიქრობ, ზოდელავასთან ბრძოლა თვითმიზნად არ უნდა გადავაქციოთ. ზოდელავას მოხსნა შევარდნაძესაც უნდა და მე რომ დავიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა, ექვსი თვის თავზე მას ჩემი ხელით გადააყენებენ. შემდეგ დასვამენ სხვას, რომელიც შეიძლება ბევრად უარესი აღმოჩნდეს, მაგრამ სანამ ხალხი გაიგებს, ის ვინ არის, გავა კიდევ ორი წელიწადი. თავის დროზე მოვახსნევინე ინჯია, გულუა, თბილისის პოლიციის ორი შეფი, ჩემთან ბრძოლის შედეგად მოიხსნენ თარგამაძე, მეფარიშვილი, ქუთათელაძე, მაგრამ ამით სიტუაცია ქვეყანაში არ გაჯანსაღებულა. საკუთარ მაგალითზე ვისწავლე, რომ ამ მარიონეტების თეატრში ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარის თამაში ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერს ცვლის. შევარდნაძეს სწორედ იმიტომ ეშინია ჩვენი, რომ პირველმა ავითვისეთ ეს გაკვეთილი — არავითარ შემთხვევაში არ მივიღოთ მონაწილეობა მის მიერ დადგმულ დაპირისპირებებში, არამედ ზუსტად შევარჩიოთ სამიზნე! ეს სამიზნე კი პრეზიდენტ შევარდნაძის მმართველობის სტილი და მისი გადაწყვეტილებებია, რომლის წინააღმდეგაც უნდა მივმართოთ კრიტიკა. რაც შეეხება ჩვენს სარჩელს ხმების გადათვლის მოთხოვნის შესახებ, მარტივად საბუთდება, რომ ჩვენ ხმათა 33% მოვიპოვეთ. მაგალითად, ნაძალადევის რაიონის საარჩევნო უბნების ორ მესამედში საერთოდ აღარ არსებობს ბიულეტენები, ისინი „გაქრა". გლდანში კი არის საარჩევნო უბნები, სადაც იყო მხოლოდ 900-1000 ამომრჩეველი, მაგრამ მიცემულია 1600-1700 ხმა. აქედან ლეიბორისტებს მიღებული აქვთ 900-1000 ხმა, ჩვენ — 40-50. ბიულეტენების გადათვლა დაადასტურებდა, რომ ნაციონალური მოძრაობის პროცენტი ბევრად მეტია. ამიტომ მოვითხოვეთ ბიულეტენების გადათვლა, რაც რამდენიმე დღეში უნდა დამთავრებულიყო და პარალელურად უნდა მოწვეულიყო საკრებულოს სხდომა. პროცესი მოვიგეთ, მაგრამ ორ-სამ პატარა პარტიას შეატანინეს სარჩელი არჩევნების შედეგების გაუქმების მოთხოვნით, რაც იმით დასრულდა, რომ შეაჩერეს საკრებულოს მოწვევის საქმე. შემდეგ კი ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რათა არჩევნების შედეგების საბოლოო ოქმი გაუქმებულად გამოეცხადებინა და მივედით ამ მდგომარეობამდე... ანუ, ნაციონალური მოძრაობის გარდა, პრაქტიკულად არავინ იბრძოლა საკრებულოს მუშაობის დაწყებისთვის. მხოლოდ ჟვანიამ დაგვიჭირა მხარი. ნათელაშვილს როცა რაიმე სურს სასამართლოში, იქიდან ვერ აგდებენ. ამჯერად კი ხმა არ ამოუღია. ლადო ჭანტურიამ, რომელმაც შეასრულა შევარდნაძის შეკვეთა, სასამართლო პროცესამდე ორი დღით ადრე თავს უშველა და გერმანიაში გაიქცა „კერძო არდადეგებზე". სამწუხაროდ, ჭანტურიაც იმავე გზას ადგას, რომელსაც გია მეფარიშვილი, მან კი ცუდად დაამთავრა თავისი მოღვაწეობა.

ლადო ჭანტურიამ, რომელმაც შეასრულა შევარდნაძის შეკვეთა, სასამართლო პროცესამდე ორი დღით ადრე თავს უშველა და გერმანიაში გაიქცა „კერძო არდადეგებზე". სამწუხაროდ, ჭანტურიაც იმავე გზას ადგას, რომელსაც გია მეფარიშვილი, მან კი ცუდად დაამთავრა თავისი მოღვაწეობა.

**— თქვენი ვარაუდით, მაინც რამდენ ხანს არ ეყოლება დედაქალაქს საკრებულო?**

— ვფიქრობ, იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მოსახლეობა ამას მოითმენს. როგორც ჩანს, პრეზიდენტ შევარდნაძეს გადაწყვეტილი აქვს, რომ არც ერთი არჩევნები საქართველოში აღარ ჩაატაროს მანამ, სანამ არ დარწმუნდება, რომ მის კლანს აქვს გამარჯვების შანსი. მეცინება, როცა ინგა გრიგოლიას გადაცემის დახურვით სპეკულირებენ. გადაცემა დახურეს ერთადერთი მიზეზით: არჩევნებიდან ორი დღის შემდეგ მიმიწვიეს გადაცემაში, რომლის დროსაც პრეზიდენტმა დარეკა, მაგრამ ინგა გრიგოლიამ ეთერში არ შემოუშვა რამდენიმე წუთის მანძილზე მისი ზარი, — რადგან პრეზიდენტი მთლად სულელურ მდგომარეობაში არ ჩამეგდო. ზუსტად ვიცი, რომ ამის შემდეგ შევარდნაძემ კატეგორიულად მოითხოვა ინგა გრიგოლიას სამსახურიდან გაშვება. „დიდების ზღაპარიც" დახურეს იმის გამო, ჟვანია-სააკაშვილი ხშირად ჩანანო. ეს იყო პრეზიდენტის მეუღლის დაჟინებული მოთხოვნა. პრეზიდენტი ადგილობრივ არჩევნებსაც არ ნიშნავდა დიდი ხნის მანძილზე და მხოლოდ ამერიკელების მძლავრი ზეწოლის შედეგად დანიშნა. ახლა კი არჩევნების შედეგები არ მოეწონა და გააუქმა. „მოქალაქეთა კავშირით" შევარდნაძე რომ არჩევნებს ვერასოდეს მოიგებს, საბავშვო ბაღშიც მიხვდებიან. როცა მთავრობა გაიძახის, შემოდგომაზე არეულობაა მოსალოდნელიო, ეს მართლა იმას კი არ ემყარება, რომ ჩვენ ამას ვგეგმავთ. არა, ჩვენ ამას არ ვაპირებთ, მაგრამ მთავრობამ შესანიშნავად იცის, რომ ბიუჯეტის გარღვევის პირობებში ოქტომბერ-ნოემბერში მოსალოდნელია ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობა, რაც ძალაუნებურად გამოიწვევს სერიოზულ სოციალურ დაძაბულობას. ამიტომ ისინი წინასწარ „სცრიან" ხალხს, რათა მათი აჟიტირება ვერავინ შეძლოს. მაგრამ ხალხს აჟიტირება არ სჭირდება, ის ისედაც მისულია უკიდურეს მდგომარეობამდე. ერთადერთი მეთოდი კრიზისიდან გამოსვლისა, არის არჩევნები. სხვა მეთოდი არის ძალადობა და დაპირისპირება. გამოუშვეს ციხიდან ხაჩიშვილი-გელაშვილი, რომლებიც გაიძახიან, რომ მათი ფუნქციაა არ მიუშვან ხელისუფლებაში სააკაშვილი. არჩევნები გადაწყვეტს, ვინ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში და ვინ არა. შევარდნაძე გვთავაზობს ალტერნატიულ მეთოდს: ვიაროთ ხაჩიშვილი-გელაშვილის გზით. დიახ, არსებობს ხაჩიშვილის გზა და არსებობს არჩევნების გზაც. ხაჩიშვილის გზა შევარდნაძესაც მოუღებს ბოლოს, არჩევნების გზა კი მასაც უტოვებს შანსს!..

***ზურა მჭედლიშვილი***

## 14 აგვისტოს იწყება ღვთისმშობლის მიძინების მარხვა, რომელიც გასტანს 28 აგვისტომდე

### ლოცვა ღვთისმშობელისა მიმართ

ღვთისმშობელო ქალწულო, შეუორგულებელსა მაგას ზღუდესა ცხოვრებისა ჩვენისასა წინააღმდგომთა ზრახვანი განაქარვენ, სოფელსა შენსა აღმოუწოდე და მიჰგვარე ქართველნი ქრისტესა ღმერთსა, რამეთუ შენ ხარ სასო და მეოხი ყოველთა ქრისტიანეთა.



## გახსოვს ლისი?

### („კაი ხალხისთვის ყველაფერი იქნება!“)

*რა მნიშვნელობა აქვს, პირველად რა იყო — თბილისმა მიატოვა ლისის ტბა თუ ლისის ტბამ — თბილისი... ბოთლების ნამსხვრევებითა და საზამთროს ქერქებით სავსე ნაპირმა ნელ-ნელა დაიხია უკან და ერთ ზაფხულს ტბის ადგილზე დაუსახლებელ პლანეტასავით დახეთქილი მიწა დარჩა. ტელევიზიით კი ისევ ხშირ-ხშირად აცხადებენ, ლისზე ბანაობა არ შეიძლებაო...*

*რა ხდება ლისის ტბაზე? — ერთ დღეს, წვიმაში, ასე მიტოვებულ-მოძულებულ ტბას შევუარე და ჩემდა გასაკვირად, იქ წყალი აღმოვაჩინე — მართალია, რაც მახსოვდა, იმის მეათედიც არა, მაგრამ მაინც წყალი — ჭაობისაგან მწვანედ შეღებილი და დუნე; შიგ ათწლეულების წინ ჩაყრილი ბოთლების ნატეხებიც ჩანდა. ტბის ზედაპირზე წვიმაში უგზო-უკვლოდ დაფრინავდა ცისფერი ფარვანა, ნაპირზე ობლად იქექებოდა ყვავი და გოგირდის აბანოდან (თქვენ წარმოიდგინეთ, მოქმედია) საცოდავად მომჩერებოდა შავი ძაღლი. უეცრად მენავეთა ფიცრულებიდან მზისგან გარუჯული კაციც გამოვიდა და გოგირდის აბანოსაკენ გაუყვა გზას. ადამიანის დანახვით გაკვირვებულმა, თვალები დავჭყიტე და დავედევნე.*

— **ვერ მეტყვით, აქ რა ხდება, — სულ არაფერი?**

— როგორ თუ არაფერი, კაცო?! — შარშან ზაფხულში აქ ტლაპო იყო და ასე, 30 სანტიმეტრი სიღრმის წყალი, წყალზე — ბალახი. ახლა წყლის სიღრმე 1 მეტრი და 30 სანტიმეტრია.

— **თქვენ რა იცით, გაზომეთ?**

— რა ვიცი და დამაინტერესა, შუამდე შევედი. აი, აქ, მკერდამდე მომწვდა.

— **მარტო როგორ შეხვედით იმ ტლაპოში, რომ ჩაფლულიყავით?**

— რას ჩავეფლობოდი? ხმელი კაცი ვარ — წყალზე გაზრდილი, სოხუმში.

— **და დამშრალი ტბაც ვერ მიატოვეთ?**

— ვერა. მესამე წელია, ასე რომ არის. შარშან სულ ბალახები იყო, ბაყაყიც არ ჩანდა. ახლა სავსეა ბაყაყებით. ესე იგი, რაღაცა ცოცხლობს!

— **ქალაქიდანაც არავინ ამოდიოდა?**

— არა. ახლა საღამოობით ამოდიან ხანდახან, ბავშვებით. სუფთა ჰაერია აქ. თბილისთან შედარებით 7 გრადუსით დაბალია ტემპერატურა.

— **აქ რას აკეთებთ მარტო?**

— რა უნდა გავაკეთო. ყარაული ვარ. დილით ავდგები, წყალს ვუყურებ — ამ დროს კარგია აქაურობა. ღამე ვკითხულობ. აქ ბიბლიოთეკა იყო. რაც კარგი წიგნი ჰქონდათ, წაუღიათ, მარტო ბრეჟნევის წიგნებია დარჩენილი, იმათ ვკითხულობ. ერთი წიგნიც წავიკითხე — „კოსმოსი და პური“ — გაგარინზე. იმას რომ კაცი წაიკითხავს, ცოტა მოსულელო უნდა იყოს. მე წავიკითხე, — აბა, რა მექნა? ხანდახან გაზეთებსაც ვკითხულობ — ჩემს უფროსს მოაქვს. თქვენ რომელი გაზეთიდან ხართ?

— **„კვირის პალიტრიდან“.**

— ჰოო, მაგარი გაზეთია.

— **კიდევ რას აკეთებთ?**

— კიდევ ვმღერი. სოხუმში არ ვმღეროდი — სმენა არ მაქვს. აქ ღამე სულ სამ ხმაში ვმღერი. კიდევ... ნავებს ვუვლი.

— **ვნახე ეგ თქვენი ნავები, — დაჟანგულია.**

— რა დაჟანგული?! კარგი „სვარჩიკი“ მეგობარი მყავს, სულ არემონტებს. თუ დაჟანგულია, მაგას ნახავთ, გაისად რომ ამოხვალთ და ნავს მთხოვთ. აგე, მთაზე დიდ მილში წყალი რომ გამოდის, ხომ ხედავთ? — ეგ მერიამ გააკეთა. გაისად აქ ტბა იქნება!

— **ნეტა მართლა ასე იყოს! ნაცნობობით არ გამასეირნებთ ნავით?**

— გაგასეირნებთ, ე, მაშინ ნახავთ, გივი ჩემია რომ არ ხუმრობდა.

— **თქვენს პირს შაქარი... ისე, რაღაც დასუფთავებული მეჩვენება აქაურობა.**

— სუფთაა, აბა, რა! თბილისის ზღვაზე რომ ვიყავი, გავგიჟდი კაცი, ძროხებითაა სავსე იქაურობა. თქვენ რა გგონიათ, აქ არ მოდიან ძროხები? — მოდიან, მაგრამ სულ ვერეკები. აი, ნახე, ეს სტადიონი სულ ჩემი გათიბულია. წყალმა რომ დაიწია, ამ ნაპირიდან სამი „სამასვალი“ ბოთლის ნატეხები ამოვიღე. სტალინის დროინდელი ბოთლები იყო ჩაყრილი და კიდევ — სამასი „პაკრიშკა“ მაინც. წყალში ჩაგდებული „პაკრიშკა“ ყველაფერზე ბინძურია. როდის ყრიდნენ, რა ვიცი... მარტო მე არ ვიღებდი, ბიჭებიც მეხმარებოდნენ, უფროსიც. კარგი უფროსი მყავს... ერთი ქაღალდი ან სიგარეტი რომ ვნახო დაგდებული, სულ ურნაში ვყრი, ეს ჩემი საქმე არ არის, მაგრამ მაინც ვაკეთებ. აბა, ვინ გააკეთებს?

— **ჰო, აგერ, ფანჩატურიც აგიშენებიათ. ესეც გაისისათვის?**

— ხომ გითხარით, ტბა იმუშავებსმეთქი? მანდ ახლაც შედის ხალხი, მაგრამ ხომ არ გგონიათ, სკამებზე სხდებიან? — სკამებზე ფეხებს აწყობენ და მოაჯირზე ადიან, გაგიჟდება კაცი!

— **რას იზამთ, სიცარიელის ყურებას ისევ სკამებზე ფეხებდაწყობილი ხალხის ცქერა სჯობია... მაშ, თქვენ ამბობთ, რომ გაისად აქ ნამდვილი ტბა დამხვდება?**

— ნამდვილად, მარა მე მენავეებთან არ მეძებოთ. აქ ბილიარდი იქნება და იქ მნახეთ. ბილიარდი მიყვარს, სოხუმში მქონდა და კარგად ვთამაშობ. თუ გინდათ, გეთამაშებით.

— **ნაძლევზე?**

— კი, ნაძლევზე.

— **აკი, ნავებზე უფასოდ გაგასეირნებო?**

— თქვენ მოდით და გაგასეირნებთ. თუ გინდათ, მთელი რედაქცია მოიყვანეთ,. ეგეთი მაგარი გაზეთი გაქვთ, ნავებზე კი არა, აგე, კატერიც გვაქვს და ყველას უფასოდ გაგაქროლებთ — კაი ხალხისთვის ყველაფერი იქნება!

***ეთერ ერაძე***

## თბილისი სიკვდილისთვის შინ დაბრუნებულ კოკა იგნატოვს ეთხოვებოდა...



არავითარი კავშირი არა აქვთ ხელოვნებასთან და გაუგებარი თამაშის წესებს სთავაზობენ საგამოფენოდ არჩეულ „სუბიექტებს“... ერთ ასეთ გამოფენაზე გერმანიაში კოკა იგნატოვის მხოლოდ „ქვები“ წარმოადგინეს, და მაინც დამთვალიერებელთათვის შოკური ეფექტი ჰქონდაო. მართლაც, ფერწერის რა დიდოსტატი უნდა იყო, რიყის ნებისმიერი ზომის ქვას სიცოცხლე და სამყაროში კოსმოსური ფუნქცია მიანიჭო...

ქალბატონ დალის კიდევ ერთი ფრაზაა ძალიან ტევადი: — მე ხელოვნებათმცოდნე არ გახლავართ... მაგრამ კოკა იგნატოვის ცოლობამ არა მარტო დიდ ხელოვნებას მაზიარა, არამედ დიდ სიყვარულსაც... მე ბედნიერი ქალი ვარ...

თავადაც მადლიანი კაცი იყო. მადლიერებით აღსავსეს გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე მასთან მისული მეგობრებისთვის (მელვინე ანზორ მგელაძე, მოქანდაკე ავთო მჭედლიშვილი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი თამაზ სანიკიძე) უთქვამს: — ზურას ვენაცვალე, ზურა წერეთელმა ხუთი წლის სიცოცხლე მაჩუქაო...

ამის მოსმენამ თავზარი დამცა. გამოდის, თავადაც სცოდნია, რომ უკვე სიკვდილს იყო შეჭიდებული... მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, საბედნიეროდ, თავად არ იცოდა და არც ის ტკივილი წაუღია ამ წუთისოფლიდან, იმის გამო, რომ მის მონუმენტურ პანოს ფუნიკულიორზე გული ამოაჭრეს და გაიტაცეს... მძარცველმა, როგორც ჩანს, იცოდა, რომ პანო „ფიროსმანი“ მონუმენტურ ტილოზე იყო შესრულებული. იცოდა ისიც, რომ სულ მალე მისი ავტორის გარდაცვალების შემდეგ ტილო ფასდაუდებელი გახდებოდა... მაგრამ არ იცოდა ყველაზე მთავარი — კოკა იგნატოვი ხომ იმიტომ ქმნიდა, რომ ერისთვის დაეტოვებინა. ქურდს ქართული ფოლკლორისთვის ერთხელ მაინც რომ დაეგდო ყური, ეცოდინებოდა, რომ:

*მოვა ტიალი სიკვდილი,*
*იმწამსვე აგყრის იარაღს,*
*შენ რას წაიღებ იმ ქვეყნად,*
*სხვას არა წაუღია რა...*

და მაინც, კოკა იგნატოვი იღბლიანი კაცი იყო. თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან ლამაზი იყო და ასევე ლამაზი შემოქმედება დაუტოვა ქვეყანას. მისი კოლეგები ამბობენ, კოკას გემოვნებაც ხელოვნება იყოო.

კოკა იგნატოვი იღბლიანი კაცი იყო თუნდაც იმიტომ, რომ სამცხე-ჯავახეთის მოლოცვიდან დაბრუნებულმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია -მ თავად გადასწერა პირჯვარი უკანასკნელ გზაზე...

კოკა იგნატოვი იღბლიანი კაცი იყო თუნდაც იმიტომ, რომ აგვისტოს ამ ცხელ დღეს ამდენმა ღირსეულმა ადამიანმა გააცილა და ამდენი ლამაზი მანდილოსნის ცრემლი გაიყოლა თან.

ეს დღე გარდაუვალი იყო... ეს ყველამ კარგად იცოდა... იმ დახვეწილი საზოგადოების თითოეულმა წევრმა, ვინც 10 აგვისტოს შესანიშნავი მხატვარი კოკა იგნატოვი თავისი სახელოსნოდან უკანასკნელ გზაზე, დიდუბის პანთეონში მიაცილა.

... გარდაუვალი იყო და მაინც ძალიან ტკივილიანი. ყველასთვის, ვინც მას იცნობდა და ეს ნაცნობობა ემაყებოდა... ვინც მას უყვარდა და ამ სიყვარულით ამაყობდა, ვინც მისი ნიჭის, შემოქმედების თაყვანისმცემელი იყო, ვინც იმითაც იამაყებს მომავალში, რომ ერთ კონკრეტულ დროსა და ერთნაირად გაუსაძლის ვითარებაში ილვაწეს...

დაბოლოს, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის და იმ დიდი სამშობლოსთვის, რომელთაც ალალი, კაცური სიყვარულით უყვარდათ... რადგან კოკა იგნატოვის ძალიან ქართული და ძალიან თბილისური შემოქმედება ყველას გვეკუთვნის... არადა, კიდევ რომ დასცლოდა, კარგა ხანს შეეძლო თავისი არისტოკრატიულობით გაელამაზებინა ჩვენი ყოფა...



და, ბევრისთვის ყოფილიყო იმის მაგალითი, რომ ქართველისთვის შინ დაბრუნება აუცილებელია... კოკა იგნატოვი ხომ ნებისმიერ ქვეყანაში მოწყობილი გამოფენის შემდეგ ამა თუ იმ ქალაქის განუყოფელ ნაწილად იქცეოდა... ეგეც არ იყოს, მას ხომ პარიზელი ქართველი ქალბატონი დალი გიორგობიანი ჰყავდა ცოლად. ცოტა თუ მოიძებნება ამქვეყნად ვინმე, პარიზიდან თბილისში რომ ბრუნდებოდეს. შესაძლოა, თბილისი სამშობლოს გარდა, მისი შთაგონების მუხტი, მუზა ან თუნდაც ის ნავსაყუდელი იყო, სადაც ბოლოს თოლიები კვდებიან...

კოკა იგნატოვი ხშირად განშორებია თბილისს; განშორებია შემოქმედებითი მივლინებით, განშორებია ქალის სიყვარულის თუ გულისტკივილის გამო... განშორებია მკურნალობისთვის... მაგრამ ის ყოველთვის შინ ბრუნდებოდა, რადგან ნიჭიერი ადამიანის ინტუიციით გრძნობდა, რომ უცხოეთში რა დიდებასაც არ უნდა მიაღწიო, შინმოუსვლელი ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულია.

თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის, პროფესორ სოსო ქოიავას და ცნობილი მხატვრების გივი თოიძის, თემო გოცაძის და სხვების მიერ მის სამარესთან წარმოთქმული ტკივილიანი, გულწრფელი სიტყვები ხალხით გადაჭედილ, მდუმარე გარემოში სულის შემძვრელი იყო და მამაკაცის დატირებასავით გაისმოდა.

თბილისი ეთხოვებოდა დახვეწილ დენდს, კოკა იგნატოვს, სიკვდილისთვის შინ დაბრუნებულ მხატვარს...

... იმ დღეს ნათქვამ თითოეულ სიტყვას უკვე ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება. საგანგებოდ ამ დღისთვის პარიზიდან ჩამოსული, მსოფლიოში აღიარებული მხატვარი იური კუპერი მეუბნება:

— კოკა უნივერსალური, მრავალწახნაგოვანი შემოქმედი იყო. გარდა იმ წვლილისა, რაც მან შეიტანა ფერწერაში ზოგადად, იგი ფლობდა საოცარ თილისმას, — თითოეული მისი ნამუშევარი ავტოპორტრეტივით დამსგავსებოდა მხატვარს.

ამ თილისმაზე მისი მეუღლის, ქალბატონ დალის ადრე ნათქვამი სიტყვები მაგონდება:

— სამწუხაროდ, დღეს საგამოფენო გალერეის მფლობელებს, ვინც არტ-ბიზნესში არიან ჩაბმულნი,

***დოდო იორდანიშვილი***

## — ბებო, სიგარეტი მომაწევინეო!..

თბილისში ავტომანქანიანი ქალბატონების სიმრავლე დღითი დღე თვალშისაცემი ხდება, რაც თურმე ყველაზე მეტად საგზაო პოლიციელებს აწუხებთ... კაცები დამნაშავეებიც რომ არ არიან, მაშინაც კი თავს იკატუნებენ, ქალები კი წესრიგს არღვევენ და აქეთ გადმოდიან იერიშზე. მძღოლ ქალებთან ურთიერთობა აუტანელიაო — გამომიტყდა ერთი ნაცნობი „ფორმიანი“. მეც სიტუაციის გასარკვევად „ბრალდებულთაგან“ რამდენიმე ნაცნობ მძღოლ ქალბატონს დავუკავშირდი.

**ქეთა** (26 წლის): — ამას წინათ გლდანში მოვხვდით მე და ჩემი სამი დაქალი. თითქმის უკაცრიელ ქუჩაზე მოგვიწია გავლა. ჩრდილში თავშეფარებულ პოლიციელებს ეტყობოდათ, რომ უსაქმურობისა და სიცხისგან მოეწყინათ. დაგვინახეს თუ არა, მაშინვე აღმართეს „კვერთხი“ და გაჩერება გვიბრძანეს. აშკარად არაფერი დამირღვევია. მანქანიდან არ გადავსულვარ. წელათრევით მოსულმა პოლიციელმა შემომხედა, საბუთები მთხოვა და ჩაიბურდღუნა, — საბარგული გახსენითო. რა უფლებით, რა გნებავთ-მეთქი? კაცია გატაცებული და ყველას ვჩხრეკთო. წარმოიდგინეთ ერთი, როგორ გააჩერებ უხმაუროდ „ნივის“ საბარგულში ცოცხალ კაცს ან გამტაცებლებს რა გვიგავდა, ვერ გავიგე. თუ ხვდები, რას მეუბნებიმეთქი. მოკლედ, კინაღამ ჭკუაზე გადამიყვანა. ცოცხალი თავით მანქანიდან არ გადმოვედი, ის კიდევ თავისას „აწვებოდა“, ბოლოს ერთი ჩემი მეგობარი, თქვენი კოლეგა ჩაერია საქმეში — ჟურნალისტის მოწმობა „დააძრო“ და პოლიციელმაც ენა ჩაიგდო მუცელში. დღემდე ვერ გამიგია, რა უნდოდა. პიტერ შოუა გატაცებულიო და ჩემს მანქანაში ეძებდა.



**ლია** (42 წლის): — ნამდვილად არა ვარ დამრღვევი მძღოლი, თავიდან მაინც სულ ფრთხილად ვიქცეოდი, მაგრამ პოლიციელები მაჩერებდნენ, საბუთებს მართმევდნენ და ორი-სამი კაცი ნახევარი საათი ათვალიერებდა ყველა ფურცელს. რა ამბავია, ამდენს ხანს რატომ მაყოვნებთ-მეთქი — რომ ვკითხავდი, მელაზღანდარებოდნენ — რა სჯობს, ქალბატონო, თქვენს ცქერას, თუ არ გაგაჩერეთ, ისე როგორ შეგხედავთო.

**ანა** (23 წლის): — ამას წინათ ღერძულა ხაზის გადაკვეთის გამო გამაჩერეს. წესით, ჯარიმა უნდა გამოეწერათ და გავეშვი, მაგრამ მანქანის ჩხრეკა დაიწყეს. რას ეძებთ-მეთქი, რომ ვკითხე, — იარაღი ან ნარკოტიკი ხომ არ გაქვს სადმეო. გავგიჟდი. შემეშინდა, მანქანაში არაფერი ჩამიდონმეთქი და ვუყვირე, ახლავე შეეშვით მანქანას, ამის უფლება არა გაქვთმეთქი. შეეშვნენ ჩხრეკას, მაგრამ მერე ამიშარდნენ, შენი საბუთები ყალბია, არასრულწლოვანი ხარ, 23 წლისას არ ჰგავხარო. სანამ მამაჩემს არ დავურეკე და გზაზე არ მომძებნა, იმ „ტვინგაშეშებულებთან“ ვერაფერს გავხდი.

**ნინო** (56 წლის): — პოლიციელები კი არა, მგლები დგანან გზებზე. კულტურა დაკარგეს სულ. ველურები არიან. ახლახან „ლაწირაკებმა“ გამაჩერეს და მათხოვრებივით მეუბნებიან — ბებო, სიგარეტი გექნება, მოგვაწევინეო. გავცოფდი. ჯერ, რომელი ბებო მე მნახეს და მერე, ვის გაუგია, ქალს მანქანა გააჩერებინო და უთხრა, სიგარეტი მომაწევინეო.

*ამის შემდეგ თავად განსაჯეთ, როგორ დაიძაბება სიტუაცია ტრასაზე, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მტრული ურთიერთობა ექნებათ მძღოლ ქალებსა და პოლიციელებს.*

*P.S. სხვა ქალბატონებისგან, რომლებიც ავტომობილის საჭეს უსხედან, მაია ჯაბუა (ფოტოზე) იმით განსხვავდება, რომ სიმპათიით არის გამსჭვალული ავტოინსპექტორებისადმი. ისინიც, შესაბამისად, კომპლიმენტებით ამკობენ მომღერალს. თუმცა, ერთხელ, მაია ჯაბუა თურმე, ავტომობილის გატაცებაში ექვმიტანილადაც ჩაუთვლიათ... ეს ამბავი კეთილად დასრულებულა, ავტოინსპექტორებსაც მოუბოდიშებიათ. ასე რომ, ფაქტია, „ქალი საჭესთან“ სულ მალე ჩვენი ყოველდღიურობის ძალზე ჩვეულებრივ, ყოფით დეტალად აღიქმება...*

***ეკა ლომიძე***

# იგორ გიორგაძე: Шеварднадзе дал поручение о моей ликвидации некоему вору в законе Калашеву

თვე-ნახევრის წინ ტყის ძმების მეთაურის, დათო შენგელიას, კანონიერი ქურდის, შაქრო კალაშოვისა და უშიშროების სამინისტროს მაიორის მჭედლიძის ირგვლივ ატეხილი სკანდალი, რომელიც იარაღის უკანონო ბიზნესს უკავშირდებოდა, საეჭვოდ მიჩუმდა. თუმცა გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე ელდარ თოფჩიევი ამას იმით ხსნის, რომ გამოძიების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს და სექტემბერში ძიებას ყველა კითხვაზე ექნება პასუხი. დღევანდელი გადასახედიდან შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რა ფინალითაც არ უნდა დამთავრდეს გამოძიება, გამორიცხულია, დათო შენგელიამ ეს იარაღი დაიბრუნოს, რადგან ის უკვე თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. რაც შეეხება გადახდილ ფულს, ისიც საბოლოოდ დაკარგულია. ამის მიზეზად ოფიციალური სტრუქტურები იმ უბრალო ფაქტს ასახელებენ, რომ უკანონოდ შეძენილი იარაღით ვაჭრობა მსოფლიოში, ის პარტიზანებს სჭირდებათ თუ ოფიციალურ სტრუქტურებს, სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება. წინასწარ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქედან გამომდინარე, მჭედლიძესა და ლუდკოვს ციხის კედლების ხეხვა არ ასცდებათ. პრინციპში, ამ შემთხვევაში მთავარი ის კი არ არის, ჯოხი გადატყდეს მჭედლიძეზე და ლუდკოვზე, არამედ ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გახშირდა უკანონოდ შეძენილი რეაქტიული ტიპის საბრძოლო მასალის ტრანსპორტირება, რომლის ნათელ მაგალითად ამ დღეებში ქალაქ სენაკთან დაკავებული საზენიტო რაკეტებით დატვირთული ავტომანქანაც იკმარებდა, რომელსაც ისევ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მართავდა. რაც შეეხება ამ კონკრეტულ დანაშაულში კალაშოვის გვარის გამოჩენას, მისი მონაწილეობის დადასტურების შემთხვევაში, საზოგადოებისათვის ერთხელ კიდევ გახდება ნათელი, რომ ფორმიანებისა და „რამკიანების" კავშირი დღესაც სახეზეა. დღევანდელი მონაცემებით, შაქრო კალაშოვი გენერალურ პროკურატურაში მოწმის სახით დაიკითხა და ალბათ, აღნიშნულ საქმეში ის არც გასცდება ამ „სტატუსს". ინტერნეტის საშუალებით გავრცელებული იგორ გიორგაძის ინტერვიუს თანახმად, შაქრო კალაშოვს პრეზიდენტის დონეზე მფარველობენ და მისთვის საქართველო „მალინის" ჩრდილში" ყოფნის ტოლფასია:

**„Я открыто говорю, что Шеварднадзе дал поручение о моей ликвидации некоему вору в законе Калашеву. Что получил взамен Калашев? Калашев езид, вор в законе, с мвдвской охраной, живет в самом престижном районе. Ему выделен дом, который оценивается, по самым скромным меркам, там в несколько сот тысяч долларов. Т.е. он получил индульгенцию из рук президента, для него страна становится малиной. Наверное, это того стоит."**

თუ ეს ასეა, მაშინ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, საერთოდ რატომ დასახელდა მისი გვარი. აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი: ინტერესების შეჯახება იარაღის ბიზნესში მოხდა და მეორე, საინტერესოა, მჭედლიძემ ხომ არ ამხილა? ამ საკითხზე გამოძიება კატეგორიულად დუმს და არც არის გასაკვირი, რადგან თუ კალაშოვის გვარი დაკავებულებმა წამოატივტივეს, ცხადია, მათ მხრებზე თავები არ შერჩებათ. ასე რომ, ეს საქმე ძალზე საინტერესოა და გამოძიების დამთავრების შემდეგ ბევრ რამეს აეხდება ფარდა. ამ საკითხებთან დაკავშირებით „კვირის პალიტრა" გენერალური პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილეს **ელდარ თოფჩიევს** ესაუბრა.

— **ბატონო ელდარ, რა სტადიაშია გამოძიება, რომელიც იარაღის უკანონო შეძენა-გადაზიდვას უკავშირდება. საუბარია თვე-ნახევრის წინ ატეხილ სკანდალზე, როდესაც დააკავეს უშიშროების მაღალჩინოსანი, რომელიც იმავდროულად აღმოჩნდა კანონიერი ქურდის, შაქრო კალაშოვის დაცვის უფროსი...**

— ჯერ ერთი, ვინ გითხრათ, რომ დაცვის უფროსია? გაქვთ მტკიცებულება?

— **ყოველ შემთხვევაში, როდესაც ეს ფაქტი მოხდა, ასეთი ინფორმაცია გავრცელდა...**

— ამის შესახებ, რომ ის იყო კალაშოვის პირადი დაცვის უფროსი, ჯერჯერობით უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები არ გვაქვს. რაც შეეხება მჭედლიძის უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნობას, არც ისეთი მაღალჩინოსანი გახლდათ — ის იყო ადმინისტრაციულ შენობათა დაცვის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე. სულ 2-3 კაცი ექვემდებარებოდა.

— **გასაგებია, რომ არ გაქვთ მტკიცებულება, იყო თუ არა მჭედლიძე კალაშოვის დაცვის უფროსი, მაგრამ იმასაც ხომ ვერ უარყოფთ, რომ „ჯიპი" კალაშოვს ეკუთვნოდა?**

— არც მაგის მტკიცებულება არსებობს. მანქანა რეგისტრირებულია გაგრიდან დევნილ ვინმე ტვილდიანზე.

— **თუ დაკითხეთ ტვილდიანი და რა თქვა, რატომ იყო მისი მანქანა იქ?**

— რა თქმა უნდა, დავკითხეთ და ჩვენებაც მოგვცა, რომლის შინაარსსაც ვერ გავახმაურებ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე.

— **მისი ჩვენების მიხედვით დასტურდება თუ არა კალაშოვისა და ტვილდიანის ნაცნობობა?**

— ვერ გეტყვით.

— **მაშინ მიპასუხეთ, თუ შეიძლება, ამ საქმეში რატომ ამოტივტივდა კალაშოვი?**

— კალაშოვი გარკვეულწილად ფიგურირებს და ჩადენილ დანაშაულში მისი როლი ამჟამად შესწავლა-შემოწმების სტადიაშია. ნაკლებად სარწმუნოა, რომ იარაღი შენგელიასი იყოს, ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხზე ძიება ჯერ არ დასრულებულა. რაც შეეხება ბრალდებულებს, შენგელიასიც რომ აღმოჩნდეს იარაღი, ამ მოტივით მათ პასუხისმგებლობა მაინც ვერ მოეხსნებათ — იარაღის შეძენა-გადაზიდვა უკვე დამოუკიდებელი დანაშაულია, რომელიც 5-დან 10 წლამდე ისჯება.

— **კალაშოვი თუ დაიბარეთ პროკურატურაში?**

— ორჯერ დაიკითხა — ერთხელ სამხედრო პროკურატურაში, მეორედ— ჩვენთან. ის ამბობს, რომ იარაღთან არანაირი შეხება არ ჰქონია, არაფერი ვიციო.

— **რაც შეეხება მჭედლიძესთან ნაცნობობას, ამასაც უარყოფს?**

— ის ამბობს, რომ იცნობს ვიზუალურად, ნანახი ჰყავს თავისი ახლო ნათესავის, აწ გარდაცვლილი კაკი ოზმანოვის დაკრძალვაზე, ამა წლის აპრილის ბოლო რიცხვებში.

— **როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს პირი შავი სამყაროს წარმომადგენლებმა რუსეთში მოკლეს. რა იცით ამის შესახებ?**

— კი, იგი მოსკოვში მოკლეს და ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსი სამართალდამცავები ატარებენ გამოძიებას.

— **არსებობს ვერსია, რომ ეს იარაღი კალაშოვს უნდა წაეღო რუსეთის მიმართულებით პირადი ანგარიშსწორების მიზნით, რაც შავი სამყაროს შიგნიდან მისი დისშვილის მკვლელობას უკავშირდება...**

— ესეც სერიოზული შესწავლის საგანია.

— **კალაშოვთან თუ ისაუბრეთ ამ საკითხზე?**

— ეგ ჩვენი საქმეა, ვისაუბრეთ თუ არა.

— **ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ ეს იარაღი საკმაოდ ძვირად ღირებულია და დავით შენგელიას განაცხადი, თითქოს 8 ათასამდე გადაიხადა, არარეალურია. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— ასეთი სახის იარაღი საქართველოს შეიარაღებაში არ არსებობს, ამიტომ მისი ღირებულება ჩვენმა სპეციალისტებმა ვერ დაადგინეს(!). (ცნობისთვის: „კვირის პალიტრის" სამხედრო მიმომხილველის მონაცემებით, თავიდან უშიშროების სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ დაკავებული იარაღის პარტიაში 9 ცალი „ფაგოტი" იყო. მოგვიანებით, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ამ რაკეტების ინდექსი 9К113-ია. თუ ეს ასეა, მაშინ ლაპარაკი უნდა იყოს არა „ფაგოტებზე" (მათი ინდექსია 9К111), არამედ „Конкурс"-ის ტიპის მართვად ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებზე, რომელთა ფასი (თითოეულის) 2-3 ათას აშშ დოლარს შორის მერყეობს. ამ ტიპის რაკეტები თავდაცვის სამინისტროს, სამწუხაროდ, მართლაც არა აქვს შეიარაღებაში. დაკავებული ცხრა „Конкурс"-ის, სამი მისი გასაშვები დანადგარისა და ამდენივე ერთჯერადი ცეცხლისმფრქვეველი РПО-А Шмель-ის საერთო ჯამური ფასი დაახლოებით 35-40 ათასი



„ფაგოტები" კი არა „კონკურსები" დაუკავებიათ

დოლარის ფარგლებში იქნებოდა. — მ.მ.). ამდენად, დაზუსტებული მონაცემები ამ იარაღის ზუსტ ღირებულებასთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია. ჩვენ გავგზავნეთ სამართლებრივი დავალება რუსეთის ფედერაციაში გენერალური პროკურორის სახელზე, ასევე სხვა საკითხებიც და ველოდებით პასუხს.

— **თვითონ მჭედლიძემ რა განაცხადა?**

— გამოძიების საწყის ეტაპზე ის სამხედრო პროკურატურაში დაიკითხა. დღეს ის იყენებს დუმილის უფლებას. რაც შეეხება ლუდკოვს, მას საერთოდ არ მიუცია ჩვენება გამოძიების არც საწყის ეტაპზე და არც ახლა. ისიც დუმილის უფლებას იყენებს.

— **ისე, ხშირად ხდება, რომ რამეზე ატყდება სკანდალი, მერე კი ჩამიჩუმი აღარ ისმის. თქვენზე რამე ზეწოლა ხომ არ ყოფილა „ზემოდან"?**

— არავითარი, პირიქით, დახმარებას ვგრძნობთ.

— **სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ საკმაოდ ხმაურიანი განცხადებები გააკეთა მასზე ზეწოლასთან დაკავშირებით და თქვენთან პირიქით არის?**

—... კიდევ ერთხელ გიმეორებთ, არანაირი ზეწოლა არ არის.

— **დადასტურდა, რომ მჭედლიძე და ლუდკოვი მართლაც ნაცემები იყვნენ?**

— ეს საკითხი მოწმდება, მაგრამ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გარკვეული დაზიანებები გააჩნია ორივეს.

— **სერიოზული დაზიანებებია?**

— არა. მსუბუქი ხარისხის ნაღენთების სახით.

**P.S.** ერთი სიტყვით, საზოგადოებისთვის ისევ ბუნდოვნად რჩება ამ საქმეში კალაშოვის როლი. თავის მხრივ, იგორ გიორგაძე ამ შემთხვევას თავის კოზირად იყენებს და აცხადებს, რომ კალაშოვს მისი თავი შეუკვეთეს. გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა პირად საუბარში გიორგაძის მხრიდან ამ განცხადებას აბსურდული უწოდა.

*მარინა მამისაშვილი*

## არაორდინარული სიტუაციები

***ალბათ ხშირად წაგიკითხავთ ინტერვიუ ინკოგნიტო რესპონდენტთან, ქურდთან, პარტიზანთან, სპეცსამსახურის თანამშრომელთან და კიდევ ბევრთან, მაგრამ არა ინკოგნიტო ჟურნალისტთან. მე და ჩემმა კოლეგამ, რომელიც ასევე „კვირის პალიტრის" ჟურნალისტია, გადავწყვიტეთ სიურპრიზი მოგიწყოთ. ამ სტატიაში ჩემი კოლეგის პროფესიული საქმიანობის დროს მომხდარი ორი თავგადასავლის შესახებ გიამბობთ, რითაც ალბათ ცოტათი მაინც დაგავიწყებთ გართულებულ ყოფას და გაგამხიარულებთ კიდეც.***

## ჟურნალისტის არაჟურნალისტური თავგადასავლები

### შეყვარებული კრიმინალი

ერთ კრიმინალურ შემთხვევაზე გავაკეთეთ სტატია. მუშაობის პროცესში ერთი-ორჯერ მომიწია დამნაშავესთან შეხვედრამ. უნდა გითხრათ, რომ მეტად სიმპათიური ახალგაზრდა კაცი გახლდათ და რომ არა მისი საქმიანობის ჩემთვის მიუღებელი სტილი, ალბათ გულგრილად ვერ შევხვდებოდი. ასე მე ვფიქრობდი. ის ბიჭი კი თურმე სხვას ფიქრობდა. იმ პერიოდში ჩემი დაბადების დღე ახლოვდებოდა. დღესაც არ ვიცი, იმ ბიჭმა როგორ გაიგო ეს ამბავი. მეგობრებთან ერთად რომ ვილხენდი, უცებ ვარდების უზარმაზარი თაიგული მომართვეს, რომელსაც თან ბარათიც ახლდა უცნაური წარწერით: „თქვენ რაც გამიკეთეთ, ჩემთვის მომაკვდინებელია — პირდაპირ გულში დამჭრით". ამ ბარათის წაკითხვა არ დამემთავრებინა, ჩემმა მობილურმა ტელეფონმა დაიწკრიალა. ვუპასუხე და... „მრავალჟამიერს" აგუგუნებდნენ ბიჭები. გავიყურსე. ბოლოს და ბოლოს სიმღერა დამთავრდა და ნაცნობი კრიმინალის ხმა გავიგონე. დაბადების დღე მომილოცა საკნიდან. „მრავალჟამიერს" მისი თანასაკნელები მღეროდნენ. „შეყვარებულმა" ბოდიში მომიხადა მცირე საჩუქრისათვის (ვარდების სახით) და მითხრა — მოგვიანებით გინახულებთ და თქვენთვის საკადრის საჩუქარსაც და ჩემს გულსაც მოგიძღვნით, თუ ნებას დამრთავთო. აბა ციხეში გამოკეტილი კაცი როგორ მინახულებდა. მეც გავიპრანჭე. ნუ შეწუხდებით-მეთქი. მოკლედ, სატელეფონო მილოცვიდან ერთი საათიც არ გასულიყო, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა და... კინაღამ გული შემიწუხდა გაოცებისგან. ზღურბლზე იდგა პოლიციელებითა და შეიარაღებული ბადრაგით გარშემორტყმული ჩემი ტუსაღი თაყვანისმცემელი და ისე მიღიმოდა, სულ დავმუნჯდი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამგვარი რომანტიზმის მიუხედავად ჩვენი რომანი არ შედგა და ის ბიჭი კარგა ხანს ვერ ინელებდა ცალმხრივ სიყვარულს.

### წადი აქედან ან ჭამე კუბდარი!

დაძაბული სიტუაციის დროს კოდორში მომიწია ჩასვლა. ჩემმა თანმხლებმა სვანმა მამაკაცმა მირჩია — ახლა იქ საომარი მდგომარეობა კი არის, მაგრამ ამ ხეობის კაცები უცხო ქალის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას და ცნობისმოყვარეობას იჩენენ და ან სვანად გაასაღე თავი, ან კიდევ — სვანის ცოლადო. ერთი-ორი დღე ბუზი არ აუფრენია არავის. მესამე დღეს კი ერთი სვანი, რომლისგანაც ყველაზე ნაკლებად ველოდი ამ ინიციატივას, მოვიდა და მეკითხება — აქ რა გინდა, გოგო?

— ჟურნალისტი ვარ და ჩემს საქმეს ვაკეთებ.

— მერე, არ გეშინია, ან პატრონი არა გყავს?

— შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ, შესანიშნავი პატრონი მყავს ჩემი მეუღლის სახით.

— გაგიჟებულა შენი ქმარი, აქ რომ მოკვდე, ხომ ქვრივი დარჩა.

— თქვენ დამიცავთ და არ მოვკვდები. ჩემს ქმარსაც ამის იმედი აქვს.

— ჩვენ ყველანი რომ დაგვხოცონ (სულ გადამიწურა იმედი)?

— მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?

— (ცოტა ხანს გაჩუმდა) შენი ქმარი რა გვარია?

— დადეშქელიანი.

— კიდევ კარგი, სვანების ქალს არ ვეშურებით, — მიპასუხა კოდორელმა მეომარმა და იმის მერე ზედაც არავინ მიყურებდა. მაგრამ ახალი სიურპრიზი თურმე წინ მელოდა.

მარხვის დღე იყო, ოთხშაბათი, ერთ-ერთი კოდორელის ოჯახში კი საგანგებოდ მომზადებული კუბდარი შემომთავაზა ერთმა არამასპინძელმა სვანმა. გმადლობთ, დღეს მარხვაა და კუბდარს ვერ გეახლებით-მეთქი, — ვუპასუხე. გადაირია. რას ჰქვია, სუფრას ჰკარი ხელი! წადი, მოშორდი აქაურობას, ან ჭამე კუბდარიო და ორი დიდი ნაჭერი თავისი ხელით გადმომიღო თეფშზე. რას ვიზამდი? ვჭამე კუბდარი.

*ეკატერინე ლიჩელი*


ჯეოსელი GEOCELL GSM

**აბონენტთა საყურადღებოდ!**

ბოლო დროს აღინიშნება სატელეფონო თაღლითობის შემთხვევები. კერძოდ, აბონენტებს უკავშირდებიან ტელეფონით და აცნობებენ, რომ „ჯეოსელში" მიმდინარეობს ლატარიის გათამაშება და სასაუბრო ბარათის ცამეტნიშნა კოდის სანაცვლოდ ჰპირდებიან გაორმაგებულ თანხას ანგარიშზე.

გაცნობებთ, რომ აღნიშნული აქცია არ მიმდინარეობს „ჯეოსელში" და მსგავსი ფორმით მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

გაითვალისწინეთ, რომ „ჯეოსელი" პასუხს არ აგებს მსგავს შემთხვევებზე.

გთხოვთ, გამოიჩინოთ წინდახედულობა და მსგავს შემთხვევაში დაუკავშირდეთ „ჯეოსელის" საინფორმაციო სამსახურს ნომრებზე: 928 ან 822-770-177



# როგორ აპარტახებენ საქართველოს შიგა წყლების ფაუნას...

## მდიდარი ქართველები შავი ზღვის დელფინის ტყავისგან ფეხსაცმელებს იკერავენ?!

ÓÊÀÇ 1669
„Òîðãîâëÿ ðûáîé äåëî—èñêîííî âîðîâñêîå,
à ïîñåòó æàëîâàíüå ïîëîæèò èì ìèçåðíîå.
Äà ïî îäíîìó â ãîä âåøàòü,
äàáû äðóãèì íå ïîâàäíî áûëî."
Èìïåðàòîð âñåÿ Ðóñè, ãîñóäàðü
ÏÅÒÐ ÂÅËÈÊÈÉ

„შარშანწინ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ხელმძღვანელობა გერმანელ მეთევზეებს მასპინძლობდა. მათ შორის დაიდო არაოფიციალური ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საქართველოში, კერძოდ კი გეგუთის თევზსაშენ ქარხანაში, ხელოვნურად გამოიყვანეს კოლხური ზუთხის ჯიშის 3 მილიონი ლიფსიტა. თითოეულ ლიფსიტაში გერმანელებმა 2,5 დოლარი გადაიხადეს. სამინისტროსა და ამ ოპერაციაში ჩართული ჩინოვნიკების შემოსავალმა 7,5 მილიონი დოლარი შეადგინა, რომელიც უკანასკნელ ცენტამდე მიითვისეს და სახელმწიფოსთვის კაპიკიც ვერ გაიმეტეს. ვერც გაიმეტებდნენ, რადგან გადაშენების პირას მისული თევზის ჯიშების ლიფსიტების საზღვარგარეთ გაყიდვა, თუნდაც ის ხელოვნურად იყოს გამრავლებული, კანონით აკრძალულია. ეს „სდელკა" იმერეთის რეგიონის ეკოპოლიციის სამმართველომ ცოტა მოგვიანებით გაიგო. თუმცა იმდენი მასალის მოპოვება მაინც შევძელით, რომ კოლხური ზუთხის ლიფსიტების უკანონო ექსპორტში მონაწილე პირები გვემხილებინა, მაგრამ სამწუხაროდ ჩემი უფროსი მოქრთამეს. ამბობენ, პირში წყლის ჩაგუბებისათვის 100 ათასი დოლარი აიღოო. თითქოს საქმე ჩაიფარცხა, მაგრამ ეს ამბავი მაინც გასკდა და ლიფსიტების საქმე ეკოლოგიური პოლიციის მთავარ სამმართველომდე მივიდა. დაიწყო ძიება, მაგრამ საქმეში შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთო და ყველაფერი მიფუჩეჩდა. როგორც შევიტყვე, შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთ მოადგილეს სასტიკად აუკრძალავს ეკოპოლიციის მთავარი სამმართველოსთვის ამ საქმით დაინტერესება. ეს ამბავი მხოლოდ იმით დამთავრდა, რომ იმერეთის რეგიონალური ეკოპოლიციის უფროსი სამსახურიდან გაათავისუფლეს", — გვიამბობს იმერეთის რეგიონალური ეკოპოლიციის თანამშრომელი, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია. საქართველოში ზუთხისა და ზუთხისებრი თევზის ჭერა კარგა ხანია სასტიკად აკრძალულია. ატლანტური ზუთხი, ე.წ. ფორონჯი კი 1982 წლიდან საქართველოს „წითელ წიგნშია" შეტანილი. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, დღეს ზუთხისებრთა რაოდენობა უკიდურესად შემცირებულია. საქართველოს სანაპირო წყლებში მობინადრე ზუთხისებრთა სხვა ოთხმა სახეობამ კი, — კერძოდ, ტარალანამ, ტარღალამ, კოლხურმა ზუთხმა და სვიამ იმ ზღვარს მიაღწია, რაც „წითელ წიგნში" შეტანას ითვალისწინებს. უკეთეს დღეში არც სხვა ჯიშის თევზები არიან. საქართველოს ბევრ მდინარეში საერთოდ გაწყდა ქართული კალმახის ჭაჭანება. სანთლით უნდა ეძებო მტკვრის მურწა და წვერა, ხოლო ზოგიერთ მდინარეში ჭიჭყინაც კი აღარ დაცურავს. ასეთივე მძიმე მდგომარეობაა რესპუბლიკის ტბებსა და ხე-

> რაში სჭირდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებს ნახევარი ტონა ზუთხი?! ათი და ოცი ცალი ზუთხი საკვლევად საკმარისი არ არის? სწორედ გარემოს დაცვის ინსტიტუტის და გეგუთის თევზსაშენი ქარხნის თანამშრომლები ყიდულობდნენ ბრაკონიერებისგან მუცელგამოფატრულ ზუთხებს ცალს – 20 ლარად „სამეცნიერო" სამუშაოებისათვის.

ლოვნურ წყალსაცავებში. ყოველწლიურად ძვირფასი ჯიშის თევზის მარაგი კატასტროფულად კლებულობს. ოფიციალური სტრუქტურები აღნიშნულის მიზეზად ბრაკონიერებს ასახელებენ, მაგრამ არც ისინი აკლებენ ხელს თევზის განადგურებას და ერთმანეთზე გადაბრალებით ცდილობენ წყლიდან მშრალად ამოსვლას. დღეს საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ თურქეთის და უკრაინის სახელმწიფოების კუთვნილი სეინერები მალულად შემოდიან საქართველოს ტერიტორიულ წყლებში და თევზის უკანონო რეწვას ახდენენ. ზოგიერთ მათგანს სერტიფიკატიც აქვს და საქართველოს ტერიტორიულ წყლებში თევზის რეწვის შესაბამისი ლიცენზიაც, მაგრამ რა თევზს, რა რაოდენობით, რა საშუალებით იჭერენ, თითქმის არავინ აკონტროლებს. ყველამ, მათ შორის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტმა, შავი ზღვის კონვენციის დაცვის ინსპექტორებმა და ეკოპოლიციამ კარგად იციან, რომ ყოველწლიურად, გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში, მდინარე რიონის შავი ზღვის შესართავთან ბრაკონიერობის უამრავი ფაქტი ხდება.

„კვირის პალიტრა" სოფელ ჭალადიდში მცხოვრებ ერთ-ერთ მებადურს **ლუდა ლატარიას** ესაუბრა, რომელიც თითქმის ათ წელიწადზე მეტია მდინარე რიონსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე ბრაკონიერობს: „კომუნისტების დროს სამუშაო მქონდა და საბრაკონიერო და სამამაძაღლო არაფერი მჭირდა. დღევანდელმა ყოფამ ამ ხნის კაცს ბრაკონიერობა დამაწყებინა. სხვაგვარად ოჯახის რჩენა ვერ შევძელი. ყველაზე მომგებიანი, რა თქმა უნდა, ზუთხის ჭერაა. დაახლოებით აპრილის ბოლოდან რიონში შავი ზღვიდან ქვირითის დასაყრელად კოლხური ზუთხი იწყებს შემოსვლას. მერე მას სხვებიც მოჰყვებიან. ამ ბოლო დროს რიონში თითქმის აღარ შემოდის ატლანტური ზუთხი. ამბობენ, ამ ჯიშის მხოლოდ ერთეული ეგზემპლარები დარჩაო. ქვირითით გატენილი ზუთხის დაჭერა ძნელი არ არის, მთავარია, ამ დროს ინსპექტორებმა არ მოგისწრონ, თუმცა საერთო ენას მათთანაც გამოვნახავთ ხოლმე. დავიჭერთ ზუთხს, ოდნავ გავუჭრით მუცელს და ხელის მსუბუქად დაჭერაც საკმარისია ქვირითის გადმოსაყრელად. წესიერმა ბრაკონიერმა(?!) ამ „საკეისრო კვეთის" შემდეგ ზუთხი წყალში უნდა გაუშვას, მაგრამ ზოგიერთი ჩემი „კოლეგა" ქვირითს ხომ გამოაცლის თევზს, მერე მასაც გამოშიგნავს და ბაზარზე გასაყიდად მიაქვს. ერთი-ორჯერ ფული სასწრაფოდ დამჭირდა და მეც ასე მოვიქეცი. კაცობას გეფიცები, მაგრად ვინანე, ვირიშვილი ვიყო, თუ გატყუებდე — თევზის ტირილის ხმა მესმოდა. კი, ვიცი, რომ მეჩვენებოდა, მაგრამ რა უნდა მექნა?! ერთი სიტყვით, მებადურები კი არა, ზუთხის აბორტმახერები ვართ."

ბრაკონიერთან გასაუბრების შემდეგ, დროებით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საქთევზის დეპარტამენტში გადავინაცვლოთ. დეპარტამენტის მრჩეველი **გურამ ნეკერიშვილი**: — თევზის უკანონო ჭერაზე კონტროლი გარემოს დაცვისა და რესურსების სამინისტროს ევალება, ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ წყლებში სხვა ქვეყნის თევზსაჭერი სეინერების მიერ თევზის რეწვას, ეს კანონით დაშვებულია, ოღონდ სეინერებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან გაცემული ლიცენზია, ანუ ნებართვა, სადაც მითითებულია, რა სახეობის და რაოდენობის თევზი უნდა დაიჭიროს ამა თუ იმ გემმა. ასეთივე წესი მოქმედებს საქართველოს სეინერებზეც.

**— რამდენად იცავენ მეთევზეები ლიცენზიის პირობებს?**

— თითქმის არავინ იცავს იმ პირობებს, რაც ლიცენზიაშია მითითებული. და საერთოდ, ჩვენ რომ გვკითხოთ, სამინისტრომ არ უნდა გასცეს ლიცენზიები. ახლა რაც შეეხება იმას, თუ როგორ თევზაობენ ჩვენს ტერიტორიულ წყლებში უცხო ქვეყნის სეინერები. თურქები ან ვთქვათ, უკრაინელები თავიანთ ქვეყანაში იმას არ იკადრებენ, რასაც საქართველოს სანაპიროზე თევზჭერისას კადრულობენ. ჩვენთან კანონით დაშვებულია მხოლოდ ქისა-ბადეებით თევზჭერა. თურქული და უკრაინული სეინერები კი ქისაბადეებს არ ხმარობენ. ისინი თევზს პელაგიური ტრალით იჭერენ. ბადეს საგანგებოდ კუთხეს უცვლიან და იგი პელაგიური ტრალიდან დონურ ტრალად გადაიქცევა. რას ნიშნავს ეს? — პელაგიური ტრალი სიღრმეში იჭერს თევზს, ხოლო დონური ტრალი მთელ ფსკერს მოხვეტს ხოლმე. ზღვის ფსკერზე ბინადრობს იშვიათი და ძვირფასი ჯიშის თევზი და სწორედ მას იჭერენ, თორემ ქაფშიის, ანუ როგორც ჩვენ ვეძახით, ხამსის დასაჭერად თავს არ შეიწუხებენ არც უკრაინელები და არც თურქები. ტონა ქაფშიის სარეწავი ლიცენზია მხოლოდ შვიდი ლარი ღირს, სინამდვილეში კი დასაჭერად აკრძალულ თევზებს იჭერენ. თუმცა რიგიანი აღრიცხვა არც ქაფშიის ჭერისას ხდება.

**— ფაქტები თუ შეგიძლიათ მოიყვანოთ?**

— კი, ბატონო. მაგალითად, შარშანდელ სეზონზე, უკრაინის ოცმა გემმა 3.452 ტონა ქაფშია დაიჭირა, ხოლო თურქეთის 32-მა გემმა მხოლოდ 1.928 ტონის დაჭერა მოახერხა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საგადასახადო ინსპექციაში მხოლოდ რამდენიმე ასეული ტონა თუ იქნება დაფიქსირებული, რათა რეწვაში მონაწილეებმა თავი აარიდონ გადასახადებს. დონურ, ანუ ფსკერის მოსახვეტ ბადეს რომ ხმარობენ, ისიც ადასტურებს, რომ საქართველოს ქალაქებში ხშირად ნახავთ ე. წ. ზღვის კატას. იგი ფსკერული თევზია და მხოლოდ ფსკერზე, ქვიშაში ბინადრობს — გამოდის, სეინერებმა ზღვის კატა დონური ტრალით დაიჭირეს. სხვათა შორის, ძალიან წააგავს კამბალას და თევზით მოვაჭრეები კამბალად ასაღებენ, არადა უგემური თევზია. ამჟამად შავ ზღვაში საკვებად ნაკლებად რეკომენდებული მარლანგის ჯიშის თევზს იჭერენ, რომელიც ბაზარში ქართულ, შავი ზღვის მოივად საღდება. შავ ზღვაში კი მოივა არ არსებობს... საუბარში საქთევზის დეპარტამენტის ახალდანიშნული უფროსი **ზვიად ცერცვაძე** ჩაგვერთო: — თევზის მრეწველობა საქართველოში მხოლოდ დღეს, დაუფინანსებლობის პერიოდში შეიძლება მივიჩნიოთ უპერსპექტივოდ, თორემ ჩვენი შიგა წყლებისა და წყალსატევების, აგრეთვე სანაპირო ზოლის პატრონებს თევზის მრეწველობა კარგად უნდა გვქონდეს განვითარებული. ისრაელი უდაბნოში, ხელოვნურ ტბებში ათასობით ტონა კალმახს ამრავლებს და ჩვენ კი საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს, თანაც უხარისხო. სომხეთი, რომელსაც ერთი ტბა აქვს, სიგით თავის მოთხოვნილებასაც აკმაყოფილებს და ათეულობით ტონა საქართველოშიც შემოაქვს.

> „ვირიშვილი ვიყო, თუ გატყუებდე – თევზის ტირილის ხმა მესმოდა. კი, ვიცი, რომ მეჩვენებოდა, მაგრამ რა უნდა მექნა?! ერთი სიტყვით, მებადურები კი არა, ზუთხის აბორტმახერები ვართ".

**— ერთ დროს საქართველოში თქვენი სისტემა ყველაზე აწყობილი იყო თავისი ინფრასტრუქტურით — საოკეანო და მცირე სანაოსნოთი, სადაც 116 სეინერი და ოცამდე საოკეანო თევზსაჭერი გემი იყო; ათასობით მაღაზია, მაცივრები, გადამამუშავებელი საწარმოები. სად წავიდა ყველაფერი ეს?**

— მართალი ბრძანდებით... ყველაფერი არასწორად განხორციელებული პრივატიზაციის ბრალია. არაპროფესიონალებმა ხელთ ჩაიგდეს გემები, რომლებიც დაჭრეს და ჯართად ჩააბარეს. ასევე მოექცნენ სხვა ობიექტებსაც, მაგრამ ახლა გვიანაა, ინვესტორებს ჩვენკენ გამოხედვაც კი არ სურთ...

**გურამ ნეკერიშვილი**: — ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ სამიოდე წლის წინ საქართველოში კალმახის მოშენებით საერთაშორისო პროგრამა „აღმოსავლეთის თევზის" ერთ-ერთი დანიელი ინვესტორი, ერიკ იურგენსენი დაინტერესდა. მან 200 ათასი დოლარი გაიღო ოზურგეთისა და თეთრი წყაროს საკალმახე მეურნეობების აღსადგენად. თავიდან ყველაფერი კარგად წარიმართა. დანიელი აგზავნიდა სპეციალიზებულ, ძვირად ღირებულ კალმახის საკვებს. ფულს უხდიდა მუშებს, მაგრამ ქართველებმა მისი მოტყუება დაიწყეს. ხან კალმახი დაეხოცათ თითქოს, როცა სინამდვილეში მას ბაზარზე ყიდდნენ, ხან საკვები გაუფუჭდათ... ერთი სიტყვით, იმდენი ქნეს, საქართველოზე შეყვარებული უცხოელი უკან მოუხედავად გააქციეს.

**— დარგი წელში რომ ვერ გაიმართა, ამის ერთ-ერთ მიზეზად ბრაკონიერობასაც ასახელებენ. თქვენ რას იტყვით?**

— რა თქმა უნდა, სწორედ ბრაკონიერობაა იმის მიზეზი, რომ დღეს შავ ზღვაში სკუმბრია აღარ არის. ასეთივე ბედი ემუქრება ზუთხისებრ თევზებსაც. ეს დარგი ეკოპოლიციამ ჩაიგდო ხელთ და ბრაკონიერებსაც ის მართავს. თევზჭერის კონტროლი ეკოპოლიციის მოვალეობაა. ის კი, პირიქით, ხელს უწყობს ბრაკონიერებს და მათი პარპაშის მიზეზიც ეს გახლავთ. საქთევზის დეპარტამენტმა ყველაფერში სხვები დაადანაშაულა, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს თავის უმოქმედობაზე და შპს „კუმისზე", რომელიც საქართველოს წყალსატევების 80%-ს განაგებს და საქთევზის დეპარტამენტს ემორჩილება.

„კვირის პალიტრა" საქართველოს ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და ბრაკონიერობის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსს, პოლიციის კაპიტან **რაჟდენ ვაშაკიძეს** ეწვია.

**— ბატონო რაჟდენ, საქთევზის დეპარტამენტი და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანამშრომლები ეკოპოლიციას სდებენ ბრალად ბრაკონიერთა დაუსჯელობას. მეტიც, მათი განცხადებით, თქვენი თანამშრომლები დანაშაულებრივ კავშირში არიან ბრაკონიერებთან.**

— სანამ ვინმეს ბრალს დასდებ, ფაქტები უნდა გქონდეს და ისე უნდა ილაპარაკო. ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ თითქოს ეკოპოლიციაში ანგელოზები მუშაობენ. ჩემს წილ პასუხისმგებლობას არ გავურბივარ და ჩემი მუშაობის ნაკლოვანებების გადაბრალებას სხვებზე, მით უმეტეს, სხვა სტრუქტურებზე, არ ვაპირებ. როცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ეკოპოლიციას აკრიტიკებენ, ფაქტები მოსთხოვეთ. მე მხოლოდ ამ ენაზე ვიცი ლაპარაკი. მაგალითად, მიმდინარე წლის გასული შვიდი თვის განმავლობაში ეკოპოლიციის მიერ გამოვლენილია ბრაკონიერობის 2.126 ფაქტი. აქედან, 134 შემთხვევაზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, დანარჩენი კი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დაექვემდებარა. დასახელებული სამართალდარღვევების 95%-ზე მეტი თევზის უკანონო ჭერას ეხება. ყოველივე ამის შემდეგ კაცს ეკოპოლიციის საკრიტიკოდ ენა უნდა მოუბრუნდეს? ხომ გაგიგიათ ანდაზა — ისეთმა ხარმა ჩამწიხლოსო... რამდენი სამართალდარღვევა აქვთ გამოვლენილი სამინისტროს ინსპექციის თანამშრომლებს? ათიოდე აქტს ძლივს გაჩვენებენ და ამით თავის მოწონებასაც არ მოერიდებიან. მაშინ მე რა უნდა ვთქვა?!

რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემატურად მივმართავთ მინისტრს, ქალბატონ ნინო ჩხობაძეს, რათა დაამტკიცოს ჩვენი და მათი ინსპექციის თანამშრომლების რეიდების გეგმა. ამაოდ, — მინისტრმა გეგმას, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, ხელი არ მოაწერა. ამის გამო ღია ზღვაში ინსპექციის თანამშრომლის რეიდზე წაყვანის უფლება არ მაქვს. ზღვაში რამე რომ მოხდეს და კაცი დამეხრჩოს, პასუხს მე ვაგებ. რაც შეეხება იმას, რომ ეკოპოლიცია თავის უფლებებს აჭარბებს, მცდარი მოსაზრებაა. ჩვენ ოპერატიული სამსახური გახლავართ და ბრაკონიერის ფაქტზე დაჭერა წამებში ხდება. იცით, რომ ბრაკონიერების კატარღებსა და ნავებს ორ-ორი ძრავა აქვთ? ამასთან, ისინი იაპონური, საყოველთაოდ ცნობილი ფირმებისაა. თუ ბრაკონიერმა მისი დაქოქვა მოასწრო, მერე მას ჩვენი ორიოდე ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავათი ვეღარც დავეწევით. ამიტომ ათასგვარი ხრიკის გამოყენება გვიხდება, როგორმე რომ მივეპაროთ. როცა მივუახლოვდებით, ბრაკონიერების ნავს ჩვენს კატარღას სპეციალურად დავაჯახებთ, რათა ძრავა დავუზიანოთ. იქნებ დაინტერესდეთ, რაში სჭირდება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებს ნახევარი ტონა ზუთხი?! ათი და ოცი ცალი ზუთხი საკვლევად საკმარისი არ არის? სწორედ გარემოს დაცვის ინსტიტუტის და გეგუთის თევზსაშენი ქარხნის თანამშრომლები ყიდულობდნენ ბრაკონიერებისგან მუცელგამოფატრულ ზუთხებს ცალს — 20 ლარად „სამეცნიერო" სამუშაოებისათვის, როცა კილოგრამის ფასი 5 ლარია. ბრაკონიერი ასე იაფად ზუთხს მათ იმიტომ აძლევდა, რომ მათგან ლიცენზიის სახით დაცვა ჰქონდა გარანტირებული, ანუ ბრაკონიერი ზუთხს „სამეცნიერო მიზნებისათვის" იჭერდა, — პარადოქსი არ არის?! ამ ინსტიტუტებს ლიცენზიაში მითითებული აქვთ, რომ თევზი დაჭერის და გამოკვლევის შემდეგ ზღვაში უნდა დააბრუნონ. მათი თუნდაც ერთი დაბრუნებული თევზი მანახვა და მაღარიჩს ვკისრულობ. სამინისტროს ლიცენზირების საბჭომ გასცა ის ლიცენზია, რომელიც რაპანას ჯიშის თევზის მოპოვებას სიღრმისეული ბადით, ანუ პელაგიური ტრალით ითვალისწინებს, არადა კანონით, რაპანას დაჭერა მხოლოდ აკვალანგისტის მეშვეობით არის დაშვებული. ფსკერის ბადით თევზის მოპოვება არა მარტო თევზს ანადგურებს, არამედ სპობს მის ფაუნას, — წყალმცენარეებს, რომლითაც ზოგიერთი თევზი იკვებება. ფსკერზე, სადაც ეს ბადე გაივლის, თხუთმეტი წლის მანძილზე არაფერი ამოდის, ეს კი თევზის გადაშენებას უწყობს ხელს.

**— იქნებ მეკობრეების მხილების რამდენიმე ფაქტი დაგვისახელოთ?**

— მაგალითად, ტყიბულის შაორის წყალსაცავზე სათევზე მეურნეობის დირექტორს აღებული ჰქონდა ერთჯერადი ლიცენზია სქელშუბლას მოპოვებაზე. ის კი ამ ლიცენზიის საფუძველზე, მსურველებზე გასცემდა ნებართვებს — თითოს 50 ლარად და ათი კილოგრამი თევზის სანაცვლოდ. ერთჯერადი ლიცენზიით ასეთი ნებართვების გაცემის უფლება მას არ ჰქონდა.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილმა გაზაშვილმა ძირითადი მტკიცებულება გაყიდა...

გასულ კვირას ჯიქიას ქუჩის ბოლოში, ანტიტერორისტული ცენტრის სიახლოვეს, პოლიციამ რუსი პოლკოვნიკის, იგორ ზაიცევის გვამი იპოვა მიწაში ჩამარხული. ცხედრის ადგილ-სამყოფელი ზაიცევების ოჯახს ანონიმური სატელეფონო ზარით შეატყობინეს. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ შემთხვევის ადგილზე მისულმა მისმა მეუღლემ და შვილმა გვამის ამოცნობა ვერ შეძლეს. მისი ვინაობის დადგენა მხოლოდ პროზექტურაში გახდა შესაძლებელი. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ზაიცევი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი ჯიქიას ქუჩაზე დამარხეს. მეორე დღესვე ცნობილი გახდა მკვლელობაში ეჭვმიტანილიც. ის რუსეთის ჯარების მოსამსახურე 59 წლის დავით გაზაშვილია.

რუსეთის ჯარების დაჯგუფების პოლკოვნიკი იგორ ზაიცევი 27 ივლისს, სამსახურიდან გამოსვლის შემდეგ გაუჩინარდა. მის მკვლელობაში ერთი საინტერესო დეტალი ფიგურირებს. ეს არის მისი თანამდებობა — რუსეთის მთავრობის წარმომადგენელი სამხედრო საკითხებში. არსებული ინფორმაციით, ზაიცევს პირდაპირი შეხება ჰქონდა სამხედრო საიდუმლოების შემცველ საბუთებთან. ნიშანდობლივია ისიც, რომ იგი წლების განმავლობაში მკვლელობაში ეჭვმიტანილთან ერთად მსახურობდა. დავით გაზაშვილი 2000 წლამდე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბში მუშაობდა. აქედან გამომდინარე, სამხედრო საიდუმლოებებთან არც ის იყო მწყრალად.

თუმცა გამოძიება დღეს მკვლელობის მოტივად ყოფით პრობლემებს ასახელებს. უფრო ზუსტად კი, 140 დოლარს, რომელიც აწ გარდაცვლილმა გაზაშვილს აღარ დაუბრუნა. გამოძიების ვერსიით, გაზაშვილსა და ზაიცევს ურთიერთშელაპარაკება სწორედ ამიტომ მოუვიდათ. საგულისხმოა ისიც, რომ ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ დაკავებულ გაზაშვილს სხეულზე სისხლნაჟღენთები აღმოაჩნდა. გამოძიება ვარაუდობს, რომ ურთიერთშელაპარაკება ჩხუბითა და მკვლელობით დასრულდა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის, ლევან ჩაჩუას განცხადებით, ზაიცევს 10-მდე დარტყმა ჰქონდა მიყენებული თავის არეში ბლაგვი საგნით.

თავის მხრივ, დავით გაზაშვილი ზაიცევის მკვლელობას არ აღიარებს. ის მხოლოდ მისი ბინიდან ამოღებული ავტომატური იარაღის უკანონოდ შენახვაში ცნობს თავს დამნაშავედ.



დავით გაზაშვილი

თუმცა გაზაშვილის საქმეში ძირითადი მტკიცებულება მისი ლურჯი ფერის ავტომანქანა, იტალიური ფიატი „ქრომა“ სანომრე ნიშნით — 722-ია, რომელიც ზაიცევის გაუჩინარების დღეს, 27 ივლისს იმავე ადგილზე შენიშნეს, სადაც შემდეგ ზაიცევის გვამი აღმოაჩინეს.

გაზაშვილის ადვოკატი **მარიკა ფხალაძე:**

— ის ამბობს, რომ მკვლელობის დღეს ავტოფარეხიდან გამოსვლის შემდეგ, დაახლოებით 6 სთ-ზე, მანქანის გადაყენება მოსთხოვეს და წაართვეს. ჯერ უთქვამთ: — შენი მანქანა გვჭირდება სულ 3-4 სთ-ით, ოღონდ, არსად არაფერი წამოგცდესო. შემდეგ მუქარასა და გინებაზე გადასულან. მანქანა მაინც წაიღეს, თვითონ კი ამ პერიოდში ვარკეთილის მეტროსთან, „თათრების ბაზრობას“ რომ ეძახიან, იქ ტრიალებდა. შემდეგ თბილისის ზღვისკენ წავედი და უკან მობრუნებულს, 11-12 სთ-ისთვის ბაზრობასთან დამხვდა მანქანა მიტოვებული და მინაჩამსხვრეულიო.

**— თვითონ რატომ იყო ამ ტერიტორიაზე, იქ ცხოვრობს?**

— მისი და ცხოვრობს და ასევე, ცოლშვილი. გაცილებულია მათთან, თუმცა ურთიერთობა აქვს. მისი თქმით, რძალი მეორე დღეს ბორჯომში მიდიოდა დასასვენებლად და ბავშვს გაზაშვილთან ტოვებდა. მანქანა ისევ სადგომზე დაუყენებია და დარაჯებისთვის უამბნია რაც გადახდა. შემდეგ ასულა ბინაში და შვილიშვილი წაუყვანია... სხვათა შორის, დარაჯებს უთქვამთ, რამე შარში არ გაეხვიოო. თუმცა, რადგან მანქანა დაუბრუნეს, პოლიციაში აღარ განუცხადებია. მიუხედავად ამისა, ეჭვი მაინც გაუჩნდა და მანქანა გაყიდა.

**— როდის გაყიდა?**

— უკვე 1-ელ აგვისტოს.

**— მანქანის გამტაცებლები მისთვის უცნობი პიროვნებები არიან?**

— მხოლოდ ერთი ნახა, დანარჩენები მანქანაში ისხდნენ და ვერ დაინახა. თუმცა ამბობს — ის პიროვნება რომ ვნახო, ვიცნობო. სხვათა შორის, მან არც ჩემთან საუბარში გაამჟღავნა, ვინ და რატომ სცემა. ამის თქმის ეშინია, რადგან ისევ პოლიციასთან აქვს შეხება.

**— იყო თუ არა მასზე ფიზიკური ზეწოლა?**

— დიახ. მან დეტალურად აღწერა, რომ წინასწარი დაკავების საკანში ყურებსა და ფეხის თითებზე დენს უერთებდნენ. ის დააკავეს დილის 10 სთ-ზე, მაგრამ დაკავების ოქმი რატომღაც უფრო გვიან არის გაფორმებული. იზოლატორში პირველის ნახევარზე გადაიყვანეს. მისი თქმით, ყვირილის ხმა რომ არავის გაეგო, თავზე აირწინაღი ჩამოაცვეს.

**— აღიარა მკვლელობა?**

— არ აღიარა, არადა, სასტიკად არის ნაწამები. ასე თქვა, ამისთანა დანაშაულის აღიარებას სიკვდილი მერჩივნაო.



**— გამოძიება აცხადებს, რომ მათ ყოფით ნიადაგზე მოუვიდათ ჩხუბი. კერძოდ, ზაიცევს მისი 140 დოლარი ემართა და ამაზე შელაპარაკდნენ...**

— თვითონ გამორიცხავს მსგავს ფაქტს. რა მტკიცებულებას ეყრდნობა გამოძიება, როცა ამას აცხადებს, ჩემთვის გაუგებარია.

**— ისინი ერთად მუშაობდნენ და ითქვა ისიც, რომ გარკვეულ სამხედრო საიდუმლოებასაც ფლობდა. თავად ეჭვმიტანილი თუ საუბრობს მკვლელობის შესაძლო ვერსიაზე?**

— არა, არაფერს ამბობს.

**— რა ვითარებაში დააკავეს?**

— დასთან იყო, დილის 10-ის ნახევარზე ჯერ წაიყვანეს პოლიციაში, შემდეგ მიბრუნდნენ სახლში და ჩაატარეს ჩხრეკა. სწორედ მაშინ ამოიღეს ბინიდან ავტომატი.

**— თვითონ როგორ ხსნის, მაინცდამაინც მას რატომ წაართვეს მანქანა?**

— ვერ ხსნის, გაოგნებულია. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, ვიღაცამ ძალიან შორს გათვალა. ელემენტარულია — კაცი, რომელიც ამხელა დანაშაულს სჩადის, ჯერ ერთი, იქვე არ დაიყენებს ამ მანქანას და მერე, ასევე, ხელუხლებელს არ გაყიდის.

**— თუ ის არ არის მკვლელი, პოლიციას რა ინტერესი აქვს, რომ მაინცდამაინც მას აჰკიდოს ეს დანაშაული?**

— მანქანა ფიგურირებს და ფიქრობენ, რომ გაზაშვილის მეშვეობით გავლენ იმ ხალხზე, ვინც რეალურად არის მკვლელი.

გამოძიებაში რუსეთის სამხედრო პროკურატურაც ჩაერთო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ზაიცევის მკვლელობის გამო პასუხისმგებლობას საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ ძიებამ სხვა პირები გამოავლინოს და ყოფითი მიზეზი გამორიცხოს. ამის თქმის საფუძველს თუნდაც ის გვაძლევს, რომ კვირის ბოლოს პროკურატურამ მტკიცებულებების ნაკლებობის გამო გაზაშვილს მკვლელობის კუთხით ბრალი ვერ წაუყენა და მხოლოდ იარაღის უკანონო შენახვაში დაადანაშაულა. სავარაუდოა, რომ ამ კვირას საბოლოოდ გამოიკვეთება — ვის სჭირდებოდა ზაიცევის მკვლელობა.

ერთი რამ ცხადია, — როგორც არ უნდა დამთავრდეს გამოძიება, რუსეთი ამ დანაშაულს მაინც პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს. ისე კი, არაოფიციალურად, ზაიცევის მკვლელობას იარაღით უკანონო ვაჭრობასაც უკავშირებენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, გამოძიებამ ამ ვერსიის გადამოწმებაც დაიწყო.

***მარინა მამისაშვილი***

## ავანტიურული სიტუაციები

მობილური ტელეფონების მფლობელებისათვის ვიღაც გენიოსმა საკმაოდ მოხერხებული და სარფიანი „აფერა“ მოიგონა — „მაგთის“ და „ჯეოსელის“ არაერთი აბონენტი სატელეფონო თაღლითებმა მწარედ მოატყუეს. აფერაზე ბევრი „გამოცდილი“ და „მრავლისმნახველი“ ადამიანიც კი წამოეგო.

თაღლითობის შინაარსი შემდეგში მდგომარეობს — მობილური ტელეფონის მფლობელს ურეკავენ და ეუბნებიან, რომ მან ლატარიაში 30 ან 60-ლარიანი ბარათი მოიგო, შემდეგ კი გახარებულ მსხვერპლს ოსტატურად აწერენ 30-ლარიან ბარათს...

მოტყუების მექანიზმის შესახებ დაწვრილებით გვიამბო ერთ-ერთმა „მსხვერპლმა“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვახტანგ გომელაურმა, რომელსაც, ამ ამბის თხრობის დროს, თან მწარედ ეცინებოდა — ამხელა კაცს თუ ვინმე ასე გამაცუცურაკებდა, რას წარმოვიდგენდიო!

— 3 აგვისტოს, ასე საღამოხანს, სამსახურიდან შინ რომ ვბრუნდებოდი, ვიღაც მამაკაცმა დამირეკა. „მაგთის“ ნომერი იყო, მე თვითონაც „მაგთის“ აბონენტი ვარ. ძალზე ზრდილობიანად მომესალმა. მითხრა, — ჩემო ბატონო, ბედი გქონიათ, ლატარიაში მოიგეთო. გავოგნდი. მექანიკურად ვკითხე — უკაცრავად, რა მოვიგე, რომელ ლატარიაში-მეთქი? — აჰ, თქვენ, ეტყობა, არ იცით, „მაგთი“ ლატარიას რომ ათამაშებდა, მაგრამ არა უშავს, აწი გეცოდინებათო. ვუთხარი, — კი მაგრამ, მე რომ არავითარი ლატარია არ მითამაშია-მეთქი? — თქვენ ვერც ითამაშებდით, მობილური ტელეფონების ნომრები თამაშდებოდაო. კარგი და, რა მოვიგე-მეთქი? რა და, 60-ლარიანი „მონოო“. დიდი მადლობა-მეთქი. არაფრისო, — და გამითიშა. ცოტა ხანში ისევ დარეკა — ახლა თქვენ 30-ლარიანი „მონო“ შეიძინეთ და მერე დაგიკავშირდებით, რათა თქვენს ნომერზე მოგებული თანხის დარიცხვა მოხდესო. ბარათზე 5 ლარამდე მქონდა დარჩენილი და ორიოდ დღეში მაინც ახალი „მონო“ უნდა მეყიდა. ასე რომ, მართლაც ვიყიდე და დავიწყე ლოდინი, კვლავ როდის დამირეკავდნენ.

— *ეჭვი არაფერზე აგიღიათ?*

— როგორ გითხრათ, საერთოდ, ეჭვიანი კაცი არა ვარ, მაგრამ ჭკვიან კაცად კი მიცნობენ... ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ შეიძლებოდა, ვიღაცას გავებრიყვებინე. ჩემი შვილები ამბობენ ხოლმე — მამიკოს ვერ ვატყუებთო. როგორც ჩანს, კარგ ტყუილს ვერ მეუბნებიან და იმიტომ, თორემ აგერ, იმ ნაძირალამ მშვენივრად გამაბითურა.

— *ბოლოს, რა ქნეს, დაგირეკეს?*

— დამირეკეს, დამირეკეს... კარგა ხანს კი ველოდე... ცოლშვილი დამცინოდა — ეტყობა, ვიღაცამ გაგაშაყირა, რაღას დაგირეკავენო. მე ვეუბნებოდი, რას ამბობთ, ამ ასაკის კაცს (57 წლის ვარ) ვინ გამაშაყირებდა მაგას ვინ გამიბედავდა-მეთქი. თურმე ჯერ სად არის ჩემი გაშაყირება?

— *ე.ი. თქვენი ცოლ-შვილი მაინც დაეჭვდა?*

— არა, თაღლითობა არც მათ დაუშვიათ, უბრალოდ, ეგონათ, რომელიმე ჩემი ძმაკაცი მეხუმრებოდა. ერთი სიტყვით, კვლავ დამირეკა იმ ჩემმა „სანტა-კლაუსმა“. მისი ნომერი რომ დავინახე, პატარა ბიჭივით ხტუნაობა დავიწყე. ჩემს ცოლ-შვილს ნიშნს ვუგებდი — აი, თუ აღარ დარეკავს-მეთქი! მოკლედ, დამირეკა და მითხრა — ახლა ბარათის თორმეტნიშნა კოდი გადაფხიკეთ და ციფრები მიკარნახეთ, რომ კომპიუტერში შევიტანო, თქვენს ანგარიშზე ერთბაშად 90 ლარი დაჯდებაო... ნერვები მეშლება, ამ ყაჩაღობას მაშინ რატომ ვერ მივხვდი, მაგრამ, ეტყობა, ეშმაკმა დამიბინდა გონება.

— *და თორმეტივე ციფრი ჩაურაკრაკეთ?*

— დიახ, მორჩილად გადავფხიკე ბარათზე კოდის ზედა ფენა და სათითაოდ ვუკარნახე ყველა ციფრი. ჩემმა უფროსმა გოგონამ ერთი კი მკითხა გაოცებით — მამიკო, რას აკეთებ, კოდს რატომ კარნახობო, მაგრამ ვინ გაუგონა? ერთი სიტყვით, ყველაფერი ბოლომდე რომ ჩავუკაკლე, იმ ვაჟბატონმა კიდევ ერთხელ „მომილოცა“ და მითხრა, დაელოდეთ, რამდენიმე წუთში თქვენს ანგარიშზე 90 ლარი დაჯდებაო... ისე თქვენ არ გეტკინოთ არაფერი, როგორც ჩემს ანგარიშს არც ერთი თეთრი არ მოუმატებია. გავგიჟდი კაცი. მეუღლე და ბავშვები მაწყნარებდნენ, გული ხომ არ უნდა გაიხეთქოო, მაგრამ რა დამაწყნარებდა?! ამ ხნის კაცი ასე არავის გავუცუცურაკებივარ. მაინცდამაინც 30 ლარს კი არ ვდარდობდი! იმან გამამწარა, ასე სულელურად რომ მომატყუეს. თუმცა, სადღაც კიდევ რაღაც იმედი მქონდა, კიდევ არ მჯეროდა ჩემი გაბრიყვების ამბავი, რომ ტელეფონმა ისევ დარეკა.

— *არ თქვათ, ისევ იმ თაღლითმა დარეკაო.*

## „მაგთი“ გაქვთ თუ „ჯეოსელი“?



## აფერა: დაელოდეთ, თქვენს ანგარიშზე 90 ლარი დაჯდება...

— დიახ, თქვენ წარმოიდგინეთ, ისევ იმან დარეკა და არ გაინტერესებთ, რისთვის?.. ბოდიში მომიხადა, რომ მომატყუა.

— *ძალიან ზრდილობიანი თაღლითი ყოფილა...*

— დიახ. თავიდან, მისი ნომერი რომ დავინახე, იმედი მომეცა, ვიფიქრე, შეიძლება რამე „ჩეპე“ მოხდა-მეთქი, მაგრამ... ვუპასუხე თუ არა, ბოდიშები შემომაგება — ბიძაჩემო, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, ძებნილი ვარ და ტელეფონი ძალიან მჭირდებოდაო. სიბრაზისგან ენა ჩამივარდა, ერთი სიტყვაც კი ველარ ვუთხარი.

— *მართლა ძებნილი იყო?*

— აბა, რა ვიცი, შვილო. მერე იმ ნომერზე ჩემმა გოგონამ დარეკა და ციხეში მოხვდა — პატიმარი ვარ, ეს სხვისი ტელეფონია და მე არაფერი ვიციო.

— *„მაგთის“ ოფისს არ მიმართეთ დახმარებისთვის?*

— მივმართე, მაგრამ რაღას მიშველიდნენ? მითხრეს, — რამდენიმე ნომერი დავაფიქსირეთ, ციხიდან პატიმრები მაიმუნობენ, თქვენ უნდა გაფრთხილდეთო. რა უნდა მეთქვა, მართლები იყვნენ.

— *ის ნომერი კიდევ გახსოვთ?*

— მახსოვს რომელია?! ამ ნომერს რა დამავიწყებს?

„კვირის პალიტრამ“ ბატონი ვახტანგის მიერ მითითებულ ნომერზე დარეკა (ჟურნალისტური ეთიკიდან გამომდინარე, ნომერს არ ვაქვეყნებთ). ზარს უმალ უპასუხეს.

— *გამარჯობა, თქვენ ამ ტელეფონის მფლობელი ბრძანდებით?*

— თქვენ ვინ გნებავთ?

— *ტელეფონის მფლობელი.*

— ზაზა?

— *... დიახ!*

ვინმე ზაზა ტელეფონთან დაახლოებით 5 წუთის შემდეგ მოვიდა:

— გისმენთ.

— *გამარჯობა, ჟურნალისტი გაწუხებთ... თქვენი ნომრიდან ერთი მამაკაცი მოატყუეს და „მონო-ბარათი“ აწაპნეს.*

— მერე, რა გინდა, უნდა „ჩამიშვა“?

— *არა, უბრალოდ, მაინტერესებს, ეს დიდებული იდეა თავში ვის მოუვიდა.*

— მე არა!

— *აბა, ვის?*

— არ ვიცი.

— *სად მუშაობ?*

— „ზონაში“ ვმუშაობ, ჩემო დაიკო, „გლავნი“ პატიმრად. კიდევ რა გაინტერესებს?

— *ამ გზით ბევრი „მონო“ ჩაგიგდია ხელში?*

— ზუსტი ციფრი გითხრა?

— *დიახ.*

— არ მახსოვს.

— *ე.ი. ბევრი.*

— შენა, ტო, გამომძიებელი ხომ არა ხარ?

— *მობილური ტელეფონი ბევრს გაქვთ ციხეში?*

— გვაქვს, რა, გაჭირვებას არ განვიცდით.

— *მერე, ციხეში მობილურების გამოყენება აკრძალული რომ არის?*

— ვინ აგვიკრძალა რო?

— *კანონმა.*

— ჩემო დაიკო, იცი რას გეტყვი? კანონის, ბოდიში და, დედა ვატირე! კანონზე ისე მელაპარაკები, თითქოს ჩემს მეტი არავინ არღვევდეს.

— *თაღლითობაში თუ გამოგიჭირეს, დაგსჯიან.*

— რას მიზამენ, დამაპატიმრებენ და ციხეში ჩამსვამენ?

— *სასჯელს დაგიმატებენ.*

— შენთან ბოდიში და, ფეხებს ვერ მომჭამენ.

— *რისთვის იხდი სასჯელს?*

— არაფრისთვის, ტყუილად ჩამსვეს.

— *ყველა პატიმარი ასე ამბობს...*

— სხვები რას ამბობენ, არ მაინტერესებს.

— *მობილურზე ვისაც დაურეკე, ყველა წამოეგო, თუ ზოგი მიგიხვდა ტყუილს?*

— მე ერთ გოგოს დავურეკე და მოტყუვდა.

— *ამ ნომრიდან ერთი დარბაისელი მამაკაციც მოატყუეს.*

— არ ვიცი, ეტყობა, მაგას სხვამ დაურეკა.

— *ბევრი სარგებლობს შენი ტელეფონით?*

— ეს ტელეფონი ჩემი არ არის, საერთოა.

— *რას ნიშნავს — საერთოა?*

— საერთოა რა, ყველასია.

— *ვისზეა რეგისტრირებული?*

— არ ვიცი.

— *აბა, ვინ იცის? როგორ მოხვდა თქვენთან ეგ ტელეფონი?*

— არც ეგ ვიცი.

— *ციხის ადმინისტრაციამ თუ იცის, პატიმრებს მობილურები რომ გაქვთ?*

— შეიძლება იციან, შეიძლება — არა.

„მაგთის“ და „ჯეოსელის“ ოფისებში უკვე დაფიქსირებულია არაერთი მობილური ტელეფონის ნომერი, საიდანაც ზემოაღნიშნული „აფერა“ ხორციელდება. სატელეფონო თაღლითები ძირითადად ციხე-კოლონიების ბინადარნი არიან. ცნობისათვის: სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრებისთვის მობილური ტელეფონების გამოყენება კანონით იკრძალება.

მობილური კომპანიების პრეროგატივას მხოლოდ ასეთი ნომრების დაფიქსირება და მათი მფლობელების ადგილსამყოფელის დადგენა წარმოადგენს. დანარჩენი, დამნაშავეთა გამოვლენა და დასჯა, უკვე სამართალდამცავთა საქმეა. ასე რომ, ფრთხილად, არარსებული ლატარიის მსხვერპლნი არ გახდეთ!

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# ჩვენს მიწაზე ნამდვილად რუსული ბომბები ცვივა

## ამის ნივთმტკიცება „კვირის პალიტრამ“ მოიპოვა

თითქმის ყოველღამეული საჰაერო დაბომბვის მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლება და მისი გენერალიტეტი უძლურია არათუ ჩამოაგდოს (არადა მკითხველს უთუოდ ეხსომება ზოგიერთი მაღალჩინოსანი სამხედროს ქადილი — ნებისმიერ საჰაერო სივრცის დამრღვევს ჩამოვაგდებთო!), არამედ ერთხელ და სამუდამოდ დაუმტკიცოს მოსკოვს, რომ ქართულ მიწას სწორედ მისი საბრძოლო თვითმფრინავები და შვეულმფრენები ბომბავენ.

„კვირის პალიტრა“ შეეცადა, დამოუკიდებლად მოეპოვებინა ნივთიერი მტკიცებულებანი, რომლებიც ნათელს მოფენდნენ, ღამღამობით ვინ, როგორ და რითი გვბომბავს და დაბომბვის ადგილზე — სოფ. ჭონთიოს ახლომდებარე ფერდობზე მოვიპოვეთ საპარაშუტო სისტემის ნაწილი, რომელიც ფოტოსურათზეა გამოსახული და მანათობელ საავიაციო ბომბს ეკუთვნის.

სტატიის ავტორი ქართულ მიწაზე ჩამოგდებული დამწვარი რუსული მანათობელი ბომბის ნაწილითა და სამუხრუჭე პარაშუტით ხელში



**ჩვენი დოსიე: მანათობელი საავიაციო ბომბი დამხმარე (სპეციალური) დანიშნულების საავიაციო ბომბების კლასს განეკუთვნება და გამიზნულია ღამით დასაბომბი ადგილის გასანათებლად. იგი ძირითადად ორი ტიპისაა — САБ-250-200 და САБ-250Т. ეს უკანასკნელი 215 კგ-ს იწონის. მასში 7 ცალი მანათობელი ღეროა მოთავსებული. ბომბის ჩამოგდების შემდეგ ეს ღეროები მისგან გამოდის და ინდივიდუალურად, სამუხრუჭო პარაშუტებით ეშვება. თითოეული ღერო 6-8,5 წუთს იწვის და გამოყოფს 8-10 მლნ სანთლის სინათლის ძალას, რაც სრულიად საკმარისია უკუნ ღამეშიც კი, ადგილმდებარეობის კარგად გასანათებლად.**

სხვა საავიაციო ბომბები, მათ შორის ფუგასური, მსხვრევადი თუ მოცულობით-დეტონირებადი ტიპისა, მიწაზე დანარცხებისას საშინელი ძალით ფეთქდება და ისე წვრილად იმსხვრევა, რომ იდენტიფიკაციისთვის თითქმის გამოუსადეგარია.

მანათობელი САБ-250Т-ების ჩამოგდების შემდეგ, ღეროები დიდი სითბური ენერგიის გამოყოფამ დაწვა, მაგრამ დარჩა სამხილი — სამუხრუჭე პარაშუტები. მათზე კი ნათლად ჩანს მარკირება, რომელიც აშკარად მიუთითებს, რომ ეს კონკრეტული




სტენდზე წარმოდგენილი САБ-250Т-ის ჭრილი. ისრებით მითითებულია №1 — მანათობელი ღერო და №2 — დაკეცილი პარაშუტი

ბომბი დამზადებულია 1980 წელს. შევეცადეთ, მარკირების დახმარებით მოგვეპოვებინა დამატებითი ინფორმაციები. გამოირკვა, რომ ეს САБ-250Т შექმნილია სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულება „Базальт“-ში, რომელიც მდებარეობს მოსკოვში, ველიამინოვსკის №32-ში. ამ ტიპისა და პარტიის ბომბები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე დარჩა და, სავარაუდოდ, მოზდოკის სამხედრო აეროდრომზე გადაზიდეს ჩეჩნეთში საომრად. САБ-250Т ტიპის მანათობელი ბომბების გამოყენება შეუძლია ყველა სახის იმ რუსულ საბრძოლო თვითმფრინავსა და შვეულმფრენს, რომლებიც ამჟამად მოზდოკის სამხედრო აეროდრომზე დგანან.

სტატიის ავტორი ფიქრობს, რომ ქართულ მიწას ღამღამობით უფრო მოზდოკიდან გამოფრენილი რუსული Су-24М საფრონტო ბომბდამშენები ბომბავენ; თუმცა, დაბომბვის ადგილებში მანათობელი САБ-ების ნარჩენებისა და მათი სამუხრუჭე პარაშუტების აღმოჩენის გამო, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენს მიწას ჩვენივე ხელით შექმნილი Су-25-ები „სტუმრობენ“.

Су-25 ღამით და ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა, ამიტომაც პილოტები ჯერ მანათობელ ბომბებს უშვებენ პარაშუტებით, ხოლო შემდეგ დღესავით განათებულ არემარეს უკვე ბომბებს და რაკეტებს უშენენ.

ასე იყო ავღანეთში, აფხაზეთსა თუ ჩეჩნეთში. დღეს იგივე ხდება საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრისპირა რაიონებსა და პანკისის ხეობის მისადგომებთან.

# ვამაყობ, რომ ქართულ საზღვარს დავიცავ!

## რეპორტაჟი საქართველო-რუსეთის საზღვრის ყველაზე „ცხელი“ მონაკვეთიდან

არ წყდება ქართული მიწის დაბომბვა რუსეთიდან, ისევე როგორც იქიდან გამორეკილი ჩეჩნების გადმოსვლა ჩვენს საზღვარზე. რომ აღარ გამეორდეს ორი წლის წინანდელი ამბავი, როდესაც რუსებისგან დევნილმა შეიარაღებულმა ჩეჩნებმა ქართული საზღვარი თითქმის დაუბრკოლებლად გადმოლახეს, საზღვრის ამ მონაკვეთს სასწრაფოდ სჭირდება გამაგრება.

ცნობილია, რომ მესაზღვრეებს მცირე დაფინანსება აქვთ და ისიც სრულად არ მიუღიათ. ამიტომ, იძულებული არიან, არც ისე პოპულარული, მაგრამ აუცილებელი ხერხი გამოიყენონ — სახელმწიფო საზღვრის სხვა, შედარებით მშვიდობიანი მონაკვეთიდან მესაზღვრეები ჩეჩნეთის საზღვართან გადაისროლონ.

ასე მოხდა 7 აგვისტოსაც, როდესაც თურქეთის საზღვართან მდგარი სასაზღვრო რაზმ „ახალციხიდან“ მესაზღვრეთა ჯგუფი საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე გადაიყვანეს.

სწრაფი რეაგირების ჯგუფის მესაზღვრეები ახალციხიდან თბილისში, ალექსეევკის აეროდრომზე, სატვირთო ავტომობილით ჩამოიყვანეს, რადგან ახალი დისლოკაციის ადგილზე მათი ოპერატიულად გადასროლა მხოლოდ შვეულმფრენით შეიძლებოდა.



ქართველი მესაზღვრეები სწრაფად ცლიან სახიფათო ზონაში დამჯდარ შვეულმფრენს

მძლავრი, Ми-8МТВ-1-ტიპის შვეულმფრენმა გეზი ჩეჩნეთის საზღვრისკენ აიღო. მას მართავდა ეკიპაჟი, რომლის მეთაურია მესაზღვრეთა საავიაციო რაზმის მეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი შამილ ქორთოშიძე. ვისაც ბოლო ათი წელი საქართველოს ცაში შვეულმფრენით უფრენია, უთუოდ ეცნობება ეს ძალზე გამოცდილი მფრინავი, რომელიც, ბევრის აზრით, მთაგორიან რელიეფზე მფრენი ყველაზე გამოცდილი ქართველი პილოტია.

თუშეთის მთებში ნისლი იყო ჩამოწოლილი და ეკიპაჟს დიდი ოსტატობა დასჭირდა, რათა 12-ტონიანი ხრახნფრთიანი მანქანა ვიწრო ხეობებში უხიფათოდ გაეძვრინა და თანაც დიდი სიმაღლე არ აეღო — ვაითუ, ჩრდილოეთი საზღვრიდან (რომელიც ფრენის მარშრუტიდან სულ რაღაც 1-2 კმ-ში გადიოდა) ვინმეს სროლა აეტეხა. ჩვენი ხელისუფლება იმის დამტკიცებას ვერ ახერხებს, რომ ჩვენს ტერიტორიას სწორედ რუსული ავიაცია ბომბავს და როგორღა დაადგენს, ვინ ესროლა ქართულ შვეულმფრენს ჩვენსავე საჰაერო სივრცეში?!

40-წუთიანი, საკმაოდ რთული ფრენის შემდეგ, ჩვენი შვეულმფრენი უზარმაზარ მთებში მოქცეულ მდელოზე დაეშვა, სადაც ახალი სასაზღვრო საგუშაგო გაიხსნა.

იგი თებულოს მთის ახლოს განთავსდა და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან კეტავს ხევსურეთიდან გადმოსასვლელს, აწუნთის უღელტეხილს, პანკისის მხრიდან — ნარწაფისა და ლაროვანის გადმოსასვლელებს, თუშეთისკენ — გირევის მიმართულებას. ყველა ზემოჩამოთვლილი გადმოსავლელებიდან ბილიკები ამ მდელოზე იყრის თავს. აქედან ჩეჩნეთში იოლად გადავა ადამიანი.

ასე რომ, ახალი სასაზღვრო საგუშაგოს სწორედ ამ ადგილას გახსნა აუცილებლობითაცაა განპირობებული. თუმცა, აქ ორი წლის წინ იყო საზაფხულო სასაზღვრო საგუშაგო, რომელიც ზამთრის მოახლოებისთანავე დაიხურა (აქ ზამთარში დგომა უაზრობაა, რადგან ყველა უღელტეხილს თოვლი კეტავს), მაგრამ შარშან უსახსრობის გამო, არც ზაფხულში ფუნქციონირებდა.

შვეულმფრენის რამდენიმე რეისით ჩამოიტანეს ბანაკისთვის აუცილებელი საველე კარვები, საწვავი, საწოლები, პროდუქტი და სხვა...

მესაზღვრეებს აქ მაშინაც არ უნდა გაუჭირდეთ, უამინდობის გამო შვეულმფრენმა ერთიორი კვირაც რომ ვერ ჩააკითხოს. საკვებიც აქვთ და ანკარა, ცივი წყალი კი ოციოდე მეტრში მოედინება.

სწრაფი რეაგირების ჯგუფის მეთაურმა კაპიტანმა დიმიტრი პაპიძემ გვითხრა: — ჩვენ, ოფიცრებს, უკვე გვაქვს არხოტისა და ტერლას საგუშაგოებზე სამსახურის გამოცდილება და ვიცით, როგორ მოვაწყოთ საბრძოლო გათვლები, მთის რომელ კალთაზე ჩავასაფროთ მზირი და საით გავუშვათ სადაზვერვო-სამძებრო ჯგუფები.

ოფიცრებისგან განსხვავებით, ბუნებრივია, ასეთი გამოცდილება ნაკლებად ან საერთოდ არ გააჩნიათ იმ ჯარისკაცებს, რომლებიც სასაზღვრო ჯარში მხოლოდ ნახევარი-ერთი წლის წინ გაიწვიეს, თუმცა მათ შემართება და სიმამაცე მართლაც არ აკლიათ.

— მე ახალციხელი ვარ და სახლიდან ორიოდ მეტრში ვმსახურობდი. ყოველდღე ვნახულობდი მშობლებსა და ახლობლებს. გუშინაც მოვიდნენ ჩემიანები ნაწილში... მათ არ იცოდნენ, რომ აქეთკენ გამომიშვებდნენ, მაგრამ იცით, კი არ ვნანობ, არამედ ვამაყობ, რადგან მომწყინდა ყოველდღე განწესში სიარული. მსურს იქ ვიდგე, სადაც ჩემს ქვეყანას უჭირს. დღეს ეს მისი ჩრდილოეთი საზღვარია და ჩემი ადგილიც აქ არის, — გულწრფელად გვითხრა პირტიტველა ჯარისკაცმა მიშა ნათენაძემ.



...ოციოდ წუთი და საზღვრის უშუალო სიახლოვეს ახალი ქართული საგუშაგო აღიმართა

საგულისხმოა, ასევე ფიქრობენ მისი თანამებრძოლებიც, რომლებიც ასევე ახალციხიდან ან ასპინძის რაიონებიდან არიან გაწვეულნი. მათ შემართებაზე მეტყველებდა ისიც, თუ როგორი მონდომებით აწყობდნენ ბანაკის ტერიტორიას.

მესაზღვრეების თქმით, კიდევ ოციოდე ამგვარი დროებითი ბანაკის გაკეთება მაინც არის საჭირო, რომ მეტ-ნაკლებად გაკონტროლდეს ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელ ბილიკთა უმეტესობა. ბიუჯეტი კი უკვე დამტკიცებულია და ზედმეტ გროშსაც არ გამოუყოფს სახელმწიფო, რჩება ერთი არაპოპულარული, მაგრამ იძულებითი გზა — თითქმის მთლიანად „გაშიშვლდეს“ საქართველო-თურქეთის საზღვარი და იქაური მესაზღვრეები ჩრდილოეთ საზღვრის გასაძლიერებლად გადაისროლონ. ეს კი შემდგომში მოგვცემს სავალალო შედეგს.

სწორი გადაწყვეტილება გახლდათ ისიც, რომ მესაზღვრეებმა ამერიკელებს, დახმარების სახით, სწორედ მაღალი ენერგოშეიარაღების მქონე Ми-8МТВ ტიპის შვეულმფრენები აყიდვინეს უკრაინაში (მალე მესაზღვრეებს ხუთი ასეთი შვეულმფრენი ექნებათ) და არა ამერიკული „იროკეზები“. Ми-8МТВ-ები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საწვავს ხარჯავენ (ერთ საათში 800 ლ-მდე საავიაციო ნავთი სჭირდებათ), შეუცვლელნი არიან რთული, მთაგორიანი რელიეფის თავზე ფრენისას.

მაგრამ უამინდობასა და სიბნელეში შვეულმფრენებს არ შეუძლიათ სწრაფად გაფრინდნენ მთებში, მესაზღვრეებთან, რომლებსაც შეიძლება გადაუდებელი დახმარება სჭირდებათ.

ასეთ დროს რჩება ერთადერთი გზა — მაღალი გამავლობის ავტომობილების გამოყენება. საბედნიეროდ, საბჭოთა პერიოდიდან შემორჩა 72-კმ-იანი სამანქანო გზა ახმეტის რაიონის ს. ფშაველიდან თუშეთის ს. ომალომდე, რომელიც აბანოს უღელტეხილით (მას ციმბირის გადასასვლელსაც უწოდებენ) კახეთს თუშეთთან აერთებს. შარშან მესაზღვრეებმა საწვავითა და საპოხი მასალებით უზრუნველყვეს ის ბულდოზერი, რომელმაც ომალო-გირევის გზის 40-კმ-იანი მონაკვეთი გაწმინდა. თუმცა ამჯერად განაწყენებული ადგილობრივი ტრაქტორისტები გზის სარემონტო სამუშაოების გაგრძელებაზე უარს ამბობენ — საგზაო დეპარტამენტმა მათ შეპირებული 1500 ლარი (სამი კაცისთვის ეს არც ისე ბევრია) დღემდე არ გადაუხადა.

სამწუხაროდ, ამდენ ფულს ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე რესტორანში ორიოდ დღეში ხარჯავს. ეტყობა, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა არც მერე გამოჩნდება.

***თბილისი-თებულო-დართლო-გირევი-ომალო-თბილისი***


**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

*აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:*

**◆ იურიდიული; ◆ ქართული ენა და ლიტერატურა; ◆ ჟურნალისტიკა; ◆ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; ◆ საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; ◆ ფინანსები და კრედიტები; ◆ საბანკო საქმე; ◆ უცხო ენები; ◆ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; ◆ სკოლამდელი აღზრდა.**

**წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით**

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-17 სთ-მდე. თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

# რომ არა რუსული ბომბები, ხელისუფლება საჰაერო თავდაცვაზე კიდევ დიდხანს არ იზრუნებდა...

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ შეიძლება ვუმადლოდეთ კიდევაც პანკისში თავშეფარებულ შეიარაღებულ ჩეჩნებს და მათზე მონადირე რუს პილოტებს, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო საქართველოს ხელისუფლებამ ფიქრი ქვეყნის საჰაერო სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

შარშან, 14 დეკემბერს, შედგა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს და მოიწონეს „საქართველოს საჰაერო სივრცის თავდაცვის სისტემის განვითარების კონცეფცია“. ამას, წლეულს, მაისში მოჰყვა პრეზიდენტის განკარგულება „საქართველოს საჰაერო თავდაცვის განვითარების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“.

და აი, გასულ კვირას, 6 აგვისტოს, თავდაცვის სამინისტროს გაფართოებულ (ოღონდ დახურულ) სამხედრო საბჭოზე მოისმინეს „საქართველოს საჰაერო თავდაცვის განვითარების 2005 წლამდე პერიოდის პროგრამა“, რომელიც მოიწონეს და დღე-დღეზე პრეზიდენტს უნდა წარუდგინონ.

წრედი შეიკრა. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლება იწყებს ქვეყნის (და შეიძლება უფრო საკუთარ) საჰაერო თავდასხმებისგან მოგერიების განსაზღვრულ და, რაც მთავარია, თანამიმდევრული პროგრამის ამოქმედებას.

ამ პროგრამის მიზანია, 2005 წლამდე განხორციელდეს პროგრამის რამდენიმე ეტაპი.

პირველი ეტაპი 2002-2003 წლებს მოიცავს და ითვალისწინებს საჰაერო თავდაცვის სისტემის ბაზისის შექმნას. მთავარია, ჩამოყალიბდეს საჰაერო სივრცის კონტროლის ერთიანი ავტომატიზებული სისტემა, რომელშიც გაერთიანებული იქნება, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სექტორები.

ამისათვის კი საჭიროა, არსებული ტექნიკის რემონტი და მოდერნიზაცია. იგი ითვალისწინებს გარკვეული რაოდენობის რადიოლოკაციური სადგურების გაუმჯობესებას. უბრალოდ, უძრავი რადიოლოკაციური სადგურები და მისი მომსახურე პერსონალი ერთგვარი „კამიკაძეები“ არიან, რადგან მოწინააღმდეგის პირველივე საჰაერო დარტყმა მათ მოხვდება. ამიტომაც არ დავაზუსტებთ, თუ მათგან რომელი იქნება მოდერნიზებული.

მოდერნიზება ძირითადად რადიოლოკაციური სადგურების მიმღები სისტემების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შეეხება, ანუ მათ შეეძლებათ უფრო შორ მანძილზე და უფრო ზუსტად აღმოაჩინონ მფრინავი ობიექტები. ამასთან, მათ დაუყენდებათ სპეციალური ხელსაწყო — რადიოლოკაციური ექსტრაქტორი, რომელიც ანალოგურ ინფორმაციას ციფრულ რეჟიმში გარდაქმნის და მას ავტომატურ რეჟიმში რეალური დროის მასშტაბში ცენტრალურ საკომანდო პუნქტს მიაწოდებს. თვით ცენტრალური საკომანდო პუნქტი აღიჭურვება ავტომატური სამუშაო ადგილებით, ობიექტური კონტროლისა და სხვა აპარატურით.

გარდა ამისა, ამ პროგრამით განსაზღვრულია ჩვენი С-125 საზენიტო-სარაკეტო სისტემების რამდენიმე კომპლექსის აღდგენა, ეს კი, გასასროლად გამზადებული 48 რაკეტაა. სწორედ ისეთი, რომლითაც სამი წლის წინ იუგოსლაველებმა ამერიკული „უხილავი“ F-117A „სტელსი“ ჩამოაგდეს.

საგულისხმოა, რომ გარემონტდება С-125 საზენიტო რაკეტების მთელი პარკი, რაც კი საქართველოშია დარჩენილი. მათთვის შეიძენენ სათადარიგო ნაწილებსაც.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჩამოტანილი იქნება გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების — Игла-1-ის განსაზღვრული (მასაც არ დავაზუსტებთ) პარტია. ისე, მათ მაგივრად ჯობდა, უკეთესი Игла-ს შეძენა, მაგრამ ეს დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. Игла-1-ის თითოეული კომპლექტი ორი საზენიტო რაკეტისა და ერთი გასაშვები მოწყობილობისგან შედგება.

და, რაც მთავარია, ეს პროგრამა ითვალისწინებს Стрела-10СВ თვითმავალი საზენიტო-სარაკეტო დანადგარის ერთი ბატარეის ყიდვას. ჯავშანგამწევ МТЛБ-ზე დამონტაჟებული Стрела-ს ოთხი რაკეტა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს და მისი გადასროლა ძნელად მისადგომ მთაგორიან რაიონშიც შეიძლება.

მთელი ამ ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამის განხორციელება საქართველოს ბიუჯეტს 12 მლნ დოლარი დაუჯდება. ძირითადი მომწოდებელი კი უკრაინის მხარე იქნება.

თუმცა, ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ თავდაცვის სამინისტრომ მოიწონა და საბოლოო გადაწყვეტილება უმაღლესმა მთავარსარდალმა — პრეზიდენტმა უნდა მიიღოს.

რუსული თვითმფრინავები და შვეულმფრენები კი კვლავ აგრძელებენ ჩვენი საჰაერო სივრცის დარღვევას. სხვათა შორის, თუ ამ პროგრამის პირველი ნაწილი მართლაც შესრულდა 2003 წლის ბოლომდე, ჩვენ უკვე შეგვეძლება უმეტესი საჰაერო ობიექტების უტყუარი დაფიქსირება და თვით ჩამოგდებაც კი, ოღონდ არა ხევსურეთისა თუ თუშეთის თავზე. ამისთვის მაინც საჭირო იქნება დამატებითი მობილური რადიოლოკაციური სადგურებისა და საზენიტო კომპლექსების განთავსება საზღვრისპირა რაიონებში. სამაგიეროდ, თბილისს, ქუთაისს, ფოთსა და ზოგიერთი სხვა დასახლებულ პუნქტს მეტ-ნაკლებად დავიცავდით საჰაერო აგრესორის თავდასხმისგან. სამწუხაროდ, დღეისათვის ესეც არ შეგვიძლია.

მორიგი და თანაც მსხვილი ბიზნეს-გეგმა, რომლის ინიციატორიც თავდაცვის სამინისტროა, საზოგადოებაში ბადებს გარკვეულ უნდობლობას, რისი სრული საფუძველიც არსებობს — თუნდ ჩეხეთში ტყვიამფრქვევებისა თუ ტანკების, ხოლო უკრაინაში — გემებისა და თვითმფრინავების ყიდვის (და რემონტის) გამო, რომლის უკანაც ბევრი საეჭვო ნიუანსი იმალება.

ერთი შეხედვით, 12 მლნ დოლარი არც ისე ცოტაა და თავდაცვის სამინისტროს დღევანდელი ბიუჯეტის ნახევარზე მეტს შეადგენს.

მაგრამ სხვა მხრივ, საჰაერო თავდაცვის სისტემის უზრუნველყოფა უზარმაზარ ფინანსებს მოითხოვს. შედარებისთვის: ამას წინათ ლატვიამ ორი ამერიკული რადიოლოკაციური სადგური TP-117 შეიძინა, თითოეული — 15 მლნ აშშ დოლარად. ესტონეთმა კი ერთგვარი „რეკორდი“ დაამყარა — თითო ასეთივე რადიოლოკატორი (ალბათ უფრო ახალი) 25 მლნ დოლარად იყიდა!

ჩვენი, საბჭოთა სისტემის П-18 ტიპის რადიოლოკატორები, რომელთაც პროგრამის თანახმად, უკრაინელებმა რემონტი და მოდერნიზება უნდა ჩაუტარონ, მართალია, ტექნიკური მახასიათებლებით ჩამოუვარდება ამერიკულ სამგანზომილებიან TP-117-ს (თუკი П-18 საჰაერო სივრცეს 10 კმ-ის სიმაღლეზე 240 კმ-ის სიშორეზე აკონტროლებს, ამერიკული TP-117 400-450 კმ-ის რადიუსზე აფიქსირებს ყველაფერს), მაგრამ, სამაგიეროდ, საათში მხოლოდ 8 კვტ-ს მოიხმარს (TP-117-ისთვის ეს მაჩვენებელი 40 კვტ/სთ-ს შეადგენს), რაც სულაც არ გახლავთ უმნიშვნელო ფაქტორი მუდმივად საწვავის უქონლობით შეწუხებული საჰაერო თავდაცვისათვის.

სხვათა შორის, ამერიკული TP-117-ის მაგვარი ტექნიკური მაჩვენებლების მქონე სამი საბჭოთა სისტემის 36Д6 რადიოლოკატორის ყიდვა იმავე უკრაინელებისგან სულ 15 მლნ დოლარად შეიძლება (TP-117, ისევე, როგორც 36Д6, П-18-ისგან განსხვავებით სამგანზომილებიანია, ანუ ერთდროულად საზღვრავს საჰაერო მიზნამდე მანძილს, მის სიმაღლესა და აზიმუტს).

ერთადერთ იმედად ისღა რჩება, რომ თუკი ამ პროგრამას თავი მოება და, რაც მთავარია, ხელისუფლებამ საჭირო თანხა გამოძებნა მის განსახორციელებლად, ჩვენი სამხედროები აღარ მოტყუვდებიან და უვარგის ტექნიკას არ შეიძენენ.

ყოველ შემთხვევაში, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის მოადგილე, საჰაერო თავდაცვის უფროსი, პოლკოვნიკი ამირან სალუქვაძე (რომლის მომზადებულიც არის საჰაერო თავდაცვის სისტემის რეორგანიზაციის პროგრამა) პირობას იძლევა, რომ შეძენილი და გარემონტებული რადიოლოკატორები და საზენიტო საშუალებები გულდასმით შემოწმდება და ისე დადგება ქვეყნის საჰაერო სივრცის სადარაჯოზე.



ქართველ მეზენიტეებს რამდენიმე ასეული С-125 ტიპის რაკეტა დარჩათ, თუმცა ისინი შემოწმებას, შეკეთებასა და მორიგეობაზე დაყენებას საჭიროებენ

**პროგრამით განსაზღვრულია ჩვენი С-125 საზენიტო-სარაკეტო სისტემების რამდენიმე კომპლექსის აღდგენა, ეს კი, გასასროლად გამზადებული 48 რაკეტაა. სწორედ ისეთი, რომლითაც რამდენიმე წლის წინ იუგოსლაველებმა ამერიკული „უხილავი“ F-117A „სტელსი“ ჩამოაგდეს.**

# „სკორპიონი“ დაგვიბრუნდა



„სკორპიონის“ სანახავად ინგლისელმა კონსტებლებმაც „მოიცალეს“

ფარნბოროს საერთაშორისო ავიაკოსმოსური სალონიდან დაბრუნდა სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ მცირერიცხოვანი წარმომადგენლობა, რომელმაც დიდ ბრიტანეთში მოიერიშე თვითმფრინავი Су-25КМ „სკორპიონი“ წარადგინა.

ეს „სკორპიონის“ მეორე საზღვარგარეთული ვოიაჟია. გასულ წელს იგი თავად ჩაფრინდა საფრანგეთში, ლე ბურჟეში. წლეულსაც ებრაელმა მფრინავმა იეჰუდა შაფირმა „სკორპიონი“ ორი შუალედური დაჯდომით — ბუქარესტსა და ნიურნბერგში, მშვიდობიანად ჩააფრინა დიდი ბრიტანეთის ფარნბოროში.

თუმცა ლე ბურჟესგან განსხვავებით, ამჯერად ფარნბოროში „სკორპიონს“ საჩვენებელი ფრენები არ შეუსრულებია, რადგან ინგლისელთა მოთხოვნით ფრენების შესრულება მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც არანაკლებ ორი ერთნაირი თვითმფრინავი ან შვეულმფრენი ჰყავს გამოფენაზე ჩაყვანილი, რომელთაგან ერთი დაფრინავს, ხოლო მეორე სტატიკურ გამოფენაზე უძრავად დგას. წინასწარი მონაცემებით, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ამჟამად აპირებს NATO-ში გაწევრებას, სერიოზულად დაინტერესდა თავისი Су-25-ების „სკორპიონის“ დონემდე მოდიფიკაციის ქართულ-ებრაული პროგრამით.

# ამერიკა-ერაყი 1:0, ელოდეთ მეორე „ტაიმს“

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ბაღდადი ერთ-ერთ ყველაზე მთავარ დათმობაზე წავიდა — თავად მიიწვია გაეროს სამხედრო დამკვირვებლები საეჭვო ობიექტების შესამოწმებლად, სამხედრო ოპერაციის დაწყება სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დასამხობად გარდაუვალი ხდება.

თეთრი სახლის დავალებით პენტაგონმა უკვე შეიმუშავა საბრძოლო ოპერაციების ჩატარების რამდენიმე გეგმა. მათგან ერთ-ერთი ითვალისწინებს უკვე ამ წლის ბოლომდე აქტიური სამხედრო კამპანიის დაწყებას. პენტაგონის სცენარის მიხედვით ელვისებურ ომს 250-ათასიანი ამერიკული სამხედრო დაჯგუფებაც მოიგებს.

ამერიკელი სამხედროების შედარებით ასეთი მცირე რიცხვი იმითაა განპირობებული, რომ ამჟამად ერაყის არმია სამჯერ უფრო მცირეა, ვიდრე 11 წლის წინ, „უდაბნოს ქარიშხლის“ დაწყებისას ჰყავდა სადამ ჰუსეინს. ამასთან, სამხედრო სპეციალისტების აზრით, 7-ჯერ გაიზარდა ამერიკული ბომბებისა და რაკეტების მიზანში მოხვედრის სიზუსტეც.

ახალი ამერიკული სამხედრო კამპანიის ხელმძღვანელად სავარაუდოდ, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სამხედრო მეთაურობის სარდალი გენერალი ტომ ფრენქსი დაინიშნება.

მაგრამ მიუხედავად ზესახელმწიფოებრიობისა, თეთრი სახლი ეცდება ამ ახალ ანტიჰუსეინურ სამხედრო ოპერაციას საერთაშორისო საფუძველი მისცეს, რისთვისაც მასში ბრიტანელების ჩართვაც არის გათვალისწინებული. ინგლისელები ალბათ 25-ათასიან სამხედრო კონტინგენტს გამოყოფენ.

საერთო ჯამში, ანტიერაყული ძალები გააერთიანებენ ხუთ ქვეითთა და ჯავშანსატანკო დივიზიას, საზღვაო-ქვეითთა ორ საექსპედიციო ბრიგადას, საარმიო და ტაქტიკური ავიაციის ესკადრილიებს და რა თქმა უნდა, სპეცდანიშნულების რაზმებს, როგორც ამერიკულ „მწვანე ბერეტებსა“ თუ „დელტას“ დანაყოფებს, ისე ბრიტანულ SAS-ს.

ბაღდადში გამაგრებული სადამ ჰუსეინიც ხვდება, რომ ამერიკულ-ბრიტანული შემოტევა გარდაუვალი ხდება; ამიტომ მოსახლეობას რაზმავს მათ მოსაგერიებლად. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელები მხოლოდ საზარბაზნე ხორცად თუ გამოდგებიან, რადგან მათი „კალაშნიკოვები“ უძლური იქნება ამერიკულ „აპაჩებთან“ თუ „აბრამსებთან“.

სავარაუდოდ, ამერიკულ-ბრიტანული სახმელეთო შეტევა ქუვეითის მხრიდან დაიწყება, ხოლო საავიაციო თავდასხმებს ჰუსეინი ყველა მხრიდან უნდა ელოდოს.

ამერიკული დამრტყმელი თვითმფრინავები უკვე თავს იყრიან კატარის სამხედრო აეროდრომებზე. თუმცა საუდის არაბეთი ჯერჯერობით წინააღმდეგია, რომ მისი ტერიტორია გამოიყენონ ამერიკელებმა ერაყის დასაბომბად.

დაახლოებით ასეთივე სიტუაციაა ჩვენს მეზობელ თურქეთში — ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან ამერიკელები მუდმივად აკონტროლებდნენ ერაყის საჰაერო სივრცეს. დღეს, როდესაც თურქეთში სამთავრობო კრიზისია, ბევრი ეწინააღმდეგება ინჯირლიყის ამერიკის ინტერესებისთვის გამოყენებას.

ამის ფონზე შესაძლოა, ვაშინგტონმა მეგობარ თბილისს სთხოვოს საქართველოს სამხედრო აეროდრომებიდან ერაყის დაბომბვაში ხელშეწყობა. ეს ვარაუდი უფრო განმტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკულ სამხედრო მანქანას ძალზე გაუჯანჯლდება სადამ ჰუსეინის ხელისუფლების ჩამოგდება.

ამ სიტუაციაში, როდესაც ამერიკა-ერაყის ომის დაწყება შეიძლება საერთოდ ქრისტიანებსა და მუსლიმანებს შორის დიდ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, საინტერესო პოზიციას იკავებს მოსკოვი. ერთი შეხედვით კრემლი გმობს ახალ ამერიკულ „აგრესიას“ ერაყის მიმართ, თუმცა სწორედ რუსეთის ინტერესებში შედის, რომ გაგრძელდეს საერთაშორისო ემბარგო ერაყულ ნავთობზე. საერთოდ, იგი ხარისხით ბევრად სჯობს ციმბირულს, მაგრამ მისი კომერციული დანიშნულებით გაყიდვის უფლება გაეროს უშიშროების საბჭომ სადამ ჰუსეინს ჩამოართვა. ამით უპირველესად სწორედ რუსეთმა ისარგებლა და მნიშვნელოვნად გაზარდა მოპოვებული ნავთობის ექსპორტი, რითაც მისი მსოფლიო ფასები დააგდო.



სადამ ჰუსეინმა ამერიკელების დასახვედრად ერაყელი ქალებიც კი „კალაშნიკოვებით“ შეაიარაღა

დიდი მიხვედრილობა არ სჭირდება იმას, რომ ამერიკა-ერაყის დღევანდელი დაპირისპირების მთავარი მიზეზიც ნავთობია. თუკი თეთრი სახლი შეძლებს გააკონტროლოს ახლო აღმოსავლეთის უმდიდრეს სარეწებში ნავთობის მოპოვების დინამიკა, მაშინ აშშ მართლაც ერთპიროვნული ლიდერი გახდება მთელ პლანეტაზე.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# შეკვეთილია, უნდა მოკვდეს!

## ქრთამად ორ-ნახევარ მილიონ დოლარად ღირებული ვრუბელის ნახატი აიღო...

*ებრაელი კაცი იყო იურა რიჟინაშვილი. ჭკვიანი და შორსგამხედავი. მართალია, იმდროინდელი ცხოვრების წესს ხშირად არღვევდა და ამის გამო თავსატეხიც ბლომად ჰქონდა, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებდა. ამ დროს რომ მოსწრებოდა, ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესმენი იქნებოდა, მაშინ კი ამგვარებს საქმოსნები ერქვათ და კანონი დევნიდა. მაგრამ იურას ისე ჰქონდა საქმე აწყობილი, რომ წინააღმდეგობებს შედარებით იოლად სძლევდა და მისი არალეგალური ბიზნესიც ყვაოდა. ოფიციალურად გუდაუთის რამდენიმე საამქროს ტექნოლოგად იხსენიებოდა. სინამდვილეში კი აფხაზეთის, და არა მარტო აფხაზეთის, ე. წ. იატაკქვეშა საამქროებს აკონტროლებდა და ფულიც თავზესაყრელი ჰქონდა. ამასთან, როგორც იტყვიან, არავისთან არაფერი ეშლებოდა და ამიტომ ყველა მაღალჩინოსანთან მეგობრობდა.*

*ამბობდნენ, იურა კრემლშიც შინაური კაციაო და ეს არავის უკვირდა, რადგან იცოდნენ ზაფხულობით ვისი ოჯახებიც სტუმრობდა მასთან. მაგრამ ამქვეყნად, უფრო სწორად, აფხაზეთში კიდევ ცხოვრობდა ერთ-ორი კაცი, რომლებსაც იგივე პრეტენზიები ჰქონდათ და არცთუ უსაფუძვლოდ. ერთ მათგანს კი, გურამ შარიქაძეს ნიჭიც ჰქონდა და შემართებაც საიმისოდ, რომ პირველობა დაეჩემებინა, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა, მიმნდობი გახლდათ. ამიტომაც თავიდან მოიშორეს კონკურენტებმა. მისი მკვლელობა ჯერ კიდევ გაუხსნელი იყო, როცა იურა რიჟინაშვილიც მოკლეს. ავი ენები ამბობდნენ, შარიქაძე რიჟინაშვილმა მოაკვლევინაო. ასეთი ვერსია სისხლის სამართლის საქმეშიც იყო, მაგრამ ვერსია ვერსიად დარჩა. რა მოხდა სინამდვილეში...*



როსტოვიდან დილაადრიან ჩამოსულმა მანქანამ, რომლითაც ოთხნი მგზავრობდნენ, საღამო ხანს მიატანა სოხუმს. გარეგნულად მგზავრები სულაც არ ტოვებდნენ საეჭვო ხალხის შთაბეჭდილებას; ხოლო თუ მათ საუბარს მოუსმენდით, იფიქრებდით, ესენი ალბათ სამეცნიერო კონფერენციაზე მიიჩქარიანო. დისკუსია, ძირითადად, ერთ კაცს მიჰყავდა, მომხსენებელიც ის იყო და ოპონენტიც. დანარჩენები კი დიდი ყურადღებით უსმენდნენ.

— „ბიჭვინთის იადგარი“ მე-16-17 საუკუნეების ძეგლია და საფუძვლად იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის მიერ დაწერილი „იადგარი“ უდევს, რომელსაც პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. ეს გახლავთ ბიჭვინთის საყდრისათვის სხვადასხვა პირთა მიერ გაწეული ღვაწლისა და შეწირულებათა აღმნუსხველი ძეგლი. გარდა ამისა, მასში მოყვანილია საკათალიკოსოს უძრავ-მოძრავი ქონების მფლობელობის სამართლებრივი ნორმები, საგადასახადო და სასამართლო შეუვალობათა დამამტკიცებელი საბუთები. ასეთი აწყობილი სისტემა ჰქონდათ ქართველებს ყველა სფეროში, ვიდრე რუსულმა დათვმა არ აურია ყველაფერი თავისი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეით... თუმცა, ვისთვის ვლაპარაკობ ახლა მე. არ გეჩვენებათ, რომ თქვენთვის ეს თემა, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა მოსაწყენია?

— გააჩერე, უკრაინელო, — თავისთვის ჩაილაპარაკა და მერე საჭესთან მჯდომს შეხედა, — ხორცის საკეპი დანა უნდა ვიყიდო. ვერ ვეგუები ამ სატკაცუნოებს. დანა უფრო ვაჟკაცური, პირველყოფილი იარაღია და ამიტომ ვანიჭებ უპირატესობას, თორემ ისე, მე რომ მკითხონ, კაცს იმიტომ აქვს მარჯვენა, ანგარიში ამით გაასწოროს სხვასთან.

— კი, თუ თქვენისთანა ტორები ექნება, გაასწორებს, მაგრამ მე რა მეშველებოდა უიარაღოდ, — დანანებით ამოთქვა მძღოლის უკან მჯდომმა საშუალო სიმაღლის ახალგაზრდამ და ისეთი გაკვირვებით შეხედა თანამოსაუბრეს, თითქოს პირველად ხედავსო. არადა, ეს გოლიათი, სულაც არ ჰგავდა მოუქნელ-მოუხეშავ არსებას, ჰერაკლეს ნამდვილი ორეული იყო.

დანა იყიდეს. გოლიათმა დასაჯდომის ქვეშ შეაგდო ბოროტების იარაღი. ასე უფრო საიმედო იყო. კიდეც რომ გააჩერონ და აღმოუჩინონ, კანონში არსად წერია, რომ ამგვარი დანის ყიდვა ან ტარება აკრძალულია. ეს გიჟები კი გაირჭობენ ქამარში უცხოურ „კოლტს“ და „ბრაუნინგს“ — და პირველივე შემხვედრ მილიციელთან დავიდარაბა გარანტირებული აქვთ.

— იცით, ნიკოლაი პეტროვიჩ, აქ რომ ჩამოვდივარ, თავი სადღაც ჯუნგლებში მგონია. არადა, ვიცი, რომ აფხაზეთში ვარ. ყოველთვის ასე მემართება. რას უნდა ნიშნავდეს, ხომ ვერ მეტყვით? — დაეკითხა მეორე თანამგზავრი, როცა გოლიათი, როგორც იქნა, მოკალათდა მძღოლის გვერდით, თავის მუდმივ სავარძელში და გზაც განაგრძეს.

— ეს ფსიქიკური აშლილობის ბრალია. ასეთ დროს რეალობას არაადეკვატურად აღიქვამს ადამიანი. გარემოს მიმართ მისი დამოკიდებულება შეცვლილია და ქცევები კი გაუკუღმართებული. ასე რომ, ჩემო მეგობარო, მე კი არ უნდა დავდიოდე ფსიქიატრებთან, შენ უნდა გარბოდე. აჯობებს, დროზე მიხედო თავს, ვიდრე გვიან არ არის.

**ოცდარვა ჭრილობა ჰქონდა, ერთი და იგივე ხორცსაკეპი დანით მიყენებული. ექსპერტიზის აზრით, დანის დამრტყმელი არაადამიანური ძალის პატრონი იყო...**

— შეიძლება გაგიჟდე კაცი. მაინც საიდან იცით ამდენი რამ, ნიკოლაი პეტროვიჩ? როგორც ვიცი, თქვენ სკოლაშიც არ გივლიათ, — თავი ვერ შეიკავა თანამოსაუბრემ.

— იქიდან, ჩემო კარგო, რომ შენგან განსხვავებით, მე ერთეულებს კი არა, არსებულ ხელისუფლებას ვებრძვი და რომ დავამარცხო, მასზე ჭკვიანი და განათლებული უნდა ვიყო... — თქვა და ვიდრე გუმისთის ხიდი არ გამოჩნდა, ხმა აღარ ამოუღია.

— მგონი, მოვედით, შვიდის ნახევარია... რაო, რა თქვეს? შვიდიდან რვის ნახევრამდე გამოივლის გუდაუთიდან მომავალიო? შენ კამენსკი, შენც, ანატოლი — უკრაინელს მიმართა გოლიათმა, წითელი სამკლაურები გაიკეთეთ და ავტოინსპექტორის კვერთხი აიღეთ ხელთ. თუ გააჩერა, დანარჩენს მე მოვუვლი. არადა, ესროლეთ. მერე გვამს მდინარეში გადავაგდებთ და უკან მოვცოცხავთ. ლესელიძეს რომ გავცდებით, მანქანას სადმე, ტყეში, ბენზინს გადავასხმათ და დავწვავთ. სამაგიეროდ, ჯუმბერ თოდუა ახალთახალი „ვოლგით“ გველოდება „გარიაჩი კლუჩთან“. ერთი სიტყვით, ასეთია გეგმა. საქმეს შევუდგეთ.

— ეს ის თოდუაა, ევროპული კრივის ჩემპიონი რომ გალახა რესტორანში? — ვერ მოითმინა უკრაინელმა.

— ისაა. ისიც ამ საქმეში მონაწილეობს. თორემ ისე აქ როგორ წამოვიდოდი, მით უმეტეს, ერთი მანეთიც არ გადაუხდია ჯერჯერობით დამკვეთს, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ნიკოლაი პეტროვიჩმა და მანქანაც გაჩერდა. ლოდინი დიდხანს არ გაგრძელებულა. ზემოთ, მოსახვევში გამოჩნდა თავთუხისფერი „ჟიგული“. მანქანა ისეთი სისწრაფით მოქროდა, შიგნით მსხდომთა დანახვა და ამოცნობა შეუძლებელი იყო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ხეობაში ნისლი ჩამოწვა. ჟინჟღლავდა კიდეც.

— ვერ არის კარგი ამხელა საქმისთვის, მაგრამ ფუჭად სიარულს არ ვარ ნაჩვევი. მანქანის ნომრის გარჩევა შენზეა, მალენიოკ, ჩვენზე უკეთ გიჭრის თვალი, დანარჩენზე კი როგორც შევთანხმდით — წამიც და უკრაინელმა იყვირა — ისაა, მერე პიჯაკის ქვემოდან ავტოინსპექტორის კვერთხი ამოაძვრინა და მანქანას წინ გადაუდგა...

„ჟიგულმა“ ისე ჩაიქროლა, აინუნშიაც არ ჩაუგდია დამხდურები. მალენიოკთან ერთად პირდაღებული დარჩა ორი ბანდიტიც, რომელთაც ხელთ ვაზნებით დატენილი პისტოლეტები შერჩენოდათ.

— არ ვიცი რა მოხდა... ეტყობა, ღვთის ნება იყო, რომ არ გავისროლეთ, — იტყვის შემდეგ ბანდის წევრი, ანატოლი კამენსკი.

გადაირია ნიკოლაი პეტროვიჩი. სულ „ოლუხები“ ეძახა კამენსკისა და სოხუმელ ვანია გრიგორიანს, რატომ არ ესროლეთო. ღმერთი რა შუაშია-მეთქი, — ვეკითხები ჩემს თანამოსაუბრეს, ბათუ სალინაძეს, იმ დროს, აფხაზეთის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს, — იმაშია, რომ იმ საღამოს იურა რიჟინაშვილის მანქანაში მეზობლის სამი ბავშვი იჯდაო... — მიპასუხა და თხრობა განაგრძო, — რიჟინაშვილის მოსაკლავად ნაყიდი დანა კამენსკის კინაღამ გაუყარა ნიკოლაი პეტროვიჩმა, — რას ჰქვია „პუსტაზე“ მატარებთო. მაგრამ რაღას იზამდა, სოხუმში შესვლაც არ ივარგებდა, მომავალში შეიძლებოდა ეს მტკიცებულებად გამოეყენებინათ და რადგან შეკვეთის შესრულებაზე უარის თქმა არც უფიქრიათ, მკვლელების ჯგუფი გუმისთიდან გაბრუნდა უკან.

**ბათუ სალინაძე:** — ეს ამბავი არ გახმაურებულა. მანამდე კი სოხუმში ლოგინში ჩაცხრილეს ახალგაზრდა ბიჭი, გვარად კუპრეიშვილი. ეს მკვლელობა გავხსენით და ამასთან დაკავშირებით დავიჭირე სერგო მელაძე, გამოუსწორებელი რეციდივისტი, რომელსაც ოცდათორმეტი წელი ჰქონდა გატარებული ციხეებსა და კოლონიებში. უკვე ასაკოვანი იყო, მაგრამ ისევ ახალგაზრდული იერი ჰქონდა ორმოცდაათს მიტანებულ კაცს. წარმოშობით ბასკი იყო. ქართველ გემის კაპიტანს უშვილებია ესპანეთში — აკი ამბობენ, ბასკები და ქართველები ერთი ხალხი ვართო და სოხუმში ჩამოუყვანია, მაგრამ კაპიტანი ადრე გარდაცვლილა და ბიჭი ქუჩაში დარჩენილა. ძლიერი კაცი იყო. ფიზიკურადაც, გონებრივადაც. სწორედ ასეთი ხალხისაგან ვსწავლობდი ისევ ამგვარებთან საომარ ილეთებსა და ჩვევებს. დანაშაულის სიმძიმისაგან გამომდინარე, მელაძეს სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. ძალიან თავმოყვარე კი იყო, მაგრამ ძალა მოიკრიბა და მითხრა: — თუ შეგიძლია, დახვრეტა ამაცილო, მე გეტყვი შარიქაძის მკვლელსა და მკვლელობის შემკვეთის გვარებს. მტკიცება კი შენზე იყოსო. ისიც მითხრა: მართალია, რიჟინაშვილი და შარიქაძე ერთმანეთს მტრობდნენ, მაგრამ რიჟინაშვილი აქ არაფერ შუაშია, შარიქაძე აფხაზეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ, ივანე კარდაშინმა მოაკვლევინა, რომელთანაც ორივე დაპირისპირებული იყო და რაკი შარიქაძე მოიშორა, ახლა რიჟინაშვილს მოაკვლევინებსო. მანვე დამისახელა სოხუმელი ვანია გრიგორიანი, რომელსაც დავალებული ჰქონია ამ საქმის აღსრულება. ხშირად უთქვამთ ჩვენებს, კერკეტი კაკალიაო გრიგორიანი. შავებს ხომ ყველას ვერევით, აქ, სოხუმსა და მთელ აფხაზეთში, მაგრამ გრიგორიანს ძვრაც ვერ ვუყავითო. იმჯერად მე აფხაზეთში სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ვიყავი და გრიგორიანიც ისევ არ იშლიდა თავისას. მართალია, ასაკი მოემატა, მაგრამ ამით მის ვირეშმაკობას არაფერი დაჰკლებია. პირიქით, თავის დაძვრენის ახალი ხერხები ისწავლა. ერთი სიტყვით, ჩვენებურად რომ ვთქვა: დავაჯექი კუდზე ამ გრიგორიანს და ისაა უნდა მივწვდე, ჩავავლო და უეცრად რიჟინაშვილს კლავენ თავისივე სადარბაზოში. ოცდარვა ჭრილობა ჰქონდა საცოდავს, ერთი და იგივე ხორცსაკეპი დანით მიყენებული. ექსპერტიზის დასკვნაში ხაზგასმით აღნიშნავდნენ, — დანის დამრტყმელი არაადამიანური ღონის პატრონიაო — მაშინ კი გამიკვირდა, მაგრამ მოგვიანებით სწორედ ამ ჩანაწერმა გამიადვილა სწორ კვალზე დადგომა. საქმე ხომ ცხელ კვალზე ვერ გაიხსნა, მერეც თითქმის სამი წელი არ დაძრულა ადგილიდან, მაგრამ...

მკვლელობა ჯერ კიდევ ახალი მომხდარი იყო, როცა შევიტყვე, რომ სანიტრების ფორმაში გადაცმული რამდენიმე ქართველი სასწრაფო დახმარების მანქანით დაგრიალებდნენ როსტოვში და იქაურ მოსახლეობას ავიწროებდნენ. ვაცნობე ამის შესახებ როსტოველებს, არც მოსკოვისთვის დარჩენილა ეს ამბავი საიდუმლოდ. მთხოვეს, ჩემი ძალებიც ჩამერთო და ბანდიტების ჯგუფში „ჩვენი“ კაცი ჩავნერგე. დაიწყო დაპატიმრებები. უნდა დაეკავებინათ ვინმე კასიანი, როსტოველი ქურდების მეფე, რომელიც იმ დროს ინფარქტის დიაგნოზით იწვა საავადმყოფოში. მასზე ფარული მეთვალყურეობა დავაწესეთ. სწორედ ამ კასიანთან მივიდა საავადმყოფოში „რამკიანი“ ქურდების საკავშირო ექვსეულის წევრი, თბილისელი რანტიკა საფარიანი და ჩანთით მიიტანა ორმოცდაათი ათასი მანეთი (მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ეს ფული რიჟინაშვილის მოკვლისათვის დაწესებული ჰონორარის ნაწილი იყო). კასიანი სთხოვს ფული მასთან მიიტანონ, სახლში, მაგრამ რანტიკას იქ მილიციელები ხვდებიან. მიმდინარეობს კასიანის სახლის ჩხრეკა. რანტიკა ჩანთას აგდებს და გარბის, მაგრამ იჭერენ და ისიც აცხადებს, ფული კარტში მოვიგე, მანქანის ყიდვას ვაპირებდი და რამდენიმე დღით აქ უნდა შემენახაო. ოცი დღე უტრიალეს როსტოველებმა რანტიკას, მაგრამ ვერაფერი წამოაცდენინეს და გაუშვეს. რანტიკა მაშინვე იკარგება თვალსაწიერიდან. ამასობაში შემატყობინეს, ვანია გრიგორიანი მოსკოვში მიდისო, იქაც გადავკეტე ყველაფერი და ხელთ ვიგდე რესტორან „უზბეკისტანის“ დირექტორის კაბინეტში ვანიასა და შუა აზიაში მიმალულ რანტიკას შორის გამართული საუბრის ჩანაწერი, სადაც საინტერესო ვერაფერი აღმოვაჩინეთ გარდა ერთისა, — როცა ვანია ეკითხება, როგორა ხარ, როგორ მიდის მანდ საქმეებიო, — გრიგორიანი პასუხობს, — ყველაფერი კარგადაა, მაგრამ რაღაც ტერფები მტკივაო. ჩემთვის (შენ ამას მიხვდები) ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი აწუხებდა, რაღაცის ზედმეტად ეშინოდა. სასტუმროში მალულად გავჩხრიკეთ გრიგორიანის ნივთები და აღმოვაჩინეთ ავტოკალამი, რომელიც სინამდვილეში პისტოლეტი იყო. ამ საბაბით დავაკავეთ ვანია გრიგორიანი. მისგან შევიტყვეთ, რომ დონის მარცხენა მხარეს, როსტოვის ქვემოთ, ყოფილა ქურდების „ვსესაიუზნი კატრანი“, ანუ ქურდების სათამაშო ადგილი, სადაც ერთ-ერთი თამაშის დროს კასიანს უთქვამს: სოხუმში ერთი მდიდარი ებრაელია მოსაკლავი, გასამრჯელოდ ორასორმოცდაათ ათას მანეთს იძლევიან და მსურველი ხომ არავინ იქნებაო. შეიძლება შემსრულებლის მონახვაო, უთქვამთ (თვითონ ქურდები ერიდებოდნენ ე.წ. „სველ“ საქმეზე წასვლას — ვ. გ.) და მოინახა „მალენიოკი“, იგივე ანატოლი ტკაჩენკო, რომელმაც თავის მხრივ ვოსკრესენსკი, ნიკოლაი პეტროვიჩ ევდოკიმოვი (სწორედ ის გოლიათი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ), ნოვოროსიისკელი ვიტალი კამენსკი და ზუგდიდელი ჯუმბერ თოდუა შეიამხანაგა. პირველი უშედეგო ცდის შემდეგ ეს ოთხეული სახლის სადარბაზოსთან დაუდარაჯდა იურა რიჟინაშვილს, სადაც ნიკოლაი პეტროვიჩმა თავის თავზე აიღო საქმის დასრულება.

როცა მოვიკითხეთ არაადამიანური ღონის მქონე კრიმინალი, ერთხმად მიგვითითეს ევდოკიმოვზე, რომელიც ამ დროს გიჟის დიაგნოზით ორიოლში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა. უკვე ეყნოსა, რომ შეიძლებოდა მიგვეკითხა და თავს იზღვევდა. უფრო მეტიც, მას ადრევე უზრუნია ალიბის შესაქმნელად: — რიჟინაშვილის მკვლელობა 23-ში ჩაიდინა. 24-ში კი ფსიქიატრთან მივიდა და აიძულა, ჟურნალში წინა დღის ვიზიტიც შეეტანა, მერე როცა გაიგო, რომ ექიმმა ცოტა არეული ჩვენება მისცა გამოძიებას, თავის ერთ-ერთ საყვარელს მისწერა: „ჩემო ლენა! ვიცი, რომ დანაპირები უნდა შეასრულო. მე ვერ შევასრულე და ბოდიშს ვიხდი. როგორც კი გავთავისუფლდები, მაშინვე შენკენ წამოვალ, გულწრფელად გეუბნები. მომენატრე, მანამდე ერთი თხოვნა მაქვს: წადი ჩვენს ვოსკრესენსკში, მონახე ფსიქოდისპანსერში ექიმი პულავსკი და პირადად, ვიმეორებ, პირადად გადაეცი ბარათი, რომელიც ამავე კონვერტშია. როდესაც ბარათს წაიკითხავს, უთხარი სიტყვასიტყვით: „ყველაფერი ისე იქნება, როგორც აქ წერია. გკოცნი, შენი ნიკოლაი“. ლენამ შეასრულა საყვარლის დავალება და ბარათი პულავსკის გადასცა. ბარათში კი ეწერა: „ვიცი, რომ 23 რიცხვის შესახებ საკმაოდ ორჭოფული ჩვენება მიეცი. გაფრთხილებ, თუ არ დაადასტურებ, რომ შენთან ვიყავი, როგორც ოცდასამში, ასევე ოცდაოთხში, განანებ. თვალწინ დაგიხოცავენ მეუღლესა და ქალიშვილს. შენ კი ცოტა მოგვიანებით მოგიღებ ბოლოს. კარგად იცი ამის თავიდან ასაცილებლად რა უნდა გააკეთო. ბარათი წაკითხვისთანავე დახიე“.

სინამდვილეში პულავსკის „ორჭოფობა“ ბათუ სალინაძის გათამაშებული კომბინაციის ნაწილი გახლდათ და ეს წერილებიც იმ დღესვე, მის ხელში მოხვდა, შემდეგ კი საგამოძიებო საქმეს დაერთო. მსგავსი კომბინაციები გათამაშდა მკვლელობის სხვა მონაწილეებისთვისაც. საქმე იქამდე მივიდა, კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი მკვლელებმა. ყველაფერი ნათელი იყო. რჩებოდა დამკვეთთა საწინააღმდეგო მტკიცებულებების შეგროვება. დამკვეთი გახლდათ აფხაზეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე კარდაშინი, რომელსაც ამ საქმეში და საერთოდაც, ფინანსურად ზურგს უმაგრებდა სამი ძმა — ეფრემაშვილები. თუმცა საკმარისი იყო უმაღლეს ეშელონებთან ჩაფსკვნილ-ჩამარყუჟებული კარდაშინის ხსენება და ბათუ სალინაძეს ისეთი რისხვა დაატეხეს თავს, ისეთი პასკვილები გამოუცხვეს ჯერ მოსკოვმა და მერე თბილისმა, რომ ძნელად თუ გაუბედავს მანამდე ვინმეს. მოსკოვმა სამსახურიდანაც დაითხოვა, მაგრამ სალინაძემ იომა და თავისი სიმართლე დაამტკიცა. მერე პროკურორმა შოთა ბარკალაიამ ყველა განსასჯელისთვის დახვრეტა და გრიგორიანისთვის კი თხუთმეტი წელი მოითხოვა. არადა, გრიგორიანი იყო ამ ამბის მოთავე და სულისჩამდგმელი, რა თქმა უნდა, შემკვეთის შემდეგ. ბათუ სალინაძემ ისიც დაამტკიცა, რომ განაჩენი დიდი ქრთამის ფასად მოკვარახჭინდა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ ერთ დღეში მოხსნა თანამდებობიდან და პარტიიდანაც გარიცხა პროკურორი ბარკალაია. ამის შემდეგ ოთხივე ბრალდებულს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა გამოუტანეს. მაგრამ ისევ აირია მონასტერი — რაკი იგრძნეს, სალინაძე ის-ის იყო დამკვეთს მისწვდებოდა. განაჩენი გააუქმეს და საქმე თბილისში, ძიებაში დააბრუნეს. შედეგი კი ის იყო, რომ დედაქალაქში ჩატარებული „ძიების“ შედეგად ოთხივე ბოროტმოქმედი გაათავისუფლეს.

P. S. ნიკოლაი ევდოკიმოვი ახლა მოსკოვში უზრუნველად ცხოვრობს; წარმოშობით ბერძენი კარდაშინი კი ათენშია და ჩიტის რძეც არ აკლია თურმე. სხვები თავისიანებმა ჩახოცეს.

ერთნი ამბობენ, ამ საქმის ასეთ ფინალში ორასორმოცდაათი ათასი დოლარი გადაიხადესო. მეორენი ამტკიცებენ, ამისმა გამკეთებელმა ქრთამად ვრუბელის ორ-ნახევარ მილიონ დოლარად ღირებული ნახატი აიღოო. ეს უკანასკნელი ვერსია ცოტა მეეჭვება, — ძნელი დასაჯერებელია, რომ ამის გამკეთებელ კაცს ასე დახვეწილი გემოვნება ჰქონოდა.

***ვაჟა გავაშელი***



„ზღვის კატა“ თბილისის ბაზრის დახლებზე ფოთის კამბალად საღდება

# როგორ აპარტახებენ საქართველოს შიგა წყლების ფაუნას...

## მდიდარი ქართველები შავი ზღვის დელფინის ტყავისგან ფეხსაცმელებს იკერავენ?!

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

აქედან გამომდინარე, თევზის მეურნეობის დირექტორის გაცემული ლიცენზიები ყალბი იყო. თაღლითობისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის მის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ორიოდე კვირის წინ კი დააკავეს „აჭართევზის“ კუთვნილი სეინერი „ბეშუმი“, რომელიც ფოთის აკვატორიაში უკანონოდ ეწეოდა თევზის რეწვას. ხშირია შემთხვევები, როცა ამავე აკვატორიაში და სხვაგანაც, თევზს ელექტროშოკური აპარატის, ე.წ. „პელიგანის“ სახლართი ბადეებით იჭერენ.

**— მიუხედავად ამისა, არ მცირდება ბრაკონიერთა რიცხვი. თუ ასე წარმატებით ებრძვით მათ, მაშინ საიდან ჩნდება ბაზრის დახლებზე „წითელ წიგნში“ შეტანილი თევზის ჯიშები?**

— უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ მიერ გამოვლენილი ფაქტები მხოლოდ მეექვსედია იმ ბრაკონიერობისა, რაც სინამდვილეში ხდება. მერწმუნეთ, ყველა მდინარესა და ტბაზე ყველა მორევსა თუ მდინარის მოსახვევთან ვერ ჩასაფრდები. ბრაკონიერებიც ეშმაკები არიან და ათასგვარ ხერხს მიმართავენ თავის დასაძვრენად. რამე საეჭვოს შეამჩნევენ თუ არა, მაშინვე წყალში დურთავენ თავს და უპაეროდ იქ რამდენიმე წუთსაც ძლებენ. რაც შეეხება ბაზრობას, თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ გურიის წყალწმინდის თევზის ბაზარი. ვაღიარებ, რომ ეს ბაზრობა ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია. ვერა და ვერ დავამყარეთ იქ წესრიგი. სხვათა შორის, ეს საკითხი უმაღლეს დონეზე განიხილეს, მაგრამ შედეგი მაინც ნულის ტოლია. ეგ კი არა, იმ საშიშ მოსახვევში, სადაც წყალწმინდის ბაზრობაა, მოვაჭრეებმა საგანგებოდ გააფუჭეს ასფალტის ფენა, რათა მანქანამ ნელა გაიაროს და მძღოლმა კარგად დაინახოს ძვირფასი ჯიშის თევზები, მათ შორის, ზუთხიც. ზუთხს რაც შეეხება, რიონის შესართავში ბრაკონიერებს ალკერანები აქვთ დაგებული. ეს გახლავთ არმატურისაგან დამზადებული ანკესის მაგვარი ფოლადის კაუჭი, რომელსაც ერთი ბოლო წაწვეტებული აქვს, მეორე კი ტივტივაზეა მიმაგრებული. თავის მხრივ, ტივტივა თოკზეა მიბმული. ამ თოკზე ყოველ 40-50 სანტიმეტრში ასეთი ალკერანებია მიბმული. მათი რაოდენობა ერთ თოკზე 70 ცალს აღწევს. სხვანაირად ამ თოკს „სტავკა“ ჰქვია. როდესაც რიონში ქვირითის დასაყრელად ზუთხი შემოდის, კუდით ან სხეულის რომელიმე ნაწილით ერჭობა ალკერანს. იწყებს ფართხალს და უკვე მუცელში ერჭობა მეორე კაუჭი. ეს ზუთხის ბრაკონიერული დასაჭერი საშუალება წყლის ზედაპირზე არ ჩანს და ძნელი შესამჩნევია. სწორედ ამის გამო ადგილობრივი გლეხები რიონში გასაგრილებლად ჩასვლას ვერ ბედავენ, ზუთხივით მუცელი არ გამოვიფატროთო. წელს ერთი ასეთი „სტავკა“ აღმოვაჩინეთ, რომელზეც 750 ცალი ზუთხი იყო ჩამოკიდებული. მესმის, რომ სანამ ტყეში ნადირი იქნება და წყალში თევზი, მანამდე ბრაკონიერიც იარსებებს, მაგრამ მერწმუნეთ, თუ რაღაც-რაღაცებზე შეიძლება თვალი დავხუჭო, „წითელ წიგნში“ შეტანილი ცხოველისა და თევზის განადგურებას არავის ვაპატიებ. ან რა კაცობაა ცოცხალ არსებას, რომელიც ახალი სიცოცხლის შექმნისათვის ემზადება, დაიჭირო, მუცელი გამოფატრო და გაყიდული ქვირითით ოჯახში ფული შეიტანო...

გარემოს დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი თევზის განყოფილების უფროსი **ნარგიზა ნინუა**: „გეგუთის თევზსაშენმა ქარხანამ 1999 წელს (როდესაც იყო შესაბამისი დაფინანსება) მართლაც ხელოვნურად მიიღო და გამოზარდა 117 ათასი ცალი კოლხური ზუთხის ლიფსიტა, რომლებიც ზღვაში გაუშვეს. სხვა წლებში, არც ოფიციალურად და არც არაოფიციალურად, ქარხანას ზუთხის ლიფსიტები არ მოუშენებია და როგორ გაყიდდა საზღვარგარეთ? თუმცა გერმანელებს კი უნდოდათ მათი ყიდვა, მაგრამ იშვიათი და გადაშენების პირას მისული ჯიშის თევზის ლიფსიტების გაყიდვა საზღვარგარეთ აკრძალულია და ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია.“

სამწუხაროდ, ნარგიზა ნინუას მიერ ზუთხის ლიფსიტების საზღვარგარეთ მალულად გაყიდვის კატეგორიულად უარყოფილი ფაქტი ეკოპოლიციის მთავარ სამმართველოში ცალყბად, მაგრამ მაინც დაგვიდასტურეს.

დასასრულ, კვლავ ფოთის თავთხელში „მოღვაწე“ ბრაკონიერებს დავუბრუნდეთ. ზუგდიდის რაიონში მცხოვრებმა ბრაკონიერმა, ვინმე **დარასელიამ** ისიც გაგვიმხილა, რომ ზუთხის დაჭერაში მათ ფოთის წყალდიდობის საწინააღმდეგო დამბის თანამშრომლები ეხმარებიან. „როდესაც ზუთხი ქვირითის დასაყრელად რიონში შემოდის, ის დამბებთან ჩერდება და მის გახსნას უცდის, მანამდე კი თავთხელში ფსკერზე წვება. სანამ ბოლომდე არ ამოვკრეფთ ზუთხს, მანამდე დამბას არ ხსნიან. შემდეგ მოპოვებულ ქვირითს ალუმინის ჭურჭელში ვასხამთ. მეორე დღეს კლიენტი მოდის და ქვირითი ხიზილალის დასამზადებლად მიაქვს. მისი დამზადება იოლია, ძნელი — ქვირითის მოპოვებაა.

**— კი, მაგრამ მალე რომ სულ გადაშენდება ზუთხი, მერე რაღას იზამთ, არ შეგრცხვებათ?**

— ჩემი შვილების გადაშენებას, ზუთხის გადაშენება მირჩევნია. თუ ძმა ხარ, ახლა მორალის კითხვა არ დამიწყო. შენ რა გგონია, მიხარია წყალში კისრამდე დგომა და ყოველ ხუთ წუთში ორი წუთით წყალში ჩაყვინთვა? სხვა სპეციალობა მე არა მაქვს და მარტო სიმინდით ოჯახი ვერ დავაპურე. ზუთხზე ამდენს რომ ლაპარაკობ, შენ ის თუ იცი, მდიდარმა ქართველებმა, რომლებიც ურეკსა და ბათუმში ისვენებდნენ, სეინერებისა და თევზსაჭერი გემების მფლობელებს დელფინების დაჭერა რომ სთხოვეს. არ გაინტერესებთ, რისთვის სჭირდებათ დელფინი? თურმე, მისი ძვირფასი ტყავისაგან ფეხსაცმელების შეკერვა უნდათ... მგონი, ერთ-ერთი სეინერის ეკიპაჟმა დავალება წარმატებით შეასრულა. მე კი, რაღაც ხუთ კილო თევზს დავიჭერ, ეგ რა სალაპარაკოა? ნამდვილი ბრაკონიერები სეინერებისა და გემების მეპატრონეები არიან.“

„შენ ის თუ იცი, მდიდარმა ქართველებმა, რომლებიც ურეკსა და ბათუმში ისვენებდნენ, სეინერებისა და თევზსაჭერი გემების მფლობელებს დელფინების დაჭერა რომ სთხოვეს. არ გაინტერესებთ, რისთვის სჭირდებათ დელფინი? თურმე, მისი ძვირფასი ტყავისაგან ფეხსაცმელების შეკერვა უნდათ...“

**P.S.** როგორც სტატიიდან ჩანს, არც ერთი ოფიციალური სტრუქტურა თავს დამნაშავედ არ გრძნობს. ზოგიერთმა პასუხისმგებლობა შექმნილი სიტუაციის გამო საერთოდ მოიხსნა. ძალაუნებურად მახსენდება რუსეთის იმპერატორ პეტრე I-ის ბრძანება, რომელიც ამ სტატიას ეპიგრამად წავუმძღვარეთ. კიდევ კარგი, იმპერატორი ცოცხალი აღარ არის და არც საქართველოა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თორემ წელიწადში, თევზის მაფიის წევრებისა და სახელმწიფო ჩინოვნიკების ერთს კი არა, რამდენიმე თავს ვიხილავდით ჩამოკიდებულს.

# ვის ადღეგრძელებენ ლუდით ყველაზე ხშირად თბილისელები

დილიდანვე იგრძნობა, რომ დედაქალაქში დარჩენილ თბილისელებს ზაფხულის ხვატი დღესაც გააცლის არაქათს. შუადღისთვის თერმომეტრის სვეტმა 35 გრადუსს გადააჭარბა და უსირცხვილოდ კიდევ მიიწევს ზემოთ. ნიავი სანატრელი გამხდარა. დასიცხული მოქალაქეები ხშირ-ხშირად ახედავენ ცას, სადაც ღრუბლის ნაგლეჯი წამლადაც არ ჩანს და მარაოს ან გაზეთის ქნევით ცდილობენ სულის მობრუნებას. შუადღის ორი საათისთვის დედაქალაქს სიცხისაგან ალმური ასდის. მე კი თბილისელი მამაკაცებისათვის (და არა მარტო თბილისელებისთვის), ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო ადგილას, მტკვრის სანაპიროზე მდებარე ლუდის ბარებისკენ მივიჩქარი, რათა სასიამოვნოს სასარგებლო შევუთავსო — რეპორტაჟი გავაკეთო და ლუდითაც გავგრილდე... ლუდის ქარხანას მიახლოებულმა შორიდანვე შევამჩნიე პატარა ჯგუფი, რომელსაც მტკვრის მოაჯირზე გაზეთები გაეშალა და ზედ კათხები, ლუდით გავსებული „კოკა-კოლას“ ბოთლები, მინის თუ პლასტმასის სხვადასხვა ტევადობის ბიდონები და, რა თქმა უნდა, შებოლილი თევზი დაელაგებინა და ნება-ნება შეექცეოდა (სხვათა შორის, ლუდის ბართან უამრავი შებოლილი და დამარილებული თევზი იყიდება, რომლის უმეტესობა ბრაკონიერთა ნადავლია). ნერწყვს ვყლაპავ და უცბად „...ნახე, სულს უბერავს ქაფს, ღმერთო, სამართალი არ გაქვს? ქაფს სულს უბერავს, მოიყუდა, მიდი, ეგრე... ვახ, ახლა გარეთ მქნა, ერთი კათხა ცივი ლუდი გადამაშვებინა ამ ჟანგიან ყელში და მერე მომკლა!!!“ — გამახსენდა „თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟის შოშიას ნატვრა. მაზოხისტურ ექსპერიმენტს შევეშვი და თითქმის სირბილით მივიჭერი ერთ-ერთ სარკმელთან, — ერთი „გვარდეისკი“, — ყელგამშრალმა ძლივს ვუთხარი ლუდის ჩამომსხმელს. და აჰა, ხელში ყინულივით ცივი ქარვისფერი სითხით გალიცლიცებული თეთრი პლასტმასის კათხა მიჭირავს, რომელსაც ზემოთ ქაფის უშველებელი გვირგვინი ადგას. შოშიას არ ვაწყენინე, ჯერ ქაფი შევისრუტე და მერე ცივ ლუდს დავეწაფე. გონზეც მოვედი. ახლა ლუდის სმა დაგემოვნებით დავიწყე. პირველს კიდევ ორი კათხა მივაყოლე, მეოთხეზეც არ ვიტყოდი უარს, მაგრამ თავი შევიკავე გასაგები მიზეზების გამო და ჩემი მოვალეობის შესრულება ლუდის ჩამომსხმელიდან დავიწყე.

**შოთა გვრიტიშვილი**: — მუშაობას დილის ცხრა საათიდან ვიწყებთ და გვიან საღამომდე ვმუშაობთ. კლიენტურა არ გვაკლია, ხალხი განსაკუთრებით ნაშუადღევს და საღამოს მოზღვავდება, როცა სამსახურებიდან შინ ბრუნდებიან. უმრავლესობას სახით ვცნობ. მათ შორის ბევრი ლუდის ნამდვილი დამფასებელია, ხარისხს პირველივე ყლუპიდან გრძნობენ, ასეთებს ვერც ერთი დეგუსტატორი ვერ შეედრება. „პროფესიონალები“ ორი-სამ კათხა ლუდს სჯერდებიან.

**— რეკორდსმენები თუ გყავთ?**

— კი, როგორ არა. ერთი თითქმის ყოველ საღამოს მოდის ლუდის დასალევად და ჯერზე რვა-ცხრა კათხას მაინც სვამს. ესაა მისი დოზა.

**— როგორც გავიგე, აქ ადგილობრივი მნიშვნელობის ჩემპიონატებიც ტარდება.**

— ჰო, რაღაც ამდაგვარი მართლაც იმართება. ამას წინათ კასპის რაიონიდან ერთი კაცი ჩამოვიდა ძმაკაცებთან ერთად — მტკვრის მოაჯირზე ლუდს სვამდნენ. გვერდით კახელები ლუდს კახური ჭაჭით აზავებდნენ და ისე შეექცეოდნენ. სწორედ მათ ფალავნებს შორის გაიმართა შეჯიბრი, რომელიც ანგარიშით 24:23 ერთი კახელის სასარგებლოდ დასრულდა. ეგ რა არის, უფრო მაგრებიც მინახავს, — ერთმა კაფანდარა ბიჭმა 25 კათხა ლუდი დალია.

**— ცნობილი პიროვნებები თუ მოდიან?**

— როგორ არა. ჩვენს ლუდს ყოველდღე მიირთმევს რობერტ ბარძიმაშვილი. აქ ლუდის დალევა „პაზორნი“ სულაც არ არი. გუშინ, აი, ზურაბ ჟვანიას რომ აჯავრებს, ფილარმონიის მსახიობი რომ არის, იმან იყიდა ათი ლიტრა. მალხაზ ქვრივიშვილიც ბევრჯერ მინახავს...

ჩემს რესპონდენტს დავემშვიდობე და ქუჩის მეორე მხარეს გადავედი. მტკვრის მოაჯირთან ჩამწკრივებულ ლუდის მსმელების ერთ მოზრდილ ჯგუფს გამოველაპარაკე.

— თუ ძმა ხარ, სამსახურებიდან ვართ გამოპარული. ახლა შენ რომ სურათი გადაგვიღო, ჩვენი უფროსი ხვალ ბრძანებას გამოაცხობს და სამსახურიდან გაგვაქრობს. აგერ, სხვებთან მიდი, ოღონდ, ჯერ ერთი კათხა ლუდი დაგვილიე...

სხვა ჯგუფს მივუახლოვდი. ზოგიერთი შევიცანი კიდეც, ჩემი უბნელები, საბურთალოელები იყვნენ.

**— მოაჯირზე მტრედებივით რომ ჩამომსხდარხართ, რატომ ბარში არ შეხვალთ?**

— რას ამბობ, ტო!.. მტკვრის ნაპირზე, ჭადრის ჩრდილში ლუდის დალევას სულ სხვა მუღამი აქვს. აქ, ამ ადგილას, ლუდის დალევა თუ არ მერჩივნოს ანტალიაში ხუთვარსკლავიან სასტუმროში ერთი კვირით დასვენებას, კაცი არ ვიყო.

— აბა, კაცო, — აჰყვა თანამეინახეს საუბარში მეორე ლუდის მოყვარული, — აქ, მტკვრის ნაპირას „პასტაიანად“ ქარი უბერავს. ეგ ტეხავს, რომ მოაჯირიდან მტკვარში ფეხებს ვერ ჩააწყობ წყალში...

ახლა სხვა ჯგუფთან გადავინაცვლე.

**— ბევრი დალიეთ?**

— ჩვენ სამლიტრიანები ვართ.

**— ყველაზე ხშირად ლუდით ვის ადღეგრძელებთ?**



შალახოს ჰანგები ლუდის სმასაც უხდება

— ვის და ჩვენს „საყვარელ“ მთავრობას და მის მარადმწვანე მეთაურს, ეგ პირველ ადგილზეა. მერე პროკურორებს და პოლიციელებს ვუსურვებთ ჯანმრთელობას. თუ მუცელში ადგილი დაგვრჩა, სიდედრებსაც არ ვივიწყებთ...

ტროტუარზე ნელი ნაბიჯით ორი თვითნასწავლი მუსიკოსი, როგორც შემდეგ გაირკვა, ბაბუა და შვილიშვილი მოაბიჯებდა. შვილიშვილს ხელში დოლი ეჭირა, ბაბუას კი იღლიაში პატარა გარმონი ამოეჩარა. — ბიჭებო, ხომ არ დაგიკრათ?

— მიდით, შეუბერეთ... კაცო, ღვინის სმის დროს კი გამიგია სიმღერა, მაგრამ ლუდის დალევას თუ შალახო უხდება, ეგ ნამდვილად არ ვიცოდი, — ჩაილაპარაკა ერთმა.

მედოლემ დაკვრა დაასრულა თუ არა, ბიჭებმა მუსიკოსებს ლარიანი უფეშქაშეს.

— აბა, ძია კაცო, ერთი ჩვენთანაც შეუბერე შენებურად, — მიიწვია ბაბუა-შვილიშვილი სხვა ჯგუფმა. სანამ ისინი მორიგ „ნომერს“ შესთავაზებდნენ მსმენელებს, სახელდახელოდ გავესაუბრე.:

— მიშა ვარ, ჭალელაშვილი, ეს კიდენა ჩემი პატარა შვილიშვილი ჯაბაა. აი, ამ ლუდის ბარის გასწვრივ დავდივართ და ვუკრავთ. ვისაც არ ენანება, ერთ-ორ კაპიკს გვჩუქნის, ჩვენ თვითონ არაფერს ვითხოვთ. ხანდახან ისეც ვუკრავთ, სახალისოდ.

**— მაინც ყველაზე უფრო ხშირად რა სიმღერებს გიკვეთენ?**

— უფრო თბილისური მელოდიები უყვართ. ქურდულ სიმღერებსაც გვამღერებენ, ახალგაზრდებს „ვაგონი მიქრის“ მოსწონთ.

**— დღეში რამდენი გრჩებათ?**

— ხან როგორ, ხანაც როგორ. დღე არის, თითოს ხუთ-ხუთი ლარი არ დაგვრჩენია... ხანდახან თხუთმეტი ლარიც გვიშოვია. ერთი-ორჯერ ისე მომინდა ჩემი ფულით ნაყიდი „პივის“ დალევა, რომ მთელი დღის ნამუშევარი აქ დავტოვე. ერთხელ ფულიც ამომაცალეს ჯიბიდან, მაგრამ თუ „პივის“ დასალევად სჭირდებოდათ, ალალი იყოს...

საღამო ახლოვდებოდა, მზე ნელ-ნელა დასავლეთისკენ გადაიხარა. ჩამოსასხმელი ლუდის სარკმლებთან ხალხი მოზღვავდა. რამდენიმე წუთში მოაჯირზე თავისუფალი ადგილები აღარ იყო.

P. S. თუ ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ლუდის დალევა მოგინდათ, მაშინ რეპორტაჟი ლუდის ბარიდან მართლაც კარგი გამომსვლია.

*გვერდი მოამზადა ზვიად ჩაკვეტაძემ*

ნუ წავუყრუებთ...

# შავ ზღვაში ჩასაძირად განწირული ბათუმი(?!)

1997 წელს პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ თურქეთი მდინარე ჭოროხზე კაშხალის აშენებას იწყებს. ეს ალბათ იმიტომ, რომ მშენებლობის დაწყებას საქართველოს პრეზიდენტი ესწრებოდა და „საჭიროდ ჩათვალეს“, ქართველ ხალხს გაეგო, თუ როგორი აღფრთოვანებით მიულოცა მან თურქეთის მაშინდელ პრეზიდენტ სულეიმან დემირელს აღნიშნული ფაქტი. სხვათა შორის, ამ „მოვლენის“ სამახსოვროდ ორივე პრეზიდენტმა ოქროს მონეტები ჩაუშვა კაშხალის საძირკველში.

მოგვიანებით, პრესაში გაიელვა ცნობამ, რომ აღნიშნული მშენებლობის საკითხზე მუშაობს სათანადო კომისია, რათა გაირკვეს კაშხალის დადებითი და უარყოფითი მოქმედება გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა და, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ ხნის მანძილზე მრავალჯერ ეწვია ქართული დელეგაცია თურქეთს პრეზიდენტის მეთაურობით, მაგრამ ჭოროხის კაშხალის შესახებ ინფორმაცია აღარ მოუწოდებიათ ქართველი ხალხისთვის.

რომ არა გაზეთი „კვირის პალიტრა“ (8-15 ივლისის ნომერი), ალბათ თურქები ჭოროხზე ისე ააშენებდნენ ერთს კი არა, უამრავ კაშხალს, რომ ჩვენ, მასპინძლებს (და თურქეთის კარის მეზობლებს) არაფერი გვეცოდინებოდა. ზურაბ ქართველიშვილის წერილი სათაურით — „წყალში ჩასაძირად განწირული საქართველოს ისტორია“ — გვაცნობს ამერიკელი მოგზაურის, ჯონეშის პუბლიკაციას, რომელიც მაისში გამოუქვეყნებია ჟურნალს („გამოცდილი მოგზაური“) სათაურით „სიკვდილი ჩაძირვით“. წერილი ეხება საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, რომლებიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული. წერილშივე უტყუარი ინფორმაციაა იმის თაობაზე, რომ მდინარე ჭოროხზე ერთი კი არა, ათი კაშხალის აშენება აქვთ დაგეგმილი, დღეისათვის კი სამი მათგანის მშენებლობა უკვე წარმატებით მიმდინარეობს ბრიტანული და ფრანგული კომპანიების ხელმძღვანელობით.

ბუნებრივია, ყოველივე ეს დიდად ალმაშფოთებელი ფაქტია იმ მხრივ, რომ ჯერ ერთი, თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული კულტურის ძეგლები წყალში ჩაიძირება ან დაინგრევა, მეორე, — კიდევ ერთი საწუხარი გვემატება: არავინ იცის, კიდევ რა „სიურპრიზს“ გვიმზადებს ჩვენი ისტორიულად დაუძინებელი მტერი და ამჟამინდელი „მოყვარე“ — თურქეთი; როგორ, შეიძლება თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალოს და შავ ზღვაში ჩაიძიროს ქალაქი ბათუმი, ჩვენ კი პირში წყალჩაგუბებული თევზებივით გაჩუმებულები ვართ?! რატომ?!..

ახლავე მოგახსენებთ: თქვენთან ერთად გადავინაცვლოთ რამდენიმე ათეული წლით უკან და თვალის ერთი გადავლებით მიმოვიხილოთ აღნიშნული ფაქტის პრეისტორია. როდესაც საბჭოთა კავშირმა ენგურის კაშხალის მშენებლობა წამოიწყო, მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ მდინარე ენგურზე შენდებოდა მსოფლიოში ყველაზე მაღალი კაშხალი (როგორც ცნობილია, მანამდე პირველობა იტალიას ეკუთვნოდა, სადაც 170 მეტრი სიმაღლის კაშხალია). იმ პერიოდში პრესაში კაშხალის აშენება-არაშენების თაობაზე თითქმის ყოველდღე ქვეყნდებოდა დადებითი თუ უარყოფითი არგუმენტები. რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, მშენებლობის ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგენი აღმოჩნდნენ იაპონელები, რომლებმაც თურქები წააქეზეს და მიუხედავად იმისა, რომ მდინარე ენგური მათ ტერიტორიაზე არ მდებარეობდა, ისინიც პროტესტს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ თუ ენგურის კაშხალზე კატასტროფა მოხდებოდა, ეს არა მარტო დასავლეთ საქართველოს უქადდა წალეკვას, არამედ მნიშვნელოვნად დააზიანებდა თურქეთის შავიზღვისპირა ქალაქებსაც. პრესაში ატეხილმა აურზაურმა, ცხადია, მოსკოვამდეც მიაღწია. მოსკოვმა კი ბრძანა: აშენებულიყო არა 172, არამედ 180 მეტრი(!) სიმაღლის კაშხალი... და აშენდა კიდეც. კრილოვის იგავ-არაკისა არ იყოს, „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდი გასვლია მართალი“ — მაშინ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მის ნებას წინ ვერავინ აღუდგა და, შესაბამისად, კაშხალის ირგვლივ „ვნებათაღელვაც“ ჩაცხრა.

გთავაზობთ 1957 წელს გამოცემულ ნ. ნიჟარაძისა და ნ. ჯიბუტის წიგნზე დართულ აჭარის გეოლოგიურ-პეტროგრაფიულ სქემას და ავტორების მოსაზრებას შავი ზღვის სანაპირო ზოლთან დაკავშირებით:



„შავი ზღვის აბრაზიული (დამანგრეველი) მოქმედება მკაფიო გამოვლინებას პოულობს აჭარის სანაპირო ხაზზე. მდინარე ჭოროხის შესართავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, ქალაქ ბათუმის ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრამდე, შავი ზღვის ნგრევითი მოქმედების შედეგად ნაპირი ყოველწლიურად უკან იხევს. ბარცხანიდან ქობულეთის მიმართულებით ზღვა ნაპირებს დიდი სიძლიერით უტევს, რის გამოც ნგრევისაგან დასაცავად საჭირო ხდება ჯებირების აგება“.



ფოტოზე მოცემულ სქემაზე შავი ზღვის სანაპირო ზოლი წერტილებითაა აღნიშნული, იგი წარმოადგენს ძველ და ახალ (თანამედროვე) ალუვიონს (მდინარეულ ნალექებს).

ახლა იმის შესახებ, თუ რა კავშირია ენგურისა და თურქეთის კაშხალებს შორის. თუკი ენგურის კაშხალის კატასტროფით თურქეთის შავიზღვისპირა ქალაქები დაზარალდებოდა, თურქეთის მშენებარე კაშხალების არამდგრადობამ შესაძლოა გამოიწვიოს ბათუმის კატასტროფა და აი, რატომ: პასუხი მარტივია — მდინარე ჭოროხისთვის ჩვენს წინაპრებს სახელი შემთხვევით არ შეურჩევიათ: „ჭოროხი — მდინარისგან ქვიშა შეყრილი“, ასე განმარტავს მის სახელწოდებას სულხან-საბა ორბელიანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მდინარე ქვიშითა და ქვაღორღით ამარაგებდა და ამარაგებს თავის შესართავს ზღვასთან, ე.ი. აწონასწორებს ზღვის მოქმედებას ხმელეთთან.

საკმარისია ეს პროცესი შეჩერდეს, რომ შესაბამისად, დაირღვევა ბალანსი, ზღვა გააქტიურდება, დაიწყებს საპასუხო მოქმედებას და წალეკვით დაემუქრება სანაპიროს — რადგან წინააღმდეგობა აღარ შეხვდება ჭოროხის მიერ ჩატანილი ქვა-ღორღის სახით, ხმელეთისკენ გადაინაცვლებს. ნალექები ზღვის სანაპიროდან ხმელეთისკენ 5-10 კილომეტრის ფარგლებში მერყეობს. თურქეთის კაშხალების აშენების შემთხვევაში ჭოროხი, პრაქტიკულად, უმოქმედო აღმოჩნდება, ვინაიდან მდინარეს ინერტული მარილი, ძირითადად, თურქეთის ტერიტორიიდან მოაქვს. ასე რომ, ზღვა მთლიან სანაპირო ზოლს წალეკვით ემუქრება...

წარმოუდგენელია, მშვიდად ველოდოთ მოვლენებს, — შავ ზღვაში ჩასაძირად განწირულ ბათუმს შველა სჭირდება; და თუ დღესვე არ ავტეხეთ განგაში, ვერც პოლიტიკური იმიჯი გადაგვარჩენს და ვერც პარლამენტის რაიმე დადგენილება, რაგინდ მძაფრი და არგუმენტირებულიც არ უნდა იყოს.

***დავით ყანდაშვილი,***
***გეოლოგი***

P.S. ***რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ამ საკითხის გარშემო პროფესიონალთა მოსაზრებებს.***

# „...დღეს უკვე ჯვარს, ანანურს და სიონს გვედავებიან...“

*„გვართმევენ ყოველს ეროვნულ ღირსებას, სთითხნიან ჩვენს ვინაობას, და რომ სულ მთლად ბოლო მოგვიღონ ქვეყნის წინაშე, გვიბათილებენ მთელს ჩვენს ისტორიასაც, ჩვენს ისტორიულს მატიანეებს, ისტორიულს ნაშთსა და სახსოვარსა, მთელს ჩვენს სისხლითმისულს ღვაწლს ქრისტიანობისათვის შეწირულსა, და ყოველს ამას თითონ იჩემებენ დიდის გაძვრენგამოძვრენითა. მართალია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და სხვისა ღირსების ჩამორთმევით ან დაკლებით მათნი არც მოივლინებიან, არც გადიდდებიან, მაგრამ წადილის დაუჭირავსა ყური აქვს მოუსმენი და ენა გრძელი“* — წერდა ილია „ქვათა ღაღადში“. მაშინ სომეხი და რუსი „მეცნიერების“ შური და საქართველოს ისტორიის დამახინჯება გახდა ერის მამის აღშფოთების მიზეზი... მაგრამ ვაი, რომ მე-19 საუკუნის სატკივარი 21-ეშიც არ მოშუშებია საქართველოს... სომხები და რუსები დღეს უკვე ჯვარს, ანანურს და სიონს გვედავებიან... დღეს ახალი „ქვათა ღაღადია“ დასაწერი...

რუსეთში მართლმადიდებლური ენციკლოპედიის 25-ტომეული მზადდება. დღის სინათლე მხოლოდ სამმა ტომმა იხილა, თუმც უკვე ცხადი გახდა მიზანი და ჩანაფიქრი. ენციკლოპედიაში ქართველი ავტორების წერილები (შესაბამისად კი ისტორიული რეალობაც) მახინჯდება, ახტალის ტაძარზე წერილს ქართველის ნაცვლად ვინმე კაზარიანი აქვეყნებს, მაგრამ ენციკლოპედიის გამომცემლები ამას არ დასჯერდნენ.

**ზაზა აბაშიძე,** საპატრიარქოს საეკლესიო-საენციკლოპედიო ცენტრის დირექტორი:

— თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ძეგლები მართლმადიდებლური ენციკლოპედიის მე-3 ტომში X-XII საუკუნის სომხური არქიტექტურის ტიპურ ნიმუშებად არის გამოცხადებული. ბანა, ოშკი, ოპიზა, ხახული, პარხალი, ოთხთა ეკლესია, იშხანი და ტაოში არსებული ძეგლები სომხურად არის მიჩნეული(!). სომხებს ტაო სომხურ პროვინციად აქვთ გამოცხადებული, მათი არგუმენტით დავით კურაპალატი სომეხია და ტაოში განვითარებული პროცესები, მათი ვერსიით, სომხეთის ტერიტორიაზე ხდება.

— **რითი ხსნიან ამ ტაძრებზე არსებულ ქართულ წარწერებს?**

— მათი არგუმენტით, ტაოს სომხური მოსახლეობა მართლმადიდებელი იყო და მცხეთის ეკლესიას ემორჩილებოდა. ისინი ქართულ საქმეს იმიტომ აკეთებდნენ, რომ სარწმუნოებით იყვნენ ქართველები, ეროვნებით კი სომხები...

**მზია სურგულაძე,** ხელნაწერთა ინსტიტუტი: — სომხები ირწმუნებიან, სომხურ ეკლესიას ორი მიმართულება ჰქონდა — ოფიციალური გრიგორიანული და მართლმადიდებლური, რომლის ცენტრი ტაო იყოო. ამ მეთოდებით სომხები რუსეთის ეკლესიას უმტკიცებენ, — მართლმადიდებლურ დედაეკლესიას ბოლომდე არასოდეს მოვწყვეტივართო. ეს გასაგებია თანამედროვე პოლიტიკური კონიუნქტურის პოზიციებიდან. უნდათ რუსებს აამონ, მაგრამ საენციკლოპედიო სტატიებში ასეთი პასაჟები სასაცილოდ გამოიყურება.

**ზაზა აბაშიძე:** — სტატიაში, რომელიც ატენის სიონზე დაიწერა, შეგნებულად არის დამახინჯებული ტაძრის აშენების თარიღი, რათა მომზადდეს ნიადაგი მცხეთის ჯვარის სომხურად გამოცხადებისთვის — სომხები ხომ ირწმუნებიან, ჯვარი და ატენი ერთი და იგივე ხუროთმოძღვრის აშენებულიაო.

— **რატომ გახდა სადავო ატენის სიონი?**

— იმიტომ, რომ ტაძრის ფასადზე გამოსახულია სომხური ასო „თ“ (ხელოსნის — თოდოტოსის სახელის ინიციალი). სომხები რატომღაც ყურადღებას არ აქცევენ ქართულ წარწერებს, ქართველ მეფეთა სახელებს და ასო „თ“-ს ჩაეჭიდნენ. ეს მათ სჭირდებათ იმისთვის, რომ ეს ტერიტორია სომხური კულტურის გავლენის არეალად გამოაცხადონ.

სადავო გახდა ანანურიც, სწორედ კირითხუროთა სახელების პირველი ასოების გამო. სამშენებლო ტექნიკის კომპონენტს, ხელოსნის მიერ თავისი სახელის დაფიქსირებას სომხებმა კუდი გამოაბეს.

**თამილა მგალობლიშვილი,** ხელნაწერთა ინსტიტუტი: — ჩვენი უპირველესი მოთხოვნა რუსული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის სარედაქციო საბჭოსადმი ისაა, რომ საქართველოზე სტატიები წერონ ქართველმა ავტორებმა და ტექსტი არ დამახინჯდეს. სომხებმა რუსების დახმარებით გააფორმეს საუკუნეების მანძილზე გატარებული პოლიტიკა — ჩამოაყალიბეს აზრი, თითქოს საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიაზე შექმნილი კულტურა სომეხი ქალკედონიტების დამსახურებაა. თუ გავაგრძელებთ მართლმადიდებლური ენციკლოპედიის რედაქციასთან თანამშრომლობას, აუცილებლად მოვითხოვთ, ქართული ძეგლები ქართულად დაფიქსირდეს.

ატენის სიონზე 30 წელიწადს მუშაობდა გურამ აბრამიშვილი, ენციკლოპედიის მე-3 ტომში მისი ხელმოწერით დასტამბული წერილი დამახინჯებულია — ტაძრის აღმშენებლად სომეხია გამოცხადებული. ბ-ნ გურამს დასაბუთებული აქვს სომხური წარწერების წარმოშობა ქართულ ტაძარზე.

საქართველო მრავალეროვნული სახემწიფო იყო (სომხეთისაგან განსხვავებით). ამიტომ კეთდებოდა წარწერები, რომლებიც არაქართველებისთვისაც იყო გასაგები. ამით აიხსნება არაბული წარწერები ჯვრის ტაძარზე, გვხვდება სპარსული წარწერებიც. ეს სავსებით ნორმალური მოვლენა იყო, რაკი ტაძარზე სპარსული წარწერებია, არავის მოუვა აზრად იმის მტკიცება, — ქართულ ეკლესიებს ირანელები აშენებდნენო.

***(დასასრული იხ. გვ. 13)***



# რას გვეტყვი, მამაო?

— **მე ახალი მოქცეული ვარ ეკლესიურად. თუ შეიძლება, მაცნობეთ, კიდევ რომელი მარხვის დღეები დარჩა ამ წელიწადში?**

— წელს მოგიწევთ იმარხულოთ: ა) მარიამობის მარხვა — 14 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით; ბ) შობის მარხვა — 28 ნოემბრიდან 6 იანვრის ჩათვლით; გ) ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს (გარდა მსგეფსისა); დ) იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს — 11 სექტემბერს; ე) ქრისტეს ჯვრის ამაღლების დღეს — 27 სექტემბერს.

— **მყავს ავადმყოფი მამა. ნათელმხილველმა მიმკითხავა, რომ მამის ცუდად ყოფნის მიზეზი წმინდა გიორგი იყო, რომელიც საკლავს ითხოვდა, ხოლო ცხვრის შეწირვის შემდეგ მამის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდებოდა. გთხოვთ, ამიხსნათ, რამდენად მიზანშეწონილია საკლავის შეწირვა და უნდა შევასრულო თუ არა მე ეს?**

— ჩვენი რჩევაა — ნათელმხილველის რჩევები არ მიიღოთ. ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, „თეთრი მაგიისა“ თუ „შავი მაგიის“ მსახურნი, ეს ადამიანები წინასწარმეტყველებენ არა სულიწმინდის მადლის მეოხებით, არამედ ბოროტ ძალთა მეშვეობით. ამ „ნათელმხილველის“ სულიერსა და ზნეობრივ სახეზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისივე გამონათქვამის მიხედვით, როდესაც ის წმინდა გიორგის ათქმევინებს — მამის ჯანმრთელობა მსხვერპლის შეწირვაზეა დამოკიდებულიო. მას შემდეგ, რაც გოლგოთაზე დაიკლა ჩვენი მხსნელი და ტარიგი — იესო ქრისტე, ქრისტიანებში სისხლიანი მსხვერპლი აღარ შეიწირება. ქრისტიანები მხოლოდ უსისხლო მსხვერპლს სწირავენ ლიტურგიაზე!

— **გთხოვთ გვიპასუხოთ, არსებობს თუ არა სხვა სალვთისმეტყველო უმაღლესი სასწავლებელი თბილისში, გარდა სიონის წინ მდებარე სასულიერო სასწავლებლისა?**

— სასულიერო სასწავლებელი გახლავთ კომპლექსი, რომელიც მოიცავს სასულიერო სემინარიას, სასულიერო აკადემიას და პედაგოგიურ სალვთისმეტყველო ინსტიტუტს. თითოეული მათგანი ავტონომიური უფლებებით სარგებლობს. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტი და მასთან არსებული თეოლოგიის სპეციალობა.

— **საზღვარგარეთ სწავლის პერიოდში თანაკურსელმა გოგონამ დამაჩვია ლესბოსურ ურთიერთობას. ვაჟების მიმართ თითქმის დამეკარგა ინტერესი. საქართველოში ჩემს საქციელს კდემამოსილებაში მითვლიან. მე კი განვიცდი, რა მეშველება?**

— ნუ შიშობთ. თავს მოხვეული დედათმავლობის დროს, მონანიების შემთხვევაში, პიროვნება მეტწილად კარგად ექვემდებარება ფსიქოლოგიურ კორექციას. დაგეხმარებიან სათანადო სპეციალისტები, ხოლო მართლმადიდებლური ეკლესია — თუ მისი მრევლი გახდებით — იზრუნებს თქვენი სულის გადასარჩენად!

— **წმინდა წერილი გვასწავლის: „არა განიკითხო“, მაგრამ მხილების უფლებას არ გვართმევს. სად გადის საზღვარი განკითხვასა და მხილებას შორის?**

— ეს საზღვარი გადის ადამიანის გულში! როდესაც სხვა ადამიანის საქციელის განსჯისას (რასაც ვერ ავცდებით ცხოვრებაში) თქვენ გსურთ მისი დასჯა, იდუმალად გახარებთ მის მიერ ჩადენილი ცოდვა და ფიქრობთ, რომ მისი გამოსწორება უკვე შეუძლებელია — ეს იქნება განკითხვა, რაც თავისთავად ცოდვაა; ხოლო თუ თქვენ ადამიანის ცოდვაზე საუბრისას ის გეცოდებათ, როგორც დაავადებული, დაჭრილი, დასახიჩრებული არსება, ვისთვისაც არ დაიშურებთ დახმარებას, მაშინ ეს არ იქნება განკითხვა.

— **მე და ჩემი მეგობარი ვაჟი თანაცხოვრებას ვეწევით ჯვარდაუწერლად. მიგვაჩნია, რომ ეს არ არის აუცილებელი ჩვენი სიყვარულისთვის. ხომ არაფერს ვაშავებთ ამით?**

— ცხადია აშავებთ. ის, რასაც თქვენ სჩადიხართ, არის ზნეობრივი დანაშაული — ჯვრისწერის საიდუმლოს გარეშე თქვენი ხორციელი ცხოვრება არის სიძვა; პავლე მოციქული შეგვაგონებს, რომ მეძავნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს (კორ. 6,9).

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# „1937 წელი 1986-ში გვქონია და არ გვცოდნია“

„ჩემი, როგორც ადამიანის უფლებები მრავალჯერაა დარღვეული. მრავალჯერაა ჩემი განაჩენი გამოტანილი. 1986 წელს სახელმწიფომ უსახსრობისა და ობლობის გამო ტრიბუნალის ძალით გამიშვა ჩერნობილში... ამჟამად მძიმე ავადმყოფი ვარ — ცოცხალი მიცვალებული, ნელ-ნელა ვიხრწნები და ამდის ჩერნობილის საშინელი სუნი. ჩემი საფლავი ჩერნობილშია, სადაც ჩემი ხელით დამამარხინეს სამოსელი, რომელსაც იქ ვატარებდი. დედის გარდა, არავინ მყავს. ისიც მძიმე ავადმყოფია, რომელიც სიკვდილს ელოდება და არავის სჭირდება — ხელისუფლებამ ნახმარი ძველი ნივთივით გადამაგდო...“, — წერს მე-2 ჯგუფის ინვალიდი თამარ ბაღაშვილი, რომელიც 16 წლის წინ ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოებზე მობილიზაციისას, ფაქტობრივად, ძალით წაიყვანეს ჩერნობილში. ასეთივე ბედი ეწია კიდევ იმ 150 ადამიანს (მედდებს და ექიმებს), რომელთათვის არავის უთქვამს, სად მიჰყავდათ. დღეს მათგან 35 ადამიანია ცოცხალი... ჩერნობილის ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე მთელი საბჭოთა კავშირი მუშაობდა. ბუნებრივია, მაშინ განზე ვერც საბჭოთა საქართველო დადგებოდა. მოხალისეებს ათასგვარ სიკეთეს ჰპირდებოდნენ — დაწყებული ინსტიტუტში ნიშნის დაწერით და დამთავრებული ფულადი ჯილდოთი ... ბევრი დაპირებას წამოეგო და ნებით წავიდა ჩერნობილში. მაგრამ ვინ გადაწყვიტა მათი ბედი, რომლებიც დაუკითხავად წაასხეს რადიაციის ზონაში?! ეჭვი გაჩნდა, საქართველოს მაშინდელმა პირველმა პირმა ხომ არ იაქტიურაო.

**ჯუმბერ პატიაშვილი:** — მაშინ ჩვენ არც ინიციატივა გამოგვიჩენია და არც სურვილი ამ პროცესებში ჩასართავად. ყველა რესპუბლიკა მონაწილეობდა ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში და ჩვენც ჩავერთეთ.

— **ითქვა, რომ რამდენიმე ათეული ადამიანი იძულებით წაიყვანეს ჩერნობილში...**

— ასეთი შემთხვევა არ ყოფილა. უბრალოდ, იყო ზოგიერთი დაწესებულება, მაგალითად, რადიოლოგიის ცენტრი, რომლის სამსახურებრივი მოვალეობა იყო ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე მუშაობა... ზოგიერთი ჩემი მოწინააღმდეგე, რომელიც წლების მანძილზე მებრძვის, სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდებას მიძებნის. ასევეა ჩერნობილის თემაც. კიდევ კარგი, ავარიაც არ დამაბრალეს...

**ნანა დევდარიანი**: — ჩერნობილის დახურულ ზონაში საქართველოდან ათასობით კაცია ნამყოფი. მათთვის არავის უკითხავს, უნდოდათ თუ არა ჩერნობილში წასვლა. ეტყობა, სამხედრო კომისარიატში ამ ხალხის პირადი საქმეები ამოყარეს, რაღაც კრიტერიუმით შეარჩიეს, ჩასვეს მატარებელში, შეიყვანეს დახურულ ზონაში... და გადასცეს შეიარაღებულ დაცვას. იქიდან წამოსვლა შეუძლებელი იყო. მათ, ფაქტობრივად, განაჩენი გამოუტანეს. რაკი ამ ადამიანებმა (მათ შორის 18-19 წლის გოგონები იყვნენ) ვერ გაიგეს, რის საფუძველზე ჩაიყვანეს ჩერნობილში, კიევიდან მოითხოვეს სამხედრო პროკურორის ჩაყვანა. სამხედრო პროკურორის პასუხი ასეთი იყო — ხელთ მაქვს ტრიბუნალის განაჩენიო... განაჩენი ამ ადამიანებისთვის არავის უჩვენებია, არც სასამართლო ყოფილა და არც რამეზე მოუწერიათ ხელი. ერთ-ერთი დაზარალებული — თამარ ბაღაშვილი 4 თვე მუშაობდა იქ, ჰოსპიტალში. ისიც უცნაურია, ვინ მოიფიქრა რადიაციულ ზონაში ჰოსპიტლის გახსნა. როგორც წესი, ის 30 კმ-ით უნდა ყოფილიყო ზონიდან დაცილებული.

— **რის გამო გადაეცა ამ 150 ადამიანის საქმე ტრიბუნალს?**

— მეც ეს მაინტერესებს. რაკი განაჩენი დადგა, ე.ი. სასამართლო ჩატარდა, მაგრამ ამ ხალხმა არაფერი იცის ამის შესახებ. სამხედრო კომისარიატის მასალები, რომელშიც უნდა ყოფილიყო ტრიბუნალის გამართვის მიზეზები, რუსმა სამხედროებმა „გააყოლეს ხელს“. თამარ ბაღაშვილთან ღამით მივიდნენ კომისარიატის წარმომადგენლები, უთხრეს, მედდა ხარ, მობილიზაცია გამოცხადდა, უნდა წამოგვყვეო და წაიყვანეს. დაუსახელეს გეოგრაფიული წერტილი კიევიდან 30კმ-ის დაცილებით, მაგრამ არ უთქვამთ, რომ ჩერნობილში მიჰყავდათ.

— **იძულებით წაყვანილები, ე.წ. უპატრონო ხალხი იყო?**

— შერჩევის კრიტერიუმები ასეთი იყო — უმაღლესი (ან სასწავლებელი) წითელ დიპლომზე უნდა ჰქონოდათ დამთავრებული — ანუ სჭირდებოდათ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. სავალდებულო იყო რუსული ენის სრულყოფილი ცოდნა, სასურველი — უცხო ენის ცოდნა და კარგი ზოგადი განათლება — მაშინ ჩერნობილი უცხოელი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში გახლდათ. ზონაში გასამხედროებული რეჟიმი იყო, ექიმები და მედდები იქ მყოფ ადამიანებს ემსახურებოდნენ.

— **სად გამოიტანეს ეს სასტიკი განაჩენი, აქ, საქართველოში თუ...**

— სამხედრო კომისარიატები მკაცრად ცენტრალიზებული სტრუქტურა იყო, გენერალურ შტაბს ემორჩილებოდა და მას მთავარი სამხედრო კომისარი ხელმძღვანელობდა. დირექტივა მოდიოდა სამხედრო ვერტიკალიდან და ამ საკითხს სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენელი ვერ გადაწყვეტდა... ველოდები მასალებს მოსკოვიდან და კიევიდან... ეს კონკრეტული ფაქტი იმის თვალსაჩინო ნიმუშია, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ საბჭოთა კავშირში ადამიანებისადმი. მეგონა, ეს მოვლენა სხვა ეპოქაში დაიმარხა-მეთქი, მაგრამ 1937 წელი აგერ გუშინწინ გვქონია, 1986-ში და არ გვცოდნია.

# „...დღეს უკვე ჯვარს, ანანურს და სიონს გვედავებიან...“



(დასაწყისი იხ. გვ. 12)

რაკი გურამ აბრამიშვილის წერილის დამახინჯების გამო პრეტენზია გამოვთქვით, რუსებისაგან საპასუხოდ სადავო საკითხთა ნუსხა მივიღეთ — გრემი, ივერიის ღვთისმშობლის ხატი და გრიგოლ ბაკურიანის ძის ამბავი სადავო გახდა.

— **ივერიის ღვთისმშობლის ხატზე რა ეჭვი გაჩნდა?**

— რუსებმა ძალიან ადრე გააკეთეს მისი ასლი და გადაიტანეს რუსეთში, ეს ხატი დიდი სიწმინდეა მათთვის. არ ვიცი, კონკრეტულად რა პრეტენზია აქვთ რუსებს (წერილი ჯერ არ დაწერილა ამ ხატზე), მაგრამ ივერონის მონასტერი რომ ქართულია და ხატიც, ამაზე უცხოელ მეცნიერებს აქვთ არაერთი ნაშრომი, არ ვიცი, რა აქვთ საკამათო რუსებს.

— **ცნობილი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის ძის წარმომავლობამ რატომ დააეჭვა რედაქცია?**

— კამათი გამოიწვია გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაწერილმა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონმა (მონასტრის ცხოვრების წესმა — ი.რ.), რომელიც ბერძნულად არის დაწერილი, მაგრამ ბოლოში ხელმოწერა სომხურია.

გრიგოლ ბაკურიანის ძეს ცოლ-შვილი არ ჰყოლია. მისი მემკვიდრეები — დისშვილები სომხები იყვნენ (გრიგოლის და სომეხს გაჰყვა). გრიგოლმა სომხებს სომხურად დაუწერა — თქვენ არ ხართ მემკვიდრეები, ჩემს მემკვიდრედ პეტრიწონის მონასტერს ვაცხადებ და სხვას არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეს მასზეო. ტიპიკონის დასაწყისში ის თავის წარმომავლობას მიუთითებს, რომ ტომით ქართველია და ქართველ დიდგვაროვანთა ოჯახის წარმომადგენელი.

— **ვინ აფინანსებს რუსული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის გამოცემას?**

— როგორც ვიცი, შენობა (საცხოვრებელი სახლი) სამეცნიერო ცენტრს მოსკოვის მერიამ გამოუყო. შეიქმნა მართლმადიდებლური ფონდი, ყველაფერში რუსული ფული ჩანს, იქ სულ ლუჟკოვის ხსენება ისმის. თუმც ამ საქმეში კერძო პირებიც არიან ჩართულნი.

**ზაზა აბაშიძე:** ენციკლოპედიის ტენდენციურობაში რუსებზე მეტი წვლილი სომხებს მიუძღვით. როგორც მთელ მსოფლიოში, ისე მოსკოვშიც ძლიერია სომხური ლობი. სომხებს ცნობილი ისტორიკოსები ჰყავთ, მაგალითად, მოსკოვის ისტორიის მეცნიერებათა აკადემიის დირექტორი სომეხია. იქ ტრიალებს ბევრი გარუსებული სომეხი, რომლებიც სომხურ საქმეს აკეთებენ.

**გიორგი შაიშმელაშვილი,** პარლამენტარი, კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე:

— 1902 წელს გაზეთი „ივერია“ გაკვირვებული წერდა, ბორჩალოს მაზრაში ქართულ ტაძრებზე სომხური წარწერები ჩნდებაო, ეს სომხური „ტრადიცია“ დღესაც არ დაკარგულა. მახსოვს, იტალიაში ვიყავი საბჭოთა პერიოდში. ფლორენციაში შეშფოთებულნი იყვნენ, 11 ტაძარზე სომხური წარწერა აღმოჩნდაო — ეს სომხური სინდრომია. ეს ხალხი არაფერს ერიდება. იტალიაში კუნძულ ტორჩელოზე მამათა სომხური მონასტერია. ჯორჯ ბაირონი ერთხელ ამ კუნძულს სწვევია. ეს ფაქტი სომხებმა უმალ გამოიყენეს და გაავრცელეს ინფორმაცია, — ბაირონი ტორჩელოზე სომხური ენის შესასწავლად ჩავიდა და 13 ლექსი სომხურად დაწერაო.

თუ სომხებს დავუჯერებთ, იტალიური რენესანსიც მათი დამსახურებაა. ლეონარდო და ვინჩის ცხოვრების შესწავლისას მკვლევარებისათვის უცნობი დარჩა მხატვრის ცხოვრების ერთი წელიწადი. მახსოვს, გაზეთ „ნედელიაში“ გაჩნდა სტატია, რომლის ავტორი ირწმუნებოდა, ის ერთი წელიწადი ლეონარდო და ვინჩიმ სომხეთის კილიკიაში გაატარა, გაეცნო სომხურ ძეგლებს და რენესანსს საფუძვლად სომხური არქიტექტურა დაედოო. ასეთ გამოხდომებს ისე უნდა ვუპასუხოთ, რომ ახალი შუღლი და დაპირისპირება არ გამოიწვიოს უნდა დავუპირისპიროთ მეცნიერულად დასაბუთებული კონტრარგუმენტები.

***გვერდი მოამზადა***
***იზო რიკაძემ***


15 000 ლარი თბილისელმა ქალბატონმა მოიგო!





# ძალის უფლებით



**რუსეთისთვის პაწაწინა პანკისის ხეობა ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც აშშ-ისთვის „ტორა ბორას“ მთის მასივი ავღანეთში (სადაც მიწისქვეშა ბუნკერებში თავს აფარებდნენ თალიბები). ამიტომ რუსეთის პასუხიც ანალოგიური უნდა იყოს.**

ბოლო წუთამდე ერიდებოდა რუსეთი იმის თქმას, რომ საქართველოს თანხმობის გარეშეც ჩაატარებს პანკისის ხეობაში სპეცოპერაციას. — ეს რომ არ გავაკეთოთ, მთელი ჩრდილო კავკასია ერთ ცხელ წერტილად გადაიქცევაო.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ამ წინადადებას პოლიტიკური ელიტის უმეტესობა დაეთანხმა.

თბილისში კი კვლავ არ ამჩნევენ ტერორისტებს და ჯიუტად ამბობენ უარს რუსეთთან ერთად მოქმედებაზე

მსოფლიოში არც ისე ბევრია სახელმწიფო, რომელიც, საერთაშორისო საზოგადოებრიობის აზრის მიუხედავად, ექსტრემისტულ ჯგუფებს თავისი საზღვრების მიღმა ებრძვის. ასეთებია: ისრაელი, თურქეთი და აშშ. ამ ქვეყნებისთვის საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე აბსტრაქტული არ არის — იგი შეიძლება სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის ფასადაც კი დაუჯდეთ.

თურქეთის სპეცდანიშნულების რაზმი ერაყის ჩრდილოეთით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყოველგვარი სანქციის გარეშე მოქმედებს, იმიტომ, რომ იქ განლაგებული ქურთ სეპარატისტთა ბაზები თურქეთის ექსტრემისტულ ორგანიზაციებს ბოევიკებითა და იარაღით ამარაგებენ; ისრაელი მეზობელ ლიბანში დროდადრო „ჰეზბოლაჰის“ ბაზებს უმიზეზოდ როდი ბომბავს, აშშ კი, უშიშროების განსამტკიცებლად დღესვე მზადაა, თავისი ფლოტი ყველა კუთხე-კუნჭულში აფრინოს. ამერიკელთა ანტიტერორისტული ფრონტი ფილიპინების ჯუნგლებიდან ბაღდადის მინარეთებამდეა გადაჭიმული.

რუსეთისთვის კი პაწაწინა პანკისის ხეობა ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენს, როგორც აშშ-ისთვის ავღანეთი და მუქარას შესაბამისადაც უნდა უპასუხოს.

რუსეთის მხარიდან პანკისის ხეობაში ძალის შესაძლო გამოყენებას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ფილიპ რიკერი ასეთ კომენტარს უკეთებს — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ეჭვქვეშ ვერ დადგებაო. არც არავინ აყენებს! აშშ-საც არ დაუპყრია ავღანეთი, მხოლოდ დაეხმარა გარდამავალ ხელისუფლებას საერთაშორისო ტერორიზმის ბუნაგის მოსპობაში. ავღანეთი თუ აშშ-ში ტერაქტის მომწყობთა თავშესაფარი იყო, პანკისის ხეობა მოსკოვსა და ვოლგოდონსკში მომხდარი ტერაქტების ორგანიზატორთა თავშესაფრად იქცა.

მოსკოვმა თავის დროზე აღიარა აშშ-ის „უფლება ძალაზე“, თუმცა პრეზიდენტ ბუშს კონგრესისათვის ძალის გამოყენების ნებართვაც არ უკითხავს, არც გაერომ არაფერი იცოდა დაბომბვამდე. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიაში გეოპოლიტიკური მეტოქეობის ინერცია ვაშინგტონს აიძულებს, სკეპტიკურად მოეკიდოს რუსეთის შესაძლო ოპერაციას საქართველოში. თუმცა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, იგორ ივანოვთან შეხვედრისას აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა თქვა, — მოსკოვს ნამდვილად აქვს უფლება, დააკისროს თბილისს პასუხისმგებლობა ტერორისტული გამოხდომების გამოო. ეტყობა, ვაშინგტონში ხვდებიან, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის რეჟიმის მხარდაჭერა, რომელიც ქვეყნის ნახევარზე მეტს ვერ აკონტროლებს, ნაყოფს ვერ გამოიტანს.

ასე რომ, ვაშინგტონს, რომელიც ძალზე დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორიზმის კერის მოსპობით, ადრე თუ გვიან მაინც მოუწევს ამ საკითხში მოსკოვთან თანამშრომლობა.

საქართველო ვერ აკონტროლებს ტერორისტების მოქმედებას თავის ტერიტორიაზე, ამიტომ უპრიანი იქნება თბილისის მიმართ შემოღებული იქნას რაღაც „გარედან მართვის“ ტექნოლოგია და ეს უპირველესად, თავად საქართველოს წაადგება.

***იტოგი №31***

# მითი და სინამდვილე

## აფხაზეთს მოეშვით, თორემ პანკისში დაგცხებათ...

### წმენდას გელაევი აწარმოებს

ივლისის დამლევს, ითუმყალეში დაკავებული ჩეჩენი ბოევიკები საინტერესო ამბებს ჰყვებიან — ჰამზათ გელაევის რაზმი პანკისის ხეობიდან ერეკება ბოევიკთა პატარ-პატარა ინტერნაციონალურ ჯგუფებსო. ანონიმი ინფორმატორის ცნობით, ქართულმა მხარემ გელაევს დაავალა პანკისის გაწმენდა არაბებისა და არაკონტროლირებადი ჯგუფებისაგან. ფულს საქართველოს სპეცსამსახურები კი არ იხდიან, არამედ ამერიკელები. მათი მიზანია პანკისის ხეობაში მყოფი „ალ-ქაიდას“ წევრების ხელში ჩაგდება. ამერიკელები გელაევს ისე ექცევიან, როგორც ავღანეთში პუშტუნ საველე მეთაურებს — ყველაფერში ფულს უხდიან.



ამერიკელებსაც და ქართველებსაც უნდათ, რომ სიტუაცია პანკისის ხეობაში პროგნოზირებადი გახდეს, თუნდაც კასპიის მილსადენების უსაფრთხოების გამო და ის, რაც არ ძალუძს საქართველოს არმიას და ამერიკული სპეცრაზმები პოლიტიკური მიზეზის გამო ვერ გააკეთებენ, შეუძლია საველე მეთაურ გელაევს. მაგრამ პანკისში დაწყებული წმენდა ხელს არ აძლევს რუსეთს — გელაეველების მიერ გამოდევნილი ბოევიკები ჩეჩნეთში მიდიან და კონფლიქტის ახალ კერებს ქმნიან.

არც პანკისს უქადის სიკეთეს გელაევის მომავალი მონოპოლია: მისი ბოევიკების ჩეჩნეთში შეჭრის საშიშროება კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ რუსეთის ინტერესებისთვის მთავარი საშიშროება ხეობასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ საქართველოსგან მოწყვეტილ აფხაზეთთან.

### ჩეჩნები საქართველოს სამსახურში

ჩეჩნების ცნობით, გელაევის რაზმი პანკისში ქართველ პარტიზანებს ავარჯიშებს და ამზადებს აფხაზეთში საბრძოლველად. თავის დროზე მოსკოვი ფარულად უმართავდა ხელს აფხაზეთს, რის გამოც ქართველებმა ჩეჩნებს მოწყალე თვალით დაუწყეს ყურება. თბილისი ამიტომაც კარგახანს არ ამხელდა მათ ყოფნას პანკისის ხეობაში. შარშან საქართველომ საკუთარი თამაში დაიწყო გელაევის ბოევიკებთან და ცდილობდა, მათი ენერგია სათავისოდ გამოეყენებინა. ჩეჩნები კოდორის ხეობაში შეიყვანეს იმ იმედით, რომ აფხაზები უფრო დამყოლნი გახდებოდნენ რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრისას, მაგრამ შედეგად სულ სხვა რამ მიიღეს. საქართველოსა და ამერიკის დამეგობრებამ კიდევ უფრო დააახლოვა მოსკოვი და აფხაზეთი. სწორედ ამ რესპუბლიკის გამო ეჯახება დღეს საქართველოსა და რუსეთის ინტერესები. ფაქტობრივად, აფხაზეთი ხდება სასაზღვრო ბუფერული ზონა და როგორც ეტყობა, დღესდღეობით რუსეთი მას არ დათმობს. ამიტომ რუსეთის მუქარა, პანკისის დაბომბვის თაობაზე, უნდა მივიჩნიოთ თბილისზე ზეწოლის მცდელობად — აფხაზეთს მოეშვით, თორემ პანკისში დაგცხებათო...

მაგრამ არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც რუსეთის პოლიტიკოსები პანკისის ხეობას უკავშირებენ — მათი ბაზების მომავალი საქართველოში.

### ფული, ფული, ფული...

ძალზე გაჭიანურდა რუსეთ-საქართველოს დიდი ჩარჩო-ხელშეკრულების ხელმოწერა. ამის მიზეზი რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოში ყოფნის ვადების შეუთანხმებლობაა — ქართული მხარე ბაზების ორ წელიწადში გაყვანას ითხოვს, რუსეთს დაუჟინია — ამ საქმისთვის 5-6 წელი მჭირდებაო. ბაზები სტრატეგიულად მნიშვნელოვან წერტილებშია განლაგებული და მისი არსებობა არის გარანტი იმისა, რომ საქართველო ნატოში არ შევა. თავის დროზე მოსკოვი პანკისის ხეობას თბილისზე ზემოქმედებისთვის იყენებდა: როგორც კი ქართველები სამხედრო ბაზების გაყვანას მოითხოვდნენ, მაშინვე წინ ხვდებოდათ რუსების ულტიმატუმი — ჩეჩნების განდევნის შესახებ.

კომპრომისი შეიძლება მოიძებნოს, თუ საქართველო გამოსასყიდს გადაიხდის: ბაზების გაყვანა და მათი კეთილმოწყობა რუსულ ტერიტორიაზე დიდ თანხებს მოითხოვს.

მაგრამ ეს მომავლის საქმეა, დღეს კი ყველა ხედავს, როგორ იმუქრებიან პოლიტიკოსები პრევენტული დარტყმებით და გულმოდგინედ მალავენ თავის ნამდვილ ზრახვებს.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №30***

# საინფორმაციო ომი რუსეთ–საქართველოს საზღვარზე

## თუ მტერი ორი წელია განადგურებულია, მაშ ვის ვეომებით?



აგერ უკვე ორი წელია, რუსეთის გენერლები ფართომასშტაბიან ბრძოლებზე ოცნებობენ, სადაც ერთდროულად აამოქმედებდნენ ასეულობით ტანკს, ათეულობით თვითმფრინავს და ათასეულობით ჯარისკაცს. ამ გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში სამხედრო პროპაგანდისტები თითქმის ყოველთვე იტყობინებიან, ბოევიკები დიდი ქალაქების დაკავებას აპირებენო, მერე კი — გეგმები ჩაეფუშათო. ყველაფერი ეს ზღაპარს ჰგავს მწყემს ბიჭზე, — მგლები, მგლებიო, რომ ყვიროდა... ამიტომაც ასეთ განცხადებებს სერიოზულად აღარავინ ეკიდება. ახლა ბრძოლის საშუალება საქართველოში გაჩნდა. შეიძლება ფართომასშტაბიანი შეტევის დაგეგმვა და ჩატარება, იმ ინიციატივის ხელში ჩაგდება, რაც ჩეჩნეთში დიდი ხანია დაკარგულია. მერე შეიძლება არმიის საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად, — გავიმარჯვეთო, — იძახონ და ჯილდოებიც ჩამოარიგონ, მაგრამ... გენერლებს იმედის გაცრუება უფრო ელით — საქართველოს ტერიტორიაზე გადასვლა გაძნელდება...

რუსეთის ხელისუფლება საამისოდ რომ მზად ყოფილიყო, პოლიტიკური განცხადებების მაგივრად აქამდე დაიწყებდა ოპერაციას. კრემლის პოლიტიკოსების მსჯელობა იმის შესახებ, რომ ჯერ გაეროს ნებართვაა საჭირო, მერე საქართველოსთან და მთავარ „მოთვალთვალე“ აშშ-ის ადმინისტრაციასთან ერთად უნდა განიხილონ საკითხი — იმაზე მეტყველებს, რომ მსგავსი ოპერაციის ჩატარების სურვილი არავის აქვს, რადგან ამას არასოდეს არავინ მოიწონებს, არც იმის იმედია, რომ ამერიკელები საქართველოს „ჩაუშვებენ“ — კრემლში საკმარისად რეალურად მოაზროვნე ხალხი ზის, რომ ამას ვერ მიხვდნენ.

უბრალოდ, მოსკოვსა და თბილისს შორის ნერვების ომი მიდის. კრემლი შევარდნაძეს აშინებს.

ჩეჩნეთის სამხრეთით გამუდმებული ბათქაბუთქია. საინფორმაციო სივრცეში კი პროპაგანდისტული დუელია გამართული.

რუსი სამხედროები იფიცებიან, მესაზღვრეებმა საქართველოდან ჩეჩნეთში მომავალი ბოევიკები გაანადგურესო, ბოევიკები კი იტყობინებიან, — საგუშაგოს თავს არა საქართველოს, არამედ ჩეჩნეთის მხრიდან დავესხით, საგუშაგოც გავანადგურეთ და ათეული მესაზღვრე, მათ შორის ოფიცრებიც, დავხოცეთო და გვარებსაც ასახელებენ. რუსმა გენერლებმა ჩვეულებას უღალატეს და ათამდე მოკლული ბოევიკიც ვერ დათვალეს, მაგრამ თავისი დანაკარგი კი აღიარეს — 60-კაციანი ჯგუფიდან ექვსი თუ რვა კაცი დაიღუპაო. პირის მოსაწმენდად სამხედროები ყოველდღიურად ახალ-ახალ ბრძოლებზე იტყობინებოდნენ და ნელ-ნელა მოკლული მტრის რაოდენობასაც ზრდიდნენ.

რუსმა გენერლებმა პროპაგანდისტული ომი კვლავ წააგეს. შეუძლებელია ჯერ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შესახებ განაცხადო, მერე კი ახალ დიდ გამარჯვებებზე ილაპარაკო. თუ მტერი ორი წელია განადგურებულია, მაშ ვის ვეომებით?

როგორც კი რუსულ-ქართული ურთიერთობა მწვავდება, მაშინვე პანკისის ხეობაში მყოფი ბოევიკების საკითხი წინა პლანზე გამოდის. მთავარი პრობლემა ის არის, რომ რუსეთის არმიამ ჩეჩნეთში ვერ შეძლო წესრიგის დამყარება. სამხრეთის საზღვარზე გადასული ერთი-ორი რაზმი მდგომარეობას არ ცვლის, თუ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ასეულობით ასეთი რაზმია და ფაქტია, გენერლები მათ ვერ უმკლავდებიან...

***ბორის კაგარლიცკი***
***ნოვაია გაზეტა №56***

# ...საქართველომ უნდა დაბომბოს ბოევიკები ჩეჩნეთში?

## ლოგიკის მიხედვით — რა თქმა უნდა!

პანკისის ხეობის სიტუაცია იმით არის საინტერესო, რომ „შევარდნების“ როლში რუსეთის სამხედროები კი არ გამოდიან, არამედ პოლიტიკოსები. აბა, რას უნდა ნიშნავდეს რფ-ის საბჭოს სპიკერის მირონოვის განცხადება, პანკისის ხეობაში პრევენტული დარტყმების განხორციელების შესახებ?

უეჭველია, ბ-ნი მირონოვი ერთობ დაბალი დონის პოლიტიკოსია და არც სამხედრო საქმის ცოდნით გამოირჩევა, ამიტომ შევახსენებ, რომ პანკისის ხეობაში ბოევიკები რუსეთის ტერიტორიიდან მოხვდნენ, რადგან რუსეთ-საქართველოს საზღვარი ცუდად იყო დაცული. მაგრამ იყო შემთხვევებიც, როცა ბოევიკები საქართველოში რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლებს გადაჰყავდათ. კერძოდ, ასე გადაიყვანეს იქით ბანდიტი დოკუ უმაროვი, მკვლელი ჰუსეინ ესებაევი. ყველა „სიკეთესთან“ ერთად, ეს ხალხი ადამიანებსაც იტაცებდნენ!

საქართველოს მოსახლეობა ძალიან დააზარალა ჩეჩნეთიდან გადმოსულმა ბანდიტებმა, აქედან გამომდინარე, საქართველოსაც აქვს საბაბი, რუსეთის ტერიტორიაზე, ჩეჩნეთში დაბომბოს ბოევიკთა ბაზები.

ბ-ნმა მირონოვმა არ იცის, რომ რუსეთის უფს-ს მაღალი ჩინოსნები, საქართველოს სპეცსამსახურებისთვის შეუტყობინებლად, აგენტებს გზავნიდნენ საქართველოში, ზოგიერთი ბანდიტური ჯგუფის ხელმძღვანელთან მოსალაპარაკებლად.

დიახ, პანკისის ხეობაში 200-მდე ბოევიკია, ისინი თავისუფლად დადიან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ უფს-ს აგენტებს პანკისში კი არ ნახულობენ, არამედ თბილისის კაფეებსა და რესტორნებში.

თუ ბ-ნი მირონოვი პრევენტული დარტყმების ორგანიზებას მაინც მოახერხებს, ამით დაიღუპებიან მშვიდობიანი ქისტები, ქართველები, ოსები და ჩეჩენი ლტოლვილები. ბოევიკები კი ამ დროისთვის უკვე სხვაგან იქნებიან, საამისოდ ფული ბლომად აქვთ.

***ვიაჩესლავ იზმაილოვი, სამხედრო მიმომხილველი***
***ნოვაია გაზეტა №56***

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.

CMYK

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიამბობენ

**პატარა თეკლამ** თავის ბებიას ახალშეძენილ ბიძაშვილთან მოკითხვა ასე დააბარა, — ჩემგან გადაკითხვა მოეცით...

***

**2-წლინახევრის ნიტა** ხშირად იმეორებს „მამაო ჩვენოს“. ამ ზაფხულს, სიცხისგან შეწუხებულმა უცებ წამოიძახა: მამაო ჩვენო... ნაყინი ჩვენი არსობისა, მოგვეც ჩვენ დღეს...

***

**4 წლის ტატო ზაკალაშვილს** დედა ასადილებს. ბაბუა ოთახში ბოლთას სცემს. უყურებს ტატო ბაბუს და დედას ეუბნება:

— ეს ჩემი ბაბუ როგორ ჩვენ „მარშუტკასავით“ წინ და უკან დადის (ჩვენი უბანი პატარაა, ერთი სამარშრუტო ავტობუსი გვემსახურება და ხშირად დადის იქით-აქეთ).

***

**პატარა დათა თადუმაძე** კითხულობს:

— მე ერთი პირი მაქვს და საჭმელს ვჭამ, ქარი ორპირი რომ არის, ბევრ ქარს ყლაპავს?

***

**2 წლის ლადომ 8 თვის ლუკას** ტიტლიკანა მუცელზე ხელი დაადო. ბავშვი ცივი ხელის შეხებამ აატირა. ლადოს გაახსენდა, — როგორ ანუგეშებს ხოლმე მის ძამიკოს ბებია და ალერსიანად უთხრა:

— მოგიკვდეს ბებია, შვილო, დაწყნარდი.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ იმ მცენარის სახელს, რომელსაც „წყალწაღებული ეჭიდება“.

II





კოსმოსში, უცნაურ პლანეტებს შორის მოხვედრილ მუკას და მაიკოს აპოვნინე ორი ერთნაირი პლანეტა

## იპოვე 11 განსხვავება



მოცემული საგნებიდან რას ვერ ნახავ ფერმაში





ისრის მიხედვით გაატარე ფუტკარი მზესუმზირის ლაბირინთში

III



რომელი სურათია ზედმეტი

IV დაალაგე სურათის ნაწილები ქვემოდან ზევით სწორი თანამიმდევრობით



## V ანა, გამოიცანი

**1. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რომელ ღმერთს აწოვა ძუძუ თხა ამალთეამ?**
ა) პოსეიდონს; ბ) ზევსს; გ) კრონოსს.

**2. რომელი უფრო ადრე გამოიგონეს?**
ა) ფოტოაპარატი; ბ) თვითმფრინავი; გ) კომპიუტერი; დ) ბორბალი.

**3. რას აგროვებს ნუმიზმატი?**
ა) დროშებს; ბ) მონეტებს; გ) მარკებს; დ) ასანთის კოლოფებს.

## I რებუსი




## ქროსვორდი

| პროდუქციის ღირსება | „გახსოვდეს ... გორისა ხარ“ | მტაცებელი ფრინველი | განთქმული მოჭიდავე | თევზის სახეობა |
|---|---|---|---|---|

| მამალი რქოსანი შინაური ცხოველი | „მზემ ფანჯარას ... სტყორცნა“ | ქმარი ცოლის ნათესავებისათვის | ფიცარი ფანჯრის ქვეშ | ვულკანური მასა | თეთრი ნიშანი საქონლის შუბლზე | ... ჩიბურდანიძე |
|---|---|---|---|---|---|---|

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას...

*მისი მშვენიერებით ყველა მოხიბლული იყო. მოხიბლული კი არა, მასზე შეყვარებულიც. შეუძლებელი იყო ქუჩაში შეუმჩნევლად გაევლო. მისი მოხდენილი სიარული, ულამაზესი სახის ნაკვთები, უსაზღვროდ ლურჯი თვალები იმწამსვე იტაცებდა მზერას. ეს მშვენიერი ქართველი ქალბატონი გახლდათ თინათინ სვანიძე-ჯიქია, არაერთი ხელოვანის მუზა და თაყვანისცემის ობიექტი. ის, ვისაც კონსტანტინე გამსახურდიამ უძღვნა: „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას“... ვისაც პოეტები წიგნებს ჩუქნიდნენ, მხატვრები ხატავდნენ... მისი პორტრეტები შექმნეს ვასილ შუხაევმა და ირაკლი თოიძემ, სერგეი გრაბარმა და ქეთევან მაღალაშვილმა. მოქანდაკე ლამარა ქველიძემ კი უნატიფესი პროფილი მედალიონზე გამოკვეთა. ტიციან ტაბიძის ოჯახში მისი პირველი ხილვით აღტაცებულმა ალექსეი ტოლსტოიმ თქვა, —* Это не реальная, а иреальная красота. *ელენე ახვლედიანი კი მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით ამბობდა, — თბილისში მხოლოდ ოთხ მანდილოსანს აცვია გემოვნებით — თამარ გვახარიას, თამარ ბოლქვაძეს, ვერა შუხაევას და თინათინ ჯიქიასო...*

*კიდევ ერთი რამ გამოარჩევდა ქალბატონ თინათინს — ოჯახი. მეუღლე — უზადო ვაჟკაცი, ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე, ინჟინერი, შენების დიდოსტატი ვლადიმერ ჯიქია. სიმონ ყაუხჩიშვილმა მას „პირველი ხარისხის მოქალაქე“ უწოდა. ვლადიმერ ჯიქიამ ააშენა რიონჰესი, დანაზოგით კი სასტუმრო ქუთაისში, აღადგინა ბაგრატის ტაძარი, გაიყვანა გზა გელათში...*

*დღეს ქალბატონი თინათინი 90 წლისაა. ის მოწმეა ყველაფრისა, რაც საქართველოს დაატყდა თავს 20-30-იან წლებში. თუმცა ისტორიიდან მისი ოჯახის ამოგლეჯა ნამდვილად ეწადათ, ალბომიც კი არ დაუტოვეს, რომ შთამომავლობისათვის ფოტოები ეჩვენებინა, ამაოდ გაისარჯნენ. მის მეხსიერებას ბევრი რამ შემორჩა. ქალბატონი თინათინი იგონებს:*





**მოსკოვიდან ჩამოსულმა მთავრობის წარმომადგენელმა ტრიბუნიდან უპასუხა, — საქართველოს არ სჭირდება ეროვნული ჯარი, ის რუსეთის საკურორტო ადგილიაო. ვალოდია ჯიქიამ მთელი საზოგადოების თვალწინ გააწნა სილა და საორკესტრო ორმოში მოისროლა თავხედი რუსი.**

— ვლადიმერ ჯიქიამ ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა. შემდეგ მეზღვაურობა დაიწყო და მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა. დაბრუნებულმა ჯერ პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ ფიზიკა-მათემატიკისა და ჰიდრომშენებლობის ფაკულტეტები. მას დიდი წვლილი მიუძღვის იმ ბრძოლაში, რომლის შემდეგაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. პეტროგრადში ჯიქია სამხედრო კომისარი იყო. მაშინ სტალინი ჯერ კიდევ არ გახლდათ ანგარიშგასაწევი ფიგურა... ამიტომაც ჯუღაშვილი დიდ პატივს სცემდა... თუმცა, ბოლოს არ დაინდვეს...

**— როგორ გაიცანით ბატონი ვლადიმერი?**

— ვიცნობდი შორიდან. მე გიორგი ნიკოლაძის „შევარდენის“ წევრი ვიყავი. მერე ჩოგბურთის დარბაზში დავიწყე სიარული. ისიც იქ მოვიდა. ვგრძნობდი, რომ მოვწონდი. ჩემმა ნათესავმა — დათიკო ლომინაძემ ერთხელ ნებართვა მთხოვა და სტუმრად მოიყვანა ჩვენთან. მაშინვე მითხრა ვალოდიამ: 20 წელია საქართველოში არ ვყოფილვარ. ვოცნებობდი დაბრუნებაზე... ახლა თუ არ გამიმართლა, იძულებული ვიქნები, სამუდამოდ წავიდეო... ასე გამომიცხადა სიყვარული... მერე მეხუმრებოდა, როგორ უცბად დაიჯერე, რომ საქართველოს დავტოვებდიო...

**— მართლაც დაუჯერებელია, რომ ვლადიმერ ჯიქიას საქართველო დაეტოვებინა. მას ხომ ასე უყვარდა სამშობლო.**

— ქართული ჯარის შექმნაზე ოცნებობდა. უნდოდა ქართული არქიტექტურა განვითარებულიყო, ქართული ენა სახელმწიფო ენა ყოფილიყო... გახმაურდა ინციდენტი, რომელიც ოპერის თეატრში გამართულ ყრილობაზე მოხდა. მაშინ საქართველოს სამხედრო და საზღვაო კომისარი იყო. სიტყვით გამოვიდა და მოითხოვა საქართველოში ეროვნული ჯარის შექმნა. მოსკოვიდან ჩამოსულმა მთავრობის წარმომადგენელმა ტრიბუნიდან უპასუხა, — საქართველოს არ სჭირდება ეროვნული ჯარი, ის რუსეთის საკურორტო ადგილიაო. ვალოდია ჯიქიამ მთელი საზოგადოების თვალწინ გააწნა სილა და საორკესტრო ორმოში მოისროლა თავხედი რუსი. არც მის მოსარჩლე სერგო ორჯონიკიძეს დააყარა კარგი დღე. ამ ინციდენტის სადღეგრძელო არაერთგზის შეუსვამს კონსტანტინე გამსახურდიას.

როცა დააპატიმრეს და ერთადერთხელ შემიშვეს სანახავად, ჯერ ასე მითხრა: აქ რატომ მოხვედი, ამ დღეში რატომ მნახეო... მერე კი, როცა ვკითხე, რას გაბრალებენ-მეთქი, ქართველ კაცს ქართველობას მდებენ ბრალადო...

**— თქვენ ბრძანეთ, ჯუღაშვილი პატივს სცემდაო... დევნა როგორ დაუწყეს?**

— ყველაფერი 1936 წელს დაიწყო. თუმცა ფარულად უკვე სძულდათ ხელისუფალთ, როგორც ნაციონალისტი. 1936-ში ბერიამ წითელი დროშის ორდენზე წარადგინა რიონჰესის მშენებელი, სტალინმა კი წითელი ფანქრით ხაზი გადაუსვა და — ლენინის ორდენი მიეცესო, წააწერა. ორდენის მისაღებად მოსკოვში მეც წავყევი. კრემლში, ცერემონიაზე, სტალინი წამოდგა, ჯიქიასთან მივიდა, მოეხვია და აკოცა. ამის შემხედვარე ბერია გაფითრებულა. იმ საღამოს ჩვენთან, სასტუმროს ნომერში დარეკა ბერიამ. მარტო ვიყავი. გამომკითხა: Что вы собирайтесь делать завтра? მეორე დღეს ვალოდიას მეგობართან ვაპირებდით წასვლას. მეც გულახდილად ვუთხარი. მან კი — Желаю хорошо провести время-ო და ყურმილი დაკიდა. თურმე კვირადღეს სტალინთან ვყოფილვართ პერსონალურად მიწვეულები. ბერიას უნდა დავეპატიჟეთ. მან კი არ გვითხრა. როცა სტალინს უკითხავს: А где Джикия? ბერიას მოუხსენებია: Я передал Ваше предложение, но он поехал к какому-то другу. იქვე დაიწყო პროვოკაცია.

**— ცნობილია, რომ ბერია თბილისში თქვენს მეზობლად ცხოვრობდა და თქვენი აივნები ერთმანეთს უყურებდა.**

— საუბედუროდ, ასე იყო. ერთხელ ჩემმა მეუღლემ შინ მეგობრები მოიყვანა — სანდრო ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი. მალე კონსტანტინე გამსახურდია, ზოზო ნანეიშვილი, გიორგი ელიავაც შემოგვიერთდნენ მეუღლეებთან ერთად. კარგი ამინდი იყო. ვიდრე მე სუფრას ვშლიდი, სტუმრები აივანზე გავიდნენ. ბერიამ შეამჩნია თავყრილობა და თავისი მეზობელი და შინსახკომის თანამშრომელი გამოგვიგზავნა — რაფავა. ალბათ, მოწმედ სჭირდებოდა. მერე თვითონ აივანზე გამოვიდა და ვალოდიას დაუძახა: — Володя, иди ко мне в гости. ჩემმა მეუღლემ უპასუხა: — Не могу, у меня гости, Вы пожалуйте к нам. ბერიამ კი თითი სანდრო ახმეტელს მიაშვირა და — Я туда не приду-ო, — განაცხადა. ამან უსიამოვნება გამოიწვია. ოჯახის სტუმარი შეურაცხყო და აბა, რა იქნებოდა. ყველა ბერიას აგინებდა. მხოლოდ კონსტანტინე ბატონმა გამოიჩინა წინდახედულება, — არ გმართებთ გინება, მაინც მთავრობის თავმჯდომარეაო. რაფავა ჩვენთან დარჩა, ვიდრე სტუმრები არ წავიდნენ, არ წასულა...

**— ბატონი ვლადიმერი შინიდან წაიყვანეს?**

— არა, სამსახურიდან. შინ მარტო ვიყავი. ზარი დაირეკა. ხუთი ფორმიანი ადამიანი შემოვიდა ოთახში. მომახალეს, — სად არის ლენინის ორდენიო? ვუთხარი: მის კაბინეტში, მისი საწერი მაგიდის უჯრაში-მეთქი... როგორ აფასებდა ლენინის ორდენს თქვენი ქმარიო? საკმარისად კარგად-მეთქი. რა მოხდა, რატომ გაინტერესებთ-მეთქი, — ვკითხე. მათ კი ნიშნის მოგებით მიპასუხეს: — Ничего, ничего, мы все знаем, как он ценил наше правительство. გამოაღეს უჯრა. იქ კოლოფში ორდენი იყო შენახული, მაგრამ ზემოდან საქაღალდე ედო. უბრალოდ მოხდა ასე, საგანგებოდ კი არ დაუდია! მათ კი — Посмотрите, где валяется у него такая высокая награда, — გამოაცხადეს. დაიწყეს ჩხრეკა. რას ეძებდნენ, არ ვიცი. ბოლოს, ალბომი წაიღეს და წავიდნენ. ჟანგო ღოღობერიძის ნაჩუქარი ლეპარჟეს სისტემის იარაღი რატომღაც არ წაუღიათ... დავიწყე შინსახკომში სიარული. ერთი უსიმპათიო კაცი იყო — მაქსიმენკო. იმას ვთხოვდი, ნახვის უფლება მოეცათ, სანოვაგე მინდა გადავცე-მეთქი... მან კი, აქ ყველაფრით უზრუნველყოფილი გვყავსო. ვუთხარი: ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ იქნებ, მაინც დამრთოთ ნება-მეთქი... რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკა შინ და უფლება მომცა მენახა. მოვამზადე მეუღლის საყვარელი კერძები, ჩავასხი თიხის ქოთნებში და წავედი. ტიციანი დამხვდა ოპერის წინ, ყვავილების მაღაზიასთან. იქ უყვარდა დგომა, ის ყოველთვის მაცილებდა შინსახკომში, მარტო არ მიშვებდა. ვეუბნებოდი, არ მინდა, იფრთხილე, არ დაგიჭირონ-მეთქი. უარობდა: თუ უნდათ, მაინც დამიჭერენო.



ქეთევან მაღალაშვილის ნახატი

**— თქვენს აივანზე ვინც კი იყო მაშინ, ყველა დაიჭირეს?**

— ყველა. საბედნიეროდ, კონსტანტინე გამსახურდია გადარჩა. სანდრო ახმეტელი და ვალოდია გვერდიგვერდ საკნებში ისხდნენ. ერთმანეთს მორზეს ანბანით ელაპარაკებოდნენ.

**— თქვენც მალე დაგაპატიმრეს?**

— ყველას ცოლებს აპატიმრებდნენ. ჩემოდანი ჩალაგებული მქონდა. მაშინ 23 წლისა ვიყავი. ორნი მოვიდნენ შუაღამისას. თოფებით შეიარაღებულნი. ჩემი პატარა ნანა ატირდა: არ გვესროლო, ბიძიაო... ისე, ჩეკისტებშიც იყვნენ ხალხი, ვინც განიცდიდა ჩვენს მდგომარეობას... ვგრძნობდით ამას, მაგრამ რა, შველა არავის შეეძლო.

**— თქვენი ბედი ბევრმა მშვენიერმა ქართველმა ქალმა გაიზიარა. გადასახლების უმძიმეს პირობებს როგორ გაუძელით?**

— მე და ულამაზესი ქეთუსია ორახელაშვილი — ევგენი მიქელაძის მეუღლე, ერთად ვიყავით. ბევრი ტკივილი და დამცირება მახსოვს. ერთი ზედამხედველი გადაგვეკიდა. ღამის ორ-სამ საათზე გააღებდა უზარმაზარი ურდულით დაკეტილ რკინის კარს. შემოვიდოდა და დაიყვირებდა: Джикия Тина Андреевна, встать... წამოვდგებოდით. ვიდექით თმაგაშლილები... თმის სარჭიც კი არ გვქონდა. На-право! На-лево! დაგვძახოდა თავზე. მძიმე სამუშაოს გვაძლევდნენ. დაჟანგული ნიჩბებით თხრილებს ვთხრიდით. სწორედ მაშინ გავიცანი ასლან აბაშიძის დედა (ცხადია, ისიც, როგორც მემედ აბაშიძის რძალი და იბრაჰიმ აბაშიძის მეუღლე, გადასახლებული იყო). ვისხედით თხრილში. ის თავის პატარა ასლანზე ტიროდა, მე ნანასა და მარინეზე... ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ ყაზახეთიდან 1000 ცხვარი მოიყვანეს გასაკრეჭად და კავკასიელ ქალებს ჩაგვაბარეს. დავიჭერდით უშველებელ ცხვარს, მუხლებით შევდგებოდით, რომ დაგვეკავებინა და ჟანგიანი მაკრატლით ვეწვალებოდით. რომ ჩამოვედი, მერეც კი ლურჯი ლაქები მეტყობოდა სხეულზე ცხვრებისგან ნაგვემი. ერთი უკრაინელი ქალი იყო „სტაროსტა“. კრებაზე გამოაცხადა, შეხედეთ ჯიქიას: ახალგაზრდა ჯანმრთელი ქალი დღეში ორ ცხვარზე მეტს არ კრეჭსო. ვეღარ მოვითმინე: ერთი შენ იყავი ჩემს ადგილასმეთქი. ამის გამო კარცერში ჩამსვეს... მადლიანიც გამოერეოდა ხანდახან. ერთი უკრაინელი კაცი იყო, ზარიკინი, რომელიც იმის გამო იხდიდა სასჯელს, რომ უზბეკეთის ცეკას მდივნის მეუღლეს პარადზე უთხრა: Чертовски ты хороша! რაკი პოლიტპატიმარი არ იყო, კომენდანტად დანიშნეს. გვეხმარებოდა, როგორც შეეძლო. უნებართვო წერილებს გვიგზავნიდა. ის რომ არა, ჩემიანები ვერ გაიგებდნენ, სად ვიყავი... ერთმა ქალმა დაგვაბეზღა. ზარიკინი გამოიძახეს. მოვასწარით და გავაფრთხილეთ... შენ იუარე და არასგზით არ გაგამხელთ-მეთქი. ის კი გადავარჩინეთ, მაგრამ მე კარცერში ჩამსვეს და ჩემთან შემოუშვეს სულით ავადმყოფი ქალი — ემა. გაჩერდა კართან. მიყურა, მიყურა და მითხრა: რა გემრიელი ცხვირი გაქვსო. შევწუხდი. ამას როგორ ამბობ-მეთქი. ხომ იცი, დაგსჯიან, რომ შემეხო-მეთქი. არაფერსაც არ დამსჯიან. ერთს უკვე მოვაჭამე ცხვირი, მაგრამ რაო... ორჯერ დამეძგერა... მორიგე გავაფრთხილე. შევებრალე, მითხრა: სხვა არაფერი შემიძლია, კარს დავტოვებ ღიად. თუ თავს დაგესხა, მოასწარი, გარეთ გამოხტიო. რა დღეში ვიქნებოდი. დღე და ღამე სულით ავადმყოფთან ერთად?! ერთხელაც რომ დამეძგერა, ვიყვირე და გული წამივიდა. ის კი გაიყვანეს, მაგრამ მე უსუფთაო ნემსით გამიკეთეს წამალი. ხელი გამისივდა და კინაღამ დავკარგე. ძლივს მომარჩინეს. პატიმრებში ყველაზე ახალგაზრდა მე ვიყავი. რომ დავბრუნდი, შვილებმა ვერ მიცნეს... ასეთი ნატანჯი ვარ, ცხრა ციხე და ცხრა კარცერი გამოვიარე.

**— ამბობენ, გადასახლებიდან დაბრუნებულებსაც ჯოჯოხეთურად ექცეოდნენ, ყველა ერიდებოდა, ყველა მტერს ეძახდაო.**

— ასე არ იყო. ვალოდიამ იმდენი სიკეთე დათესა თავის ცხოვრებაში, რომ სულ წინ მხვდებოდა. მაგალითად, ტელეფონი ხომ წაგვართვეს, წლების შემდეგ შევხვდი კარტოზიას, (მაღალი თანამდებობის პირი იყო) — თქვენ ვალოდია ჯიქიას მეუღლე ბრძანდებითო? დიახმეთქი. მცირე რაიმეს მაინც გაგიკეთებთ, ტელეფონს დაგიდგამთო. თურმე კარტოზია რომ პეტერბურგში ჩასულა სასწავლებლად, ვალოდიას გაუგია და 5 წლის განმავლობაში საკუთარი ჯიბიდან უხდიდა სტიპენდიას. გიორგი ჯიბლაძეც იხსენებდა: ერთი თვის ხელფასი და თავისი ჰონორარი კონვერტით გამოატანა მძღოლს, — სტუდენტი ხარ, დაგჭირდებაო. მაშინ მანქანა იშვიათობა იყო. ვალოდიას ჰყავდა. კიკეთში გვქონდა აგარაკი. რომ მივდიოდით, გზად ყველას უჩერებდა: გლეხებს, მემაწვნეებს — მე წაგიყვანთო... ძალიან კეთილი იყო.

*ეს არის რამდენიმე შტრიხი თბილისის უმშვენიერესი ქალბატონისა და მისი მეუღლის ცხოვრებიდან. წერილს სანდრო ახმეტელის დაკითხვის ოქმის ამონაბეჭდით დავამთავრებ:* *Его обвиняют в участии в патриотической организации состоявшей из него, Джикия Владимира, Яшвили Павле, Табидзе Тициана, Нанеишвили Зозо, Элиава Гоги, Гамсахурдия Константина и ещё кого-то...*

*გავა დრო... ორი სიტყვა —* ***რეპრესირებულია და რეაბილიტირებულია*** *ამ ყველაფერს ვერ დაიტევს.*

P.S. კიდევ ერთხელ მოვინახულეთ ქალბატონი თინა. იჯდა მშვიდად თავის საყვარელ სავარძელში. უჩვეულო ზღვისფერ თვალებში ისევ უელავდა გარდასული სილამაზის შუქი. სახეს ისევ შერჩენოდა თერთრყირმიზის ფერი. ფოტოზე სრულად ვერ აღიბეჭდა ის სილამაზე, რომლითაც თურმე 90 წლის ქალბატონმაც შეიძლება დაგატყვევოთ. ეს ის ქალბატონი გახლავთ, რომლისადმი მიძღვნილი კონსტანტინე გამსახურდიას ლექსი ყველა ჩვენგანმა თუ არა, უმეტესობამ მაინც იცის...



ზღვისფერი გაქვს თვალები და,
თავად ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და,
მისთხოვდები სხვას.
მივატოვებ გაზაფხულზე
თესვასა და ხვნას.
გადავლახავ ადიდებულ
ჭოროხსა და მტკვარს.
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს,
შენს სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ,
მაგ ნაფერებ ქმარს...
ზღვისფერი გაქვს თვალები და
თავად ჰგავხარ ზღვას.

**ლელა ჯიყაშვილი**

# — „არ შეგეშალოთ შექსპირში...“

## ანუ KOTTEN — 100%

*თითქოს რიტმულად მოვდივარ ჯარისკაცივით და ფეხს ვუწყობ რითმებს, რომლებიც თავიდან არ ამოძის — ახლა რამდენიმე დღე ამეკვიატება — შაირი, ზაირი, ფაილი, სმაილი, თაილი, ნაილი... თან იმ სამყაროზე ვფიქრობ, რომელიც დავტოვე — კოტეს ბარი, კოტეს სალონი თუ კოტეს კლუბი — რაც უნდა ერქვას, სულ ერთია... ერთი ზუსტად ვიცი — ვინც იქ შევა, იოლად ვერ მიატოვებს... ხვალაც მივა... ზეგაც... ერთი წლის შემდეგაც...*

*ვერლენი, ბოდლერი, მეტერლინკი, ჯოისი, ჭავჭავაძე, სარტრი, დოჩანაშვილი, ამირეჯიბი, ჟვანეცკი, ბუკოვსკი, ნაბოკოვი, კაკაბაძე, დევა, მორჩილაძე, ყურბან საიდი, თუმანიშვილი, ტოვსტონოგოვი, ბრუკი, ფალიაშვილი, მიქელაძე, გოგენი, ფიროსმანი — ვის არ ნახავთ ამ ოთახში. ზიხარ შენთვის, ფინჯან ჩაის მიირთმევ და ვერ აგირჩევია, რომელი წიგნი აიღო, რომელი ჟურნალი დაათვალიერო, რომელი ალბომი გადაშალო... უნიკალური ბიბლიოთეკა, უნიკალური ნივთები, უნიკალური ფოტოები, ნახატები... წარწერები ჭერში, იატაკზე, პიანინოზე, მაგიდებზე, სკამებზე... ბებერი ლუი არმსტრონგი, ახალგაზრდა მაილს დევისი, სულ პირტიტველა უცხო მოყმე ვინმე... პატეფონიდან — საქსოფონამდე, ბაირონიდან — ბარათაშვილამდე, მზიდან — მიწამდე, ზღვიდან — ცამდე...*

*თუ სიყვარული უსასრულობაა, წიგნის სიყვარული მარადიულობაა, სიმღერა — უკიდეგანობა, მხატვრობა — კიდევ მეტი და ასე შემდეგ...*

*პოდიუმი გენატრება? — ჩაიცვი მაისურები და იარე წინ და უკან, თუნდაც კედლებზე.*

*იღება კარი, შემოდის კოტე ყუბანეიშვილი და იწყება კინო... მალე ნახავთ ფილმს კოტეზე... კოტეს კინოს... კოტეს სამყაროში... და თბილისში... ოპერატორი აპარატს რთავს... ჩვენი ინტერვიუც იწყება... ჩემ უკან პიანინოს ზურგზე აწერია: „ჟურნალისტიკა არის მისტიკა“ და ვუსმენ...*

— რასაც საერთოდ არ ელოდები, არაფერთან შუაში არ არის, უცებ მოდის შენში, გიჟივით ჩაიწერ რაღაცას, რას, — აზრზე არ ხარ, რომელიღაც მომენტში თუ გახურდი, წავიდა ეს პროცესი და გრძნობ, სწორი ხარ, ეს ყველაფერი სადღაც მიგიყვანს. მთავარია, გახსნა.

**— აქაურობა, ეს სამყარო რა არის თქვენთვის?**

— აქაურობა პირველ რიგში ის არის, რასაც ხედავთ, მეორე რიგში კი — რამდენიმე სამყარო ერთად, სადაც გარშემო არსებულ ჭუჭყს გინდა გაექცე და უკან აღარ მობრუნდე...

**— ანუ თავშესაფარია?**

— ყველაფერი თავშესაფარია... ლიტერატურა, ხელოვნება... ზაფხულში კარგი აგარაკი, სადაც გიყვარს და გსიამოვნებს ყოფნა...

**— ხშირად გამიგია „კინოშნიკებისგან“, რაღაცას როცა ისმენენ ან ხედავენ, რაც აღაფრთოვანებთ, ამბობენ — „სუფთა კინოა“... რას ამბობს ამ დროს კოტე ყუბანეიშვილი?**

— იდეაში კინო ყველაფერია... ადამიანი მაინც კომპიუტერია. ჩვენ ახლა ვიწყებთ აღქმას, კი არ ვამთავრებთ. ატომი კარგა ხანია დაშალეს ფიზიკოსებმა. ახლა უკვე სულის ატომი დაიშლება... პრინციპში, კინო საპირისპიროდ მუშაობს, — ჯერ უყურებ ფილმს და მერე მოდის შენთან ლიტერატურული ინტერპრეტაცია. ლიტერატურა — პირიქით... შენ ჯერ ამბობ და მერე ხედავ კინოს. ყველა ადამიანს საკუთარი კინო აქვს...



**— როგორი იქნება კინო კოტეზე ან კოტეს კინო?**

— კინო ალბათ იქნება ის, რაც არის ჩემი ცხოვრება, სხვადასხვა ადამიანის აზრები ჩემზე... მხოლოდ ქება არ მაინტერესებს... კრიტიკა უფრო მინდა გავიგო. ვიღაცას უყვარს ჩემი ლექსები, ვიღაცას — არა, ვიღაცამ მარტო „ჩეჩენ ვეჩენ“ იცის...

**— და რაში დაგეხმარებათ ეს აზრები?**

— საერთოდ, რომ არ მოგატყუოთ, ძალიან მარტო ვარ... ალბათ... მე ახლა მესმის, რატომ მოიკლა გალაკტიონმა თავი, რაზე ტიროდა ბარათაშვილი, რას ბღაოდა ვერლენი... და რაზე ჩხუბობდნენ სხვები და სხვები... 50 წლის თავზე საკუთარ თავს ყველაზე ძვირფასი საჩუქარი გავუკეთე — ჭეშმარიტი პოეტის ცხოვრებით ვაცხოვრე 10 წელიწადი. რამდენად ბოლომდე გამყვება ცხოვრების ეს წესი, ვერ გეტყვით. რასაც ვერ ვინატრებდი და ვერც გავბედავდი, ისეთი რაღაცები გამომივიდა... მეტი რა უნდა გამომსვლოდა?

**— გენანებათ ის 40 წელიწადი?**

— მენანება... მე რომ ახლა ვიცოდე სპარსული, ფრანგული, თუნდაც ისე ცუდად, როგორც ვიცი ინგლისური, შემეძლოს ლაპარაკი ხელების და ფეხების დახმარებით, იმ თემაზე, რაც მაინტერესებს და იმის თქმა, რაც მინდა, საქართველოს ბევრად უკეთესი პოეტი ეყოლებოდა. მე ეს ზუსტად ვიცი და თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, თვითონ გადაწყვიტოს, პოეტი ვარ თუ არ ვარ... სულ ვფიქრობ, სულ, შეუჩერებლად... ამ კაფეში მე და ნანა მაჭავარიანმა სული ჩავდეთ... რაშიც შენს სულს არ ჩადებ, სისხლის წვეთებს არ ჩაღვრი, ყველაფერი უსახური, უმიზნო და მკვდარია. როცა საკუთარ სულს გაიღებ, შემდეგ გაცოცხლდება — ფერები ტილოზე, ბგერები ინსტრუმენტზე, სიტყვები ფურცელზე... შენი სული უნდა ჩადო, სიყვარული, თავგანწირვა, ჭეშმარიტი ემოცია უნდა ჩადო... ჩემი სახლიდან წამოვიღე წიგნები, მამაჩემის ნახატები, ნივთები... აქ არის ნატა ვაჩნაძე, მაიაკოვსკი, პაოლო; რაც სახლში არ მაქვს, აქა მაქვს. კიდევ... ვცდილობ ჩემი სახლი, ფიქრის გორაზე, მივუძღვნა უნივერსიტეტს. უცხოეთიდან ჩამოვიყვანო კარგი პოეტები, მწერლები, ჩემს სახლში ვაცხოვრო, მოვაწყო საინტერესო შეხვედრები... მაქსიმალურად ვეცადო ილუზია მაინც შევქმნა, იმისა, რომ ლიტერატურული ცხოვრება ამ ჭაობშიც არსებობს...

**— ვინც მოდის აქ, არ მგონია, სამუდამოდ დატოვოს აქაურობა...**

— რა ვიცი... ზოგს მოსწონს, ზოგს არა... ყველას საკუთარი დამოკიდებულება აქვს... ზოგი სპეციალურად მაქებს ან მაძაგებს... ძირითადად, მაინც კარგი გამოხმაურებებია — აი, ამერიკულ პრესაში წერილი აქაურობაზე, აი, რუსულ პრესაში, გერმანულში... აქ მაინც ეს ინსტიტუტია მთავარი, რომელსაც ჩვენი ოთახი ეკუთვნის და — ბატონი გიორგი მარგველაშვილი, მას რომ არ დაეთმო ეს ადგილი, არ იარსებებდა ეს კაფე... ყოველთვის მისი მადლიერები ვიქნებით... ხან ჟვანია კითხულობს აქ ლექციებს, ხან სააკაშვილი, ხან ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი... მეტი რა?

**— პოლიტიკოსებიც პოეზიის რელსებზე დააყენეთ?**

— ცდილობენ... მაგრამ მე ვთვლი, რომ პოეზია ბევრად უფრო მეტი პოლიტიკაა, ვიდრე თვითონ პოლიტიკა. ჩვენი პოლიტიკის ყველაზე დიდი ნაკლი ის არის, რომ ძალიან არაპოეტურია, ცუდი კინოა, მდარე ხარისხის...

**— გააპოეტეთ რომელიმე პოლიტიკოსი?**

— ყველამ ლექსების წერა დაიწყო. მე დამცინოდნენ, ახლა კი ხან ვის მოაქვს ჩემთან ლექსი და ხან ვის... მარაზმში გადაუვიდათ უკვე...

**— კარგ ლექსებსაც ხომ წერენ?!**

— როგორ არა, და ფუტკარივით ვარ, თაფლივით ვეძებ ამ ლექსებს. ვიცი, რომ ასეთი ლექსები ცოტაა და უნდა აგროვო ისე, ძველი ბერები პეშვით რომ აგროვებდნენ წვეთ-წვეთად წყალს. ერთი ჭიქა თუ მაინც შეაგროვე და დაალევინე მომავალ თაობებს, ჩათვალე, რომ უდიდესი საქმე გააკეთე... ეს წლების მანძილზე გროვდება... „ვეფხვი და მოყმე“ შეიძლება ორ წუთში ითქვას, მაგრამ საუკუნეები მზადდებოდა. სამოცი წელი იცოცხლა ივანე წიკლაურმა, რომ მერე სიზმარში ენახა... „რამ დამაბერას“, თუ გინდა, შექსპირის და დანტეს გვერდით დადებ და არ შეგრცხვება,

სახალხო უნდა გახდეს, თუ კაი პოეზიაა... მე ასეთ პოეზიას მივესალმები და ვეძებ. თემურ ჩალაბაშვილის ლექსი რომ წავიკითხე ივანე მაჩაბელზე, გავგიჟდი, შედევრია-მეთქი, ვიძახე და როცა მომეცა საშუალება, ტელეკამერის წინ მისი ლექსი წავიკითხე და არა ჩემი; ასევე ვიპოვე ლალი კეკელიძე, ნიკო გომელაური და ასე შემდეგ... კი არ დავუცადე, რომ მოსულიყო ჩემთან, მომეწონა და კარი გავაღე — პოეზია კარის გაღებაა...

**— მერე?**

— მერე? მე უნდა დავიწყო „მაიკების“ კერვა, რადგან ახლა „მაიკებს“ ვყიდულობ ხუთ ლარად; როცა ამ საქმეს მოვკიდებ ხელს, ხუთი ლარი დამიჯდება ხუთი „მაიკა“... მე რომ კერვა ვიცოდე, ათჯერ უფრო მეტ ფულს ვიშოვიდი. არც გეი ვარ და არც „გომიკი“, ვარ ბებერი და და მევასება, „მაიკების“ ყიდვა იაფად...

**— აბსურდები რა არის თქვენთვის...**

— აბსურდები ყველაზე მაგრად მომწონს.

„კაცს თავის ნაამაგარი
ჰგონია ძაან მაგარი“...
აი, გუშინწინ დავწერე ეს ლექსი:
„ვგრძნობ, ცხოვრება უაზრობით მტანჯავს
რომ შემეძლოს, ავტეხავდი კივილს
ანდა გულში ჩავირტყამდი ხანჯალს,
მაგრამ რა ვქნა, გავურბივარ ტკივილს;
არც დამხმარე აღარავინ არ ჩანს,
ვერც გამგები ჩემი ჭირის ვნახე,
ქალებიც არ მიყურებენ ქაჩალს,
ნაოჭებმაც დამიფარეს სახე;
სიყვარულსაც ვერ ვახერხებ მე ბევრს
და ლოგინში უსარგებლოს ყოვლად,
ნეტავ ვინლა შემიყვარებს ბებერს,
ვის რად უნდა ავადმყოფის მოვლა
ჰოდა, რადგან შველა არ ჩანს, ვატყობ,
ერთადერთი მშვიდად სიკვდილს ვნატრობ“.

ასეთი განწყობა ოცი წლის წინაც მქონია, იქნებ ათი წლის შემდეგაც მქონდეს. თურმე უნდა შეგიყვარდეს, ან პირიქით... ნურც ზედმეტად შეგიყვარდება და ნურც — ნაკლებად. როგორ გინდა დაიცვა ზომა? ბევრი რაღაცებია...

„ერთმა შავთვალა ბანძმა
გადაამტერა ცხრა ძმა“...
„როგორ ვიპოვოთ გამოსავალი
როცა არა გვაქვს შემოსავალი?“
„კაცს სჭირდება სამსახური,
როგორც „ბორჯომს“ თავსახური...“

ასეთი ზუსტი გამონათქვამი შექსპირსაც შეშურდებოდა... მოდით, ასე დავარქვათ სტატიას — „არ შეგეშალოთ შექსპირში“... ო, რა ამბავი ატყდება! აღარ დავამთავრებ ამ ლექსს და მოდი მოვრჩეთ...

*ოპერატორმა სადღაც შუა ინტერვიუში გამორთო კამერა... მერე დაიწერა ის ლექსი — შაირი — ზაირი — ფაილი — სმაილის რითმებზე... ვერც ერთ წიგნს ვერ შევეხე, რადგან ყველას ერთად ნახვა მომინდა...*

*— წავედი, — ვთქვი და ვიგრძენი, როგორ მაცილებდნენ ბებერი ლუი, ახალგაზრდა მაილს დევისი და სულ პირტიტველა უცხო მოყმე ვინმე... სიმშვიდის დასაბრუნებლად მას შემდეგ სულ კეიტ ჯარეტის მუსიკალურ კომპოზიციებზე ვფიქრობ. თვითონ არ ვიცი, რატომ. იქნებ, ეს უფრო სიგიჟეა?!*

# — „შნიცელს“ რომ ვჭამდი შვიდ ულუფას, იმიტომ დამდევდნენ თურმე ბიჭები გუნდად...

***წუთს კი არა, ერთ წამსაც უამრავი რამ გადაუწყვეტია... ცხოვრება თავდაყირა დამდგარა, შემოტრიალებულა — ზოგისთვის კარგად, ზოგისთვის ავად... სოსო ჯაჭვლიანი, — ყველასთვის საყვარელი გედია „ნატვრის ხიდან“, კინოში მოსვლას იმ ერთ წამს უმადლის, რომელმაც ღვთის ნებით გაიელვა მის ცხოვრებაში და კინოსამყაროს კარი გაუღო...***

### წამი, რომელმაც სოსო კინომდე მიიყვანა...

ბედს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს... ღვთის ნებით ალბათ დაბადებიდან არის ყველაფერი კოდირებული ადამიანის ცხოვრებაში... ზუსტად ერთი წამის „ბრალი“ იყო ჩემი სტუდენტობაც და კინოში მოსვლაც. არასდროს მიფიქრია მსახიობობაზე, მაგრამ ბავშვობაში სულ ვთამაშობდი, რაღაცებს ვიგონებდი... არ ვიცოდი, რას ნიშნავდა სიტყვა „რეჟისორი“... სკოლის დამთავრების შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაბარება გადავწყვიტე. სპეციალობაში ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა — გურამ საღარაძემ გამომცადა და ძალიან მოვეწონე... ბოლოს ქიმიის გამოცდა მქონდა. ორიანი მივიღე და გამოვედი ცხვირჩამოშვებული. დედა შემომეგება — რა ქენიო... ჩავიჭერი და იქნება შენ გამოიტანო ჩემი საბუთები-მეთქი, — ვუთხარი. ისიც მაშინვე ჩადგა რიგში, მე კი იქვე, მოპირდაპირე შენობაში მდებარე ფალავანთა კლუბისკენ გავეშურე ფორმის წამოსაღებად. გზაში შავი „ვოლგა“ შემეჩეხა... მანქანამ დაამუხრუჭა, ფანჯრიდან თავი გამოყო გურამ საღარაძემ, მაშინვე მიცნო და — სვანო, რა ქენიო, — მკითხა... თურმე გვერდით უზის ასევე ცნობილი ფალავანი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ბალავაძე და იმას უყვება ჩემზე, — ძალიან მომეწონა ერთი ბიჭი და არც სახელი ვიცი და არც გვარიო... ქიმიაში ჩავიჭერი-მეთქი, — „ვახარე“... აი, ეს არის, ვისზეც გელაპარაკებოდიო, — მიმართა ვახტანგს. მანაც კუნთები შემიმოწმა და წამიძღვა. შევიდა ბატონი ვახტანგი რომელიღაც ოთახში, ჩემი ორიანი სამიანად გადაასწორებინა და დედაჩემს უთხრა, — ქალბატონო, არაჩვეულებრივი შვილი გყოლიათო... ასე გავხდი სტუდენტი... ზუსტად ერთი თვის შემდეგ ინსტიტუტში მოვიდნენ ბატონები რეზო გაბრიაძე და ამირან დარსაველიძე — ეძებდნენ ტიპაჟს ფილმისთვის „სიყვარულო, ძალსა შენსა“... ორი ათასი ადამიანიდან მე ამომარჩიეს... გადამიღეს სინჯები და დამამტკიცეს როლზე... ამის შემდეგ „მოვიწამლე“ კინოთი და კინოსტუდიაში დავიწყე მუშაობა გამნათებლად. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ბატონი რეზო ჭარხალაშვილი, დამაკვირდა და მითხრა, წამომყევი, თენგიზ აბულაძე გედიას როლის შემსრულებელს ეძებს და შეგხედოს, რა იცი, რა ხდებაო... ბატონმა თენგიზმაც მე ამომარჩია... ასე ვიქეცი მსახიობად... შემდეგ სარეჟისორო ფაკულტეტიც დავამთავრე, მაგრამ... დღემდე ვფიქრობ... იმ შავ „ვოლგას“ რომ არ შევჩეხებოდი, გამოვიტანდი ინსტიტუტიდან საბუთებს და წავიდოდი სახლში... სიცოცხლის ბოლო წუთამდე მადლიერი ვიქნები იმ შეხვედრის.



### უყვარდა თუ არა სოსოს ლიკა ქავჟარაძე?

ამ რამდენიმე წლის წინ „ნატვრის ხის“ გადამღები ჯგუფი შეიკრიბა კინემატოგრაფისტთა აგარაკზე... ვისხედით, ვიხსენებდით იმ ლამაზ დღეებს... ერთ მხარეს ლიკა მეჯდა, მეორე მხარეს ჩემი მეუღლე. ვიღაცამ მკითხა — ლიკა არ შეგიყვარდაო? ძალიან არ მიყვარს, როცა კაცი იტყუება, რა უნდა მეპასუხა? არ შემიყვარდა-მეთქი, რომ მეთქვა, არ ვიქნებოდი უნამუსო? შეიძლება ქალი, რომელზეც მთელი საქართველო გიჟდებოდა, რომელიც ბევრისთვის მიუწვდომელი იყო და პირველივე ფილმიდან ჩემი პარტნიორი გახლდათ, არ შემყვარებოდა? შემიყვარდა, მაგრამ სვანურად მოვიქეცი. ვიცოდი, რომ ლიკას ჰყავდა საქმრო, რომელიც გამაცნეს — სანდრო თაქთაქიშვილი... ვიცოდი, რომ ორივეს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი... ამიტომ დღემდე ის ჩემთვის მარიტად რჩება — ლამაზ, სუფთა, საოცნებო მარიტად... პირველ როლზე („სიყვარულო, ძალსა შენსა“) რომ დამამტკიცეს, არჩევდნენ ჩემს პარტნიორსაც... თურმე ლიკა უკვე არჩეული ჰყავდათ, მაგრამ რეზო გაბრიაძემ ჩემი გამოტეხა მოინდომა და მკითხა — ქალი ვერ შევარჩიეთ და შენ რომელსაც დაადებ ხელს, ის იქნება შენი პარტნიორი, რომელი მოგწონსო... დავიბენი, თან შემრცხვა... ბოლოს ამოვღერღე — ლიკა მომეწონა-მეთქი... გამოვტყდი.

### რატომ გახდა პოპულარული სოსო „ნატვრის ხის“ გადაღებებზე...

ვიღებდით ფილმს სიღნაღში. ვიკვებებოდით რაიკომის სასადილოში. ამდენი გენიალური მსახიობი თამაშობდა ფილმში, მათ შორიდან შეჰხაროდნენ, მე კი ბავშვების მთელი ამალა დამყვებოდა... კიტრივით მომწონდა თავი... დავიჯერე ჩემი „ვარსკვლავობა“... — აბა, რომელია? — მესმის ერთ დღეს ერთი ბიჭი მეორეს ეკითხება... წამო, სასადილოში მიდის და დაგიმტკიცებ, რომ მართალი ვარო... — უთხრა მეორემ... ვერ მივხვდი, რა ხდებოდა... თურმე იმის სანახავად დამყვებოდნენ, როგორ ვჭამდი შვიდ ულუფა „შნიცელს“. მე კი პოპულარობა მეამაყებოდა... „შნიცელის“ ჭამისთვის მოუნიჭებიათ ჩემთვის ამდენი ყურადღება იქაურ ბიჭებს... არა, სულ ასეც არ იყო საქმე, გედიაც კი იყო მათთვის საინტერესო, მაგრამ მაშინ მივხვდი, ამპარტავნობა არ უნდა გაიკარო კაცმა სიახლოვეს...

***გვერდი მოამზადა ეკა მახარაშვილმა***

# ამის გულისთვის „არტეკიდან" გამოქცევაც კი მინდოდა...



*საკონცერტო ცხოვრება თბილისში თანდათან ჩაცხრა, ჩაწყნარდა. ცხელ დღეებს უამრავი ადამიანი განერიდა...* **ნუკრი კაპანაძე** *ჯერ კიდევ აქ არის და მისი ხმა, რატომღაც სევდიანი მომეჩვენა...*

— არ მიყვარს ზაფხული... ხშირად დეპრესია მეუფლება. ალბათ, ბევრი დრო მაქვს ფიქრისთვის და ამიტომ... მიყვარს სიმშვიდე, სიმყუდროვე... მიყვარს გვიანი შემოდგომა, ზამთარი და ადრე გაზაფხული... ამ დროს საოცრად ენერგიული და ლაღი ვარ... თითქმის არ ვიღლები... ზაფხულში ვერ ვგრძნობ თავს კარგად... ერთი სული მაქვს, მალე აგრილდეს, დაიწყოს აქტიური ცხოვრება...

**— ზოდიაქოს რომელი ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული?**

— ქალწულის... მაგრამ არ ვარ ჰოროსკოპების მოყვარული. ბევრი რამ ემთხვევა, ბევრი — არა.

**— ნუთუ არ გქონიათ გამორჩეული, ლამაზი ზაფხული?**

— როგორ არა, მაგრამ უფრო ბავშვობაში... მაშინ, როცა ყველანი ბებიასთან ვიკრიბებოდით. ყოველ წელს ჩვენი ეზო ახლობლებით ივსებოდა. იყო ერთი ჟივილ-ხივილი... პატარები კონცერტებს ვმართავდით, სპექტაკლებს ვდგამდით... ძალიან სასაცილოები და პრანჭიები ვიყავით... უფროსებიც თითქმის ყველა მღეროდა — ჩემი მშობლები, ბებიები, ბაბუები, ბიძები... ასე მგონია, ვისაც ბებიასთან ჩასვლის ბედნიერება არ განუცდია, ის ბევრ რამეს ვერ შეიგრძნობს... სწორედ მაშინ გვიჯდებოდა ძვალსა და რბილში ჩვენ, პატარებს, ზრდილობა, უფროსების პატივისცემა, დახვეწილი სიტყვა-პასუხი, ვსწავლობდით ურთიერთობებს...

**— რომელ სიმღერებს მღეროდით მაშინ?**

— ალბათ, რაც მოდაში იყო და რასაც ტელევიზიით და რადიოთი ვისმენდი — იმას... სერიოზულად მხოლოდ სკოლის დამთავრების შემდეგ ავმღერდი. პირველი საკონცერტო სიმღერა კი, რომელიც ანსამბლთან ერთად შევასრულე, დები იშხნელების რეპერტუარიდან გახლდათ...

**— თუ გახსოვთ, როდის დაისვენეთ პირველად დამოუკიდებლად?**

— მე-6 კლასში ვიყავი, როცა ცნობილ პიონერთა ბანაკ „არტეკში" აღმოვჩნდი. დამოუკიდებელი და აქტიური ბავშვი ვიყავი, მიზანდასახული. ვცდილობდი, ბევრ ღონისძიებაში მიმეღო მონაწილეობა. „არტეკში" ყოფნის პერიოდი ზამთარს დაემთხვა. მხოლოდ სამი ქართველი ვიყავით, პიონერთა ხელმძღვანელი კი ვერ იტანდა ქართველებს. სამივეს გვამწარებდა. ბავშვობიდან მძულს ადრე ადგომა და ლოგინის გასწორება. დილით 7 საათზე წამოგვყრიდა, ათ წუთში უნდა მოვმზადებულიყავით, აგველაგებინა ლოგინი და ხაზზე გაჭიმულები უნდა ვმდგარიყავით...

**— მერე, როგორ ართმევდით თავს?**

— სულ ვტიროდი, თავიდან გამოქცევაც მინდოდა... დღესაც მახსოვს, როგორ შემოვარდებოდა ოთახში, ლოგინის გადასაფარებელს ერთი ნაოჭიც რომ ჰქონოდა, ამინგრევდა და მაიძულებდა, იქამდე მესწორებინა, სანამ თვითონ არ მოეწონებოდა. ძალიან თავმოყვარე ვიყავი და ამის გამო საშინლად ვითრგუნებოდი. ისეთი ტკივილი მახსოვს იმ დღეებიდან, რომ იმ პიონერთა ხელმძღვანელის გვარი და სახელიც კი ჩამრჩა გონებაში.

**— სახლში დაბრუნებულს ალბათ ზარ-ზეიმით შეგხვდნენ მშობლები...**

— არა, ჩვეულებრივად... ჩვენი ოჯახისთვის ყოველთვის მიუღებელი იყო პომპეზურობა. ვცხოვრობდით მშვიდად, წყნარად.

**— ლოგინის ალაგება არ გიყვართ, ვიცი, რომ არც სამზარეულოში ფუსფუსი გეხატებათ გულზე...**

— ძალიან მიყვარს წესრიგი. თუ სახლი არეულია, ვერაფერზე ვფიქრობ. სახლის დალაგება და სისუფთავე ჩემთვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორიც დილით ხელპირის დაბანა... მარტო ვცხოვრობ და ჩემი ბინის მოწესრიგებას ბევრი არაფერი სჭირდება. თუ რამე მნიშვნელოვანს ვაპირებ, არსებობს ქალი, რომელიც მეხმარება. ძალიან მიყვარს გემრიელი კერძები, მაგრამ არა სამზარეულოში ტრიალი და სადილების მზადება.

**— წელს არსად აპირებთ დასვენებას?**

— გონიოში ან ბაკურიანში — სადაც ჩემი მეგობრები გადაწყვეტენ, იქ წავალ. მათ გარეშე სუნთქვა არ შემიძლია...

**— ზაფხულის დეპრესიიდან რას გამოჰყავხართ?**

— მაცოცხლებელ ენერგიას ჩემივე სიმღერა მაძლევს. მიყვარს მუშაობის პროცესი, სტუდიის სამუშაოები, დაკვირვება — როგორ კეთდება არანჟირება, მერე თანდათან ვირგებ სიმღერას...

**— ახლა თუ მუშაობთ რამეზე?**

— ორ სიმღერაზე... როგორც იცით, ხელშეკრულება გავაფორმე „არტ-იმედთან" — იქ ცალკე პროექტები მაქვს... არ მიყვარს წინასწარ ლაპარაკი...

**— არ შემიძლია არ აღვნიშნო სიმღერა, რომელსაც უნივერსიტეტის ანსამბლთან ერთად ასრულებთ... ძალიან უხდება თქვენი ხმები ერთმანეთს...**

— მეც კარგად ვგრძნობ მათთან თავს... მომწონს მათი გემოვნება, სტილი, სიმღერის მანერა. ალბათ ამიტომ გამოვიდა სიმღერა კარგი. მომავალშიც დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ მათთან. ჯერჯერობით კი ერთი ფოლკლორული პროექტი მაქვს, რომელსაც თემურ ქევხიშვილის ანსამბლ „იმედთან" განვახორციელებ... ვნახოთ, რა გამოვა...

**— ვიცი, რომ ნუკრის ძალიან უყვარს ძილი, მაგრამ ისიც გავიგე, რომ ვარჯიში დაუწყია...**

ასეთი უცნაური გადაწყვეტილება წელს მივიღე — დავდივარ აუზზე და ვვარჯიშობ. შენ წარმოიდგინე, მომწონს, — ბევრი დრო გამიცდენია ძილში...

**— მაინც, საიდან მოდის ეს ზაფხულის დეპრესია?**

— ბოლო დროს იმდენი კარგი ადამიანი წავიდა, იმდენი ახლობელი დავკარგე, რომ მივხვდი, სიკვდილი აქ არის, ჩვენთან ძალიან ახლოს... როცა მარტო ვრჩები, გამუდმებით მათზე ვფიქრობ...

**— მალე აპირებთ ქალაქიდან გასვლას?**

აგვისტოს ბოლოს, დასასვენებლად ერთი კვირა მეყოფა. მთავარია, ჩემ გვერდით იყვნენ ჩემი მეგობრები, არ მიმატოვოს სიმღერამ და იმედმა, რომ მალე ზაფხული გავა და შემოდგომა დადგება...

*ეკა მახარაშვილი*




ჟურნალ-გაზეთების გამოწერა

თბილისის მაცხოვრებლებისთვის

სახლიდან გაუსვლელად

ტელ: 33-26-73


18 აგვისტო კვირა

17 აგვისტო შაბათი

16 აგვისტო პარასკევი

15 აგვისტო ხუთშაბათი

14 აგვისტო ოთხშაბათი

13 აგვისტო სამშაბათი

12 აგვისტო ორშაბათი

# მე და ყვავილით ჩხავილი? არა, ბულბულივით ვსტვენ...



*მომღერალმა, რომელმაც ფრანგული ესტრადის ვარსკვლავის, ჯო დასენის სიმღერა გააქართულა „საუკუნის ნოსტალგია 2"-ში და არაერთი პოპულარული ქართული სიმღერა შეასრულა, ინტერვიუსთვის დიდი ამბით დამიბარა ფილარმონიასთან. რომ მეგონა, ჩემი რესპონდენტი ამ სიცხეში ალბათ სტუდიაში მუშაობით იკლავს-მეთქი თავს, შევცდი. ყველაზე ბუთხუზა და ფუმფულა ქართველი მომღერალი ფილარმონიის ნაცვლად, საბილიარდოში დამხვდა, იქ, სადაც თურმე ხშირად სტუმრობს. მისი დანახვისას გაოცება ნამდვილად ვერ დავმალე.* **მამუკა ონაშვილი**, *კანში რომ ვერ ეტეოდა, ახლა განახათ ერთი...*

*ბილიარდის ერთი პარტია წააგო და შესვენების დროს ჩვენი დიალოგიც შედგა.*

**— მამუკა, როგორც ერთმა თქვენმა მეგობარმა მითხრა, ბავშვობაში ყაჩაღობასა და მეკობრეობაზე გიოცნებიათ.**

— რას ამბობ, ვიღაცა ბოროტად ხუმრობს. ყოველთვის მინდოდა, მომღერალი ან მსახიობი ვყოფილიყავი. მამაჩემი მომღერალი იყო და სულ ვუუბნებოდი — მამა, მეც მომღერალი უნდა ვიყო-მეთქი.

**— იქნებ ბავშვობაში კითხულობდით წიგნებს ყაჩაღებსა და მეკობრეებზე?!**

— არა, ბავშვობაში, კონცერტებს ვატარებდი, ბილეთებს ვაკეთებდი და მერე მეზობლებში ვყიდდით ათ კაპიკად, უამრავი ასეთი კონცერტი მაქვს ჩატარებული. რაც შეეხება წიგნებს, ბავშვობიდან ძალიან კარგად მახსოვს „წითელქუდა" და „წიქარა".

**— ზღაპრის მგელზე გაბრაზებულს ალბათ მგლის მოკვლაც გნდომებიათ.**

— ო, რაც შეეხება მოკვლას და ნადირობას, ჩემი მეგობრები ხშირად მეპატიჟებიან და ყოველთვის უარს ვეუბნები. არ შემიძლია, სულიერს ტყვია ვესროლო. სათევზაოდ კი ხშირად დავდივარ, ჩემი ჰობია, — ხან სად ვთევზაობ, ხან სად.

**— რომელ „იარაღს" ხმარობთ?**

— ანკესს. ერთხელ ბადეც ვისროლე. სროლას თავისი წესები აქვს, კბილებით იჭერ ბადის რაღაც ნაწილს და რომ ისვრი, კბილებს უშვებ. მე ეს დამავიწყდა და თევზაობას კინაღამ შეეწირა ჩემი კბილები, კინაღამ გავაყოლე ბადეს. იმის მერე შიშით ველარ ვეკარები...

**— მამუკა, თუ არ მუშაობთ, არ თევზაობთ და, რა თქმა უნდა, არც ნადირობთ, რითი ერთობით, წიგნის კითხვით თუ ბილიარდის თამაშით?**

— ისე ვარ გადატვირთული, რომ წიგნის კითხვისთვის ნამდვილად არ მრჩება დრო. წიგნს სხვანაირი განწყობა უნდა. ბილიარდი ძალიან მიყვარს და მცირე ხნით ვახერხებ საბილიარდოში შევლას. ეს ყველაზე ნაკლებად ხდება ზაფხულში, რადგან ჩემი პროფესიის ხალხს სწორედ ამ სეზონზე ეძლევა სტუდიაში ჩაკეტვის და მუშაობის საშუალება.

**— ახლა რაზე ოცნებობთ?**

— ახალ ალბომზე, რომელიც წესით, პირველ ივლისს, ჩემს დაბადების დღეზე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ვერ მოვასწარი. ამ ალბომში, ძირითადად, ახალი სიმღერები იქნება.

**— მამუკა, ისევ ჭორად გავიგე, რომ თურმე ერთ-ერთ რუსულ ფილმში გადასაღებად გიწვევენ.**

— მაგის მთქმელს პირს შაქარი! ნეტავ, მართლა მიმიწვევდნენ, სიამოვნებით დავთანხმდებოდი. რადგან ჭორაობენ, ე.ი. პოპულარული ვარ და კარგად მიდის საქმე. ასე რომ, ჭორიკანებს მივმართავ: იჭორიკანეთ, დიდი მადლობა ყველა ჭორიკანას. ეგ თქვენი პროფესიაა და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

**— დღემდე არ მჯერა, მაგრამ მითხრეს, მამუკა შესანიშნავად ჰბაძავს ყვავებს, ერთს შესძახებს თუ არა, მყისვე მის გარშემო ყვავებით ივსება ყველაფერიო. ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდეც.**

— *(იცინის)* ოჰ, როგორ გაბოროტდნენ, მე და ყვავის ჩხავილი? ბულბულივით კი სიამოვნებით ვუსტვენ. ხის ჩრდილში წამოწოლილი, ან თუნდაც სუფრასთან სიამოვნებით ვუსტვენ ჩიტებთან ერთად და ძალიანაც მსიამოვნებს. პატარა ფრთოსნებიც იქვე ტოტებზე შემოსხდებიან ხოლმე. ეტყობა, მოსწონთ.

**— ახლახან „იუმორინას" ბოლო კონცერტებზე თქვენი, როგორც იმიტატორის დებიუტი შედგა — ზურაბ ჟვანიას თქვენი სახით კიდევ ერთი „ორეული" გამოუჩნდა. „კარგით რა, ბატონო ედუად", თქვენც კარგად გამოგდით. ვინ აღმოაჩინა თქვენში ეს უნარი?**

— შემთხვევით ჩემთან სახლში ბესო ბერულაშვილმა მომისმინა — ჟვანიას ხმაზე გავეცი პასუხი. მაშინვე ბატონ ჯემალ ბაღაშვილს მოახსენა. იმანაც ეს მომენტი გამოიყენა და ჩამსვა „იუმორინას" ერთ-ერთ ნომერში.

**— თქვენზე ისიც მითხრეს, რომ ანეკდოტებს იგონებთ.**

— ეგ უკვე აღარ არის ჭორი, მართალია. მაგრამ ჩემს მოგონილ ანეკდოტს გაზეთში ვერ დაბეჭდავთ უცენზურო გამოთქმების გამო.

**— მამუკა, თურმე თქვენს მეუღლესთან ერთად სიმღერების ჩაწერა დაგიწყიათ.**

— ეგეც მართალია. ჩემი მეუღლე ირინე ჩიხლაძე შესანიშნავად მღერის. ნუგზარ ერგემლიძის „გაფრენილი სიყვარული" ჩავწერეთ და კიდევ ჩავწერთ რამდენიმეს. ყველაფერს მალე თქვენი ყურით მოისმენთ.

**— მიუხედავად იმისა, რომ წონაში გვარიანად დაგიკლიათ და უკვე თქვენი დიეტების ამბავიც „მსოფლიოს" მოედო, მაინტერესებს რამდენი ხინკლის შეჭმა შეგიძლიათ?**

— ოჰ, საერთოდ გურმანი ვარ, ძალიან მიყვარს ხინკალი, მაგრამ ახლა დიეტის მეორე კურსს გავდივარ და ხინკალი და რამე მსგავსი არ მიხსენოთ.

**— კარგი, არ მოგაგონებთ არაფერს, გული რომ არ აგიჩუყდეთ. საბილიარდოში დავბრუნდეთ. როგორ თამაშობთ?**

— ხან ვიგებ, ხან ვაგებ. აქ წაგება არაფერია. კაზინოში წამიგია ხშირად და მომიგია კიდეც. აზარტული ვარ, მაგრამ მაინც ვიცი შეჩერება.

**— რაც არ გერგება, არ შეგერგებაო, — უთქვამთ და საკუთარ თავზე თუ გამოგიცდიათ?**

— კი, ბატონო, ყოფილა შემთხვევა, ქუჩაში ფული მიპოვია და მეორე დღეს დამიკარგავს. მერე ჩამცინებია — ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო, — ტყუილად როდი უთქვამთ.

**— აზარტული ვარო, თქვით, აზარტს რისკიც ახლავს...**

— ვარ რისკიანი. ჩემს მეზობელს სახლის კარი ჩაეკეტა და შინ ვერ შედიოდა, მეც ავდექი და მერვე სართულზე ერთი აივნიდან მეორეზე გადავძვერი კარის გასაღებად. შიში არ ვიცი. საკმაოდ ელასტიკურიც ვარ და ამ ტრიუკის შესრულებაც არ გამჭირვებია.

**— ასეთი კაცი ალბათ ხშირად ფიქრობთ — რასაც დავთეს, იმას მოვიმკიო...**

— სულ ეგრე ვფიქრობ. თუმცა, რას მოვიმკი — მაგაზე ნაკლებად, „თესვას" უფრო ყურადღებას ვაქცევ. „არც არავის ვემონები, არცა ვმონობ არავის" (წაიღილინა). სულ ვცდილობ, არავის ვაწყენინო და ვითხოვ, არც მე მაწყენინონ.

*P.S. ინტერვიუს შემდეგ მამუკასთან ბილიარდის პარტიაც სიამოვნებით ჩავატარე, თუმცა თამაში ჩემი დამარცხებით დამთავრდა. თუ ვინმეს გაგიჩნდებათ სურვილი „ჯავრი ამომაყრევინოთ", სიამოვნებით მიგასწავლით მომღერალი „ბილიარდომანის" ადგილსამყოფელს და მერე, აბა, თქვენ იცით!*

*ეკა ლომიძე*

# საიდან იწყება საქართველო...

**„კვირის პალიტრის“ მკითხველს უკვე შევთავაზეთ რამდენიმე ნარკვევი ქართველთა მეფეებისა და მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდების შესახებ. პუბლიკაციები უყურადღებოდ არ დარჩენილა და როგორც ჩანს, ინტერესი საქართველოს ისტორიის მიმართ არ განელებულა. ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, კიდევ ერთხელ, თვალის ერთი გადავლებით მიმოვიხილოთ ჩვენი ხალხის მიერ განვლილი ათასწლეულების ისტორია, ქართული ცივილიზაცია. და ყოველივე ამას მივცეთ განსაზღვრული გზა და კვალი — ერთგვარი გეზი! ამ გეზად მივიჩნიეთ ერის მატიანიდან განუყოფელი და თანამდევი — მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობის თანამიმდევრული განხილვა: უპირველესებიდან შემდგომ და შემდგომ... ვიდრე საქართველოს უკანასკნელ მეფემდე.**

## ქართველთა მოდგმა

იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არ აინტერესებდეს საკუთარი ხალხის ისტორია, მეფეთა ცხოვრება-მოღვაწეობა და აქვე ჩნდება ბუნებრივი კითხვა — როდიდან იწყებს ათვლას ქართული სახელმწიფოებრიობა და ვინ იყვნენ პირველი მეფეები.

ქართულ სახელმწიფოებრიობას უძველესი ტრადიციები გააჩნია, მაგრამ კონკრეტულად როდის შეიქმნა პირველი სახელმწიფო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამასთან დაკავშირებით საყოველთაოდ მიღებული აზრი არ არსებობს. იკვეთება რამდენიმე პოზიცია. ერთნი ზღვრად ძვ. წ. IV-III საუკუნეებს ადგენენ, როდესაც ფარნავაზმა შექმნა სახელმწიფო. არის სხვა მოსაზრებაც — ეს გახლავთ ძვ. წ. VIII საუკუნის კოლხური დასავლურ-ქართული ცივილიზაცია. ზოგს პირველი სახელმწიფოები უფრო სიღრმეში ჩაჰყავს — ამ პოზიციით, ქართული სახელმწიფოებრიობა მინიმუმ სამი ათას წელს ითვლის. სიმბოლურია, რომ ორი წლის წინ აღინიშნა კიდეც ქართული სახელმწიფოებრიობის სამიათასწლოვანი იუბილე.

არგუმენტები არგუმენტებად დარჩეს, ჩვენ კი თვალი გავადევნოთ შორეულ წარსულს და ვთქვათ, თუ ვინ აღირიცხებიან პირველ მეფეებად, თუნდაც მითოსურ, ლეგენდარულ, მაგრამ მაინც მეფეებად. ეს ათასწლეულთა ისეთი სიღრმეა, როცა ჭირს გარჩევა ლეგენდისა რეალობისგან. მეორეც, ვინ იცის, ისინი მართლა მეფეები იყვნენ თუ ჯერ კიდევ ტომის ბელადები. შეიძლება ერთიცა და მეორეც. ჩვენ მაინც მათგან დავიწყოთ ათვლა!

მაშ ასე, წყაროების მიხედვით, გვიან ბრინჯაოს ხანაში — ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საფუძველი ეყრება ადრეკლასობრივ სახელმწიფოებს. ასეთი გაერთიანებანი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოცენებული დიაოხი (ტაოხი, ტაო) და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი უძველესი კოლხა (კოლხეთი).

მსოფლიოში ორი ათასამდე ეთნოსი (ხალხი) არსებობს. უძველესი ქართული ტომებიდან შეიძლება დავასახელოთ ქართები, მეგრელ-ჭანები და სვანები, რომელთაც ერთი საერთოქართველური ენა უნდა ჰქონოდათ (ალბათ უკვე ძვ. წ. V ათასწლეულიდან). ამ ფუძეენას ჯერ სვანური გამოეყო, შემდეგ კოლხური (ანუ მეგრულ-ჭანური) და ქართული. შესაბამისად, სვანები იკავებენ დიდი კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთის კალთებს, კოლხები — კოლხეთის დაბლობს და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს, ხოლო მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაფუძნებული ქართების დიალექტმა საკუთრივ ქართულ ენას დაუდო სათავე (ანტიკურ სამყაროში ქართები უკვე იბერებად მოიხსენიებიან).

## არალე – ურარტული ღვთაება

მსოფლიოში იზოლირებული, სტერილური ხალხი არ არსებობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართველთა წარმოშობა-ჩამოყალიბებაში, გარდა ერთი გენეტიკის ქართველური ტომებისა, მონაწილეობა მიიღო მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებმა. მათ შორის შუმერებმა, პროტოხეთებმა, ხურიტებმა, ასურელებმა, ურარტუელებმა (ეს ხალხები ახლა აღარ არსებობენ).

ამ მხრივ გამოირჩეოდა სამხრეთელი მეზობელი — ერთ დროს ძლევამოსილი სახელმწიფო, ურარტუ (მან მხოლოდ სამი საუკუნე იარსება), რომელიც ძვ. წ. 590 წელს მიდიელებმა მთლიანად გააცამტვერეს. მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქართველთა წინაპარს შეერია.

ქართულ ლექსიკაშიც დამკვიდრდა ურარტული სიტყვები. მაგალითს მოვუხმოთ — ყირა, ყირამალა, თავდაყირა... ქართველური ენებით არანაირად არ აიხსნება, ხოლო ურარტულში (რომელიც ახლა მკვდარი ენაა), როგორც გაირკვა, „ყირა“ მიწას აღნიშნავდა.

ურარტუელებმა ქართველი ხალხის ღვთაებათა პანთეონში შემოიტანეს მოსავლიანობის კულტი-ღვთაება „არალე“. საუკუნეების განმავლობაში სრულდებოდა მთელი რიტუალი მისდამი ვედრებით, რომელიც როკვაში გადადის და ღვთაებისადმი ხოტბას და უხვი მოსავლის აღების ზეიმს განასახიერებს. ქართულ ხალხურ სიმღერებში დღესაც გაისმის: „ივრი არალე“ (ურარტულად „მეუფეო არალე“), „თარი არალე“ („დიდო არალე“) და ა.შ. ამდენად, ჩვენი ქვეყანა ურარტუს ცივილიზაციის ერთ-ერთ მემკვიდრედაც ითვლება...

## სიენი – „მეფე დიაოხის ქვეყნისა“

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოსთვის ქართველურ ტომთა განსახლებაზე ჩნდება დიდი გაერთიანება, რომელსაც, ადრეკლასობრივი სახელმწიფოს წარმოქმნა მოჰყვება. მას ურარტული ლურსმული წარწერები დიაოხად მოიხსენიებენ, ძველი ბერძნები — ტაოხად. ეს უკანასკნელი ისტორიულ პროვინციასთან, ტაოსთან ასოცირდება.

დიაოხი რომ ყველაზე ძლიერი იყო ასურეთის მოქიშპეებში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც ასურეთის მეფემ, ტიგლათფილესერ I-მა ე.წ. ნაირის ქვეყნები დაიპყრო ძვ. წ. 1112 წელს, მისთვის ყველაზე დიდი წინააღმდეგობა დიაოხის მეფეს — მამაც სიენს გაუწევია. დამპყრობი კლდეზე ამოკვეთილი ლურსმული წარწერით გვამცნობს: „... ღვთაება ასურის შემწეობით — სამყაროს ოთხივე მხარეზე სამართლიანად ვმბრძანებლობ... ნაირის ქვეყნების 23 მეფე გამომეგება საომრად... მათი მეომრების გვამები მივფანტ-მოვფანტე, ხელთ ვიგდე 120 საბრძოლო ეტლი. ურიცხვი პირუტყვი წამოვიყვანე. ნაირის ყველა მეფე დავატყვევე, მაგრამ შევიწყალე, სიცოცხლე შევუნარჩუნე და გავათავისუფლე. სიენი, მეფე დაიაენის (ანუ დიაოხის) ქვეყნისა, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, ჩემს მეუფეს, ქალაქ ასურში წავიყვანე და იქ შევიწყალე“...



მერაბ ბერძენიშვილი: „მედეა“, ბიჭვინთა

## დიაოხს ურარტუ ებრძვის

საქართველოს ისტორიის ბედისწერა თუ ბედის წყალობაა ისიც, რომ უზარმაზარი იმპერიები და ცივილიზაციები ნადგურდებიან, ზოგჯერ უკვალოდ ქრებიან, ჩვენი წინაპრები კი აგრძელებენ ისტორიის ჩაუშლელ ჯაჭვს.

განადგურდა ასურეთიც.

დიაოხს სამხრეთიდან ახლა ურარტუს ძლიერი სახელმწიფო დაუმეზობლდა... და მათ შორისაც იწყება შეჯახებები, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ურარტუს მეფე მენუასა და მისი შვილის, არგიშთი I-ის დროს. კვლავ დიაოხი უდგება სათავეში ქვეყნების კოალიციას ურარტუს წინააღმდეგ. ამ დაპირისპირებაში დიდ კვალს ტოვებს დიაოხის მეფე უტუფურსი. ურარტუელებმა თავდაპირველად დაამარცხეს იგი და ხარკიც დააკისრეს, მაგრამ მალე დიაოხი კვლავ აჯანყდა და არგიშთი I-ს დიდი ჯაფა დაადგა მეფე უტუფურსის დასამორჩილებლად.

ამ გამარჯვების აღსანიშნავად ერთ-ერთ კლდეზე ამოკვეთილია წარწერა, სადაც არგიშთი დიაოხს მდიდარ და „ძლევამოსილ ქვეყნად“ მოიხსენიებს: „... ქალაქი ზუა, დიაოხის ქვეყნის სამეფო ქალაქი, მე დავწვი... დიაოხის მეფე დავიმორჩილე, შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით“. აი, როგორი ხარკი უნდა მიეცა უტურფურსს ურარტუსთვის: 41 მინა სუფთა ოქრო (მინა უდრიდა დაახლოებით 505 გრამს), 37 მინა ვერცხლი, 10 000 მინა სპილენძი, ათასი ცხენი, აურაცხელი პირუტყვი...

გაუთავებელ ბრძოლებში დასუსტდა დიაოხი და ძვ. წ. VIII საუკუნეში მან არსებობა შეწყვიტა.

## დიაოხების თავგანწირვის ამბავი

ბერძენი სწავლული და მხედართმთავარი ქსენოფონტე ანტიკურ ხანაში ასე აღწერს ბერძენთა ლაშქრობას დიაოხზე (ანუ ტაოხზე): ბერძნების ათიათასიანი ლაშქარი ძარცვა-გლეჯით მიიწევდა წინ. დიაოხები თავს აფარებდნენ მიუვალ კლდეებს პირუტყვთან ერთად. ერთი მთის წვერზე მიაკვლიეს ბერძნებმა ასეთ თავშესაფარს და ასვლა იწყეს. დიაოხები ზემოდან უზარმაზარ ლოდებს აგორებდნენ და ბევრი ბერძენი მეომარი იმსხვერპლეს. მაგრამ მათ მაინც შეძლეს ზემოთ აღწევა.

„მაშინ, — წერს ქსენოფონტე, — ჩვენ წინ გადაიშალა საშინელი სანახაობა. ქალები ისროდნენ ქვემოთ თავიანთ შვილებს და შემდეგ თვითონაც ცვიოდნენ კლდიდან უფსკრულში. მამაკაცებიც ასევე იქცეოდნენ. სარდალმა ენეოსმა დაინახა ერთი, ლამაზ ტანსაცმელში ჩაცმული დიაოხი, რომელიც მორბოდა და, კლდიდან გადავარდნას ლამობდა. ენეოსმა სტაცა მას ხელი, მაგრამ დიაოხმა ისიც თან გადაიტანა. ორივენი გადაეშვნენ კლდიდან და დაიღუპნენ. აქ ძალიან ცოტა ხალხი ავიყვანეთ ტყვედ. სამაგიეროდ, ბევრი რქოსანი პირუტყვი, სახედრები და ცხვრები ვიგდეთ ხელთ...“

## კოლხა

დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს ყალიბდება კოლხა, კოლხეთის სამეფო. პირველი ცნობები კოლხთა ტომების შესახებ ასურულ ლურსმულ წარწერებში გვხვდება „ზემო ზღვისპირა ტომებისა და მათი მეფეების“ სახით.

**... პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი — დიაოხი, კოლხა.**
**... სიენი — მრავალთაგან გამორჩეული მეფე.**
**... უტუფურსი — დიაოხის კიდევ ერთი გმირი მეფე.**
**... დიაოხები მონობას სიკვდილს არჩევენ.**
**... სტრაბონი:„მითი არგონავტების შესახებ ნამდვილია!“**
**... აიეტის სამფლობელო.**
**... მედეას შვილები არ დაუხოცავს!..**

ძველბერძნულ მითში არგონავტების შესახებ აისახა ელინელების წარმოდგენა კოლხეთის, როგორც უმდიდრეს და უძლიერეს სამეფოზე. ეს არის მითი, რომელშიც ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. სწორედ ამ მითის უტყუარობაზე წერდა ანტიკური ხანის გამოჩენილი ბერძენი მეცნიერი სტრაბონი: „ვფიცავ ზევსს, რომ ნამდვილად იყო ეს შორეული მოგზაურობა, ისევე როგორც ოდისევსისა და მენელაოსისა... აიას ხომ მიგვითითებენ ფაზისთან, ხოლო აიეტი რომ კოლხეთში მეფობდა, სარწმუნოა!“

რაც შეეხება არგონავტების ხომალდით მოგზაურობის შესაძლებლობას, ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში ინგლისელმა მოგზაურმა ტიმ სევერინმა გაიარა არგონავტების მარშრუტი ზუსტად ისეთივე კონსტრუქციით აგებული ხომალდით, როგორიც ძველბერძნული „არგო“ იყო.

## მითური „ოქროს საწმისი“

„ოქროს საწმისის“ მითის მიხედვით ორქომენენის მეფე ათამანტს ქალღმერთ ნეფელესგან ჰყავდა ორი შვილი — ფრიქსე და ჰელე. ათამანტმა ცოლს უღალატა და ინოზე დაქორწინდა. დედინაცვალმა გერების დაღუპვა მოინდომა. როდესაც მტერი შემოესიათ, ინოს ჩაგონებით, მისანმა ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვა დაადგინა ქვეყნის გადასარჩენად. მეფე მზად იყო შეეწირა ფრიქსე, მაგრამ დედის, ქალღმერთ ნეფელეს მიერ გამოგზავნილმა ოქროსსაწმისიანმა ვერძმა შეისვა ზურგზე და-ძმა და გააფრინა ჩრდილოეთისკენ. გზაში ჰელე გადმოვარდა ვერძის ზურგიდან და ზღვაში დაიხრჩო. იმ ადგილს ჰელესპონტი (დარდანელი) უწოდეს.

ღვთაებრივი ცხვარი კოლხეთში დაეშვა. მეფე აიეტმა შეიხიზნა ფრიქსე და მას ცოლად შერთო ქალკიოპე, თავისი ერთ-ერთი ქალიშვილი. ვერძი შესწირეს ზევსს, ოქროს საწმისი კი შეინახეს და მცველად ურჩხული დაუყენეს. ამბავი ოქროს საწმისის შესახებ შორს გასცდა კოლხეთის საზღვრებს, მიაღწია ელადას...

ოქროს ვერძის კოლხეთში არსებობას — რეალური საფუძველიც აქვს. „ოქრომრავალი“ ძველი კოლხები ოქროს ქვიშებს მთის მდინარეებში სწორედ ცხვრის ტყავის გამოყენებით მოიპოვებდნენ.

## მითი არგონავტების შესახებ

ოქროს საწმისზე თვალი მრავალს ეჭირა და მათ შორის ყველაზე გამბედავი ბერძენი იაზონი აღმოჩნდა, რომელსაც ბიძამ, მეფე პელიასმა მამამისისთვის წართმეული სამეფოს დაბრუნების საზღაურად ოქროს საწმისი მოსთხოვა. იაზონმა ხომალდი ააგო, რომელსაც, ერთი ვერსიით, მისი მშენებლის, არგოსის სახელი უწოდეს — „არგო“.

50 რჩეული გმირი მოემგზავრება „არგოთი“. თვით მძლეთამძლე ჰერაკლეც მათ შორისაა. ბევრი ხიფათი გადალახეს, ეკიპაჟის რამდენიმე წევრი დაიღუპა, რამდენიმე დაიკარგა, ჰერაკლეც ჩამოშორდათ. კუნძულ ლემნოსზე სასიყვარულო ამბებშიც ჩაიძირებიან. იაზონი დედოფალ ჰიპსიდილეს გაუმიჯნურდება... ბოლოს, ფაზისის შესართავსაც მიაღწევენ და კოლხეთის სატახტო ქალაქს — კუტაიას მიადგებიან.

... ჭალაში თვალისმომჭრელად ბრწყინავდა უზარმაზარ მუხის ხეზე გამოფენილი ოქროს საწმისი, რომელსაც გველეშაპი დარაჯობდა. არგონავტებმა ვერ გაბედეს პირისპირ შერკინებოდნენ ურჩხულს და აიეტს ეახლნენ — ოქროს საწმისის სანაცვლოდ მტერთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზეს.

აიეტს არ სურდა თავისი სამეფოს სიმბოლოს დათმობა და იაზონს ურთულესი პირობა შესთავაზა: არესის ველზე ჯერ ცეცხლისმფრქვეველი, სპილენძისჩლიქებიანი ხარები უნდა დაემორჩილებინა, შემდგომ გველეშაპის კბილები დაეთესა და ნათესიდან ამოსული დევები დაეხოცა...

იაზონს ბედმა გაუღიმა. იგი აიეტის მშვენიერ, „კოჭლამაზ“ ასულს, მედეას შეუყვარდა. გრძნეული ქალის მიერ მომზადებული სასწაულმოქმედი ნელსაცხებლით ბერძენმა მეფისწულმა აიეტის პირობა შეასრულა, მაგრამ კოლხთა მეფემ მაინც ვერ გაიმეტა ოქროს საწმისი. მაშინ იაზონმა ისევ მედეას დახმარებით (რომელმაც მოაჯადოვა და დააძინა ურჩხული) გაიტაცა ოქროს საწმისი, მედეაც თან გაიყოლა და ხომალდი „არგო“ ელადისკენ დაიძრა. გზად მათ აიეტის მიერ დადევნებული მებრძოლები წამოეწივნენ, რომელთაც მედეას ძმა აფსირტე მეთაურობდა. არგონავტებმა მდევრები უკუაქციეს, აფსირტე კი, მიუხედავად მედეას წინააღმდეგობისა, მოკლეს.

ასეთი „ნადავლით“ დაუბრუნდა ელადას გმირი იაზონი, რომლის გმირობა, მედეას დახმარება რომ არა, ალბათ ვერ „შედგებოდა“.

თუმცა მედეას ტრაგედია აქედან იწყება. უფრო სწორად, ბერძნებმა ვერ იგუეს უცხო ტომის გრძნეული დედოფალი და მისი სახელი არაერთგზის მოაქციეს ჩრდილქვეშ...

ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენმა დრამატურგმა ევრიპიდემ ტრაგედია მიუძღვნა არგონავტების მოგზაურობას. ეტყობა, მან კოლხი მედეას დაკნინებით მოინდომა იაზონის განდიდება და უცხო ტომის ქალი არ დაინდო. არ დაინდო იმდენად, რომ საკუთარი შვილებიც კი „დაახოცვინა“ ქმარზე შურისძიების ნიშნად. ევრიპიდემ ისე „შთამბეჭდავად“ აღწერა მედეას ტრაგედია, რომ მსოფლიო ლიტერატურამ (შესაბამისად, მსოფლიოს ხალხებმა) ქართველი ქალი სწორედ ევრიპიდესეული, ქმრის ღალატით გაბოროტებული, შვილებისა და მეტოქის მკვლელის სახით გაიცნო.

არადა, ეს ყოველივე მხოლოდ ლიტერატურული პასაჟებია. მედეას რომ შვილები არ დაუხოცავს, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ბერძენი ფილოსოფოსი ჰესიოდე თავის ნაშრომში „თეოგონია“ მოიხსენიებს იაზონისა და კოლხთა მეფის ასულის ვაჟს, ჭაბუკ მედიოსს. მედიოსი ასევე მოხსენიებულია არანაკლებ ცნობილი ბერძენი ავტორის კინეთონის „ელადის აღწერაშიც“.

## აიეტი – კოლხეთის მეფე

ამრიგად, არგონავტების მითის მიხედვით, ჩვენ უკვე ვეცნობით უმდიდრესი კოლხეთის მეფეს, აიეტს. ეს არის „გმირული პერიოდის“, ანუ ნახევრად ღმერთების ხანა. თვით აიეტსაც მზის ღმერთის ჰელიოსისა და ზევსის ასულის პერსეიდას შვილად მიიჩნევენ. მითური სატახტო ქალაქი აია, კუტაია დღევანდელ ქუთაისთან ლოკალიზდება. ქუთაისი რომ უძველესი ქალაქია, ამას არქეოლოგიური მონაპოვრებიც ადასტურებენ.

აიეტის სამფლობელო თევზუხვი მდინარეებით და ნადირთმრავალი ტყეებით იყო განთქმული. განთქმული იყო ხელოსნობითაც, — ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიით. აიეტის ქვეყანას ეკუთვნოდა ხალიბთა ტომის რკინის მდიდარი საბადოებით განთქმული სამკვიდრო. სწორედ იმ ხალიბებისა, რომელთაც სახელი მოიხვეჭეს რკინა-ფოლადის დამუშავებით.

ყველაფერთან ერთად ოქროს სიუხვითაც იწონებდა თავს აიეტის სამფლობელო. ამიტომაც იყო, რომ ანტიკური ხანის ერთ-ერთ სანუკვარ და მიუწვდომელ ოქროს საწმისსაც ბერძნული მითოლოგია აიეტის სამკვიდროში მოიაზრებს.

**ასე, ნახევრად მითებისა და ლეგენდების „გარემოცვაში“, ასურული და ურარტული ლურსმული დამწერლობის „წყალობით“ და, რაღა თქმა უნდა, არქეოლოგიური მასალებით, დასტურდება გვიან ბრინჯაოს ხანაში, ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს პირველ ქართველ ტომთა გაერთიანებები. ისინი თანდათან უადრეს ქართულ, ადრეკლასობრივ სახელმწიფოებად — დიაოხად და კოლხად ჩამოყალიბდნენ, რომელთაც შეუმზადეს პირობები მომდევნო საუკუნეებში მაღალგანვითარებულ ერთიან ქართულ სახელმწიფოს.**

*ისტორიული წყაროებისა და ქართველ მეცნიერთა ნაშრომების მიხედვით*
*პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი მიმოიხილა*
**ნოდარ შოშიტაშვილმა**

CMYK

# თბილად დამხვდნენ, მაგრამ უპატრონო მაინც არავის უნდა...



მას ნიკა ჰქვია. სოხუმელია. აფეთქებების საშინელი ხმა და ტყვიების ზუზუნ-წუილი დღესაც ხშირად აგონდება. მაშინ ის პატარა იყო, 5 წლისა. ახლა 14 წლისაა და იმდენად მაღალია, იოლად აჯერებს სხვებს, სრულწლოვანი ვარო. ეს უწყინარი ტყუილი კი ნიკას „სამსახურისთვის" სჭირდება, რათა ყოველდღიური პურის ფული შეიტანოს იმ ოჯახში, რომელმაც შეიფარა. როცა ვკითხე, რატომ გქვია ნიკა, როცა მშვენიერი გოგო ხარ-მეთქი, გაეცინა: დედა მოფერებით ნიკას მეძახდა. ნაცნობებს უკვირდათ — რატომ გქვია ბიჭის სახელიო. ვპასუხობდი, ჩემს სანათესაოში ბიჭი არ იყო, ამიტომ მამამ ბაბუის სახელი დამარქვა-მეთქი. შემდეგ ნიკა ლიკათი შევცვალე.

ნიკა-ლიკა სოხუმიდან კეთილ მეზობლებს გამოუყვანიათ. თურმე არც ტიროდა, არც ხმას იღებდა. გოგონა რუსი ბიცოლასთვის ჩაუბარებიათ. სხვა ნათესავიც ჰყავდა თბილისში, ბებიად ერგებოდა (ბებიის დეიდაშვილი). იგი მარტო ცხოვრობდა და გალოთებული ბიცოლასთვის უთხოვია, ბავშვი მე დამითმეო. შენზე კარგადაც მოვუვლი ობოლ ბავშვსო, — მიუხლია იმ დედაკაცს.

ნიკა-ლიკას „მზრუნველ" ბიცოლასთან დალხინებული ცხოვრებით არ უცხოვრია. მას ამფსონები მოჰყავდა ხოლმე შინ, სვამდნენ, იგინებოდნენ და ღმერთმა იცის, რას აკეთებდნენ.

ასე გავიდა ხუთი გაუხარელი წელი. ერთხელაც ბიცოლამ მაზლიშვილს 17-18 წლის გოგო გააცნო და გამოუცხადა — შენხელა გოგონები ოჯახს არჩენენ, ამას მიენდე, რასაც გეტყვის, ის გააკეთე. ფული კი მე ჩამაბარეო. „კეთილისმყოფელმა" ისეთ ადგილას მიიყვანა ბავშვი, სადაც დღისითაც და ღამითაც ცოცხალი ვაჭრობა მიდის... ლიკას პატარა გონება ჩასწვდა „სარფიანი სამსახურის" არსს და თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა იქიდან.

ბიცოლა წიხლით შეძგა ბავშვს...

როცა ბიცოლამ დაიძინა, გოგონამ ფრთხილად გამოიხურა კარი და გაუყვა გზას ბებიის დეიდაშვილის სახლისკენ. ნაშუაღამევს გოგონა რომ დაინახა, კინაღამ გაგიჟდა თურმე მოხუცი. ბავშვის მონაყოლმა შეაძრწუნა. მესამე დღეს ბიცოლა ვიღაც კაცთან ერთად მიადგა კარს. ბებიამ წარბი შეყარა — მოშორდი აქაურობას, თორემ ახლავე პოლიციაში დავრეკავო. დედაკაცი შეშინდა და გაცლა ამჯობინა.

მას მერე ლიკა ბებიის ნათესავთან იზრდება. ლიკამ თორმეტი წლიდან ძალიან აიყარა ტანი, დამშვენდა. ერთ მშვენიერ დღეს ბებიას გამოუცხადა, — კაფეში მიმტანად ვიწყებ მუშაობასო. ბებიაც დათანხმდა, რადგან იმ კაფეში მათი ახლობელიც მუშაობდა. ოღონდ ეგაა, იქ ყველას ჰგონია, რომ ლიკა თვრამეტი წლისაა, არადა, ახლახან თოთხმეტი წელი შეუსრულდა.

**— ლიკა-ნიკა, სკოლაში არ დადიხარ?**

— არა! არც არასოდეს მივლია.

**— წერა-კითხვა და ანგარიში სად ისწავლე?**

— მე თვითონ ვისწავლე. ძალიან მიყვარს კალათბურთი. ამხანაგებმა მირჩიეს, მაღალი ხარ და კალათბურთზე იარეო. მეც ავდექი და მოსწავლეთა სასახლეში მივედი. ისე მომეწონა იქაურობა, რომ უამრავ წრეში ჩავეწერე. დავდიოდი ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში, ფიზიკა-მათემატიკის წრეზე და „პიონერ-ფილმის" სტუდიაშიც.

**— მერე რატომ აიცრუე გული?**

— სასახლეში თბილად დამხვდნენ, მაგრამ... უპატრონო და ობოლი არავის უნდა. ერთხელ ქართული ენის მასწავლებელმა მითხრა: წერა-კითხვა ხომ ისწავლე, მეტი რაღა გინდა, შეგიძლია აღარ იაროო. ვერაფერი ვუთხარი, გაკვეთილის ბოლომდე გმირულად გავძელი, მაგრამ ცრემლები მახრჩობდა. ამის მერე იქაურობას აღარ გავკარებივარ.

**— შენზე მითხრეს, მთვარეულია და არნახულ ძალას გრძნობსო.**

— ჰო. ხანდახან ღამით ვდგები, თვალგახელილი დავდივარ. ბებიას ურჩიეს, საწოლთან წყლიანი თასი დაუდგი, რომ გამოფხიზლდესო. ერთხელ ავდექი, ტაშტს გადავაბიჯე და გარეთ გავედი. ბებიას უკვე ეძინა. შემთხვევით შემხვდა მეზობელი, რომელმაც შინ მომიყვანა, თორემ უეჭველად ხიფათს გადავეყრებოდი.

**— მუშაობა არ გიჭირს?**

— ვიღლები ხოლმე. ერთი სული მაქვს, სამსახურის მერე სახლში როდის მივალ, რომ დავწვე და დავიძინო, მაგრამ რა ვქნა? მე რომ არ ვიმუშაო, ბებიის პენსია არ გვეყოფა.

**— შეყვარებულიც გყოლია თურმე.**

— აღარ მყავს. ამ გაზაფხულზე გარდაიცვალა. ზურა კალათბურთზე გავიცანი. ივნისში 19-ისა უნდა გამხდარიყო. მპირდებოდა, როგორც კი მუშაობას დავიწყებ, აღარ გამუშავებო. საღსალამათმა ბიჭმა დაიძინა და ველარ გაიღვიძა. მეგობრები ვერ მიმხელდნენ ზურას სიკვდილს. ბოლოს მითხრეს, ზურა ავად არისო. წავედით სანახავად. ოთახში დასვენებულს რომ მოვკარი თვალი, გული წამივიდა. გონს რომ მოვედი, სიცოცხლე აღარ მინდოდა...

**— მესმის შენი, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. იმ საოცარ ძალაზე რას მეტყვი, ავადმყოფობის მერე რომ იგრძენი?**

— ზურას სიკვდილის მერე ავად გავხდი. სამსახურში რომ არ გამოვცხადებულიყავი, აუცილებლად დავკარგავდი. ამიტომაც ფეხზე დავდექი თუ არა, კაფეს მივაშურე. შუადღემდე ძლივს გავძელი. ცუდად გავხდი, დახლთან ვიდექი და ვიგრძენი, რომ თვალები მებინდებოდა, სადაცაა წავიქცეოდი. უცებ დავინახე დიდი ლურჯი ბუშტი, რომელიც მიახლოვდებოდა. მეგონა, სხვებიც ხედავდნენ, მაგრამ როცა მიმოვიხედე, მივხვდი, ვერავინ ამჩნევდა. ბუშტი მომიახლოვდა, ცისფრად ასხივებდა, მერე ჩემში შემოვიდა, გაიარა და გაქრა. საოცარი სითბო ვიგრძენი სხეულში, კარგადაც ვგრძნობდი თავს. უფროსი მომიახლოვდა, ალბათ გაუკვირდა, გაშეშებული რომ ვიდექი, ხელი დამადო და უცებ აიღო, შეშფოთებულმა მითხრა: ალბათ მაღალი სიცხე გაქვს. წადი შინ და როცა მომჯობინდები, მერე მოდიო. არადა, ისე კარგად ჯერ არ ვყოფილვარ როგორც მაშინ. იმ დღის მერე ხშირად ვგრძნობ ამ ძალას და დარწმუნებული ვარ, ამ დროს შემიძლია ვინმეს სასიკეთოდ წავადგე, ვუმკურნალო ან ტკივილები დავუამო.

**— შენი გატაცების შესახებაც მითხარი.**

— ძალიან მიყვარს ფეხბურთი და კარგადაც ვერკვევი გუნდებში. ახლახან რომ იყო მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, ტოტალიზატორის ხშირი სტუმარი გავხდი. აბა, მე სად მაქვს იმდენი ფული, რომ დაუფიქრებლად გავრისკო?! ბევრი მეგობარი მყავს, მათ შორის ზურას ამხანაგებიც და ისინი მაძლევდნენ ფსონისთვის ფულს, ხან 2 ლარს, ხან 5-ს. ერთხელ, ისე ზუსტად გავთვალე შედეგები, რომ 75 ლარი მოვიგე. წვრილწვრილი ვალები მქონდა, გავისტუმრე და დამრჩა კიდეც. ბებიას ვერ ვუთხარი. ახლა მინდა ცოტ-ცოტა მოვაგროვო და იქნებ, კომპიუტერიც ვიყიდო. ძალიან მიყვარს ტოტალიზატორიც და კომპიუტერიც, მაგრამ ჩემს დიდ გატაცებად მაინც ლიტერატურა რჩება. დრო არ მრჩება ხოლმე საწერად, მაგრამ როცა ლოგინში ჩავწვები, ზეპირად ვთხზავ პატარ-პატარა მოთხრობებს. არ ვიცი, წინ რა მელოდება, მაგრამ ჩემი ოცნებაა, ჟურნალისტი ან მწერალი გავხდე...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## თავს ნუ მოიტყუებ

**ნუ იფიქრებ, რომ:**

— „იმან" ტელეფონის ნომერი მხოლოდ იმიტომ არ გთხოვა, რომ ვერსად ჩაიწერდა.
— „იმან" სხვა გოგოს თვალი მხოლოდ იმიტომ გააყოლა, რომ მისი კაბა მოეწონა;
— „ის" შენს დაქალს იმიტომ ეჩურჩულება, რომ ფიქრობენ, რა სიურპრიზი მოგიწყონ.

## გვეკითხებიან

**შევიძინე გულსაბნევი, რომელშიც ჩასმულია სპილოს ძვლის კამეა მშვენიერი მანდილოსნის პროფილით. ამის შემდეგ დავინტერესდი კამეის ისტორიით. გთხოვთ გვიამბოთ.**

***ეთერ ლაზიშვილი***

## ჯადოსნური პროფილი

კამეა — ქვაზე ამოკვეთილი სახის ან ფიგურის დახვეწილი პროფილი, პორტრეტის ერთ-ერთი სახეობაა და იგი მეცნიერთა აზრით, ჩვენს ერამდე IV საუკუნეშიც არსებობდა. ძვირფას ან ნახევრად ძვირფას ქვებზე პორტრეტების ჭრის ხელოვნებას ელიპტიკა ჰქვია, სხვადასხვა სახის ქვას კი, რომელზეც ეს პორტრეტი ამოიკვეთება — გემა. თავად გემა ორგვარია: ინტალია, ანუ ჩაღრმავებულგამოსახულებიანი ქვა და კამეა — ამობურცულგამოსახულებიანი. კამეას ძირითადად მრავალფენიანი ქვისგან ამზადებენ.

ამასთან ამგვარ გემას ფონი ერთი ფერის აქვს, ამოტვიფრული კი სხვა ფერისაა. საქართველოში კამეას უძველესი ხანიდან ამზადებდნენ, ამაზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ამგვარი სამკაულები.



**არმაზი. II ს.**

## ყველიანი პომიდორი



ჭოპორტის პომიდვრები შუა-შუა გავჭრათ, ამოვაცალოთ რბილობი და დავკეპოთ, ავურიოთ დანაყილი ნიორი, ზეთი, გახეხილი ყველი და ამ მასით ამოვავსოთ პომიდვრები. ზემოდან მოვაფრქვიოთ შავი პილპილი, მოვაყაროთ წმინდად დაჭრილი კამა და შევდგათ ღუმელში.

შეგიძლიათ თავზე მოასხათ მაიონეზი და ისე შებრაწოთ.

ყველის მაგიერ შეიძლება პომიდვრები ამოავსოთ დანაყილი ნიგვზით, ოღონდ ამ შემთხვევაში კამის მოყრა არ არის საჭირო. ნიგვზის გულსართში აურიეთ დანაყილი ნიორი, მოშუშული ხახვი, წიწაკა და მარილი — გემოვნებით.

## ფლირტი სამსახურში



თურმე ფლირტი სამსახურში შესანიშნავი საშუალებაა ტონუსის შესანარჩუნებლად. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს 5 ათასი გამოკითხული ქალი (გამოკითხვა ჟურნალმა „Top Sante"-მ ჩაატარა). გამოირკვა, რომ ქალების 75% კოლეგებს ეარშიყება, 28% კი ინტიმურ ურთიერთობაზეც არ ამბობს უარს. საინტერესოა, რომ ქალების 11%-ისათვის „მიჯნურობა" ქორწინებით დამთავრდა, 12%-სათვის — სამსახურში დაწინაურებით. გამოკითხულთა 20% გამოტყდა, რომ ხშირად კარიერის გასაუმჯობესებლად უჟუჟუნებს თვალებს უფროსს.

## ვინ უფრო მოწყალეა — ქალი თუ მამაკაცი?

ცოლ-ქმარსა და შეყვარებულებს შორის ხშირად ხდება წაკამათება, რომელიც ბევრჯერ უსიამოვნო შედეგით მთავრდება. ამ დროს, რა თქმა უნდა, თავშეკავება და სიტყვის მოზომვა სჯობს, მაგრამ აფექტისას ეს არც ქალს ახსოვს და არც კაცს... გაივლის ცოტა ხანი, ვნებები ცხრება და სინანულის გრძნობაც ჩნდება მომხდარის გამო. ვინ უფრო დამთმობი და მოწყალეა, ვინ დგამს პირველ ნაბიჯს შერიგებისკენ — ამ კითხვით მივმართეთ რამდენიმე ადამიანს და საკმაოდ განსხვავებული პასუხები მივიღეთ.



**ლამარა (52 წლის):** ოცდაშვიდი წელია გათხოვილი ვარ და არ მახსოვს, ჩემს ქმარს გადაედგას შერიგებისკენ ნაბიჯი. როგორი მტყუანიც არ უნდა იყოს, არაფრით გატყდება. რა ვქნა, ასეთია, მაგას აწი რაღა გამოცვლის? ამიტომ, ვცდილობ, სიტუაცია კონფლიქტამდე არ მივიდეს. თუ მაინც მოხდა, მერე მე ვცდილობ შერიგებას. აბა, შვილებს ხომ არ ვაყურებინებ ჩვენს ბუტიაობას?

**ქეთი (24 წლის):** მე ჯერ არ ვარ გათხოვილი, მაგრამ მყავს საქმრო, რომელთანაც ხანდახან წალაპარაკება მომდის. დამნაშავე აღიარებს შეცდომას და უმტკივნეულოდ ვრიგდებით. ასე რომ არ იყოს, მასთან ყოფნას საერთოდ გადავიფიქრებდი. რად მინდა ისეთი კაცი, რომელიც თავის ნაკლს არ დაინახავს და არ აღიარებს?!

**ხათუნა (19 წლის):** ქალს მუდამ ესაჭიროება სითბო, ყურადღება და ალერსი. მერე რა, ხშირად ქალი ტყუის კიდეც, მაგრამ კაცს კაცი იმიტომ ჰქვია, რომ სუსტ არსებას დაუთმოს, აპატიოს. მე მიმაჩნია, რომ კაცმა უნდა გადადგას შერიგებისკენ ნაბიჯი და ამით სულაც არ შეელახება ღირსება, პირიქით, ამაღლდება.

**გიორგი (27 წლის):** ქალების უმეტესობას „კოზირივით" აქვს ის არგუმენტი, რომ იგი სუსტი სქესის წარმომადგენელია და ამიტომაც ბევრი რამ ეპატიება. მე თუ მკითხავთ, სწორედ ქალი რომ არის, ამიტომაც არ ეპატიება ბევრი რამ. ჩემს ცოლთან ზომიერი ურთიერთობა მაქვს, ანუ ხან ის თმობს, ხან — მე. აბა, ისე არც ოჯახი და ურთიერთობა არ გამოვა.

**მამუკა (21 წლის):** რაღაცებს ვაპატიებ, ღალატს კი — ვერა. ახლა, თუ ძალიან „გაბლატავდა", ისიც ძნელი მოსათმენია. ქალს ერთხელ თუ აპატიე, მერე მთელი ცხოვრება ასე მოგთხოვს. არა, მე ვერ „გავაჯეჯილებ", თუ ვუყვარვარ, არ უნდა აუშვას აფრები, აუშვებს და კარგ ჩიტსაც დაიჭერს.

**რევაზი (57 წლის):** ოცი წლის ასაკში მეგონა, რომ ქალი მამაკაცის მორჩილი უნდა ყოფილიყო. ოცდახუთი წლისამ მოვიყვანე ცოლი და გამიმართლა, მშვიდი, მოსიყვარულე ქალი შემხვდა. ოჯახი არ არსებობს კამათის გარეშე და როცა წავკინკლავდებოდით, ჩემი ცოლი თმობდა. მე უტეხად ვიძახდი იმას, რომ ქალს უფრო მეტი მოთმინება მართებს. გავიდა დრო და მივხვდი, რომ ურთიერთობებში ცალმხრივობა დამღუპველია და მეც თანდათან „მოვტყდი". ბევრჯერ დამითმია ცოლისთვის და არც მინანია. მხოლოდ ღალატზე მაქვს უკიდურესი გართულება. ერთი სიტყვით, ქალს ალბათ, ყველაფერი ეპატიება, ღალატის გარდა, თუმცა ძმაკაცი მყავს ერთი, ისეთი ვაჟკაცია, ბევრმა ინატროს მასეთი, მაგრამ მოხდა მის ცხოვრებაში ტრაგედია — ცოლმა უღალატა და მერე თვითონვე გამოუტყდა ამაში. გაგიკვირდებათ და, აპატია ქმარმა. ხომ გაგიგიათ, სიყვარულს რას გაუგებო. ისე, კაცზე ბევრი რამაა დამოკიდებული: ქალს აქალებ — ქალი იქნება, თუ არ დააფასებ, შეიძლება „ძაღლადაც" იქცეს და სიცოცხლე გაგიმწაროს.

***ლიკა კალანდაძე***

CMYK





ქართლის სამეფოს პირველი მეფე
უკარება, კაცთმოძულე
საწერი მაგიდა გადმოსაწევი ფიცრით
ფირნიში
კედლის ნათურა
გერმანიის იმპერატორთა ტიტული
რიგის მიკროავტობუსების ქარხანა
ფიჭა
ჩქარის ანტიპოდი
ტკბილეული, ბავშვის ენაზე
ბილიარდის სათამაშო ჯოხი
შოტლანდიელი ფილოსოფოსი
ბელგიის დედაქალაქი
ალალბედზე მოქმედება
თანხმობა (ნაწილაკი)
კუბური „რთველი“
ფოლადის მისაღები მბრუნავი ღუმელი
ფილმი ბულგაკოვის ნაწარმოებების მოტივზე
ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი
გერმანული კოსმეტიკური ფირმა
გოეთეს ნაწარმოების გმირი
სამართლის მცოდნე
სამკურნალო კაქტუსი
მერხის მეგობარი
ხელშეკრულების შესავალი ნაწილი
სახელდახელოდ თქმული გამკილავი ლექსი
საომარი მოქმედებების არე
პატარა მდინარე არხში
პერსონა ნონ-...
„ბოლერო“ კომპოზიტ.
საჭადრაკო ფიგურა
სამეჯლისო ცეკვა
რომის იმპერატორი
ცეცხლის ენა
ბურთის გასვლა თამაშიდან
იტალიური მაკარონი
ფრანგული სასმელი
იაპონიის ძვ. დედაქალაქი
ოპერა „კარმენის“ ავტორი
პარტია ჩოგბურთში
დალაი-ლამების ქვეყანა
თიახი გემზე
ამერიკული „პიონერი“
სპოროვანი მცენარე



მცენარე, შაქრის ნედლეული
ალფა, ..., გამა
„დახვეული“ ნამცხვარი
ქალაქი გერმანიაში (საქსონიაში)
გერმანიის ექს-კანცლერი
მკერავის სამუშაო „იარაღი“
სტერეოს ანტიპოდი
ინდური ვალუტა
„ქალი და მამაკაცი“ (მსახიობი)
ტროპიკული ხილი
1/3600 საათი
აუქციონზე გატანილი სავაჭრო ერთეული
ვაგონების წამყვანი მანქანა
ავსტრიული მოდერნის მხატვარი
მუსიკალური ნაწარმოების მელოდია
მტკვარზე საქეიფო ტრანსპორტი ძვ.
თბილისის I საშუალო სკოლა
შოუს წამყვანი, გამრთობი

**შეადგინა რამაზ ალანიამ**



სუპერკონტინენტის ნაწილი
8 ბიტი
მდიდარი მესაქონლე შუა აზიაში
მწერის განვითარების ერთ-ერთი სტადია
სინათლის სიკაშკაშის ერთეული
ვეშაპი
მკითხავი



# ყველაზე სულელური კანონები მსოფლიოში

## მოქალაქეებს ეკრძალებათ...

**დანია** — მძღოლებს ეკრძალებათ ძრავის ჩართვა და მანქანის ადგილიდან დაძვრა იმ შემთხვევაში, თუ მის ქვეშ ცოცხალი ადამიანი იმყოფება (ალბათ შემკეთებელი იგულისხმება, — *რედ.*). აქ ასევე კანონით დაუშვებელია კომპიუტერული ფაილების დაშიფვრა და მასზე პაროლის დაყენება. ამ ორიგინალური მეთოდით ებრძვიან ქვეყანაში ტერორიზმს, პედოფილიასა და პორნოგრაფიას.



**ტაილანდი** — ქვეყანაში სექსუალური დანაშაულის ზრდასთან დაკავშირებით გამოვიდა კანონი, რომლის თანახმად, ქუჩაში ქვედა საცვალის გარეშე გამოსვლა და მანქანაში უპერანგოდ ჯდომა არ შეიძლება.

**საფრანგეთი** — სასტიკად იკრძალება კოცნაობა საქალაქთაშორისო მატარებლებში, სარკინიგზო გზებზე. სპეციალური აკრძალვა სხვა, „ალერსის“ თვით ყველაზე უხამსი ფორმების წინააღმდეგაც კი არ არსებობს. სამაგიეროდ, XX ს-ის დამდეგიდან აქ არაფრით არ შეიძლება საკუთარი ღორისთვის სახელად ნაპოლეონის დარქმევა. არც ერთ სხვა ცხოველს, მათ შორის ვირთხებსა და თაგვებსაც კი, ეს კანონი არ ეხება.

**კამპუჩია** — ძირძველი მოსახლეები, ქხმერები მთვარის კალენდრით ახალი წლის დადგომას უცნაურად აღნიშნავენ — ძველთაგანვე ტრადიციად აქვთ ქცეული წუწაობა, ყველა შემხვედრის წყლით გაწუწვა. ბოლო დროს განსაკუთრებით პოპულარული გახდა წყლის პისტოლეტები. სწორედ ამ „სიახლის“ წინააღმდეგ ბრძოლა გადაწყვიტა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ჯერ ერთი, გაუცნობიერებელ ადამიანს ეს „სათამაშო“ შეიძლება ნამდვილი თოფი ეგონოს; გარდა ამისა, მომრავლდა საჩივრები: ხშირად გასაწუწ წყალს იღებენ არა მარტო ჭებიდან, არამედ გუბურებიდან და ჭუჭყიანი არხებიდანაც. შედეგად — დაბინძურებული



სამოსი და არანაირი სიამოვნება. ამიტომაც გამოვიდა კანონი, რომელიც კრძალავს პისტოლეტების გამოყენებას აღნიშნულ დღესასწაულზე და ითვალისწინებს „წყალსასროლი იარაღის“ კონფისკაციას. რაც ყველაზე საინტერესოა, აკრძალვა მხოლოდ ამ პერიოდს ეხება. ნებისმიერ სხვა დროს მისი გამოყენება შეიძლება ისევე, როგორც ჭუჭყიანი წყლის ჩასხმა, ოღონდ, არა პისტოლეტებში, არამედ სათლებსა და ჯამებში.

**შვეიცარია** — საკმაოდ მკაცრი კონტროლია დაწესებული საღამოობით და კვირაობით. კვირას იკრძალება ბალახის მთიბავი მანქანის გამოყენება (ეს სიმშვიდის დარღვევად ითვლება) და დარეცხილი თეთრეულის გაფენა (ხელისუფალთა აზრით, ეს შეურაცხყოფს მორწმუნე ქრისტიანებს). ხოლო საღამოობით შვეიცარიელ ქალებს, რომლებიც კომუნალურ ბინებში ცხოვრობენ და არა კერძო სახლებში, ეკრძალებათ ტუალეტში წყლის ჩასხმა, ხოლო მამაკაცებს — მდგომარე პოზაში მოსაქმება.

**სინგაპური** — საინტერესოა, რომ აქ, შვეიცარიისგან განსხვავებით, წყლის გამოუყენებლობაა კანონის დარღვევა, ოღონდ, მარტო საზოგადოებრივ ტუალეტებში (დამრღვევი შეიძლება დააჯარიმონ ან დააპატიმრონ კიდეც). გარდა ამისა, პორნოგრაფიასთან ბრძოლის გამო სინგაპურელებს ეკრძალებათ შიშვლად სიარული საკუთარ სახლშიც კი.

**შოტლანდია** — ფერმერებს კვირაობით ეკრძალებათ თევზაობა და განსაკუთრებით, გამოთრობა საკუთარი ძროხების თვალწინ.

**ავსტრალია** — ვეშაპების მასობრივი დაღუპვის ადგილებში უამრავი ტურისტი თუ ადგილობრივი მოქალაქე იკარგება. ყველას სურს წყლის უზარმაზარი ცხოველების ლეშების თუ ჩონჩხების ხილვა. არადა, დახოცილი ვეშაპები ზვიგენთა გუნდებსაც იზიდავენ, რითაც „დამთვალიერებლების“ სიცოცხლეს საფრთხე ექმნება. სულ ახლახან შემუშავდა კანონი, რომლის მიხედვითაც ადამიანებს ეკრძალებათ დახოცილ ვეშაპებთან მიახლოება 100 მეტრის მანძილზე. თუმცა მოქალაქეთა დაცვით გართულმა დეპუტატებმა გადაამლაშეს — მათ არ დაუზუსტებიათ, რომელ ვეშაპებთან მიახლოება არ შეიძლება. ამის გამო კანონის დამრღვევებად იქცევიან ზოოლოგიური მუზეუმების დამთვალიერებლებიც კი.

**ინგლისი** — გეორგ V-ის დროიდან ძალაშია კანონი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია მმართველი დინასტიის კუთვნილი შინაური ცხოველების ინტიმური კავშირი რიგითი ინგლისელების შინაურ ცხოველებთან. ხოლო ის ცხოველები, რომლებიც გაბედავენ სამეფო ოჯახის ნებიერთა კბენას, მოძალადეებად ითვლებიან, მათი პატრონები — სახელმწიფო მოღალატეებად. დღესდღეობით ამ „დამნაშავეების“ სიცოცხლეს მხოლოდ XXს-ის 60-იან წლებში მიღებული კანონი იცავს, რომელიც სიკვდილით დასჯას კრძალავს.

მიუხედავად ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზებისა, ინგლისში დღემდე მოქმედებს კანონი, ჯერ კიდევ XV ს-ში მიღებული „ცისფერ“ ავაზაკებთან საბრძოლველად. ამ კანონით დაუშვებელია ორი მამაკაცის ინტიმური ურთიერთობა სახლში, სადაც ამ სქესის კიდევ ერთი წარმომადგენელი იმყოფება.

## მოქალაქეებს უფლება აქვთ...

***სულელური უფლებები, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლებია, ვიდრე აკრძალვა და ვალდებულება, თუმცა მაინც არსებობს.***

**ავსტრალია** — უპატრონო ბავშვები სრულად იყენებენ მათთვის მინიჭებულ უფლებას, დაიწყონ სექსუალური ცხოვრება იმ ავსტრალიელ მოზარდებზე ადრე, რომლებსაც მშობლები ან მეურვეები ჰყავთ. კანონის თანახმად, უპატრონოებს 16 წლიდან შეუძლიათ საკუთარი ვნებების დაკმაყოფილება, მაშინ, როცა ოჯახებში მცხოვრები მოზარდებისთვის ეს მხოლოდ 18 წლიდან არის ნებადართული. ამბობენ, რომ ამ კანონის მიღება სამართალდამცავებს შესაძლებლობას მისცემს აკონტროლონ მეურვე-პედოფილები.

იმავე ავსტრალიაში ბავშვებს ეკრძალებათ სიგარეტის ყიდვა, თუმცა არავინ კრძალავს მის საჩუქრად მიღებას და მით უმეტეს, მოწევას. მსგავსი სიტუაციაა შვეიცარიაში, მხოლოდ არა თამბაქოსთან, არამედ აბსენტთან დაკავშირებით, რომლის დამზადება, ყიდვა და გაყიდვა იკრძალება, დალევა კი — არა.

**დანია და ჰოლანდია** — პატიმრებს სრული უფლება აქვთ, გაიქცნენ — არანაირი სასჯელი არ არის გათვალისწინებული. რა თქმა უნდა, პოლიციელებსა და ციხის მუშაკებს ევალებათ გაქცევისას მათთვის წინააღმდეგობის გაწევა, დაპატიმრებისას კვლავ ციხეში აბრუნებენ, მაგრამ გაქცევა დამატებით სასჯელს ან ვადის მომატებას არ ითვალისწინებს, სასჯელის ვადას ის პერიოდიც კი არ ემატება, რაც პატიმარმა გარეთ დაჰყო.

**სამხრეთ აფრიკა** — არათეთრკანიანმა მაცხოვრებლებმა სულ ახლახან მიიღეს თეთრკანიანთა თანაბარი უფლებები; მაგალითად, ქუჩაში 21 საათის შემდეგ ყოფნის ნება მიეცათ. ზოგ ქალაქში ახალგაზრდების უფლებებიც გაფართოვდა. ახლა 18 წლამდე მოზარდებს უკვე დართეს ნება, საბანაო კოსტიუმებში ერთმანეთის გვერდით ისხდნენ. ოღონდ, მათ შორის მანძილი 30სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

*ვლასტი*

**პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი და კოლეჯი**
✓ მათთვის, ვისაც გსურთ დაეუფლოთ მომავლის პროფესიას!
✓ საბოლოოდ გადაჭრათ ნებისმიერ ქვეყანაში თქვენი დასაქმების პრობლემა!
✓ და საერთად, იყოთ ყველგან სასურველი და საჭირო პიროვნება!
**გადადგით გონივრული ნაბიჯი — ეზიარეთ XXI საუკუნის ყველაზე პოპულარულ პროფესიებს:**
**1. პროგრამირება; 2. ბიზნეს-ინფორმაციის მართვის სისტემები; 3. უცხო ენები.**
**ინსტიტუტთან არსებული კურსები:**
• *პროგრამირების შემსწავლელი* 10 თვიანი ინტენსიური სწავლებით; წამყვანი პროგრამისტები შეგასწავლიან – Visual Basic, Delphi; C; C++; SQL; Java; JavaScript; Web-დიზაინი;
• *ინგლისური ენის შემსწავლელი* ინტენსიური კურსი. *ოქსფორდის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამით* (6 თვე).
• მიიღებიან მსმენელები *საოფისე, დამკაბადონებლის, დიზაინერის და აწყობა-მოდერნიზაციის სპეციალობებზე.*
საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7, ცეკავშირის შენობა, V სართული, №544. ტელეფონი: 999911, (756073)
E-mail: kiber@www.com

თ ავისი მშვენიერი მოდელის სახელი ხელოვანმა საფლავში ჩაიყოლა...

ახლა თითქოს საიდუმლოს ფარდა აეხადა: „ეს იყო იტალიელი გრაფინია კატერინა სფორცი“, — ამტკიცებს მისი თანამემამულე მხატვარი და ისტორიკოსი მაგდალენა ზოსტი.

თავის დროზე კატერინა სფორცი იტალიის ყველაზე ცნობილი და მომხიბვლელი ქალბატონი ყოფილა. იგი 1462 თუ 1463 წელს იყო დაბადებული და მილანელი ჰერცოგის გალეაცო სფორცის უკანონო შვილი გახლდათ. გოგონა ჰერცოგის სახლში იზრდებოდა. 14 წლისა ძლევამოსილი პაპის დისშვილს მიათხოვეს.

ქალი რენესანსის ეპოქის ნამდვილი კლეოპატრა იყო. მისი ეშინოდათ და უყვარდათ. ამ საოცარი სილამაზის წინაშე კაცები მუხლებზე ეცემოდნენ. ის კი, სასტიკი მესაკუთრე და მაცდური, ულმობლად უსწორდებოდა თავის მტრებს, უმწიკვლო ბავშვებსაც არ ინდობდა. ხალხმა მას ძუ ვეფხვი უწოდა.

# „მონა ლიზა“ ლედი დაიანას და ესპანეთის მეფის ხუან კარლოსის წინაპარი ყოფილა



კატერინა სამჯერ იყო გათხოვილი და ურიცხვი საყვარელი ჰყავდა. 11 შვილი გააჩინა, იყო მფლანგველი და პატივმოყვარე. გარდაიცვალა 1509 წელს, როგორც ვარაუდობენ, სიფილისით.

შეიძლება კი ასეთი ქალი ყოფილიყო სათნო და კეთილშობილი მონა ლიზა?

მაგდალენა ზოსტმა მრავალწლიანი კვლევის შედეგად თავისი თეორიის დამადასტურებელ ბევრ მასალას მოუყარა თავი. ერთ-ერთი ასეთი არის იტალიელი მხატვრის ლორენცო დი კრედის (1459-1537) მიერ შესრულებული 25 წლის კატერინა სფორცის პორტრეტი. ლეონარდოსეული ცნობილი „მონა ლიზას“ და ამ პორტრეტის შედარებისას მტკიცდება, რომ ორივეგან ერთი სახეა აღბეჭდილი, ოღონდ სხვადასხვა ასაკში — იგივე იდუმალი გამოხედვა, იგივე მედიდური იერი... პროპორციებიც ერთნაირია: ამობურცული შუბლი, გრძელი, სწორი ცხვირი, ტუჩის მოყვანილობა, თვალის „კატისებური“ ჭრილი...

მაგდალენა ზოსტი ისე განაცვიფრა ორი მხატვრის შემოქმედების ამგვარმა დამთხვევამ, რომ გადაწყვიტა გამოეკვლია ყველაფერი კატერინას შესახებ და ბევრი რამ აღმოაჩინა კიდეც თავისი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად.

### თანხვედრა

ორივენი, მონა ლიზაც და კატერინა სფორციც ფლორენციაში ცხოვრობდნენ ლეონარდო და ვინჩის პორტრეტზე მუშაობის პერიოდში და შეუძლებელია, ერთმანეთს არ შეხვედროდნენ. სკანდალურად ცნობილ კატერინას და მონა ლიზას უთუოდ ეყოლებოდათ საერთო ნაცნობები.

### მონა ლიზას ასაკი

1503 წელს, სეანსის დასაწყისში, ლეონარდოს აქამდე აღიარებული მოდელი, მონა ლიზა, ფლორენციელი ვაჭრის, ჯოკონდოს ცოლი, 24 წლის იყო, ტილოზე კი მოწიფული, ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ქალია აღბეჭდილი. კატერინა იმ დროს 40 წლისა იყო და მშვენივრად გამოიყურებოდა.

### მონა ლიზას სამოსი

მას ქვრივის ტანსაცმელი აცვია. კატერინა მაშინ თავის საყვარელ მესამე ქმარს გლოვობდა.

### პეიზაჟის უკანა პლანი

კლდოვანი მთის ლანდშაფტი კატერინას საგრაფოს ჰგავს. მუქი ჩრდილები წარსულზე და სიკვდილზე მიანიშნებს: კატერინა მაშინ მძიმე ავადმყოფი იყო.

### სურათის ზომა

რიგითი მოქალაქისთვის „მონა ლიზას“ პორტრეტი ძალიან დიდია. იმ დროს დაკანონებული ნორმებით ის უფრო არისტოკრატის გამოსახულების ზომას ესადაგება — ისეთის, როგორიც კატერინა სფორცი იყო.

### სურათის ისტორია

ვაჭარი ჯოკონდო მდიდარი კაცი იყო. მას ნებისმიერი თანხის გადახდა შეეძლო და სურათსაც მაშინვე წაიღებდა. მაგრამ პორტრეტი ლეონარდოსთან დარჩა, რადგან... კატერინას ფული არ ჰქონდა მის გამოსასყიდად.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — ლეონარდო იმ პერიოდში იმდენად იყო გადაქანცული, რომ თუ არა რთული, არაორდინარული, ამოუცნობი სული, ხელს არ მოჰკიდებდა პორტრეტის ხატვას.

და მაინც: რატომ ინახავდა იგი თავისი მოდელის სახელს საიდუმლოდ? მაგდალენა ზოსტმა ეს ასე ახსნა: „ძალაუფლების მქონე კატერინა სისხლიან აქტებსაც არ ერიდებდა. იგი მამაკაცებთან ანგარიშის გასასწორებლად მათ შვილებსაც კი ხოცავდა. ამიტომაც ლეონარდო ჭკვიანურად მოიქცა, როცა თავისი შედევრი ამ ავხორცი ქალის სახელს არ დაუკავშირა, ეს მას სახელს გაუტეხდა. კიდევ ერთი მიზეზი ამოძრავებდა მხატვარს, რომ ჩუმად ყოფილიყო: მისი მეცენატი, საფრანგეთის მეფე, რომის პაპის ვაჟის, ჩეზარე ბორჯიას მოკავშირე იყო, ამ უკანასკნელმა კი 1500 წელს „დაამარცხა“ კატარინა — გააუპატიურა და ფრანგების თანხმობით, ჯურღმულში ჩააგდო.

1516 წელს, საფრანგეთის მეფის მიწვევით ლეონარდო საფრანგეთში ჩავიდა და სურათიც თან წაიღო, მოგვიანებით მეფე ფრანც I-ს მიჰყიდა. მშვენიერი „მონა ლიზა“ ჯერ ნაპოლეონის საწოლ ოთახში ეკიდა, მერე კი თავისი ღირსეული ადგილი დაიჭირა ლუვრში.

კატერინა? იგი 46 წლისა, სიღარიბესა და განდეგილობაში გარდაიცვალა თავისი უკვდავი პორტრეტის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ, მაგრამ მისი სისხლი კვლავ ჩქეფს ევროპელი არისტოკრატების შთამომავლობაში. კატერინა სფორცი ლედი დაიანას და ესპანეთის მეფე ხუან კარლოსის პირდაპირი წინაპარია.

*კალეიდოსკოპი №29*



***...მდიდარი კაცის ერთი სადილი შეიძლება იმდენი ღირდეს, რამდენიც ღარიბს არც დაესიზმრება. ცნობილი ფაქტია, რომ საკვების გარეშე ადამიანს თვეზე მეტხანს შეუძლია გაძლება. თუმცა ჩინეთის დაოსელი განდეგილები ამას უარყოფენ, რადგან ბევრი მათგანი თვეობით არ იღებს ლუკმას პირში. მშვიდობისათვის მებრძოლმა დოქტორ ჰაიდერმა კი მთელი 6 თვე გაძლო უჭმელად. თუმცა იმასაც არ დაგიმალავთ, რომ დაოსები ბალახის ნახარშს სვამდნენ, დოქტორი ჰაიდერი კი აუცილებელ ვიტამინებსა და მიკროელემენტებს ინიექციის სახით იღებდა.***

# კალეიდოსკოპი... გურმანებისთვის

●●● თურმე, კვების მთავარი პროდუქტი ხორცი და ხორბალი კი არა, ბრინჯი ყოფილა, რომელსაც ყველაზე მეტად იყენებენ აზიაში. მარტო ჩინეთი და ინდოეთი კაცობრიობის ნახევარს შეადგენს. დადგენილია, რომ „ბრინჯისჭამიები“უფრო ჯანმრთელები არიან.

●●● ადამიანებს ძალიან უყვართ ტკბილეული. ბევრს ჰგონია, რომ, მაგალითად, ნაყინი, გამოიგონეს ევროპაში — XV საუკუნის საფრანგეთში. სინამდვილეში კი ეს ნუგბარი ფრანგ მზარეულებზე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.ის I საუკუნეში დაამზადეს.

●●● შოკოლადიც ასწლეულებს ითვლის. თუმცა, ადრე მხოლოდ სამხრეთამერიკელები იკოკლოზინებდნენ ყელს. პირველი ევროპელები, რომლებმაც შოკოლადი გასინჯეს, ესპანელი კონკისტადორები იყვნენ. 500 წლის წინ, ამერიკის დასაპყრობად მისულებმა სათანადოდ შეაფასეს ოკეანისგაღმური ნუგბარი.

●●● ყველაზე ძვირად ღირებული პროდუქტის სახელს ერთმანეთს ეცილებიან სვიის ხიზილალა და სოკო ტრიუფელი. ერთი კგ სვიის ყვითელი ქვირითი, ე.წ. ხიზილალა, „ალმასის“ ფასს — 20 000 დოლარს — აღწევს.

შავი ტრიუფელი საფრანგეთისა და ბელგიის ზოგ რაიონში მიწის ქვეშ იზრდება. მათი მოძებნა მხოლოდ საგანგებოდ გაწვრთნილ ღორებს შეუძლიათ. საუკეთესო გემოს გარდა, მათ ჩინებული აფროდიაკული თვისებები აქვთ, ანუ ისინი მისწრებაა მამაკაცური პოტენციის ასამაღლებლად.

●●● ყველაზე ძვირფასი თევზი 324 კგ-იანი ცისფერი სვია იყო, რომელიც 1992 წელს დაიჭირეს იაპონიაში. ის 2.400 ულუფად დაჭრეს და თითოეული 75 დოლარად გაყიდეს...

*ვოტ ტაკ! №29*

# მედიცინა

## ვალერიანს ჩავინწვეთებთ ცხვირში?

გერმანელ მეცნიერთა აზრით, მომავალში ზოგიერთი წამლის დალევა კი არა, შესუნთქვა მოხდება. ექსპერიმენტებით, რომელიც ჩატარდა ქალაქ ლიუბეკის უნივერსიტეტის დოქტორ იან ბორნის ხელმძღვანელობით, დადგინდა, რომ ზოგიერთი პრეპარატი ცხვირში ჩაწვეთებით უფრო სწრაფად მოხვდა ტვინში.

მოხალისეთა ჯგუფს ნესტოებში აწვეთებდნენ ნივთიერებას, რომელიც მოქმედებდა თავის ტვინის ფუნქციაზე: შედეგებმა აჩვენა, რომ შეყვანილი პრეპარატით ტვინში სისხლის კონცენტრაცია მკვეთრად გაიზარდა, ხოლო სხვა ორგანოებზე პრაქტიკულად ზეგავლენა არ მოუხდენია, რასაც ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ ექიმები, განსაკუთრებით ისეთი წამლების შექმნისას, რომლებიც გამოიყენება ტვინის სხვადასხვა პათოლოგიის მკურნალობისას, მათ შორის ალცჰაიმერის და შესაძლებელია დეპრესიის დროსაც.

**ტრუდ-7 №9**

## სვით მკურნალი ლუდი



ლუდს ფეხმძიმეებსაც ასმევდნენ და ჩვილებსაც — ეს სასიამოვნო სასმელი დედის რძეზე მარგებლად მიაჩნდათ. გერმანელი მკურნალი საუგფუსი (XV ს) კი ქალებს ურჩევდა — სახე-მკერდი ხშირად დაიზილეთ ლუდის ქაფით, რათა კანი ჩვილივით ქორფა გქონდეთო.

ლუდი არა მარტო სასმელი, არამედ ერთგვარი სიცოცხლის ელექსირიცაა. მასში უამრავი მინერალი და ვიტამინია. მდიდარია ორგანული მჟავეებით, ხელს უწყობს საკვების იოლად ათვისებას, მადას აღძრავს, აუმჯობესებს ძილს და ა.შ. ნაბახუსევზე რომ უებარია, ეს საყოველთაოდ არის ცნობილი.

მათთვის, ვინც მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა, ლუდი აუცილებელია. დასუსტებულ ორგანიზმს ბევრი ვიტამინი სჭირდება — ქარვისფერი სასმელი თირკმლებში, ღვიძლსა და ელენთაში საჭირო ვიტამინებს დააგროვებს და სისუსტეც უკვალოდ გაქრება.

გული გაწუხებთ? დალიეთ ლუდი — მოგიწესრიგებთ სისხლის წნევას, სისხლძარღვებს გააფართოებს და სპაზმებს მოხსნის.

ღია ფერის ლუდი გულის ტკივილსაც დაგიამებთ. 1 ჭიქა ლუდს ნახევარი ლიმონის წვენი გაურიეთ და კოქტეილი პატარა ყლუპებით დააგემოვნეთ. მაგრამ თუ ჰიპერტონიკი ხართ, აჯობებს უალკოჰოლო ლუდი მიირთვათ.

თუმცა ლუდი სასარგებლოა, მაგრამ მაინც ზომიერება უნდა დავიცვათ — ლიტრობით ყლურწვა არ გვარგებს.

„გემო მშვენიერი და სასიამოვნო, სისხლის გამწმენდი და სხეულის გამაახალგაზრდავებელი, კარგი ფერის მიმცემი და თირკმლების დამცავი... კაცს ქალის ნდომას უღვიძებს და მეძუძურებს რძეს უყენებს“, — წერდა მე-18 საუკუნეში კრაკოველი მეცნიერი შიმონ სირენსკი.

ამ უკანასკნელს ახალი არაფერი უთქვამს: ლუდის სამკურნალო თვისებებს ჯერ კიდევ შუმერები აფასებდნენ. მე-12 საუკუნეში ქალთა მონასტრის წინამძღვარმა, გერმანელმა ჰილდეგარდამ ლუდს მთელი ტრაქტატი მიუძღვნა და მკითხველებს ურჩია, ბლომად მიირთვითო.

**ორაკული №8**

## ალუბალო, ალუბალო...

ალუბლის ხის ნაყოფი, ფოთლები, ყუნწები, ქერქი სამკურნალოა, შხამიანი კურკის გულსაც კი იყენებენ ხალხურ მედიცინაში. კურკის გული არ იჭმება, მაგრამ თუ გახეხავთ და კომპრესის სახით პოდაგრაზე დაიდებთ, გიშველით.



ვისაც კუჭის შეკრულობა აქვს, ბევრი ალუბალი უნდა ჭამოს. ის კარგად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ნევრასთენიის, დეპრესიის და სხვა ნევრო-ფსიქიკურ დაავადებებზე. ვისაც აწუხებს სკლეროზი, ხალხური მკურნალები ურჩევენ დღეში 1 კგ-მდე ალუბალი მიიღოს და დააყოლოს 1,5 ლ რძე.

ალუბლის ხის ქერქის ნახარში შველის რევმატიზმს და კრუნჩხვებს: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ქერქს ასხამენ 1 ჩ/ჭ ცივ წყალს, ადუღებენ 10-15 წთ, 5-10 წთ გააჩერებენ, გაწურავენ და სვამენ დღეში 1-2 ჭიქას.

ალუბლის ფოთლებს ყურადღება უნდა მიაპყრონ გულით ავადმყოფებმა. ის შეიცავს კუმარინს — ნივთიერებას, რომელიც ამცირებს სისხლის შედედებას და ეწინააღმდეგება თრომბის წარმოქმნას. ფოთლების ნახარში კომპლექსურად გამოიყენება გულის იშემიური დაავადებების, ინფარქტის და ინსულტის დროს. ალუბლის ყუნწებს აქვს ძლიერი შარდმდენი მოქმედების უნარი. ჰიპერტონიის დროს 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ მასას დავასხათ 1 ჩ/ჭ წყალი, მივიყვანოთ ადუღებამდე, გავაჩეროთ, დავლიოთ 1 ს/კ 3-4-ჯერ დღეში.

**მეგაპოლის-ექსპრესი №29**

## მედიცინა — 2052

ისტორიისთვის 50 წელი წამია, ადამიანითვის კი თითქმის მთელი სიცოცხლე. ახლა ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, როგორ გადიოდნენ იოლას ჩვენი ბებია-ბაბუები კომპიუტერების, მობილური ტელეფონების გარეშე, როგორ გაზარდეს შვილები უპამპერსოდ... ვინ წარმოიდგენდა ნახევარი საუკუნის წინ, რომ მოვესწრებოდით უმტკივნეულო სტომატოლოგიას, თმის გადანერგვას ან კლონირებას? მაგრამ რეალობა იძულებულს გვხდის პროცესის ძალა ვაღიაროთ. ასე რომ, სკეპსისი უკუვაგდოთ და ვნახოთ, რით გაგვახარებს მომავლის მედიცინა.

დიაგნოსტიკის მეთოდების სრულყოფა დაავადებების ადრეულ სტადიაზე გამოცნობის საშუალებას მოგვცემს. ამერიკელი ექიმი ჯორდანი მიიჩნევს, რომ არც ისე შორსაა ის დრო, როცა შესაძლებელი იქნება არა მარტო სიმსივნური და გენური დაავადებების, არამედ შიდსის განკურნებაც.

ჰარვარდელი მედიკოსები კი უახლოეს 50 წელიწადში ფსიქიატრიაში გადატრიალებას გვპირდებიან. 2050 წლისთვის შემუშავდება ტვინის გენეტიკური სკანირებისა და ეკრანირების მეთოდი. ჯერ კიდევ სიმპტომების გამოჩენამდე დაისმება ზუსტი დიაგნოზი, რაც გააიოლებს შიზოფრენიის, დეპრესიისა და სხვა ფსიქიკური სენის მკურნალობას. გენეტიკური ტესტებით გამოავლენენ ალცჰაიმერისა და სხვა გონებრივი დაავადებებისკენ მიდრეკილებას. გაიოლდება ინსულტებისა და ტვინის ტრავმების თავიდან აცილება. უფრო შორეულ მომავალში კი ხანდაზმულებს მეხსიერების ჩიპებს ჩაუნერგავენ და ჩვენს ბებია-ბაბუებს აღარ დაავიწყდებათ თავიანთ დაბადების დღეებზე მისული სტუმრების სახელები.

მომავალს ფარმაკოლოგებიც იმედიანად შეჰყურებენ. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამკურნალო პრეპარატების ეფექტურობა. 50 წლის შემდეგ კი ფარმაცევტები ყველა დაავადებას გამოუძებნიან შესაბამის აბებს. შეიქმნება ისეთი პრეპარატები, რომელთა შემცველობაში გათვალისწინებული იქნება კონკრეტული პაციენტის გენეტიკა და ა.შ.

21-ე საუკუნის გენური თერაპია ბოლოს მოუღებს თმის ცვენას, კანის დაბერებას, ჭარბწონიანობას. ქალი ყველა ასაკში მშვენიერი იქნება, — გვარწმუნებს რეპროდუქტიული ენდოკრინოლოგიის პროფესორი ჟაკლინ გუტმანი.

ბევრი მემკვიდრეობითი მანკი ჯერ კიდევ ჩვილის დაბადებამდე გამოსწორდება. სამაგიეროდ, ჩვილის ხასიათის ან გონებრივი შესაძლებლობების მოდელირებას კაცობრიობა 50 წლის შემდეგაც ვერ მოახერხებს და მადლობა ღმერთს: რაღაცით ხომ უნდა განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან.

**ორაკული №8**

## გსურთ გახდეთ ორ დღეში?



ვისაც გსურთ დაიკლოთ ორ დღეში 2-3 კგ მაინც, გთავაზობთ 2-დღიან დიეტას. დღის განმავლობაში შეგიძლიათ მიირთვათ 1,5 კგ უმი ან თავისსავე წვენში ჩაშუშული ბოსტნეული, როგორიცაა: ტკბილი ბულგარული წიწაკა, ყაბაყი, ბადრიჯანი, ყვავილოვანი კომბოსტო და სტაფილო. რაც მთავარია, ამ დღეებში არ მიიღოთ მარილი, შაქარი, და თეთრი პური. დაბალკალორიული ბოსტნეული სწრაფად წვავს ცხიმს, უჯრედისები გამოდევნიან ორგანიზმიდან წიდებს, ნაკლებმარილიანი საკვები კი — სითხეს.

**ოტდოხნი! №30**

## როგორ მოვერიოთ შაკიკს?



შაკიკი (მიგრენი) თავის ტკივილის ყველაზე გავრცელებული სახეა. მას ახასიათებს მფეთქავი, შეტევითი ტკივილი თავის ერთ ნახევარში. უფრო ხშირად ქალებს ემართებათ და მემკვიდრეობითაც გადადის. ხშირ შემთხვევაში მომწიფების ხანაში ვლინდება. უმეტესად თავის ტკივილის მიზეზია თავის ტვინის ზოგიერთ ნაწილში სისხლის ტონუსის დაქვეითება (არასწორი მიწოდება) ან ძარღვების ხანმოკლე სპაზმები, რასაც იწვევს ქალასშიგა წნევის მომატება.

შაკიკის დროს ადამიანს ეწყება გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, სინათლისა და ხმაურის შიში, ხელის მტევნებისა და ტერფების გაცივება: ავადმყოფი უჩივის თვალებში ნაპერწკლების უსიამოვნო ციმციმს. ვერ იტანს მკვეთრ სუნს — საჭმლის, ყვავილების, სუნამოების და ა.შ.

შაკიკის დროს ავადმყოფმა უნდა მიიღოს დამამშვიდებელი საშუალებები, აიმაღლოს სისხლძარღვოვანი ტონუსი, ჩაიტაროს ფიზიოთერაპია, შეიძლება გამოიყენოს შინაური საშუალებებიც. მაგალითად:

**1**. ჭიქაში ჩატეხეთ 1 ც კვერცხი და შეავსეთ მდუღარე რძით. სწრაფად მოურიეთ და სვით პატარ-პატარა ყლუპებით.

**2**. მწვავე შეტევისას კეფაზე დაიდეთ მდოგვის ან გახეხილი შავი ბოლოკის კომპრესი.

**3**. ხელები იდაყვებამდე ჩაყავით ცხელ წყალში და გააჩერეთ ტკივილის გავლამდე (თუ წყალი გაგრილდა, ცხელი დაამატეთ).

**4**. მწვავე და შეტევითი ხასიათის ტკივილის დროს ცხელ წყალში დაასველეთ ბამბის წინდები, სწრაფად გაწურეთ და ჩაიცვით ფეხებზე, ზევიდან კიდევ ჩაიცვით რამდენიმე წყვილი მშრალი წინდა, ჩაწექით საწოლში, კარგად ჩაითბუნეთ და შეეცადეთ დაიძინოთ.

**5**. მოსინჯეთ — ატაროთ ნატურალური ყვითელი ქარვის მძივი.

**6**. თავი რომ არ აგტკივდეთ, უზმოზე, დილაობით, დალიეთ ახალი, მაგარი (მწვანე ან შავი) ჩაი, შეგიძლიათ დაამატოთ პიტნა. სვით პატარა ყლუპებით და სასურველია უშაქროდ.

**7**. თუ სათვალეს ატარებთ, სწორად უნდა იყოს შერჩეული დიოპტრია და ჩარჩო, არ უნდა გრძნობდეთ სიმძიმესა და მფეთქავ ტკივილს საფეთქებლთან.

**ოტდოხნი! №30**

## პოლივიტამინები უსარგებლოა?

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოაქვეყნეს მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რომელიც სენსაციური გამოდგა. ჩვეული პოლივიტამინები და სისხლში ქოლესტერინის დამწევი საშუალებები სინამდვილეში სრულიად უსარგებლო ყოფილა. დიდი ხნის მანძილზე აქსიომად ითვლებოდა, რომ ამ პრეპარატების მიღება დაბლა სწევდა ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს და ხელს უწყობდა ასაკოვანთა პრობლემების დაძლევას. ინგლისელი მეცნიერები 5 წლის მანძილზე აკვირდებოდნენ საკონტროლო ჯგუფს, რომელიც შედგებოდა 40-დან 80 წლამდე ასაკის 20.000 ადამიანისგან. ისინი რეგულარულად იღებდნენ ზემოთ აღნიშნულ საშუალებას. სპეციალისტებს სურდათ ენახათ, რა დამოკიდებულება იყო პოლივიტამინების მიღებასა და „XXI საუკუნის დაავადების“ დონის დაწევას შორის.

ექიმმა ჯეიმს არმიტეჯმა ასეთი კომენტარი გაუკეთა მეცნიერთა დასკვნას: „ეს იყო პირველი ნამდვილად სერიოზული გამოკვლევა პოლივიტამინების მოქმედებაზე, რომლის შედეგები ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ჩვენ გამოვიკვლიეთ ძირითადად ვიტამინი — ანტიოქსიდანტები, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმისთვის საშიში თავისუფალი რადიკალების ნეიტრალიზებას. ჩვენი ვერდიქტია: დაე, ხალხმა იყიდოს ცოცხალი ბოსტნეული და ხილი. ხელოვნური ვიტამინები, რა თქმა უნდა, მავნე არ არის, მაგრამ არც ისე დიდი სარგებლობა მოაქვს. რაც შეეხება სისხლში ქოლესტერინის დამწევ საშუალებებს, დაახლოებით ერთ წელიწადში ორგანიზმი მათ ეჩვევა და აღარ მოქმედებს“.

**იტოგი №29**

## შიმშილი — მკურნალი

კიევის ინსტიტუტის პედაგოგი 63 წლის გალინა ფილკევიჩი წელიწადში 60 დღე შიმშილობდა და განიკურნა ბრონქიალური ასთმისგან. ეს დაავადება კი დღემდე უკურნებლად ითვლებოდა.

პაციენტს შიმშილობა ურჩიეს ქ. ირპენის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც არატრადიციული მკურნალობის საგანგებო განყოფილებაა. ამ საავადმყოფოში შიმშილობით თითქმის ყველა სენს მკურნალობენ. ავადმყოფები არაფერს ჭამენ, სვამენ მხოლოდ ანადუღარ წყალს.

უკეთესობა ეტყობათ გულით ავადმყოფებსაც, სახსრებით და ფსორიაზით დაავადებულებს.

პროფესორ ი. ვარლამოვის თქმით, ეს ხდება ორგანიზმის თვითგაწმენდის და ძლიერი დამცავი ძალის სტიმულაციით.

შიმშილობას არ ურჩევენ ექიმები ჰეპატიტით, ნაღვლის ბუშტით სნეულთ, აგრეთვე მათ, ვისაც სისხლძარღვები აწუხებთ და 14 წლამდე ასაკის ბავშვებს.

**მეგაპოლის ექსპრესი №30**

## ერიდეთ სირსველას



ეზოებსა თუ პარკებში ბავშვებთან სეირნობისას, პატარები ცდილობენ ხელი გადაუსვან უპატრონო კატებსა და ძაღლებს. გახსოვდეთ, დიდ რისკთან გვაქვს საქმე, შესაძლოა ბავშვი სირსველით (ლიქენით), დაავადდეს და თუ ეს მოხდა, სასწრაფოდ წაიყვანეთ ექიმ-დერმატოლოგთან! თუ მიზეზთა გამო ვერ ახერხებთ ექიმთან წასვლას, ნუ დაკარგავთ დროს და მიიღეთ ექსტრემალური ზომები: მუქი ფერის უწიპწო ქიშმიში დანაყეთ ისე, რომ ფაფისებური მასა მიიღოთ და შეაზილეთ დაზიანებულ კანს და მის გარშემო. ქიშმიშს აქვს საოცარი თვისება — მომაკვდინებლად, პენიცილინის მსგავსად იმოქმედოს სირსველის უჯრედებზე. მაგრამ გაფრთხილებთ: ეს დროებითი პროფილაქტიკაა, სრულყოფილი მკურნალობა ექიმმა უნდა დანიშნოს.

**ოტდოხნი! №26**

# მუცლის ტიფი

მუცლის ტიფი ნაწლავთა მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც სალმონელას ჯგუფის ბაქტერია იწვევს. მას ორგანიზმის ზოგადი ინტოქსიკაცია და წვრილი ნაწლავის ლიმფური აპარატის წყლულოვანი დაზიანება ახასიათებს. გარემოში მუცლის ტიფის გამომწვევი ბაქტერიები საკმაოდ გამძლენი არიან, კარგად იტანენ დაბალ ტემპერატურას, გაყინვას, სამაგიეროდ, $60^0$C-ზე იღუპებიან 20-30 წუთში, $100^0$C-ზე კი — მაშინვე. დიდხანს ძლებენ წყალსა და საკვებ პროდუქტებში, კერძოდ, გამდინარე წყალში — რამდენიმე დღეს, დამდგარ წყალში კი — 1,5 წლამდე. ზოგიერთ საკვებ პროდუქტში (რძეში, არაჟანში, ხაჭოში, ხორცის ფარშში და სხვ.) მრავლდებიან კიდეც.

მუცლის ტიფის ინფექციის წყაროა დაავადებული ან ბაქტერიამატარებელი ადამიანი, რომელიც ბაქტერიებს გამოყოფს განავალთან, შარდთან და ნერწყვთან ერთად. ავადმყოფი გადამდებია ინკუბაციური პერიოდის ბოლო დღეებიდან, განსაკუთრებით კი დაავადების მეორე კვირის ბოლოდან, როდესაც ორგანიზმიდან დაავადების გამომწვევი ბაქტერიები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გამოიყოფა. გამოჯანმრთელების პერიოდში სალმონელების გამოყოფის ინტენსივობა თანდათან მცირდება, მაგრამ ყოველთვის არ წყდება და ავადმყოფთა 3-10% ბაქტერიამატარებლად რჩება.

ავადმყოფისა და ბაქტერიამატარებლის მიერ გარემოში გამოყოფილი ბაქტერიები ჯანმრთელ ადამიანს გადაეცემა ე.წ. ფეკალურ-ორალური გზით. კერძოდ, ფეკალური მასებით დაინფიცირებული წყლით და საკვები პროდუქტით, ან კონტაქტის გზით. საკვები პროდუქტებიდან ინფექციის გავრცელების ხშირი მიზეზია ინფიცირებული აუდუღარი რძე. კონტაქტური გზით ინფექციის გადაცემისას ჯანმრთელი ადამიანი ავადდება ავადმყოფთან ან ბაქტერიამატარებელთან უშუალო კონტაქტით ან ინფიცირებული ნივთებით. საკვები პროდუქტები და ნივთები შეიძლება მექანიკურად დაბინძურდეს ბუზების მეშვეობითაც.

მუცლის ტიფით დაავადების შემთხვევები უფრო ხშირია ზაფხულ-შემოდგომაზე. დაავადების განვითარების პროცესში რამდენიმე ფაზა შეიძლება გამოვყოთ:

**1**. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში პირის გზით მოხვედრილი ტიფური სალმონელები გადალახავენ კუჭის ბარიერს, ხვდებიან წვრილ ნაწლავში, ჩაიბუდებენ წვრილი ნაწლავის ლიმფურ აპარატში და აღწევენ ლიმფურ კვანძებამდე.

**2**. ნაწლავის ლიმფურ კვანძებში ტიფური სალმონელა ინტენსიურად მრავლდება, პარალელურად ისინი იშლებიან და გამოთავისუფლდება ტოქსინი, რასაც თან სდევს ანთებითი ცვლილებები.

**3**. ლიმფურ კვანძებში სალმონელების გამრავლება თანდათან მატულობს, ირღვევა ლიმფური აპარატის ბარიერული ფუნქცია და ისინი სისხლში გადადიან.



**4**. სისხლში ბაქტერიების გამრავლებასთან ერთად სისხლის ბაქტერიული ზემოქმედების გამო სალმონელები იშლება და ტოქსინი დიდი რაოდენობით გამოთავისუფლდება — ვითარდება ორგანიზმის ინტოქსიკაცია.

**5**. ბაქტერიები სისხლის გზით ხვდებიან სხვადასხვა ორგანოსა და ქსოვილში (ღვიძლში, ელენთაში, ძვლის ტვინში და სხვ.). აქ გრძელდება მათი გამრავლება და გამოვლინდება გართულებები სხვადასხვა ორგანოს უპირატესი დაზიანებით. ამ ფაზაში სხვადასხვა ორგანოში ხდება ბაქტერიების შეკავება, სისხლი თავისუფლდება ინფექციისაგან და პროცესის ერთგვარი ლოკალიზაცია ხდება.

**6**. მეორე კვირის ბოლოდან მიკრობები კვლავ ხვდებიან სისხლის მიმოქცევაში და განაპირობებენ დაავადების ტალღისებურ ხასიათსა და ალერგიულ რეაქციებს. ამ პერიოდში გამომწვევი ორგანიზმიდან გამოიყოფა ღვიძლით, თირკმლებით, ნერწყვით, ოფლით, რძით; ღვიძლიდან ნაღველთან ერთად ნაწლავებში მოხვედრილი ბაქტერიების ნაწილი განავალთან ერთად გამოიყოფა გარემოში, ნაწილი კი კვლავ ჩაინერგება წვრილი ნაწლავების უკვე გაღიზიანებულ ლიმფურ სისტემაში, რასაც ნეკროზი და წყლულების განვითარება მოსდევს.

**7**. შემდეგ იწყება გამოჯანმრთელების ფაზა, იმუნური სისტემა აქტიურდება, ორგანიზმი თავისუფლდება გამომწვევისაგან. თუმცა ყოველთვის ვერ ხდება ბაქტერიების სრული გამოდევნა, რის გამოც რეციდივი ან ბაქტერიამატარებლობა ვითარდება.

**კლინიკა**. დაავადების ინკუბაციური პერიოდი 7-25 დღეა. მუცლის ტიფი ხშირად თანდათანობით იწყება, თუმცა ზოგჯერ მისი სწრაფი დასაწყისიც აღინიშნება. პირველი ნიშნებია: სისუსტე, შრომის უნარისა და მადის დაქვეითება, თავის ტკივილი. ტემპერატურა მატულობს კიბისებურად და პირველი კვირის ბოლოს 39-$40^0$C-ს აღწევს. ავადმყოფს აწუხებს უძილობა და ყაბზობა. მუცელი შებერილია, ენა დაფარულია სქელი მოთეთრო-მორუხო ნადებით. შეიძლება გამოვლინდეს ხანმოკლე კუჭის აშლა. მეორე კვირისთვის უკვე ვითარდება ტიფური მდგომარეობა: ავადმყოფი გაბრუებულია, ბოდავს, გონება დაბინდული აქვს; დაავადების მე-9-10 დღეს გულმკერდზე, მუცელსა და ზურგზე ზოგჯერ ჩნდება წვრილი, ნაზი, მოვარდისფრო ერთეული გამონაყარი, რომელიც ხელის დაჭერით ქრება. დაავადების ხანგრძლივობა 4 კვირამდეა. მე-2-3 კვირაში წვრილ ნაწლავებში არსებული წყლულები შეიძლება მუცლის ტიფისათვის დამახასიათებელი მეტად მძიმე გართულებების მიზეზი გახდეს. ასეთებია: ნაწლავის გახვრეტა და ნაწლავიდან სისხლდენა. მუცლის ტიფი შეიძლება გართულდეს ფილტვების, გულის კუნთის, ტვინის ანთებით, თრომბოფლებიტით და სხვა.

ბოლო წლებში გახშირდა მუცლის ტიფის მსუბუქი, ხანმოკლე ცხელებით მიმდინარე ატიპური ფორმები. საყურადღებოა, რომ ეს დაავადება მსუბუქი მიმდინარეობის დროსაც კი შეიძლება დამძიმდეს და გართულდეს.

მუცლის ტიფით დაავადებულისთვის აუცილებელია მკაცრი წოლითი რეჟიმი. ყაბზობის დროს იყენებენ გამწმენდ ოყნას. დიეტა სრულფასოვანია როგორც კალორიულობით, ასევე ცილებისა და ვიტამინების შემცველობით, მაგრამ უნდა ვერიდოთ უხეშ, ცხიმიან საკვებს. ინიშნება თეთრი ორცხობილა, მაწონი, არაჟანი, ხაჭო, ნაღები, ბულიონი, მანანის ფაფა, ბოსტნეულის პიურე, გატარებული ხორცი, ჩაი, სითხეები საკმაო რაოდენობით.

ანტიბიოტიკებიდან გამოიყენება ლევომიცეტინი, ამპიცილინი, აგრეთვე, ბისეპტოლი, ფურაზოლიდონი. ღრმა ინტოქსიკაციის დროს ვენაში შეჰყავთ სადეზინტოქსიკაციო ხსნარები: ჰემოდეზი, პლაზმა, ალბუმინი; ქსოვილოვანი მეტაბოლიზმის (ნივთიერებათა ცვლა) აღდგენისათვის კი ნიშნავენ რეოპოლიგლუკინსა და კორტიკოსტეროიდებს.

ავადმყოფთან კონტაქტში მყოფ პირებზე უნდა დაწესდეს მეთვალყურეობა 21 დღის განმავლობაში. ავადმყოფის პირად ნივთებს, თეთრეულს უნდა გაუკეთდეს დეზინფექცია ქლორამინის 5%-იანი ხსნარით.

მუცლის ტიფის პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, კანალიზაციების სრულ წესრიგში მოყვანას, საზოგადოებრივ საპირფარეშოებზე ზედამხედველობას, წყლის სანიტარულ დაცვას.

არსებობს მუცლის ტიფის მსგავსი დაავადებები: პარატიფი — A და პარატიფი — B. ისინი ძალიან ჰგვანან მუცლის ტიფს, მაგრამ გაცილებით მსუბუქად მიმდინარეობენ და იშვიათად იძლევიან გართულებებს, მკურნალობა და პროფილაქტიკა იგივეა, როგორიც მუცლის ტიფისა.

***თამარ მამაცაშვილი***

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

**SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი**
**SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა**
**SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები**
**SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია**
**SGS - აბსოლუტური ანონიმურობა**

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: **„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.**
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# ზაფხულის უსიამოვნებანი

## მზე — სისხლძარღვების მტერი

ზაფხულში იზრდება გულ-სისხლძარღვებით დაავადებულთა რიცხვი. რა ხდება? — იკითხავთ. ექიმების პასუხი ასეთია: ზაფხულში, სიცხის



გამო, მკვეთრად მცირდება ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა, რაც ადამიანებში იწვევს რეფლექსურად კანის სისხლძარღვების გაფართოებას, ამავე დროს იზრდება გულის ცემის რიტმი, აჩქარებულია სუნთქვა, ეწყებათ ჰაერის უკმარისობა, ხუთვა, თავბრუს ხვევა, რასაც მოსდევს წნევის „ხტუნვა“.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ დროს:

სიცხის დროს ოფლის სახით ვკარგავთ ძალიან ბევრ სითხეს, ამიტომ უნდა ვსვათ დღე-ღამეში 2 ლ-მდე წყალი, ხოლო მათ, ვისაც შეშუპება ეწყებათ 1-1,5 ლ.

სიცხეში ყველაზე მეტად საშიშია გულ-სისხლძარღვებით დაავადებულებისთვის ნაშუადღევი, რადგან სწორედ ამ დროს მკვეთრად მცირდება ჰაერში ჟანგბადი.

ჰიპერტონიკებისთვის არათუ გარუჯვა, არამედ მზეზე დიდხანს ყოფნაც კი არ შეიძლება; ამ დროს შეიძლება ინსულტსაც „გამოჰკრათ“ ხელი. შინიდან გამოსვლისას თან იქონიეთ წამლები: ვალიდოლი, ნიტროგლიცერინი, წნევის დამწევი საშუალებები.

## რითი დავეხმაროთ გულ-სისხლძარღვებს?

უმჯობესია, ზაფხულში გაზიანი სასმელები შეცვალოთ სტაფილოს ან ჭარხლის წვენით. გულით დაავადებულებმა ყოველ დილას უნდა მიიღონ წყალში გახსნილი ან ხილის სალათზე დამატებული 1 ს/კ თაფლი. ჰიპერტონიკებმა შეიძლება მიიღონ ყურძნის წვენი ან ელეუთეროკოკის ფესვების ნაყენი.

თუ სიცხისგან თავი გტკივათ ან თავბრუ გეხვევათ, დაიზილეთ ტანი გრილი და არა ყინულივით ცივი წყლით; დაიწყეთ დაზელა ფეხებიდან — ქვევიდან ზევით, და ხელის თითებიდან — მხრებისკენ და ა.შ. ეს პროცედურა არეგულირებს არტერიულ წნევას და ხსნის დაღლილობას.

უმჯობესია, სიცხეში არ ატაროთ ლითონის სამკაული, განსაკუთრებით „შეკრული“ (მაგ. ოქროს ძეწკვი), ყველაფერი ეს ხელს უშლის სისხლის მიმოქცევას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძილის ნორმალურ რეჟიმსა და ფეხით სიარულს.

ჰიპერტონიის დროს სასარგებლოა დილას და საღამოს კონტრასტული შხაპი, ან ვაშლის ძმარგარეული გრილი წყლის ტანზე გადავლება (10 ლ წყალი და 1 ს/კ ვაშლის ძმარი).

ასევე სასარგებლოა ფეხშიშველი სიარული ბალახზე და მიწაზე. მატებს ძალას მწვანე ჩაი, რომელშიც შეგიძლიათ ჩააწვეთოთ ჟენ-შენის ან ელეუთეროკოკის ნაყენის რამდენიმე წვეთი.

## როგორ მოვიქცეთ მზის აქტიურობის დროს?

მაგნიტურ დღეებში (წინა დღესაც) უნდა მიიღოთ ნებისმიერი თქვენთვის ჩვეული სისხლის გამათხელებელი წამალი (მაგალითად ასპირინი), რომელიც ხსნის ტკივილის შეგრძნებას.

ვისაც აწუხებს არითმია, იშემია, გადატანილი აქვს ინფარქტი ან ინსულტი, მზის აქტიურობის დროს უნდა დაიცვას ექიმის დანიშნულება, ყოველთვის თან იქონიოს დანიშნული წამლები.

მზის ამოფრქვევისას ორგანიზმისთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად იმყოფებით — შინ თუ გარეთ; თუმცა — სუფთა ჰაერზე, და ისიც ჩრდილში, შედარებით უმჯობესდება სუნთქვა.

მაგნიტურ დღეებში გულს უჭირს სისხლის ქაჩვა, ამიტომ, სასურველია, არ იაროთ სწრაფად, არ ატაროთ სიმძიმე და არ წახვიდეთ სამოგზაუროდ.

***კომსომოლსკაია პრავდა №117***

# იმღერე რამე, იმღერე...



დღეში ერთ-ორ სიმღერას თუ მთელი ხმით იმღერებთ, ხვრინვის ინტენსივობა ღამით 30%-ით შეგიმცირდებათ. ასე ფიქრობენ ინგლისელი მეცნიერები. მსგავსი ვოკალური თერაპიის ეფექტურობა მარტივი ასახსნელია: ასაკთან ერთად ადამიანს სხეულის კუნთები უდუნდება, მათ შორის, ყელისაც. მაგრამ თუ ისინი არ ვავარჯიშეთ, ეს სისუსტე გამოვლინდება ხვრინვის სახით. რეგულარული ვარჯიშის შემდეგ კუნთები აღიდგენენ ელასტიკურობას. მეცნიერებმა შეიმუშავეს საგანგებო პროგრამა „სიმღერა ხვრინვის საწინააღმდეგოდ“, რომელშიც შევიდა სამი დისკი სიმღერების ჩანაწერებით და წიგნი საგანგებო მაგალითებით.

***მეგაპოლის ექსპრესი №30***

# დიეტა ქრონიკული ქოლეცისტიტის (ნაღვლის ბუშტის ანთების) დროს



**1**. საჭმელი მიიღეთ მცირე ულუფებით, 4-6-ჯერ დღეში, სასურველია ერთსა და იმავე დროს;

**2**. გახსოვდეთ, რომ საკვები არ უნდა იყოს არც ძალიან ცხელი, არც ძალიან ცივი, არამედ გრილი;

**3**. პირველი თავი კერძი შეიძლება იყოს ხორცის ან თევზის ბულიონი, თუმცა სჯობს, უფრო ხშირად მიირთვათ ბოსტნეულის ან რძის პროდუქტებით (მაწონი, ხაჭო) მომზადებული წვნიანები;

**4**. უპირატესად მიირთვით მოხარშული, ჩაოშუშული, ორთქლზე მომზადებული კერძები;

**5**. ნაკლებად გამოიყენეთ ძროხის ხორცი, უფრო ხშირად მიირთვით ფრინველის ხორცი, ნაკლებცხიამიანი თევზი, ხაჭო, ყველი (დაახლოებით 200-250გ ყოველდღიურად).

**6**. თუ კვერცხის მოყვარული ხართ, შეგიძლიათ მიიღოთ 1 მოხარშული კვერცხის ცილა კვირაში ერთხელ (სალათებში ან ომლეტში) კვერცხის გული კი — კვირაში 2-3-ჯერ.

**7**. ცხიმები არ უნდა აღემატებოდეს დღეში 45გ-ს. ისინი შეგიძლიათ ასე გაანაწილოთ:

ა) ზეითუნის ან სოიის ზეთი — 1ს/კ;

ბ) მზესუმზირის ან სიმინდის ზეთი — 1 საჩაროზე კოვზი;

კარაქი — 10-15გ;

ცხიმი დაუმატეთ გამზადებულ კერძებს — სალათებს, პიურეს, ფაფას, წვნიანს;

**8**. მცირე რაოდენობით მიიღეთ მარილი, საკონდიტრო ნაწარმი, ცომეული (განსაკუთრებით — ქადა, ნაზუქი), ტკბილეული, ნაყინი. ეს უპირატესად მათ ეხებათ, ვინც ჭარბ წონას უჩივის.

**9**. სითხეებიდან უმჯობესია ასკილის ნაყენი, მინერალური წყალი (ოთახის ტემპერატურის, უგაზო, ჭამიდან 30-40 წუთის შემდეგ).

შეგიძლიათ მიირთვათ სუსტი ჩაი და ყავა.

ქოლეცისტიტის გამწვავების დროს სითხის რაოდენობა გაზარდეთ დღეში 2-2,5 ლ-მდე.

ქოლეცისტიტისთვის მავნეა:

ცხარე საჭმელი, საწებლები, სანელებლები, მარილიანი კერძები, მარინადი, ნიორი, ხახვი, ბოლოკი, შემწვარი, შებოლილი, დაკონსერვებული საკვები, ძეხვეული, ტვინი, სოკო, ალკოჰოლური სასმელი.

***მაია მუხიგული***

## არაკომერციული პარტნიორობა სომხეთსა და რუსეთს შორის

რუს სპეციალისტთა ჯგუფი სომხეთს ეწვია იმ საწარმოების შესაფასებლად, რომელთა აქციებიც უნდა გადაეცეს რუსეთს რესპუბლიკის ვალის დასაფარავად. „სომხეთი კავკასიაში რუსეთის ერთადერთი საიმედო მოკავშირეა. ჩვენ შეგვეძლო მათთვის ვალი ჩამოგვეწერა, ბოლოს და ბოლოს, 98 მლნ დოლარი ბევრი არაფერია რუსეთისათვის, მაგრამ არ გვინდოდა შეგვექმნა პრეცედენტი დსთ-ის სხვა ქვეყნებისათვის, რომლებსაც რუსეთის გაცილებით მეტი მართებთ, — განაცხადა დელეგაციის მეთაურმა, — სომხეთი ძირითად ვალს და პროცენტებს თანდათანობით დაფარავს არა მარტო საწარმოთა აქციების, არამედ მიწის ნაკვეთების, ნაგებობებისა და აღჭურვილობების რუსეთის განკარგულებაში გადაცემით“.

— კარგია, რომ არსებობს სახელმწიფო, რომელიც ცივილიზებული გზით აგვარებს ვალების პრობლემას, ეს დსთ-ის სხვა ქვეყნებისათვის კარგი მაგალითი გახდება, მაგრამ შეთავაზებული ობიექტები რუსეთისთვისაც საინტერესო უნდა იყოს, — განაცხადეს რუსეთის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროში.

სომხეთის ფინანსებისა და ეკონომიკის მინისტრის, ვართან ხაჩატრიანის თქმით, რესპუბლიკა არა მარტო საგარეო ვალებს შეამცირებს, არამედ რუსეთის ინვესტიციების საშუალებით საწარმოთა ამუშავებასაც შეძლებს.

რუსეთის მხარე იმასაც ფიქრობს, რომ გაჩანაგებულ საწარმოთა ფეხზე დასაყენებლად საჭირო თანხებმა შეიძლება ვალს გადააჭარბოს.

***იზვესტია №136***

## სახელისუფლებო გენები



შეიძლება ქალი გახდეს სამხრეთ კორეის პრეზიდენტი? ეს კითხვა ახლა ბევრს აღელვებს 50 წლის სასიამოვნო გარეგნობის ქალბატონთან დაკავშირებით.

პაკ გიუნ ჰი — სამხრეთ კორეის გარდაცვლილი პრეზიდენტის პაკ ჯონ ჰის ქალიშვილია. ამ კაცს სრულიად სამართლიანად უწოდებდნენ დიქტატორს. იგი ხელისუფლების სათავეში 1961 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად აღმოჩნდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამხრეთ კორეის ეკონომიკამ სწორედ მის ხელში დაიწყო აღმავლობა.

სენტიმენტალური კორეელების სიმპათია პაკ გიუნ ჰისადმი ძირითადად მისი ტრაგიკული ბედითაა გამოწვეული: 1974 წელს ქილერმა, რომელიც პრეზიდენტს უმიზნებდა, შემთხვევით დედამისი მოკლა, 5 წლის შემდეგ კი მორიგი თავდასხმის მსხვერპლი გახდა მამამისიც.

ქალბატონი პაკ გიუნ ჰი აპირებს ოჯახური ტრადიციების გაგრძელებას. შექმნა პოლიტიკური ორგანიზაცია „მომავალი“ და იმასაც მიაღწია, რასაც ვერ ახერხებს ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი კიმ დე ჯუნი — მან მოინახულა ფჰენიანი. იგი მიიღო ჩრდილოეთ კორეის მუშათა პარტიის ცკ-ის გენერალურმა მდივანმა კიმ ჩენ ირმა...

***იტოგი №30***

## რატომ ხურავს ისრაელი მინსკში თავის საელჩოს?

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა, ბელორუსიაში დახუროს საელჩო. საბაბად დიდი ხარჯები დაასახელეს. მინსკი ზიმბაბვეს, ნამიბიასა და ახალ ზელანდიასთან ერთად მოჰყვა „შემცირებაში“. თუმცა ბელორუსიაში ფიქრობდნენ, რომ მათ მეტი პატივისცემით მოეკიდებოდნენ — ისრაელის სახელმწიფოს დამაარსებლები ხომ წარმოშობით ბელორუსიიდან იყვნენ. სხვათა შორის, ბელორუსიიდანაა ახლანდელი პრემიერის არიელ შარონის მამაც, საგარეო საქმეთა მინისტრი შიმონ პერესი, ანუ სიომა პერსკი თავადაა მინსკის ოლქიდან.

საელჩოს დახურვა პირველ რიგში ბელორუს ტურისტსა და მეწარმეს დააზარალებს. ახლა ვიზებს მხოლოდ იმას მისცემენ, ვინც ისრაელში გადასახლებას აპირებს. ტურისტმა კი ვიზისათვის მოსკოვს უნდა მიმართოს.

სავსებით ცხადია, რომ მინსკში საელჩოს ლიკვიდაციას და საკონსულო სამსახურის შეზღუდვას არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათიც აქვს. შესაძლოა, ეს იყოს მინსკის ებრაელთა სასაფლაოების წაბილწვის გამოძახილი. ისიც ფაქტია, ისრაელის მთავრობას არც ის ეჭაშნიკა, რომ მინსკის მერიამ ძველი სინაგოგის დანგრევა დაადგინა. თავიდათავი კი მაინც ის არის, რომ ისრაელს აშკარად აშფოთებს ოფიციალური მინსკის მეგობრული ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთის ზოგ რადიკალურ ქვეყანასთან, უპირველესად კი, სადამ ჰუსეინის რეჟიმთან.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №31***

## კანცლერი შრედერი წინააღმდეგია



თავისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა ხაზგასმით აღნიშნა, — სადამ ჰუსეინის დასამხობ აქციას შესაძლოა ძალიან სახიფათო შედეგები მოჰყვეს, გერმანია კი მზად არ არის ახლო აღმოსავლეთში თავგადასავლებისათვისო. მისი აზრით, საჭიროა შემდგომი ზეწოლა ჰუსეინზე, რათა მან გაეროს ინსპექტორებს ერაყში დაბრუნების საშუალება მისცეს, მაგრამ სამხედრო ოპერაცია არ უნდა ჩატარდეს. კანცლერმა მოუწოდა ყველას, ვინც კი ამუშავებს ომის გეგმას, არა მარტო სამხედრო კამპანიის სტრატეგიაზე იფიქროს, არამედ მის პოლიტიკურ შედეგებზეც. „ჩვენ ამერიკას მხარს ვუჭერთ, მაგრამ ვიდრე ხელისუფლების სათავეში ვარ, იარაღს ხელს არ მოვკიდებთ“, — განაცხადა კანცლერმა და ამით ამერიკელებს მიანიშნა, ერაყის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში გერმანიის იმედი ნუ გექნებათო. მისი თქმით, ერაყის პრობლემებთან დაკავშირებით ნატო 23 სექტემბერს გამართავს კონფერენციას, ერთი დღით ადრე გერმანიაში არჩევნები დაიწყება და ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, როგორ პოზიციას დაიჭერს მთავრობა.

***გაზეტა რუ***

## საუდის არაბეთში ეროვნების მიხედვით სჯიან

ახლახან, საუდის არაბეთში ბოლო წლებში მომხდარი ორ ყველაზე გახმაურებულ საქმესთან დაკავშირებით გამოტანილმა განაჩენმა მსოფლიოს დაანახვა, თუ რას ემყარება ამ ქვეყნის ნაციონალური იუსტიცია. ორ ქრისტიანს — ბრიტანელ ალ. მიტჩელს და კანადელ უ. სემფსონს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ბრიტანელი ექიმის როჯეს მკვლელობისათვის. ორმა უცხოელმა მუსლიმანმა — ჩეჩენმა ირისხან არსეევმა და დენი მაჰომირზაევმა შარშან რუსეთის თვითმფრინავი გაიტაცეს საუდის არაბეთში, შტურმის დროს დაიღუპა სტიუარდესა. ამის გამო მათ 4 და 6 წელი მიუსაჯეს.

საუდის არაბეთში აკრედიტებული ინგლისელი კორესპონდენტი ამბობს, — სრულიად ფანტასტიკური განაჩენია, ბრიტანელსა და კანადელს სიკვდილი იმისათვის მიუსაჯეს, რისთვისაც ჩეჩნებს 4 და 6 წლის პატიმრობა არგუნეს. ბრიტანელსა და კანადელს აწამებდნენ ციხეში, აიძულეს გამომტყდარიყვნენ მკვლელობაში, რომელიც შესაძლოა არც ჩაუდენიათ. ჩეჩნები კი, რომელთა ბოროტმოქმედება მსოფლიოს ტელეკომპანიებმა პირდაპირი ეთერით აჩვენეს, ფაქტობრივად გაამართლეს. იქნებ ეს უბრალო დამთხვევაა, მაგრამ უცხოელებს ვურჩევდი, საამიროში ყოფნისას, ისე, ყოველი შემთხვევისათვის, ისლამი მიიღეთ-მეთქი.

***ვლასტი №30***

## იაპონელებს ნომრები ჩამოურიგეს

საზოგადოების გარკვეული ნაწილის პროტესტის მიუხედავად, იაპონიაში შემოიღეს მოსახლეობის საყოველთაო კომპიუტერიზებული რეგისტრაცია. ყოველ მცხოვრებს ექნება 11-ნიშნიანი ნომერი, რომლითაც გაიშიფრება მისი პირადი ინფორმაცია — გვარი, სახელი, სქესი, დაბადების თარიღი, მისამართი და შემდგომი ცვლილებები. იაპონიამ ამ საქმეს 337 მლნ დოლარი მოახმარა და ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს — მთის პატარა სოფლიდან დაწყებული, დედაქალაქით დამთავრებული — ერთიან კომპიუტერულ ქსელში მოუყარა თავი.

პირად ნომრებს იაპონელებს აგვისტოს დამლევს შეატყობინებენ. ელექტრონული სასწაულის მეშვეობით, მოქალაქეებს გაუთავისუფლდებათ ის დრო, რომელიც მათ სჭირდებათ ცნობების ასაღებად, ნოტარიუსთან დასამოწმებლად და ა.შ. კომპიუტერული რეგისტრაციის სისტემა ითვალისწინებს უქაღალდო ტექნოლოგიას მუნიციპალიტეტებში 93 სახეობის ოპერაციის შესრულებისას.

სხვათა შორის, იაპონელებს შიდა მოხმარების პასპორტები არა აქვთ, მათ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს ე.წ. საოჯახო ჩანაწერები, რომლებშიც ქვეყნის თითოეული მოქალაქეა შეყვანილი და ყოველ მათგანს აქვს ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართი, რომლითაც ტოკიოელი ბომჟიც კი, სადღაც არის „ჩაწერილი“, თუმცა შესაძლოა იქაურობა მრავალი წლის წინ ჰქონდეს მიტოვებული.

იაპონიაში უცხოელები ვალდებულნი არიან, მუდმივად იქონიონ თან შესაბამისი პლასტიკატის ბარათი.

სრული კომპიუტერიზაციის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, ეს მთავრობას ტოტალური თვალთვალისთვის სჭირდებაო — ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანებს ნომრებს ურიგებენ, ციხეა, — განაცხადა საპროტესტო აქციის ლიდერმა მაკოტო სატაკამ, — და ჩვენც ციხე-სახელმწიფო ვხდებით. ინტელექტუალთა ჯგუფმა სასამართლოში უჩივლა მთავრობას და იგი კონსტიტუციის დარღვევაში დაადანაშაულა, მაგრამ მათ მომხრეები მაინცდამაინც ბევრი არ ჰყავთ, ხალხს ის უფრო აღელვებს — ვაითუ კომპიუტერული მონაცემები ბოროტმოქმედებმა გამოიყენონო, თუმცა მთავრობა ირწმუნება — ყველაფერი აბსოლუტურად გასაიდუმლოებული იქნებაო.

***ნოვიე იზვესტია №155***

თეირანში საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ირანის ხელმძღვანელობის სენსაციურ შეხვედრაზე ითქვა, რომ გაეროს გადაწყვეტილების გარეშე დაუშვებელია ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენება. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ყალიბდება ახლო აღმოსავლეთის ერთიანი ფრონტი აშშ-ისა და ისრაელის წინააღმდეგ, როგორც სამხედრო-სტრატეგიულ, აგრეთვე ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში.

ირანი-საუდის არაბეთის დაახლოებამ, რაც ამერიკელთა უკმაყოფილებას იწვევს, შესაძლოა მსოფლიო პოლიტიკის მთელი ფორმატი შეცვალოს. საუდის არაბეთის თანხმობის გარეშე ამერიკა ერაყს ვერ დაარტყამს, ეს კი ერ-რიადში სახელმწიფო გადატრიალების ალბათობას მეტისმეტად ზრდის.

***ზავტრა №32***

## მოკლედ

**რუსეთის** სამხრეთით წყალდიდობას 38 ადამიანი ემსხვერპლა. სტიქიური უბედურების ზონიდან ევაკუირებულია 7500 ადამიანი. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. ნოვოროსიისკსა და კრასნოდარს შორის მატარებლები უკვე მოძრაობენ. სტიქიური უბედურების შედეგები შესაძლოა უფრო მძიმე ყოფილიყო, მაგრამ მოსახლეობა და ჩამოსულები 5 აგვისტოს გააფრთხილეს მოსალოდნელი შტორმის თაობაზე, თუმცა ბევრმა ტურისტმა ყურად არ იღო გაფრთხილება.

**ლათინურ ამერიკაში** გრძელდება ეკონომიკური კრიზისი. როგორც ჩანს, არგენტინაში გამოცხადებულ დეფოლტს მისი მსხვილი სავაჭრო პარტნიორის — ურუგვაის ეკონომიკის დაცემა მოჰყვება.

**დსთ**-ის სახელმწიფოთაშორისი სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით, 2002 წლის იანვარ-ივნისში წარმოების ზრდის ტემპი, წინა წლებთან შედარებით, თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია სომხეთში.

**ამერიკის** სენატის ლიდერები არ ეთანხმებიან გფბ-ის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, აშშ-ის კონგრესის წევრებმა უნდა გაიარონ შემოწმება სიცრუის დეტექტორზე.

თუ **ტაივანის** ხელისუფლება თავს არ დაანებებს რეფერენდუმზე ლაპარაკს, რომელმაც თითქოს უნდა გადაწყვიტოს „ამბოხებული კუნძულის“ ბედი, კარგს ვერაფერს მოიმკის. პეკინის ლიდერების თქმით, ჩინეთის პროვინცია ფუძიანში განლაგებული 350 ბალისტიკური რაკეტა ტაივანს უმიზნებს.

**პაკისტანის** პრეზიდენტმა ფ. მუშარაფიმ სენსაციური განცხადება გააკეთა: ბინ ლადენს 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზებისათვის არც საკმარისი ინტელექტი გააჩნია და არც შესაძლებლობები, მას მხოლოდ ტერორისტთა დაფინანსება შეეძლოო.

**იაპონიის** სანაპიროსთან, სამხრეთ კორეისა და იაპონიის სატვირთო გემების შეჯახების შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, 7 უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**ახალ ორლეანში** „ოდობონ-აკვარიუმის“ დამთვალიერებლების ჯგუფი, რომელშიც ბავშვებიც იყვნენ, ზვიგენებიან აუზში ჩავარდა. — მოულოდნელად ჩაინგრა პატარა ხიდი, რომელსაც მოსამსახურე პერსონალი ზვიგენებისათვის საჭმლის ჩასაყრელად იყენებდა. საბედნიეროდ, ზვიგენები მათ არ მიჰკარებიან.

**ამერიკის** შეერთებული შტატების შეიარაღებულ ძალთა ცენტრალური შტაბბინიდან ქალაქ ტამპაში (ფლორიდის შტატი) დაიკარგა ორი პორტატიული კომპიუტერი, ერთ მათგანში საიდუმლო ინფორმაცია ინახებოდა.

## ბაქო უარს ამბობს კირილიცაზე

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აზერბაიჯანში დამკვიდრდა რუსული ანბანი — კირილიცა. სწორედ კირილიცას შრიფტით დაბეჭდილი წიგნებით ისწავლებოდა აზერბაიჯანში დედაენა.

დღეს სახელმწიფო მოხელეები ბეჯითად ასრულებენ პრეზიდენტ ალიევის მიერ ერთი წლის წინ მიღებულ ბრძანებულებას — ლათინურ გრაფიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება ქვეყნის პარლამენტმა ჯერ კიდევ 1992 წელს, აწ გარდაცვლილი პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის დროს მიიღო, მაგრამ შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ, რომელიც ხელისუფლებაში ჰეიდარ ალიევის დაბრუნებით დასრულდა, „კულტურული რევოლუცია“ შეაფერხა.

პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული „ლათინიზაცია“ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წლების განმავლობაში მხოლოდ კირილიცაზე (რუსული შრიფტი) წერდა და კითხულობდა. ლათინური შრიფტით ჯერჯერობით გამოცემულია მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელოები. ცხადია, რომ ახლანდელი სიღარიბის პირობებში სახელმწიფო ვერ შეძლებს აზერბაიჯანელი კლასიკოსების ტომების ბეჭდვას, რომ აღარაფერი ვთქვათ მსოფლიო ლიტერატურაზე. ამას ისიც მოჰყვა, რომ კირილიცათი დაბეჭდილი წიგნები საწყობებიდან და მაღაზიებიდან გააქვთ, არ ინდობენ ცოცხალი ავტორების ნაწარმოებებსაც.

ლათინურზე გადასვლამ დიდად აზარალა აზერბაიჯანის პრესა. ლათინური შრიფტით დაბეჭდილმა ჟურნალებმა და გაზეთებმა დაკარგეს კირილიცას შეჩვეული მკითხველი.

***კომსომოლსკაია პრავდა №139***

## პრეზიდენტის ინაუგურაცია აფეთქების ფონზე მიმდინარეობდა

კოლუმბიის ქალაქ ბოგოტაში, პარლამენტის შენობის გვერდით, სადაც მიმდინარეობდა პრეზიდენტ ალვარო ურიბეს ინაუგურაცია, ტერაქტების მთელი სერია ჩატარდა. დაიღუპა 18 ადამიანი, რამდენიმე ათეული მძიმედ დაიჭრა. ინაუგურაციის დროს დედაქალაქში არ ცხრებოდა აფეთქებების ხმა, აფეთქება პრეზიდენტის სასახლიდან 400-ოდე მეტრის დაშორებითაც მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ქვეყნის ახალი ლიდერი ფიცს სდებდა.

კოლუმბიის უშიშროების სამსახურის მონაცემებით, ტერაქტების ორგანიზატორია „კოლუმბიის რევოლუციური მემარცხენე ძალები“, რომლებიც ურიბეს უკვე ორჯერ დაესხნენ თავს პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნისას. მიზეზი გასაგებია, სახელმწიფოს ადრინდელი მეთაური ანდრეს პასტრანა ამბოხებულებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ურიბემ კი უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა მათ. ამჟამად ბოგოტას უსაფრთხოებას 20 ათასი ჯარისკაცი და პოლიციელი იცავს.



***ინტერფაქსი***

## რუსეთი თითქმის არ ეხმარება შიდსით დაავადებულებს

რუსეთში შიდსი ელვისებურად ვრცელდება. მთავრობის მონაცემებით, დაფიქსირებულია 200 ათასი შემთხვევა. არასამთავრობო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ სინამდვილეში 5-ჯერ მეტია. თუ ინფექცია ამავე ტემპით გავრცელდა, ალბათ 2007 წლისათვის 5 მლნ-ზე მეტი რუსეთის მოქალაქე იქნება დაავადებული.

2015 წლისთვის შიდსმა შესაძლოა 10 მლნ ადამიანი იმსხვერპლოს.

რუსეთის მთავრობა ყოველი შიდსით დასნებოვნებულის სამკურნალოდ მხოლოდ 45 დოლარს ხარჯავს. ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, რომლებსაც არც საჭირო ცოდნა აქვთ და ხელფასსაც მცირეს უხდიან, არ სურთ აღიარონ, რომ რუსეთს საშინელი საფრთხე ემუქრება.

***ნიუზუიქი***



**მ**იხეილ ლუარსაბის ძე დაუშვილი პანკისის ხეობის უხუცესია. ის რუსული ენისა და ქართული ლიტერატურის მასწავლებელია. დიდხანს მუშაობდა დუისის სკოლაში, დაარსა სოფლის ბიბლიოთეკა და ფოსტა. 84 წლის პედაგოგი დიდი პატივისცემით სარგებლობს პანკისში. მომხდარ ამბებზე ბრძნულად, წყნარად და იუმორით საუბრობს.



# ჩვენი მთები თქვენი სათარეშო არ არის!

— ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მწყემს ლევან თილიძეს ბანდიტებმა ნახევარი ფარა შეუჭამეს. ისე, ბოევიკები სულ იმას ამბობენ, ვალად ვიღებთო, მაგრამ მწყემსი მათ როგორ დაუჯერებდა. ყელში ამოუვიდა ამდენი დაპირება და დაასმინა ისინი მათთან, ვინც უფრო ახლოს იყო. ალბათ რუსეთის საგუშაგოს გზა უფრო ემოკლა, ვიდრე ქართული. ბოევიკები კი ჩეჩნეთში საომრად წასვლას აპირებდნენ.

პუტინმა მწყემსი ორდენით დააჯილდოვა. ალბათ აჯობებდა, რუსეთის მოქალაქეობა მიეცა და დაცვა მიეჩინა. თორემ... საწყალი მწყემსი...

საერთოდ, ეს რუსეთის ტერიტორიაზე ბანდიტების გადასვლის პირველი ცდა როდი იყო. ამ რამდენიმე კვირის წინაც მოინდომეს, მაგრამ ქართველებმა არ გაუშვეს. ხოლო როცა შევარდნაძემ გამოაცხადა, — სექტემბრისთვის ბოევიკებმა საქართველო უნდა დატოვონო, ბანდიტები აფუთფუთდნენ და რუსეთისკენაც დაიძრნენ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარს ბოევიკები მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადიან, თუ მათ ამაში ფულს გადაუხდიან. ქართველებმა ამას წინათ დაიჭირეს ორი შუამავალი, რომლებსაც ბოევიკებისთვის თურქეთიდან ფული გადმოჰქონდათ. მაგრამ თანხა თანდათან მცირდება და პანკისის მშვიდობიანი მცხოვრებნი ამას გრძნობენ. აპრილიდან ისლამისტურ ორგანიზაციებს არაფერი გამოუგზავნიათ, ზოგიერთი ბოევიკი კი თურქეთსა და ავღანეთში მიემგზავრება, ზოგიც აზერბაიჯანის გავლით — ირანში.

საქართველოს ჰუმანიტარული კატასტროფის ძალიან ეშინია, რადგან თვითონ ვერ გამოკვებავს პანკისში თავმოყრილ, რუსეთიდან დევნილ 5 ათას ლტოლვილს. მაგრამ ხომ გაგიგიათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო — როგორც კი ფულის შემოსვლა შეწყდება, პანკისიდან ბანდიტებიც გაქრებიან. საქართველოს ამის დიდი იმედი აქვს, რადგან ხეობაში კონტროლის დაწესება არ ძალუძს. შევარდნაძე ჩეჩნებს არც ეხმარება და არც ხელს უშლის. სიმშვიდისთვის ახლა ასეთი პოლიტიკაა საჭირო.

რუსეთის პოლიტიკოსების განცხადებას აქ ყურადღებას არავინ აქცევს. ყველასთვის ნათელია, რომ რუსეთში მილიტარისტებს დასაყრდენი არა აქვთ. მათი დიპლომატიური ხრიკები მოძველდა, ამიტომაც გამოსავალს უხეში ძალის გამოყენებაში ხედავენ.

ჩვენი ინფორმაციით, იმ 60 ბოევიკიდან ნახევარი თავად რუსმა მესაზღვრეებმა გაუშვეს, ახლა კი გაიძახიან — პანკისში ბოევიკებთან ბრძოლაა საჭიროო. რატომ?

იმიტომ, რომ საქმე ბოევიკების განადგურება კი არ არის, არამედ რუსეთის სამხედროების ჩვენს ტერიტორიაზე ყოფნა. ეს კი საქართველოს მოსახლეობისთვის ნიშნავს წმენდას, მკვლელობებსა და აბუჩად აგდებას! არა მჯერა, რომ საქართველოს მთავრობა ამას დაუშვებს.

რუსეთი ყველანაირად უშლის ხელს შევარდნაძეს, განახორციელოს ამერიკული გეგმები. მეც არ ვეთანხმები შევარდნაძეს, რადგან რუსეთს და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობა და რწმენა აკავშირებს. რუსეთი ხომ ერთადერთი მართლმორწმუნე ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია მუსლიმანურ გარემოცვას წინ აღუდგეს. მაგრამ მეორე მხრივ, რუსეთის პოლიტიკოსთაგან ვის ეთათბიროს შევარდნაძე? როგოზინს, რომელიც რუკას მიუშვერს თითს — აი, ჩვენი აფხაზეთი, აი, ჩვენი სამხრეთ ოსეთიო... კახეთსაც უმიზნებს, ვის ტერიტორიაზეც პანკისის ხეობაა. კახეთი საქართველოს ყველაზე სტაბილური რაიონია. მაგრამ თუ „კახელი ვირი“, როგორც ჩვენთან კახელებს ეძახიან, გააღიზიანე, მაშინ საქართველოსგან აღარაფერი დარჩება.

ჯობს, რუსეთი ჩუმად იყოს, მას შემდეგ, რაც მან ჩეჩნეთში ჩაიდინა... ომის დასასრულს ხომ პირი არ უჩანს და სხვის მიწაზე სამხედრო ოპერაციების ჩატარება კი დაუჟინია.

აგერ, პუტინმა ქართველი მწყემსი დააჯილდოვა, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ უხსენებია რუსეთიდან ათასობით დევნილი, რომლებიც პანკისის ხეობაში ცხოვრობენ და ჩეჩნეთში დაბრუნებას ელიან. პრეზიდენტი ხომ დაჰპირდა თავის ხალხს, დაგაბრუნებთო... ჯერ კიდევ აპრილში უნდა ჩამოსულიყო თვითმფრინავი ჰუმანიტარული დახმარებით. სად არის?

ამის მაგივრად საქართველოს მთებს ბომბავენ, ხოცავენ ძროხებს და თან ეს ჩვენ არ გვიქნიაო, — გაიძახიან. აბა, სხვა ვინ დაერეოდა ქართულ ძროხებს?

*ნოვაია გაზეტა №56*

# „რუს პოლიტიკოსებს და გენერლებს თავების გაგრილება სჭირდებათ“

## ამბობს პარტია „ლიბერალნაია როსიას“ თანათავმჯდომარე სერგეი იუშენკოვი



— პანკისის ხეობაში უამრავი დევნილია თავმოყრილი. იქ ბანდიტებსაც ნახავთ. მაგრამ უნდა დამტკიცდეს, რომ ისინი ნამდვილად ის ბანდიტები არიან, ვინც ბოროტმოქმედება ჩაიდინეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეტყობა, ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს დამამტკიცებელი საბუთები ნაკლებად აქვთ, ისინი არაპროფესიონალურად მუშაობენ. იმის მაგივრად, რომ ყველაფერი კანონიერად აკეთონ, რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება ამ საკითხების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტას აპირებს.

— **ე.ი. ფიქრობთ, რომ ოფიციალური რუსეთი უკანონოდ მოქმედებს?**

— იმას, რასაც დღეს რუსეთის ხელისუფლება ახორციელებს, მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის შემოღების საფუძველზე უნდა აკეთებდეს. საგანგებო მდგომარეობის შემოსაღებად კი რუსეთმა გაეროს უნდა მიმართოს, სწორედ იქ წარედგინება შესაბამისი დოკუმენტები, სადაც დასაბუთებული იქნება ამ ნაბიჯის აუცილებლობა და ვადები. მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას არ უნდა, გაეროში უსიამოვნო კითხვები დაუსვან და ამჯობინებს ე.წ. ტერორიზმთან ბრძოლის კანონით იმოქმედოს, რომელსაც თვითონვე არღვევს და გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება.

— **ნუთუ საქართველოში სამხედრო შეჭრის გარდა სხვა გამოსავალი არა გვაქვს?**

— ტერორიზმთან ბრძოლა საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით უნდა მიმდინარეობდეს, თორემ ჩვენც ბანდიტებს დავემსგავსებით. თუ ჩვენ მარტო საქართველოს დავადანაშაულებთ და არ ვეცდებით კონფლიქტების კანონიერი მეთოდებით მოწესრიგებას, მაშინ მოკლე ხანში მთელი კავკასია ძალადობის მორევში ჩაიძირება. რუსეთის ხელისუფლების გააზრებელი პოლიტიკა საქართველოსთან ომს თუ არა (მე მგონი, რეალურ ომამდე მაინც არ მივა საქმე), გაუთავებელ შეიარაღებულ კონფლიქტებს მაინც გამოიწვევს, რაც ორივე მხარისთვის შეიძლება სავალალო შედეგით დასრულდეს.

მე მგონია, ზოგიერთ რუს პოლიტიკოსს და გენერალს თავის გაგრილება სჭირდებათ.

*ამონარიდი ინტერვიუდან*

# „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ“ პარტია „ლიბერალნაია როსიას“ განცხადება

## — ეს საქართველოსთან ომის დაწყების მოწოდებაა...

ამ ბოლო დროს რუსეთში ხშირად გაისმის ხმები პანკისის ხეობაში ტერორისტების ბაზების განადგურების მიზნით შეიარაღებული შეჭრის აუცილებლობის შესახებ. ფაქტობრივად ეს საქართველოსთან ომის დაწყების მოწოდებაა. მოღვაწეები, რომლებიც ამ მოწოდებას მხარს უჭერენ, პრობლემას თავდაყირა აყენებენ. სავსებით ნათელია, რომ დაბრკოლება, რომელიც შეიქმნა პანკისის ხეობაში მყოფ ლტოლვილებთან დაკავშირებით, გამოწვეულია იმ გაუთავებელი, თითქმის სამწლიანი უკანონო ომით, რომელსაც ფედერალური ჯარები ეწევიან ჩეჩნეთში, ვითომდა კონტრტერორისტული ოპერაციის სახელით. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უმრავლესობა დიდი ხანია მიხვდა, რომ ჩეჩნეთში მდგომარეობის ძალისმიერი ხერხით გადაწყვეტის მცდელობამ კრახი განიცადა, მაგრამ უმწეო პოლიტიკოსები თავის გასამართლებლად მიზეზს პოულობენ — მათ ყოველთვის ვიღაც უშლის ხელს, ამჯერად საქართველოს ოფიციალური მთავრობა, რომელიც არ აძლევს რუს სამხედროებს საქართველოს დაბომბვის და სახმელეთო ოპერაციების ჩატარების უფლებას.

„ლიბერალნაია როსია“ თვლის, რომ ჩეჩნეთში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გასაღები საქართველოში კი არა, მოსკოვშია. რუსეთის ოფიციალურ ხელისუფლებას არ შეუძლია, ან არ უნდა შეიგნოს ის, რომ ყველა ომის, ყველანაირი კონფლიქტის მშვიდობისკენ მობრუნება მხოლოდ მეომარი მხარეების პოლიტიკური მოლაპარაკებებით ხდება...

„ლიბერალნაია როსია“ მოუწოდებს ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებას, ჩეჩნეთის კანონიერად არჩეულ პრეზიდენტთან, მასხადოვთან მშვიდობიანი მოლაპარაკებისკენ და მიმართავს ყველა პასუხისმგებელ პოლიტიკოსს, თავი შეიკავოს კომენტარებისგან, რომელიც შეიძლება აღქმული იქნას, როგორც სუვერენული სახელმწიფოს — საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დასაწყისად.

პარტია „ლიბერალნაია როსიას“ თანათავმჯდომარეები:

*სერგეი იუშენკოვი,*
*ვიქტორ პოხმელკინი,*
*ბორის ზოლოტუხინი,*
*ვლადიმირ გოლოვლევი*
*ბორის ბერეზოვსკი*
*(იბეჭდება შემოკლებით)*

*ნეზავისიმაია №161*

# შაირობა ამას ჰქვია

(იბეჭდება ლექსის ფრაგმენტი)

**Сердце растопив нам, словно лава,**
**Душу оккупировав давно,**
**Здесь живут Брегвадзе, Соткилава**
**И Павлиашвили с Мимино!**

**Вторглись прочно Каха Бендукидзе,**
**Стуруа - наездами пока,**
**Освещает жизнь Кремля Сванидзе,**
**А Меладзе - самбу мотылька.**

**Далеко у нас зашли процессы,**
**Нас уже не просто развести:**
**Можем мы Мегвинетухуцеси**
**Безошибочно произнести!**

**Мы ж у вас не денег просим, главное,**
**С этим знаем - в Грузии беда...**
**Выдайте бандитов, православные,**
**Что взрывали наши города!**




*კომსომოლსკაია პრავდა №140*


გახდომა (გარანტიით)

გინდათ უპრობლემოდ გახდომა?
მაშინ მოგვმართეთ და თქვენ ყოველგვარი დიეტის გარეშე, ჩვენთან ინდივიდუალურად დამზადებული მცენარეული ფხვნილების საშუალებით, გახდებით 4-ჯერ უფრო ტანადი.
მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 (ოპერის პირდაპირ)
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

600-750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება
სიღრმე (0-25)მ.
ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.
☎ 899-16-09-10


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 10 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1800 |
| ევრო | 2,1146 |
| ინგლ. ფუნტი | 3,3361 |
| რუსული რუბლი | 0,0690 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3350 |


„ტრანსეკოლის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკომი“
აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

მცენარეული შამპუნი
გამოიყენება თმის ცვენის შესაჩერებლად, აქვს ძლიერი თერაპიული შედეგი, ამაგრებს თმის ძირებს, არეგულირებს თავის კანის ცხიმიანობას, სპობს ქერტლს. იგი შეიცავს 60%-მდე მცენარეულ ექსტრაქტებს.
მის: რუსთაველის გამზ. 28, მე-13 მოზრდილთა პოლიკლინიკა, კაბ. №26 (ოპერის პირდაპირ)
☎ 92-16-52 (10-18 სთ-მდე კვირის გარდა)

# ცხოვრებისეული კურიოზები

## გერმანული ღორების „სარკეებიანი მენიუ"



მახსოვს, საბჭოთა პერიოდია და თეატრის დასთან ერთად (მაშინ თეატრში ვმუშაობდი) გერმანიაში მოვხვდი. სხვათა და სხვათა დათვალიერების შემდეგ, რატომღაც, მეცხოველეობის ფერმაში მიგვიყვანეს... შეგვიყვანეს ერთ დიდ, გაწკრიალებულ დარბაზში. დგას ლამის ჭერიდან ჩამოშვებული სარკეები. სარკის წინ დგას რაღაც ფერად-ფერადი სითხით სავსე დიდი მათლაფა-ჯამები და ყველა ჯამის წინ თითო დიდი ღორი... ღორები თან სარკეში იყურებიან (ცალი თვალით), თან თქვლეფენ და თქვლეფენ... გაოცებულები ვართ... მერე ჩამოიარეს თეთრხალათიანებმა და სადღაც გარეკეს...

თურმე — ეს საწყალი ღორები სარკეში „მეორე ღორს" და მის წინ დადგმულ სალაფავს რომ ხედავენ, არიქა, მიჭამსო და თავგანწირულნი მოსწრებაზე არიან...

როცა თეთრხალათიანებმა გაიყვანეს, იქ თურმე რა ხდება — შეყრიან ბნელ ოთახში და აშიმშილებენ, მომდევნო „სარკეებიან" მომენტამდე... ამის მერე ამ საწყლებს საბეკონე ხორცად ამზადებენ — მჭლე, ქონი, ქონი, მჭლე... აი, ასე...

***მაკა ჯაფარიძე, თბილისი***

## პორტრეტისტი ჟორია



ჭიათურელი მძღოლი ჟორია ერგემლიძე თავისუფალ დროს თურმე პორტრეტების ხატვით ირთობდა თავს.

ზაფხულის არდადეგებზე თბილისელი სტუდენტი გოგო ჩამოსულა ბებიასთან, დასასვენებლად — ჟორიას მეზობლად.

რომ გაუგია, ჟორია ხატავსო, უთხოვია — დამხატე, შენი ჭირიმე, საქმრო მყავს ჯარში და ჩემი პორტრეტი უნდა გავუგზავნო, დაბადების დღე აქვს იქით კვირაშიო.

ჟორიას უარი არ უთქვამს და ხატავს თურმე მეზობლის შვილიშვილს.

დროდადრო გოგო წამოხტება და ნახატს ამოწმებს.

— ა, აქ, ამ ადგილას, ხალი მკრთალად დახატე და ცხვირიც ცოტა დამიპატარავე.

— კაი!.. — ბურდღუნებს „მხატვარი".

ცოტა ხანში ისევ:

— აქ, ეს ლოყა უფრო მოამგვრალე, ჰო, ყურიც დააპატარავე, თმა გაალიავე...

ჟორიამ ველარ მოითმინა:

— რას გეტყვი, ბიძია, იცი? — მოისვენე და მაცალე ხატვა, თვარა, მართლა ისე დაგხატავ, რაფერიც ხარ და ის შენი საქმრო თავის დაბადების დღესაც დეიწყევლის და შეიძლება არც ქე დაბრუნდეს აქეთ... ბიჯოს!

***მურმან მერკვილიშვილი, თბილისი***

## შეცდომა



ჩემს მეზობელ ვლასის ავი ძაღლი ჰყავდა, რექსა ერქვა. ერთხელ მეზობლის ბიჭი ფრიდონა მივიდა რაღაც საქმეზე და ჭიშკართან დგას, ძალიან ეშინია ძაღლის, თან ორი დღის წინ რექსამ ფრიდონას ძმაკაცი დაგლიჯა...

დგას ფრიდონა, არ იცის ხმამაღლა დაიძახოს თუ სახლის პატრონის შემთხვევით გამოსვლას დაელოდოს. ამ დროს სად იყო და სად არა, ვლასის ძაღლი გამოვარდა და გამოენთო ჩვენს ფრიდონას. ბიჭი თან გარბის და თან მთელი ძალით ყვირის, — რექსა ბიძია, უთხარი ვლასის არ მიკბინოს, არ მიკბინოსო!

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## ეს არის მწვერვალი?!



ამ ათიოდე წლის წინ სტუდენტები მორიგ ალპინიადას ვაწყობდით კავკასიონზე, ხთის ხეობაში, მწვერვალის დალაშქვრა გვქონდა განზრახული. საბაზო ბანაკი მთის ძირში, სოფლის მახლობლად მოვაწყვეთ. როგორც წესი, საკონტროლო გასვლები და დაზვერვითი „სამუშაოებიც" განვახორციელეთ. მანამდე კი სოფელში ცხვარი ვიყიდეთ და ერთ-ერთ ჩვენგანს, ზაზას ჩავაბარეთ (რომელიც შეუძლოდ იყო და ბანაკში დარჩა).

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე გავაკეთეთ, როგორც ნამდვილ ალპინისტებს შეეფერებათ და საღამოს ბანაკში დავბრუნდით. დილაადრიან უკვე მწვერვალის გზას უნდა დავდგომოდით, რომლის „დაპყრობაც" სწორედ ახალნაყიდი ცხვრით უნდა გვეზეიმა. მაგრამ... ბანაკში ყურებჩამოყრილი ზაზა დაგვხვდა, რომელსაც ჩვენი ცხვარი დაუკარგავს, — ბევრი ვეძებე, სად არ ვიყავი, აქაურობა ლამის გადავატრიალე, მაგრამ ვერსად ვიპოვეო.

რას ვიზამდით, შევეგუეთ იმ აზრს, რომ ჩაქაფულის გარეშე დავრჩებოდით.

დილაუთენია ავდექით, საგულდაგულოდ მოვემზადეთ, წრიაპებით და ალპინისტის პალოებით შევიარაღდით და ციცაბო აღმართს ავუყევით მწვერვალისკენ. მთის კალთა სულ უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა, ჩვენ კი ჯიქურ მივიწევდით მაღლა. მწვერვალზე ჩვენი წარმატებული ასვლა რამდენჯერმე ომახიანი გადაძახილით „აღვნიშნეთ" (მეზობელი მწვერვალიდან დაბრუნებული ექოს თანხლებით), დაპყრობის დამადასტურებელი ბარათიც დავტოვეთ... ზაზა მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმას არ იღებდა... მერე გამარჯვება შამპანურის „ზალპით" დავაგვირგვინეთ. ერთი სიტყვით, ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა...

მოულოდნელად ზაზამ ჩვენ მიერ დაპყრობილ „სიმაღლეს" ერთი ალმაცერად გადახედა და გაოცებულმა წამოიძახა:

— ეს არის თქვენი მწვერვალი?! გუშინ ცხვარს რომ ვეძებდი, აქ ერთი სამჯერ მაინც ამოვედი!..

***„ალპინიადის" მონაწილე***

## ჩვენი სტუმარია სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ფილთაქვა

●●●



მარო ავად გახდა. უკანასკნელ დღეში ვარ და მალე მოვკვდებიო, — გამოაცხადა და ჩაწვა ლოგინში. არანაირმა წამალმა არ გაჭრა. ჭამაც შეწყვიტა, დასუსტდა, ძლივსღა ლუღლუღებდა...

მიხომ წინასწარ გამოიტირა მეუღლე და უკვე საქელეხე სუფრის თადარიგს იჭერდა, რომ ერთ საღამოს მაროს ხმა მოესმა:

— მიხო, ბოლო სურვილი შემისრულე — „ის" მინდა!

— რას ამბობ, ქალო, აკი ვკვდებიო?!

— ჰოდა, რო ვკვდები, იმიტომაც გეუბნები...

რაღა ექნა მიხოს, მიუწვა მომაკვდავ მეუღლეს, თავისი „საქმე" შეასრულა და ტკბილად დაიძინა.

დილით ქვაბების რახარუხმა გამოაღვიძა — მარო სამზარეულოში საქმიანობდა. გამოხედა მიხოს და შენმა გუშინდელმა საქციელმა გამომაცოცხლაო — ახარა! მიხომ უცებ ტირილი მორთო:

— შენ კი გაცოცხლდი, მაგრამა ადრე რო მცოდნოდა ესა, დედაც ცოცხალი იქნებოდა, მამაცა და ჩემი ძმა მიტუაცა!..

●●●



ქართული საჯარისო შენაერთის ყაზარმაში სერჟანტი შედის და სვან ჯარისკაცს ეკითხება:

— გენერალი არ მოსულა?

— არა, უფროსო!

— როგორც კი მოვა, გამაგებინე!

ასე განმეორდა რამდენჯერმე. ბოლოს და ბოლოს, გენერალიც მოვიდა. სვანი წამოდგა და აგდებით გასძახა:

— შენა ხარ გენერალი?!

— მერე, რა გინდა?!

— მერე, სად დაეთრევი? სერჟანტი უკვე ორი საათია, გეძებს!

●●●



რაჭველი რაჟიკუნა თავის ებრაელ მეზობელთან მივიდა ათი ლარის სასესხებლად. მოშემ, — რამე დამიტოვე გირაოში, ისე ვერ გენდობიო.

— აგერ, ნაჯახი მაქვს მარტო, ამას დაგიტოვებ.

— კარგი, ათ ლარს გასესხებ, ერთ თვეში ოცი უნდა დამიბრუნო და შენს ნაჯახსაც მიიღებ.

შეთანხმდნენ. წამოსვლისას, რაჟიკუნას კარში დაეწია მოშე:

— მისმინე, ოცი ლარის გადახდა ერთბაშად გაგიჭირდება. მოდი, ნახევარი ახლა მომეცი.

— კი, ბატონო! — და დაუბრუნა ის ათლარიანი.

მივიდა შინ — არც ფული, აღარც ნაჯახი. უყვება ცოლს ამბავს და თან მხრებს იჩეჩს:

— არადა, ყველაფერი სწორია...

## მკითხველის — — საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკია ბიჭიკიას:

— გავიგე, ნაზიკიამ ათი დღის წინ მიატოვაო.

— ხო, გევიდა უკვე ათი დღე!..

— მერე, რას შვრები?

— რას ვიზამ, დოვუცდი კიდო ათ დღეს და გადევიხდი ბანკეტს!

***ჯანსუღ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***



მიხო თბილისში ჩამოვიდა. მასპინძელმა ოპერაში წაიყვანა. მიხომ მოიწყინა და წამოხტა.

— ჩუმად, უვერტიურაა!

— უვერტურაც ხარ და ვირიც!..

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***



ერთმანეთს ხვდება ორი ქუთაისელი:

— როგორ ხარ? — ეკითხება ერთი.

— აი, გუშინ მოვდივარ, ვხედავ, ზის ბაყაყი და ტირის. შემეცოდა. წავიყვანე თან. გჯერა?

— მჯერა!

— მივედი სახლში, ვაჭამე, ვასვი, — გჯერა?

— მჯერა!

— მერე შემეცოდა, დევიწვინე ჩემთან. დილით ვილვიძებ და რას ვხედავ, ბაყაყი კი არა მზეთუნახავი მიწევს გვერდით. გჯერა?

— მჯერა, მჯერა!

— რა გინდა რა, ჩემს ცოლს არ სჯერა და!..

***ლევან ყუფარაძე, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K

**პატივცემულო რედაქცია! თქვენს ალიონზე, როცა მოღვაწეობა ახალი დაწყებული გქონდათ, რუსეთის დიდი კრიმინალები თქვენი სტატიებიდან გავიცანით. ახლაც ამოტივტივდა ის „ტაივანჩიკი“, ხან როტარუსთან და ხან პუგაჩოვასთან რომ სახლიკაცობდა. რა იცით, რატომ გასკვანჩეს?**

**რობერტ დვალი**

*„კვირის პალიტრის“ მკითხველებისათვის არაერთხელ გვიამბნია რუსეთის მაფიის უგვირგვინო მეფეზე — ვიაჩესლავ ივანკოვზე (იაპონჩიკი). როცა ამერიკაში მცხოვრებ იაპონჩიკს სხვა სამხილი ვერ მოუძებნეს, ბრალდებად ფულის გამოძალვა წაუყენეს, დააპატიმრეს და იგი 1995 წლიდან იხდის სასჯელს ამერიკის ციხეში. შესაძლოა მას მალე გვერდი დაუმშვენოს მისმა თანამოაზრემ, რუსეთისა და ისრაელის მოქალაქემ, ალიმჟან ტოხტახუნოვმა (ტაივანჩიკმა). იგი იტალიაში დააპატიმრეს ამერიკის ზამთრის ოლიმპიადაზე მსაჯების მოქრთამვის ბრალდებით. სავარაუდოდ, ტაივანჩიკმა დიდი გავლენა და შესაბამისად, დიდი ფულიც გამოიყენა, რომ ოქროს მედლები მიეღო რუსეთის საცეკვაო წყვილს ბერეჟნაია-სიხარულიძეს და საფრანგეთის სპორტულ წყვილს მ. ანისინა-პეიზერს.*

*ცხადია, მას პირადი მიზნები ამოძრავებდა.*

# რუსეთის მაფია ოქროს მედლებს ყიდულობს?

80-იანი წლების დამლევს და 90-იანი წლების დასაწყისში, როცა პირველად დაიწყეს ლაპარაკი რუსეთის მაფიის საზარელ მხეცობაზე, ხალხის დაუთოებაზე, ელექტროშოკით წამებაზე, მაშინ დაწყვილდა ეს ორი სახელი — იაპონჩიკი და ტაივანჩიკი.

გავიდა ცოტა დრო და რუსული მაფიის ნათლია იაპონჩიკი გახდა (ვიაჩესლავ ივანკოვი), ტაივანჩიკი (ალიმჟან ტოხტახუნოვი) სადღაც გაქრა. მისი სახელი, უფრო სწორად, ძალიან დამახასიათებელი სახე პრესაში მაშინ ჩნდებოდა, როცა ფოტოზე აღბეჭდილთაგან ვინმე ცნობილ პირს, მაგალითად, იოსებ კობზონს, მაფიასთან კავშირში ადანაშაულებდნენ.

ალიმჟან ტოხტახუნოვი დაიბადა ტაშკენტში, 1949 წლის 1 იანვარს. იგი ოდესღაც ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ფახთაქორის“ მეორე შემადგენლობაში თამაშობდა. 18 წლისა მოსკოვში დასახლდა.

კარგა ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო, როგორ მოიპოვა ტაშკენტელმა ალიკამ (ესეც მისი მეტსახელია) იაპონჩიკის გვერდით მოხსენიების უფლება. მართალია, მათ ერთად იხსენიებდნენ, მაგრამ ჟურნალისტებმა აშკარა მაკომპრომეტირებელი მაინც ვერაფერი შეიტყვეს.

მოსკოვში გადმობარგებული ალიკა თაღლითობდა, კარტს თამაშობდა, ფულსაც შოულობდა (ცხადია, უკანონო გზით), მოსკოვსა და სოჭში ორჯერ დაიჭირეს, მაგრამ ორჯერვე ადვილად დაუძვრა ხელიდან მართლმსაჯულებას.

დაბალი, დაახლოებით 170სმ სიმაღლის ტოხტახუნოვი ყველგან ფოკუსში იყო. არაჩვეულებრივი კომუნიკაბელურობით გამოირჩეოდა, რაც კარტის პროფესიონალი მოთამაშეების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანია. ფანტასტიკური მეხსიერების პატრონს, ნებისმიერ თემაზე შეეძლო საუბარი და ხშირად პარტნიორის გაცუცურაკებასაც მარჯვედ ახერხებდა.

რა გზით იშოვა ტოხტახუნოვმა დიდი ფული? ცხადია, მარტო კარტით არა, ბოლო დროს ის უკვე მხოლოდ გასართობად თამაშობდა. იმასაც ამბობენ (შეიძლება ტყუილიც იყოს), ტაივანჩიკმა მონტე კარლოს გრანდ-კაზინოში მილიონი დოლარი მოიგოო. მას მერე კაზინოში ფეხი აღარ შეუდგამს, რადგან მონაკოს პრინც ალბერტს საიდუმლო ბრძანება გაუცია — აქაურობას აღარ გააკაროთო...

90-იანი წლების დამდეგს, როცა რუსეთი გიგანტურ ბაზრად იქცა, სადაც ყველაფერი იყიდებოდა — პაპისეული ორდენებით დაწყებული, გემებით დამთავრებული, ალიმჟანისნაირი მარიფათიანი კაცი გულხელდაკრეფილი ვერ იქნებოდა და ისიც დიდ აღებ-მიცემობაში ჩაება, კაპიტალი დააგროვა, მერე პროცენტებით ცხოვრობდა და ქველმოქმედებასაც ეწეოდა. მისი ყველაზე დიდი სიყვარული სპორტი იყო. თავის დროზე, ახალგაზრდა ფეხბურთელს მოსკოვში ოთარ კვანტრიშვილმა უპატრონა.

1987 წელს პარიზში საცხოვრებლად გადასული ტაივანჩიკი მილიონერივით ცხოვრობდა. საგულისხმოა, რომ იაპონჩიკმა სწორედ მას დააკისრა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში რუსული მაფიის ინტერესების დაცვა. ალბათ საამისო საბაბი ჰქონდა. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ამ წლებში მას უკვე უთვალთვალებდნენ დასავლეთ ევროპის სპეცსამსახურები, ამერიკის



**ალიმჟან ტოხტახუნოვი, (ტაივანჩიკი)**

გამოძიების ფედერალური ბიურო და ინტერპოლი.

პარიზში ცხოვრებისას სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად კვირაში რამდენჯერმე ბულონის ტყეში დარბოდა.

ნიჭიერებით გამორჩეულმა უცხო ენები საგანგებოდ არ ისწავლა, მხოლოდ რუსული და უზბეკური იცის. ამბობდა, — რაღა მე ვისწავლო, უცხოელებმა ისწავლონ რუსული ან თუნდაც უზბეკურიო. პარიზის ჩინურ რესტორანში ოფიციანტს შეკვეთას რუსულად აძლევდა და ისიც თვალის დახამხამებაში უსრულებდა სურვილს.

მთელი მსოფლიოს რუსულ დიასპორასთან იყო დაკავშირებული, ხან ერთდროულად ორი მობილურით საუბრობდა — რჩევას სთხოვდნენ, პარტნიორებს უჩიოდნენ... ტაივანჩიკს ძალიან უყვარს საქმეების გარჩევა, პირველკაცობა. ცხადია, უნდოდა, დიდ სპორტშიც ჰქონოდა მის სიტყვას გასავალი, სურდა, თავისი წესები ეკარნახა, პროცესებზე გავლენა მოეხდინა, მაგრამ რუსული სპორტი თანდათან კალაპოტში მოექცა, დილეტანტის რჩევებს აღარ საჭიროებდა, თუმცა ტაივანჩიკი მაინც ახსენებდა თავს სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ფუნქციონერებს — მე ყველა პრობლემას მოგიგვარებთო.



**ფრანგი მსაჯი მარი ლე გუნი დაბნეულია — ხან აღიარებს დანაშაულს, ხანაც უარობს...**

ტაივანჩიკი, ჩანს, ამ პატივმოყვარეობამ დაღუპა.

პარიზში, ყოფილი საბჭოთა მოქალაქის, ბიზნესმენ სერგეი მაჟაროვის ბურუსით მოცული მკვლელობის შემდეგ (საფრანგეთის პოლიციის ვერსიით, მას მაფიისა მილიონზე მეტი დოლარი ემართა) ტაივანჩიკი პოლიციის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, მაგრამ სამხილი ვერ მოუძებნეს.

არასოდეს დამალულა, პირიქით, პარიზის თავყრილობების ცენტრში იყო, მილიონებს ხარჯავდა, სპონსორობას უწევდა კულტურის და ხელოვნების მოღვაწეებს. ის არა მარტო კობზონის, არამედ სოფია როტარუს, ალა პუგაჩოვას, ვალენტინ იუდაშკინის, პაველ ბურეს, ევგენი კაფელნიკოვისა და სხვა ბევრი ცნობილი პიროვნების მეგობარიც იყო.

სხვათა შორის, თავიდან საფრანგეთის მთავრობა ძალიან კეთილად იყო განწყობილი „ავტორიტეტის“ მიმართ და საპატიო ლეგიონის ორდენითაც კი დააჯილდოვა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ ანგოლისთვის კონტრაბანდული იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებული სკანდალის მერე ვიზის გაგრძელებაზე უარი უთხრეს. ამ სკანდალში ფრანსუა მიტერანის ვაჟის სახელიც ფიგურირებდა. მთავარი გმირი კი ტოხტახუნოვის მეგობარი არკადი გაიდამაკი იყო. გაიდამაკი თავის დროზე ტაივანჩიკს დაეხმარა საფრანგეთში საბანკო ანგარიშების გახსნაში.

ამ საქმეში მონაწილეობა ტაივანჩიკს ვერ დაუმტკიცეს, მაგრამ რახან საფრანგეთში ცხოვრების ნება აღარ ჰქონდა, იტალიაში, საკუთარ ვილაში გადასახლდა.

ჭორების, უსიამოვნო მითქმა-მოთქმისა და საგაზეთო მხილებების მიუხედავად, რუსეთის ხელოვნების და სპორტის ელიტა ძველებურად მეგობრობდა მასთან და სულაც არ მალავდა ამას. მომღერალმა სოფია როტარუმ იგი თავისი კარიერის დასაწყისში, ტაშკენტში გასტროლებზე ყოფნისას გაიცნო. ტაივანჩიკმა ისეთი მეფური მიღება მოუწყო დამწყებ მომღერალს, რომ ქალმა ლამის საფიცრად გაიხადა, თუმცა მთელი საბჭოთა კავშირის საყვარელი მომღერალი ირწმუნება, ალიკასთან რომანი არ მქონია, მთელი ცხოვრება ვუყვარდი, უძვირფასეს საჩუქრებსაც მიძღვნიდა, ჩემს ქმარს სჯეროდა ჩვენი უანგარო მეგობრობისაო.

ალა პუგაჩოვა იხსენებს, — როცა მითხრეს, ტაივანჩიკს როტარუ რა პატივში ჰყავს, გულწრფელად შემშურდა მისი. ხელოვნების სფეროში ალიკასნაირი უანგარო მეცენატები თითზე ჩამოსათვლელნი არიან. პარიზში მუდამ ჩემი მფარველი ანგელოზიაო.

როცა მომღერალ კობზონს ჰკითხეს, — რას ფიქრობთ ტაივანჩიკის დაპატიმრების თაობაზეო, მან უპასუხა, — სად ტოხტახუნოვი, სად სოლთ-ლეიქ-სითი და სად ფიგურული სრიალი... ამერიკამ არც კობზონზე იცის რამე და არც ტოხტახუნოვზე. ჩვენი სპეცსამსახურები გადაესკვნენ ამერიკელ კოლეგებს, ერთად ქეიფობენ, ღრეობენ, მერე ერთმანეთს კომპრომატს უგზავნიან, რომ მუშაობაში ჩაეთვალოთ. ამიტომ ამ უმსგავსობის ფესვები იმ წყეულ ამერიკაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ რუსეთში. ტაივანჩიკის მაფიოზური საქმეებისა არაფერი ვიცი, როცა სამხილს უპოვიან, მაშინ ვილაპარაკოთო.

ა/წ 31 ივლისს იტალიაში დააპატიმრეს რუსეთისა და ისრაელის მოქალაქე ალიმჟან ტოხტახუნოვი. ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიუროს ბრალდება მის სატელეფონო საუბრებს ემყარება. მას ბრალად ედება სოლთ-ლეიქ-სითში, ოლიმპიადაზე ფიგურულ სრიალში მსაჯებზე ზეწოლა და მათი მოქრთამვა.

იტალიის პოლიცია გფბ-თან ერთად იძიებს რუსეთის ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებათა მიერ ფულის ჩამორეცხვის გზებს. ივნისში ამ საერთაშორისო მასშტაბის მქონე ძიების ჩარჩოებში ჩატარდა ოპერაცია „ობობა“. დაკავებულია 18 ადამიანი, მაგრამ მაშინ პირდაპირი სამხილის უქონლობის გამო ვერ აიყვანეს რამდენიმე ეჭვმიტანილი, მათ შორის ალიმჟან ტოხტახუნოვი, მაგრამ მათ ცხადია, უთვალთვალებდნენ.

იტალიის საფინანსო გვარდიის პოლკოვნიკს ჯოვანი მაინოლფის მიაჩნია, რომ ტოხტახუნოვს რუსეთიდან სხვადასხვა გზით აწვდიდნენ ჭუჭყიან ფულს ჩამოსარეცხად, ის კი იტალიურ ავეჯს ყიდულობდა და რუსეთში გზავნიდა. სწორედ ამის გასაგებად დაუყენეს რომის, მილანისა და ფორტე დეი მარმის ბინებში მოსასმენი აპარატურა.



**გაფრანგებული რუსი მოციგურავე მარინა ანისინა**



**ბერეჟნაიას და სიხარულიძის (მარჯვნივ) სიხარული იქნებ ნაადრევი აღმოჩნდეს...**

რუსეთის სპორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სატელეფონო საუბარში (რომელიც ფირზეა ჩაწერილი) ტაივანჩიკს ეუბნება, — ფრანგმა მსაჯებმა ჩვენი წყვილი პირველ ადგილზე გაიყვანესო. იგივე ხმა სთხოვს ტოხტახუნოვს — დაურეკე მარინა ანისინას დედას და უთხარი, რომ მის ქალიშვილს ახლა ყველაფერი კარგად ექნებაო.

ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მასალები რომის პროკურატურიდან მიიღო. და მაშინვე გამოწერა საერთაშორისო ორდერი ტაივანჩიკის დასაპატიმრებლად. ტოხტახუნოვს კონკრეტულად ბრალად ედება ფრანგ მოცეკვავეთა წყვილის მარინა ანისინასა (იგი საფრანგეთში ცხოვრობს) და გვენდელ პეიზერისთვის ოქროს მედლების მიღებაში ხელის შეწყობა, სამაგიეროდ, რუს სპორტულ წყვილს — ელენა ბერეჟნაია-ანტონ სიხარულიძეს ფრანგი მსაჯები დაეხმარებოდნენ ოქროს მედლების მოპოვებაში. ამბობენ, რომ ტაივანჩიკს იმედი ჰქონდა, ოლიმპიადაზე გამარჯვებული ფრანგი სპორტსმენები დაეხმარებოდნენ ამ ქვეყანაში ცხოვრების ნებართვის მიღებაში.

როგორც ცნობილია, ამ წყვილებმა ზამთრის ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მართლაც დაიმსახურეს, მაგრამ მიუძღოდა რაიმე წვლილი ტაივანჩიკს ამაში?

ამერიკელებს, ცხადია, მოუწევთ ამის დამტკიცება. ფიგურისტთა გამოსვლებთან დაკავშირებული ბინძური თამაშები ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ფრანგმა არბიტრმა მარი ლე გუნმა აღიარა, — მაიძულებდნენ, რუსებისთვის დამეჭირა მხარიო. თუმცა მან მოგვიანებით უარყო ნათქვამი.

მარინა ანისინას დედა, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, არ უარყოფს, რომ მისი ქალიშვილი კარგად იცნობს ტაივანჩიკს, მაგრამ იმასაც ამბობს, — მარინას რად სჭირდებოდა მისი პროტექცია, ის და გვენდელი ოლიმპიადამდეც მსოფლიოს ჩემპიონები იყვნენო.

ფიგურისტები — ანტონ სიხარულიძე და ელენა ბერეჟნაია სასამართლოში აპირებენ ჩივილს — აშშ-ის სატელევიზიო კომპანიებმა მათი ფოტოები ტაივანჩიკის დაპატიმრების რეპორტაჟის მსვლელობისას აჩვენეს. სიხარულიძე აცხადებს, — ეს კაცი არც მე და არც ჩვენი გუნდის არც ერთ წევრს თვალითაც არ გვინახავს. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სრულიად დამსახურებულად მივიღეთ ოქროს მედლებიო.

სამართალდამცავები ალბათ არ გაუშვებენ შანსს ხელიდან, რომ უფრო სერიოზული საქმეები „გამოუქექონ“ იაპონჩიკის მეგობარს.

ალიმჟან ტოხტახუნოვის დაპატიმრებამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს ნიუ-იორკის სამხრეთი ოლქის პროკურორის ჯეიმს კოუმის კარიერაზე. იგი ამჟამად ნიუ-იორკის ყველაზე ცნობილი პროკურორია. რამდენიმე წლის წინათ ის იყო მთავარი ბრალმდებელი მაფიოზური კლანის თავკაცის ჯონ გოტის სასამართლო პროცესზე, რომლის შედეგად გოტი და მისი თანამზრახველები ციხეში აღმოჩნდნენ. კოუმი იძიებდა 1996 წელს საუდის არაბეთში მუსლიმანი-ფანატიკოსების მიერ მოკლული 10 ამერიკელი ჯარისკაცის საქმეს. ახლა მას ტაივანჩიკისა და ორგანიზებული დანაშაულის წარმომადგენელთა ხმაურიანი საქმე აქვს გამოსაძიებელი. არავის ეეჭვება, რომ ჯეიმს კოუმი პროკურორის თანამდებობით არ დაამთავრებს თავის კარიერას. ჯერჯერობით იგი იმეორებს მეორე ცნობილი ნიუ-იორკელი პროკურორის რუდოლფ ჯულიანის გზას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ქალაქის მერის სავარძელი სწორედ მაფიის წინააღმდეგ მიმართული გახმაურებული პროცესების მოგებამ გაუნაღდა.

თუ ტაივანჩიკი ექსტრადირებული იქნება ამერიკაში, მას მიუსჯიან 5 წელს, ჯარიმას — 250 ათას დოლარს. იტალიის კანონებით კი მას ორჯერ უფრო მძიმე სასჯელი ელის. ასე რომ, ტაივანჩიკს ცხადია, ხელს აძლევს ამერიკაში ექსტრადირება.

***უცხოური პრესის მიხედვით***

## მილოცვა

### ჩვენს ცოტნე წერეთელს!



ჩვენო ლომო, გილოცავთ დაბადების დღეს. კაცურად გევლოს ცხოვრების გზაზე, მუდამ გახსოვდეს, რომ ქართველი, ქრისტიანი-მართ(ა)ლმადიდებელი ხარ და შენი ფესვები ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოშია, რომელსაც შენი და შენი თაობის დიდი იმედი აქვს (ვალდებულებიც ხართ):

*„ძმა ხარ, პური მარცვალი, ყლუპი, რომელიც გწყუროდა“,*
*ქაბებში ძრომალისგან ლოცვები გაცდიური.*
*შენ, ჩვენი ჯოგარსოფი ხარ, პატარა საქრისტიანო,*
*„ღმერთო, გვიხსენი, დიდხანს გაგეცოცხლეთ,*
*მოუსწროთ, დავიფრთიანოთ!“*

მტერში ვაჟკაცის შეცნობაც შეგძლებოდეს და მუხთალი, მოღალატე არც შენიანი გინდოდეს. ორივეს მიუზღე საკადრისი. ღმერთი გფარავდეს!

*გულში გიხუტებთ შენი დედიკო და მამიკო*

თბილისი, 2002 წლის მკათათვის 27-ე დღე

### ნანუკა ყარამანაშვილს!



მარიამობისთვეში დაიბადე. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ყოფილიყოს შენი მფარველი.

ჩვენო ოქროსფერკულულა ანგელოზო, გილოცავთ დაბადების დღეს. ზღვა სიხარულსა და ბედნიერებას გისურვებთ. მუდამ ასეთი მხიარული და ლაღი გვენახე, შენს საყვარელ მშობლებთან ერთად.

*შენი პაპიკო და ბებიკო*

### მირკო კიტეიშვილს!



გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიყვარულსა და ულევ სიხარულს.

*შენი მამიკო*

1952 წელს დავამთავრეთ ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლა. თანაკლასელებს ვულოცავ დამთავრების 50 წლისთავს., ვუსურვებ ჯანმრთელობას და გამარჯვებას. მასწავლებლებს ჯანმრთელობას ვუსურვებ! ვინც აღარ არის, ხსოვნა და არდავიწყება იყოს.

*ამირშადიანი*

## მადლობა

მადლობას ვუხდით ბატონ **გელა მუხაშავრიას** – რ. ს. პროქტოლოგიური ცენტრის დირექტორს, იმ დიდი ყურადღებისა და მადლისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ: გაჭირვებული ქ-ნი ნინო, თქვენი ავტომანქანით, საავადმყოფოში მიიყვანეთ და პირველადი დახმარება ჩაუტარეთ. დიდხანს ემუშაოს თქვენს მარჯვენას, ბატონო გელა.

*პატივისცემით, ქ-ნი ნინო*

## ბინები

4-ოთახიანი, თუხარელის პროექტის, სუფთა ბინა, 2 ლოჯიით, ტელეფონით, ს/კვანძით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. მის: დ/დიღომი, II მ/რ, 4(14). ტელ: 53-30-38; 877 47-27-86

4-ოთახიანი ბინა (ს/ფ 1500კვმ), საუკეთესო ხედებით, ელიტარულ 7-ბინიან კორპუსში. მე-6 სართულზე, რუსთაველის გამზირიდან 20 მეტრში, მეცნიერებათა აკადემიასთან. ს/ფ – კორპუსის I სართულზე. კორპუსს გააჩნია საკუთარი, იზოლირებული ეზო. ასეთი ვარიანტი იშვიათია თბილისში!!! ს/ფ $80.000. ტელ: 877 42-42-50; 899 57-03-82. ზაზა

> მცხეთაში ორსართულიანი, კაპიტალური სახლი. პრესტიჟულ ადგილზე (ფართი – 280კვმ, 6 ოთახი, ხვეული წრეტილები), აივნებით, გარაჟით, ს/კვანძით, ხეხილის ბაღით – 2000კვმ. ფასი $50.000. ტელ: 32-84-88; 877 46-03-31. ჯემალი

თბილისიდან 35 კმ-ის დაშორებით (საგურამოდან 10 კმ) მუხრანში 800 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით (I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული). ფასი $800. ტელ: 23-07-65

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18

ამერიკულ-ბრიტანულ-საფრანგეთის ერთობლივი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პრესტიჟულ საოფისე სამსახურს, მზარდი ანაზღაურებით. ხელფასი გამოცდის შემდეგ, თვეში – $300-500, აშშ სტანდარტებით. ვიწვევთ 17-40 წლამდე ასაკის ადამიანებს. მის: რუსთაველი, ბელინსკის №2, მე-4 სართ. ოთახი №415. ტელ: 93-38-46; 899 15-89-92. თიკა

გვაქვს ვაკანსიები. გვესაჭიროება რუსულის მცოდნე, განათლებული თანამშრომლები. ვთანამშრომლობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა, კომპანიის ხარჯებით. გამომუშავება ახალი ამერიკული სტანდარტებით $200-400-ის გამომუშავებით. მიმდინარეობს შერჩევა! მის: მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის“ ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6. ტ: 34-02-38; 899 90-54-78. მენეჯერი ბატონი დიმიტრი

## მომსახურება

დასვენება: ესპანეთისა და თურქეთის კურორტებზე, შეღავათიან ფასად, სხვადასხვა კატეგორიის სასტუმროში; აჭარაში – ბათუმი, ქობულეთი, სარფი, კვარიათი, გონიო, მწვანე კონცხი, ციხისძირი, მახინჯაური; ახალ ბაკურიანში, ბორჯომში – კვებით და კვების გარეშე, სასტუმროებსა და კერძო სექტორებში. მის: ახვლედიანის (ყოფ. პეროვსკაიას) ქ. №21. ტურ. კომპანია „Dilaplus“. http://dilaplus.gol.ge. ტელ: 98-69-51; 899 54-00-79

ეპილაცია ულტრაბგერითი ან ლაზერის ერთჯერადი ხელსაწყოთი და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი პირველივე სეანსზე. ისარგებლეთ – დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტ: 37-74-22. მანანა

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უკვალოდ. არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემორჩილება მკურნალობას. მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

> ეპილაცია ულტრაბგერის ერთჯერადი ხელსაწყოთი, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყოფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა და მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამყურებზე შალითების გადაკერვა-დაბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

სახურავების, მანსარდების თუნუქით, კრამიტით, შიფერით, მეტალოკრამიტით გადახურვა, მოწყობა, შეღებვა, მასალების მიმარაგებით, გარანტიით, იაფად. ტელ: 95-05-56; 39-44-61; 899 58-98-51

დიდი საზაფხულო ფასდაკლება! ფირმა „ხმელი წიფელი“ დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ხის კარ-ფანჯარას, ნებისმიერი გამომშრალი მასალით, ხარისხზე და დროზე პასუხისმგებლობით, ჩვენივე მომსახურებით, მიტანით, დაყენებით, მინების ჩასმით, გალაქვით. დაგიმზადებთ რკინის ნებისმიერ ნაკეთობასაც. ტელ: 64-73-67; ლალი ან ზურა; 899 10-94-65. ზურა (ნებისმიერ დროს)

დაგიმზადებთ: ალუმინის კარ-ფანჯარას, 65კვმ; მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯარას, 70-75კვმ (მინა-პაკეტით); ლითონის ნაკეთობებს: კარს – 300 ლარი; გისოსებს – 30-35 ლარი; „გარმოშკას“ – 60-65 ლარი; ხვეულ კიბეს – სავეზორი 25 ლარი; მოაჯირებს, ავტოფარეხებს და სხვა. ტელ: 38-34-92

ვამზადებთ შეკვეთით, სახიოფრო ფასებში, მაღალხარისხიან „შერუბს“, „ვინტს“, „ზაკლოპკას“. ტელ: (271) 2-27-41 (კახა); 897 58-51-75. ჯემალი ან ნუკრი

სწრაფი სესხები, 1.000-დან 10.000-მდე, ავტომანქანის ან კორპუსის ბინის მყარი გარანტიით; დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში; გაგიწევთ უფასო კონსულტაციებს. ტელ: 95-63-10; 899 932-664; 37-30-50

კერძო პირებს, ოჯახებს და ჯგუფებს გთავაზობთ დასვენებას კურორტ ქობულეთში. განთავსება კერძო სექტორებში, სამჯერადი კვებით, კაფე „ინტრიგაში“ (ფიჭვნარში). 1 აგვისტოდან საგზურის ღირებულება – 10 დღე – 130 ლარი. ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, დავით აღმაშენებლის 113/115, (ცირკის ბოლოში, სამკ. ცენტრი „ფანასკერტელი“), კაბ №31. ტ: 69-18-38 (ბინა); 91-18-38 (სამს); 877 41-86-16. ცისანა სუქიძე

ტურისტული ფირმა „ქართი“ გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ დასვენებას ქობულეთში, კერძო კომპლექსში (ფასი 100 ლარი), ათი დღე; სასტუმრო-პანსიონატში (ფასი 140 ლარი), ათი დღე – კარგი პირობებით, 3-ჯერადი კვებით, ზღვასთან და პარკთან ახლოს. ქობულეთელები დარჩებით. აგრეთვე მწვანე კონცხი. მის: აღმაშენებლის №115, კაბ. №20 (ეზოში). ტ: 94-01-82; 95-83-18; 96-22-89; 899 90-67-52. ირინა ჯანაშია, ნინა ლადუა

## მკურნალობა

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით – ალმდეგუნი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღვიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. ტელ: 899 55-05-75

> ემკურნალობ ჩინური აკუპუნქტურის მეთოდით: ოსტეოქონდროზს, სახსრებისა და ნერვის ყველა სახის ანთებას, ნევროზს, უნებლიე შარდვას, ალერგიას და სხვა დაავადებებს. ნემსოთერაპია იძლევა განკურნების მაღალ ეფექტს, ყოველგვარი წამლის გარეშე. მე-9 საავადმყოფო, ნერვული განყოფილება. გულნარ ექიმი. ტელ: 22-68-04 (სამს); 23-10-48 (ბინა)

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი“ კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკური, მანიკური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახური); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

> თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი და კოლეჯი აცხადებს მიღებას ქართული და რუსული სექტორების დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე: 1. სამართალმცოდნეობა; 2. უცხო ენები; 3. ეკონომიკური. უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან მე-3 კურსზე. კოლეჯში ფუნქციონირებს იგივე ფაკულტეტები. ფასი 220-300 ლარი. გათვალისწინებულია შეღავათები. მის: თოიძის №12 (ვაჟა-ფშაველას III და IV კვარტალებს შორის), 128-ე საშ. სკოლა. ტ: 32-82-60; 32-06-97; 30-51-30 (საღამოს)

ბიოტექნოლოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას სპეციალობებზე: I. საკვები პროდუქტების და ნედლეულის სანიტარული ექსპერტიზა (სერტიფიცირება, სტანდარტიზაცია, კონტროლი საბაჟოზე), ექიმ-ექსპერტის კვალიფიკაციით; II. ვეტერინარია – ვეტექიმის კვალიფიკაციით. მიღება 11-14 სთ. მის: კრილოვის ქ. №15, IV სართ. ტელ: 95-95-72

## იყიდება

ცხვარიჭამიაში, პიონერთა ბანაკ „მერცხალთან“, 1000 კვმ მიწის ნაკვეთი, სახლის დაწყებული მშენებლობით. ფასი $1.000. ტელ: 23-07-65

სამოსახლო ნაკვეთი ბულაჩაურში, მდ. არაგვის პირას. გაშენებულია ყველანაირი ხეხილი. არის მუდმივი წყაროს წყალი და ს/კვანძი. ტელ: 899 18-30-08; 899 50-45-53

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

გრამაფონი, საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი $550. ტელ: 96-53-09. დათო (საღამოს)

## სხვადასხვა

> საქართველოს SOS-ბავშვთა სოფელი აცხადებს ტენდერს დიზელით მომარაგებაზე.
>
> მოთხოვნები: 1. სათანადოდ იდენტიფიცირებული პროდუქცია; 2. შესაბამისობის სერტიფიკატი; 3. ყოველთვიური ადგილზე მომარაგება.
>
> დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ, 10-18 საათამდე. მის: თბილისი. ალ. ყაზბეგის №11ა. ტელ: 373-157; 969-356. ფაქსი: 969-356. ელფოსტა: SOSGEO@GOL.GE

გაინტერესებთ სასიყვარულო პრესა? – იკითხეთ ყველგან სასიყვარულო პრესის ლიდერი – გაზეთი „სიყვარულის სამყარო“. გაზეთის რედაქციის ოფისში ფუნქციონირებს გაცნობისა და დაოჯახების კლუბი. მობრძანდით, ჩვენ დაგეხმარებით დაოჯახებაში. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთ. №210. (შეს. ჭოველიძის №2-დან). ტ: 93-49-72; 899 56-32-59

## ხსოვნა

### შაკო ინწკირველის მონატრება



სამი წელი გავიდა ლოცვასა და გლოვაში, შენს მონატრებაში გატარებული სამი წელი, შაკო. არსებობს დიდი ტკივილი, რომელსაც დრო ვერ აყუჩებს და სულის ტკივილზე გაუსაძლისი ხომ არაფერი ყოფილა. დრო არ შეიძლება ყველაფრის მკურნალი იყოს, ჩემო ერთადერთო ძმიკო.

რა იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან – ღვთის რისხვა თუ ბედისწერა?! ალბათ ეს უკანასკნელი – საშინელი ბედისწერა. დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი, დედმამის აღუწერელი მწუხარება, გაშრობილი ბების გამწარებული სიბერე, ფუნჩაშლილი სახლ-კარი, დიდი სიცარიელე.

საუკეთესო მოსწავლე, სტუდენტი, სპორტსმენი, მრავალი სიკეთისა და ღირსების მქონე, შრომისმოყვარე იყავი, შაკო და რაც მთავარია, ყველასთან თავმდაბალი, სიკეთით სავსე მეგობარი.

როგორ მიჭირს შენზე წარსულ დროში ლაპარაკი, შაკო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ალალი, სპეტაკი სული.

*შენი ელზა*

### გურამ კორიძის გახსენება



13 აგვისტოს ერთი წელი გახდება, რაც მოულოდნელად და თავზარდამცემად მატოვე წუთისოფელი. ვინ იფიქრებდა, ერთი უბრალო, შემთხვევითი, გაუწინასწარმეტყველი ნაბიჯი თუ დაგღუპავდა. არადა, რა მძიმე ხვედრი გარგუნა განგებამ ამ საბედისწერო დღემდეც – შენი პატარა თაკო სულ ცოტა ხნის წინ გაეცილე სამუდამო სამყოფელში. ბოლო დღემდე იმედს არ კარგავდი. – მერე ასე ამქვეყნად მოულოდნელად თითქოს ერთგვარი შვება მოგიტანა... მაგრამ სულ მცირე ხნით... შენმა მეუღლემ თალხის გახდა ვერ მოასწრო. ახლა შენს სამ მშვენიერ გოგონას ზრდის და შენი და თაკოს სულს ავედრებს უფალს. იქ კი, სამარადისოში შენი უბედური მამა ყოველდღე მიდის შენსა და თაკოს საფლავთან... ძალიან დაგვაკლდი, გურამ! რაც დრო გადის, მით უფრო ვგრძნობთ, რომ ჩვენს სამეგობროს ერთი ნათელი ადამიანი გამოაკლდა, დიდი იმედი გამოეცალა. უშენოდ ძალიან გვიჭირს და როცა ერთად შევიკრიბებით, პირველი სადღეგრძელო შენი შესანდობარია. გვინდა შენს შვილებს უმამობის ტკივილი მცირედით მაინც შევუმსუბუქოთ... ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

*ნოდარ მოსიტაშვილი, ირაკლი ნაცვლიშვილი*

### ნინო ფხალაძე-ბუაძის მონატრება



ჩემო 26 წლის შვილო, 16 აგვისტო შავად გაუთენე შენს ლამაზ ოჯახს, შენს სამეზობლოს და ნათესაობას. მეხივით გავარდა მთელ რუხთავში შენი ტრაგიკული სიკვდილი. შენს უბედურ დედას ვერ დაუჯერებია, რომ აღარ მყავხარ. ჩემო ნინო, შენი შვილები ლაშა და თეონა შენს მოღიმარ სახეს მხოლოდ სურათებში ხედავენ და მათთვის სულ ასეთი ლამაზი დედიკო იქნები. შვილო, ნინო, ძალიან მენატრები. მსუბუქი იყოს შენი მშობლიური მიწა შენს პატარა გულზე შენს მამასთან, შალვასთან ერთად.

*უბედური დედა მაყვალა*

### შალვა (მემო) მანაშეროვის გახსენება



სამი წელი გუშინ არ იყო, ჩემო შალვა? არც იმდენი დრო გავიდა, რომ ტკივილები მოშუშებოდა, პირიქით, მრავალი ღია ჭრილობა მომემატა, რომელს ვუმკურნალო, არ ვიცი. ძახები გახუნდა, ვიცოდი, შავების ტარებით არაფერი გეშველებოდა, მაგრამ... ჩემი თხოვნაა – ილოცე მანდედან, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში იყოს მშვიდობა, რომ არავის თვალზე არ მენახოს უდროოდ ცრემლი და ყველა პატარას ჰქონდეს ულრუბლო ზეცა...

სანთელს რომ ვანთებ, გიხსენებ ყოველთვის, სან ჩუმად სურათს მოვიკითხავ, მარტო რასა იზამ?

თმაში ბევრი მაქვს ახლა ჭაღარა, როცა მარტო ვარ, დარდიანი, თმადაგვრცხლილი გავცქერი ფანჯარას.

შენი ხმა მომენატრა, შალვა, შენს ხმაში სითბო იყო ულევი, შენს ხმაში სიმკაცრე იყო უგრძნობი,

შენს ხმაში დარიგება იყო ბევრი და ამას მე ვგრძნობდი.

შენი დარიგებაც მოგვაკლდა, შალვა, სიზმარში მოდი და დაგვარიგე ახლაც...

შენი ხელიც მოგვაკლდა, შალვა, შენი ხელი ვერ გრძნობდა დაღლას, ცრემლების შესაშრობად მჭირდება ახლაც!..

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, შალვა, მნიშვნელობა არა აქვს, სად ვიქნებით ამას,

კაცი, ჩემგან ლეგენდად წოდებული, ლეგენდად დარჩები მარად!

*ნანულისაგან*

*შენი მეუღლე, დედა, შვილები, სიძეები, შვილიშვილები, და-ძმანი*

### ნატო ჯავახიშვილის ხსოვნას



ნატო! – ჩემო დიდო ტკივილო, როგორ მენატრები, შენ შემოვლილის დედა. 17 აგვისტოს შენი დაბადების დღეა, პირველი დაბადების დღე უშენოდ, გილოცავთ, შვილო! 19 წელი გისრულდება. შენ ყოველთვის სოფელში გიყვარდა დაბადების დღის აღნიშვნა. ახლა სად აღვნიშნოთ, შვილო!? დედამ – შენს საფლავთან, თუ 80 წელს მიღწეულმა ბებიამ სოფელში... 8 ნოემბერს მოულოდნელად წახვედი ჩვენგან სიცოცხლით სავსე, ჯანმრთელი, ხალისიანი. წახვედი და გაუსაძლისი ტკივილი დაგვიტოვე. შევცქერი შენს სურათებს და მიჭირს დავიჯერო, რომ აღარა ხარ. ბედისწერამ არ დაგაცადა ჩანაფიქრის შესრულება. დედას სახსოვრად ცარიელი ჩათვლის წიგნაკი დაუტოვე. ირგვლივ ყველაფერი შენს თავს მაგონებს, შვილო! როგორ მენატრება შენი სურნელი, შენი ხელის სითბო, შენი ხალისიანი ხმა. დედას ვერ აკმაყოფილებს ფიქრებში შენთან ყოფნა, სახლში – სურათებთან ლაპარაკი და საფლავზე – ქვაზე ნახატი სურათი. შეუძლებელია დედის ტკივილის ფურცელზე გადატანა, შვილო! შეუხორცებელ ტკივლად მექცა ჩემი თვალებბრიალა, ნათლისხიანი გოგო. შენ კეთილი და ჭკვიანი გოგო იყავი, ნატო! დალოცოს შენმა ალალმა სულმა ყველა: შენი და-დისშვილიდან დაწყებული, ახლობელ-მეგობრები და ყველა, ვინც შენს ხსოვნას პატივს მიაგებს. მსუბუქი ყოფილიყოს ეს მიწა შენთვის. იძინე ტკბილად. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული. მაგ მარადიულ სასუფეველში ჩვენ ლოცვა-კურთხევას არ მოგაკლებთ აქედან, შვილო, სანამ ცოცხლები ვიქნებით.

*შენი უბედური მშობლები*

### გრიშა (ბიძინა) მეტრეველის გახსენება



ჩემო საყვარელო ბიძი, გილოცავ დაბადების დღეს, 12 აგვისტოს, გეხვევი, გკოცნი ბევრს. გული მტკივა, რომ უხმოდ ღებულობ ამ მილოცვას. ნეტავ, იცოდე, ჩემო კარგო, რა უსაშველოდ მენატრები. ძვირფასო ბიძი, შენს მონატრებაში, გლოვასა და ცრემლში გატარებული სამი წელი ხდება ხუთ სექტემბერს, რომელმაც არა თუ განელა, არამედ კიდევ უფრო გაუსაძლისი გახადა უშენოდ ყოფნა. რაც დრო გადის, უფრო მეტად ვგრძნობ უშენობას, უფრო მეტად მტკივა შენი წასვლით მიღებული მოუშუშებელი იარა. უძლური აღმოჩნდი განგების წინაშე, ვეღარც უსაზღვრო სიყვარულით გშველი და ვეღარც უსაზღვრო მონატრებით.

ბიძი, ძალიან მაკლია შენი სიყვარული და პატრონობა, როგორც მეასვე შენს სახლს და გაჩიანს. ვცოცხლობ მხოლოდ ფიზიკურად, თორემ რა სიცოცხლეა, როცა არაფერი გახარებს. სულ კარისკენ მაქვს თვალები, მგონია – ან აგერ შემოხვალ, ან აგერ, ან და, ტელეფონით დამირეკავ და მეტყვი: „თამარ, მალე მოვალ, არ მოიწყინო“, – როგორც იცოდი ხოლმე, ჩემო საყვარელო ბიძი. მაგრამ ამ ბედნიერ დღეს ვეღარ მოვესწრები. ჩემო კარგო და ძვირფასო ბიძი, მხოლოდ ისღა დამრჩენია, გისურვო მშვიდი ცხოვრება იმ ქვეყნად. უფალს ვევედრები, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*მეუღლე თამარი*

### დათო ყოჩიაშვილს!



თუმცა დილაა, ვერ ვხედავ მნათობს, მგონია, ბინდი ჩამოწვა გარეთ.

შარშან დაემარხეთ ძვირფასი დათო, შარშან ჩვენ დათო ღმერთს ჩავაბარეთ!

არსად მინახავს ამდენი გლოვა, მწუხარებას ხომ არ ჰქონდა ზღვარი.

იყო სოფელში ცრემლების თოვა, ხალხის ყოფილა ის მეგობარი!

ვხედავდი, როგორ ტიროდა ეზო, მგონი, ტიროდა თვით ტრაგედიაც...

მერ რა მაკვირვებს? ეს როგორ შეძლო ამქვეყნად ყველას რომ ჰყვარებია!

წავიდა, მაგრამ არ არის ეული, გულში მის უკვდავ სახელს ვატარებთ...

მიწას მივეცით დათოს სხეული, სული დათოსი ღმერთს ჩავაბარეთ!..

*მექა ჩიბლელი*

2001 წლის ავად მოსაგონარი 14 აგვისტოს შემდეგ, დიდი უბედურება, ტანჯვა, მწარე ცრემლი და უძილო, კოშმარული ღამეები დაგვიტოვე, ჩემო 39 წლის ვაჟკაცო. შენს ცოლ-შვილს, უბედურ მშობლებს, შენს დაიკოებს, შენს სანათესაოს, მეზობლებს, რომლებთანაც გაიზარდე და დავაჟკაცდი, თანაკლასელებს, რომლებმაც სამუდამო საჩუქარი გაგიკეთეს – ყველას, ყველას დააკლდი, შვილო, დედა მოგიკვდეს. მაგრამ ყველაზე მეტად, შვილებს დააკლდი, შვილო, პატარა ცოტნეს და ანანოს, ბაბო მოუკვდეთ, რომლებსაც დათოს ობლები ჰქვიათ.

ჩემო დათუნა, ერთი გრძელი და მწარე წელიწადი გავიდა, შვილო. ყოველი დღე შენზედ ლოცვით იწყება და შენზედვე ლოცვით მთავრდება, ჩემო მონატრებულო, სიცოცხლეზე გულდაწყვეტილო შვილო, მშვიდად იძინე მარადიულ სასუფეველში. მსუბუქი იყოს შენთვის ზ/მაჩხაანის მიწა.

*შენი უბედური მშობლები*

### ოთარ კუბლაშვილის ხსოვნას!



კიდევ ერთხელ მოვიდა ნანატრი 15 აგვისტო, შენი დაბადების დღე, რომელსაც მეორედ ვხვდებით უშენოდ. მოვალთ შენს საფლავთან, მოგეფერებით, გეტყვით, – უსაზღვროდ გვენატრები და გვიყვარხარ.

ოთარ! ვილოცებთ შენთვის, რათა შენი ლამაზი სული გაბრწყინდეს სამუდამო სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

### ლევან (ლეო) ვალიშვილის ხსოვნას!



40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენი თავი სიკვდილმა წაგვართვა. 40 დღეა, არაფერს გვეუბნები, არაფერს გვარიგებ. მშვიდი, მშრომელი ადამიანი იყავი, შენი სიცოცხლის მანძილზე ვაჟკაცი კაცის სახელი მოიხვეჭე და ისე დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება. მიუხედავად ავადმყოფობისა, მაინც თავზარდამცემი იყო ყველასთვის შენი სიკვდილი. უდიდესი სიცარიელე დაგვიტოვე გულებში. ჩვენთვის ყოველთვის ცოცხალი იქნები, ყოველთვის მოგიგონებთ, მოვალთ შენს საფლავთან და სანთელს აგინთებთ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

*შენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

### ბესო ქვირიას!



ჩვენო საამაყო ბიჭო, ერთი წელი გავიდა, რაც ულმობელმა სიკვდილმა ერთ წამში წაგვართვა შენი თავი. დაუდევრობის გამო შეწყდა 14 წლის სიცოცხლე. ახლობლებსა და ტოლ-მეგობრებში მტანჯველმა მწუხარებამ დაისადგურა.

ჩვენო ცქვიტო, ყოჩაღო, ჭკვიანო და ხალისიანო ბიჭო, ძლიერ გვენატრები. შევყურებთ შენს სურათებს და იქიდანაც გამოსჭვივის სინათლე, რაც ყველა შენს ქცევას თან სდევდა. შენ არა მარტო ოჯახს, ახლობლებს და ტოლ-მეგობრებს დააკლდი, არამედ ჩვენს ქვეყანასაც, როგორც ერთი მომავალი ვაჟკაცი-ქართველი.

ახლა ისღა დაგვრჩენია, წმინდა სანთლები დავანთოთ და ღმერთს შევევედროთ, სულ ნათელში ამყოფოს შენი უდროოდ გაფრენილი, უმანკო სული.

### ლევან გულიანის მონატრება



11 აგვისტო შენი დაბადების დღეა, ჩვენო ლევანიკო. მეცხრე წელია, უშენოდ ვხვდებით ჩვენთვის საყვარელ დღეს, დარდით და ხვედით. ძალიან გვიჭირს უშენობა. მოგვენატრა შენი სიცილი, სიმღერა, შენი ცელქობაც კი. ძალიან გვიყვარხარ. უსაზღვროდ გვენატრები, ჩვენო 23 წლის ვაჟკაცო.

ნათელში გამყოფოს უფალმა.

*ოჯახი*

### გიორგი (გია) ლონლაძის ხსოვნას!



ჩვენო გიო! მოულოდნელი და გამაოგნებელი იყო შენი ტრაგიკული გარდაცვალება, რომელიც 26 ივლისს, ხარაგაულის რაიონის სოფ. წიფაში მოხდა – 33 წლის, სიცოცხლით სავსე ყმაწვილი, უბრალო ბედისწერის მსხვერპლი გახდი. რა უცბად ჩაქრი და ჩაიფერფლე, რა იოლი ყოფილა სიკვდილი თურმე, ძნელი კი, უშენოდ ამქვეყნიური ცხოვრებაა, რომელსაც ვერაფრით ურიგდება შენი ტყუპისცალი გოჩა და გამწარებული შენი ოჯახი. ცოლ-შვილი მაინც დაგრჩენოდა ამქვეყნად, იქნებ აღარც ყოფილიყო ასეთი გაუსაძლისი ეს მწარე ტკივილი.

ჩვენო ღიმილის ბიჭო! არასოდეს დაგვავიწყდება შენი კეთილი თვალებიდან გადმოღვრილი უზომო სითბო და სიკეთე. თავმდაბალი და ალალმართალი, საოცრად უყვარდი ყველას; ხოლო, როგორც ნიჭიერ ხელმძღვანელს, ყველა საუკეთესო მომავალს გიწინასწარმეტყველებდა.

განგებამ მეტი აღარ გაცალა, უცნაურად გაგიხმო მარადიული სასუფევლისკენ!

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენს უბოროტო სულს!

*თანაკლასელები*

### კობა თეთრაძის ხსოვნას!



კობა, ჩვენო გაუსაძლისო ტკივილო და მწუხარებავ! უკვე თვე გავიდა შენი უეცარი გარდაცვალებიდან. როგორ გვიჭირს უშენობა, რით ვანუგეშოთ შენი უბედური მშობლები, შენი ძმა კახა, შენი საყვარელი დეიდაშვილი გიო?! ყველას ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ, ჩვენო მარად 15 წლის ბიჭო. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი სპეტაკი სული.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური გომარეთის მიწა.

*შენი მწუხარე დეიდები, ბიძები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები*

### ზინა კაჭარავას ხსოვნას!



ორმოცი დღე გავიდა, რაც წახვედი ჩვენგან. შენს საფლავთან, ყვავილებით, თვალცრემლიანებმა მოგიგონეთ, ბევრი კარგი გავიხსენეთ. ყველასთვის დაუვიწყარი დარჩი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*დისშვილები და ძმისშვილები*

### ნინა ფალაშვილი-ცილიკიშვილის მონატრება



ჩვენო საყვარელო დედა! მძიმედ გავიდა ორმოცი ტკივილიანი დღე უშენოდ. აღარ გვესმის შენი კვნესა, შენი სიტყვები: „ვეღარ ვსუნთქავ“. მართლა როგორ ვსუნთქავთ უშენოდ. შენი ხელი მოაკლდა ყველაფერს. ზაფხულია, დედა და ხომ იცი, რამდენი საქმე გქონდა. ორი ჯოხით, სკამზე დამჯდარი, ყველამ საქმეს შენ აკეთებდი. უშენოდ უმწეოდ ვგრძნობთ თავს ამხელა ქალები – ბავშვობიდანვე სამივეს რომ გვანებივრებდი. ჩვენმა პატარა ძმამ, ტაზომ გვაჯობა – დედა მოენატრა და პირველი მას ჩაიხუტებდი გულში; შემდეგ ჩვენს გამზრდელ დეიდას – მოულოდნელად რომ გამოგვეცალა ხელიდან. მამაზე ხომ აღარაფერს ვამბობ – პირველად იმან მოგვაყენა დიდი ტკივილი. შენ ყველას ჭირვარამის გამზიარებელი, ბოლოს საკუთარ თავს თვითონვე ტიროდი. შენ რომ დაგენახა, პატარა ნიკუშა როგორ გეჯდა ჭირისუფლად, გინთებდა სანთელს, ალბათ სიკვდილიც უძლური აღმოჩნდებოდა შენთან.

მთიელ ქალს შენი მთა გენატრებოდა – გუდამაყარი-ქარისხევი. ვერ შეგისრულეთ ნატვრა – რომ ბოლოს კიდევ ერთხელ ჩაგესუნთქა იმ მთის ჰაერი – ცილიკიშვილების ქედს რომ ეხახდნენ. მიწის ყივილი არ გასვენებდა, დედა. გპირდებით, იმ მთიდან წამოღებულ მიწას გულზე მოგაფენთ და აი, მაშინ, ცოტას დაისვენებთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*უშენობით გულდამწვარი შენი შვილები: ლეილა, ლაურა, ლია ფალაშვილები*

### თემურ მაჭავარიანს!



ჩემო საყვარელო მამიკო! უკვე ორმოცი დღე გავიდა, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ. შენი წასვლით დაცარიელდა ჩვენი სახლი. ძალიან დიდი იმედი იყავი ჩემთვის და ახლა უფრო დიდი ტკივილი ხარ! რა ულმობელი ყოფილა სიკვდილი. შენ ხომ სიცოცხლე ძალიან გინდოდა... ათი წლისა დაობლდი შენ და მეც ათი წლისა დამაობლე.

მამიკო! როგორ ვიცხოვროთ უშენოდ?!

ძალიან, ძალიან მიყვარხარ! არასოდეს დაგივიწყებ! ვილოცებ შენი ლამაზი სულისათვის.

*შენი მარიამი*

### ჟორა მოდებაძის ხსოვნას!



ჩვენო საყვარელო ჟორა მასწავლებელო! ძნელია იმის დაჯერება, რომ პირველი სექტემბრის ზარი უთქვენოდ დაირეკება ჩვენს სკოლაში, რომელსაც ორმოცი წელიწადი უანგაროდ ემსახურეთ. უფალმა საშინელი ჭექა-ქუხილით გვამცნო, რომ თავისთან მიჰყავდა ბუნებაზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცური კაცი, ათეულობით თაობის აღმზრდელი, ნიჭიერი ხელმძღვანელი, კარგი შვილების მამა და ბაბუა.

თქვენ გამორჩეული ადამიანი იყავით და სიკვდილიც უჩვეულო გარგუნათ განგებამ. თუ არა განგება, როგორ შეიძლებოდა, მთასავით კაცი, ბუნებას არ დაენდო და ჭექა-ქუხილის მსხვერპლად ექცია.

გჯეროდეთ: ყოველი გაელვება – თქვენი გამოჩენა, დაქუხება კი, თქვენი ხმა იქნება, რომელიც სახეშეცვლილი დაუბრუნდება იმ სკოლას, რომელიც თქვენსავით მეხდაცემულია. ჩვენ კი, თქვენი კოლეგები, აღზრდილები თუ აღსაზრდელები, ვილოცებთ, რომ უფალმა თქვენი სული ნათელში ამყოფოს.

მსუბუქი იყოს თქვენს გულზე დაყრილი მესხეთის უძველესი მიწა.

*ახალციხის რაიონის, სოფ. ხეოთის პედაგოგიური კოლექტივი*

## ისინი კანით ხედავენ

გასული საუკუნის 60-იან წლებში, ამერიკაში ყველას პირზე ეკერა მარგარეტ ფუსის სახელი. მედიცინის ექსპერტები კუდში დასდევდნენ გოგონას, ცდილობდნენ აეხსნათ აუხსნელი მოვლენა — მარგარეტს შეეძლო ახვეული თვალებით ხედვა, კითხვა, დაკვრა, სიარული, სირბილი და ა.შ.

14 წლამდე მარგარეტ ფუსი ვირჯინიის შტატის პატარა ქალაქში ცხოვრობდა.

ერთ დღეს გოგონა მშობლებს გამოუტყდა, — თვალებახვეული მშვენივრად ვხედავო. არ დაუჯერეს და თავად აუხვიეს თვალები. მარგარეტი ადამიანებს, ავეჯს და სხვა მსხვილმან ნივთებს შესანიშნავად ხედავდა.



მამა ძალიან დაინტერესდა და თავისებური ვარჯიში დააწყებინა. აუხვევდა თვალებს და არწმუნებდა, სახვევის მიღმიდან წვრილმან რამეებსაც დაინახავო. სამი კვირის შემდეგ მარგარეტი ხედავდა სათითურს, შაქრის ნატეხს, ნემსს. მერე და მერე გაზეთის კითხვაც სცადა, მაგრამ ცოტათი გაუჭირდა, მაშინ მამამ შთაუნერგა, — სტრიქონებს ნისლი გადაჰკვრია და მხოლოდ სულის შებერვა უშველისო. შვილმა დაუჯერა. ორი დღის შემდეგ გოგონამ თავისუფლად შეძლო წაკითხვა. 1960 წლის იანვარში მისტერ ფუსმა სთხოვა ექიმებს კომისია მოეწვიათ გოგონას შესამოწმებლად. დიდი ყოყმანის შემდეგ ექიმექსპერტთა ჯგუფმა მარგარეტი მიიწვია.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს 25 ექიმი ინტერესითა და ეჭვით ადევნებდა თვალს შესახედავად სრულიად ნორმალური 14 წლის გოგონას საქციელს. თაღლითობის გამოსარიცხავად თავად ექიმებმა აუხვიეს თვალები, ჯერ მარლის სახვევით, მერე მკვრივი ნაჭრით, ბოლოს კი სპეციალური იზოლენტაც მოიხმარეს. მარგარეტმა ყველაფერს გაუძლო — სხაპასხუპით კითხულობდა ნაწყვეტებს გაზეთებიდან, ჟურნალიდან, თამაშობდა შაშს, არჩევდა ფერებს და ასახელებდა ნივთებს, რომელსაც ექიმები „აჩვენებდნენ“.

ოთხსაათიანი გამოცდის შემდეგ ექსპერტებმა აღიარეს, რომ ეს მისტიკას უფრო ჰგავდა, რადგან შეუძლებელი იყო ასეთ ვითარებაში რაიმეს დანახვა. თუმცა ერთ-ერთმა კომისიის წევრმა, ფსიქიატრმა, წაილუღლუღა, — იქნებ თავის ტვინის ჯერ უცნობ მონაკვეთთან გვაქვს საქმეო.

მარგარეტ ფუსის ფენომენი — კანით ხედვა — მაინც ვერ ამოიხსნა, ისევე როგორც სხვა მისი მსგავსი ფენომენები.

დაახლოებით იმავე პერიოდში შოტლანდიაში სენსაციური ამბავი მოხდა. ექიმ კარლ კენიგის კლინიკაში ოთხი წლის ბრმა ბიჭი მიიყვანეს. ბავშვი ცუდად ლაპარაკობდა, თანატოლებთან შედარებით ფიზიკურადაც სუსტი იყო და გონებრივადაც.

ექიმებმა საოცარი ექსპერიმენტი ჩაატარეს იმის გასარკვევად, შეძლებდა თუ არა ბიჭი მომავალში თუნდაც შუქ-ჩრდილების გარჩევას. მის საწოლს, რომელსაც ის პრაქტიკულად არ სტოვებდა, ოთხივე მხრიდან თეთრი ზეწრები ჩამოაფარეს, რათა ამ დახურულ სივრცეში სინათლე არ შეპარულიყო. მერე ზეწრებს პროჟექტორების მკვეთრი შუქი დაუმიზნეს, თანაც ფერს უცვლიდნენ: ხან ლურჯი იყო, ხან წითელი, ყვითელი და ა.შ. ცვლიდნენ პროჟექტორის მუშაობის დროსაც. დროთა განმავლობაში ექიმებმა შეატყვეს, რომ ბავშვი ჯერ სინათლის ინტენსივობაზე რეაგირებდა, მერე ფერზე. რაც უფრო გრძელდებოდა ექსპერიმენტი, მით უფრო უმჯობესდებოდა ბიჭის ჯანმრთელობა: მომაგრდა, ენა გამართა, დაიწყო სიმღერა, ლექსებსაც კი ამბობდა. კანი გაუვარდისფრდა და გაუმკვრივდა. მაგრამ სენსაცია სულ სხვა იყო — ორ თვეში ბიჭუნა არჩევდა ყველა საგანს, რასაც პროჟექტორის შუქზე აჩვენებდნენ, ნახევარ წელიწადში კი ყველაფერს „ხედავდა“ ორი მეტრის მანძილზე. გარდა ამისა, მშვენივრად ახერხებდა სივრცეში ორიენტირებას — დაუხმარებლადაც გადიოდა პალატიდან ეზოში, ფეხბურთის თამაშსაც ცდილობდა. ექიმები გაოცებულნი იყვნენ, დიდი კვლევა-ძიების შემდეგ დაადგინეს — ბავშვი კანით ხედავდა.

სხვათა შორის, იგი დროთა განმავლობაში კანით ხედვამ სრულყოფილ ადამიანად აქცია და „თვალხილულმა“ ბრმამ წიგნიც დაწერა თავის ცხოვრებაზე.

*ნლო №25*

## ანტიკვარული სარკის დიასახლისი



— ნუ დაწერთ რა, ჩემს ნამდვილ სახელს და გვარს, მერიდება ნაცნობ-ახლობლების, იტყვიან, შიშისგან ჭკუა არევიაო! — მხოლოდ ამ პირობით დაგვთანხმდა 42 წლის მაია პ-ძე თავს გადახდენილი ამბავი ჩვენთვის ეამბნა. 1979 წელს გავთხოვდი. დიდი ქორწილი გადავიხადეთ, რადგან ერთადერთი შვილი ვიყავი და შეძლებული ოჯახი გვქონდა. მამამ ფული მოგვცა, როგორც გინდათ, ისე მოიხმარეთო!.. მე და ჩემი მეუღლე, რეზო, მოსკოვსა და ლენინგრადში გავემგზავრეთ.

ერთ მაღაზიაში ძველებური სარკე ვიყიდეთ. მისი ძველი პატრონის მტკიცებით, იგი მე-16 საუკუნეში იყო დამზადებული და ღირებულებაც დიდი ჰქონდა, მაგრამ ამჯერად საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებში ყიდდა, რადგან მოხუცი ქალი იყო და მარტოხელას ფინანსურად უჭირდა.

სარკე კაკლის ხის ულამაზესად მოჩუქურთმებულ ჩარჩოში იყო ჩასმული, ვერცხლისა და მოოქრული ლითონის დასამაგრებლები ამშვენებდა. რეზო ისტორიკოსია და სიძველისადმი ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული ინტერესი. ერთი სიტყვით, ჩამოვიტანეთ სარკე და საძინებელში დავკიდეთ.

ცოტა ხანში კი უცნაური რამ შევამჩნიე. საკმარისი იყო, რეზოს ჩემთან სიახლოვის სურვილი გასჩენოდა, რომ სულში პროტესტის გრძნობა მიჩნდებოდა და რატომ, იცით?! — ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვიღაც მესამე იყო ოთახში და გვითვალთვალებდა. კარგა ხანს არაფერს ვეუბნებოდი ქმარს, მაგრამ მერე, როცა ერთი-ორჯერ უცნაური ამოხვნეშის თუ ამოკვნესის ხმა მომესმა, შიში ვერ დავძლიე და გავუმხილე. თავიდან არ დამიჯერა ქმარმა და ამაზე უკმაყოფილებაც მოგვივიდა, ამიტომ ვცდილობდი დამეძლია შიში და აღარ მეთქვა რამე, მაგრამ სარკე უფრო „გააქტიურდა“ — ჩაბნელებულ ოთახში მოცისფრო-იისფერ შუქს ღვრიდა, რასაც რეზომაც მიაქცია ყურადღება. თანაც, როგორც გითხარით, მესამე თვალის შეგრძნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩნდებოდა, თუ ქმარი მოფერებას დამიპირებდა... ერთხელაც, რეზო საწოლში წამოჯდა და ხმამაღლა დაიყვირა, — ვინა ხარ, გამოჩნდიო. შევკრთი და უნებურად დავინახე 50-60 წლის, ძვირფას კაბაში გამოწყობილი ქალბატონის გამოსახულება, რომელიც ძველი დროის დიდებულს ჰგავდა. წამოვიკივლე და თითი გავიშვირე სარკისკენ, რეზოც მივახედე. გამოსახულება გაქრა, მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, რეზომაც მოჰკრა მას თვალი. ასე რომ არ მომხდარიყო, ვერაფრით დავარწმუნებდი ქმარს, რომ არ გავგიჟდი...

სარკის არც გადაგდება შეიძლება ადვილად და, მით უმეტეს, გატეხა. ეს კარგად ვიცოდით, ამიტომ რეზომ გაიკითხა, — გაყიდვის გარდა, როგორ შეგვეძლო მისი თავიდან მოშორება. გადავწყვიტეთ, ეს ამბავი არავისთვის გაგვემხილა და სარკე ისეთ ადგილზე ჩაგვემარხა, სადაც ადვილად ვერავინ მისწვდებოდა და „შეაწუხებდა“ მის სულს.

ბევრი ფიქრის შემდეგ სარკე სასაფლაოზე წავიღეთ და მამაჩემის ბაბუის სამარეში ჩავფალით. და როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?! რამდენიმე დღეში, უკვე სრულიად ჩვეულებრივ, გარდერობის უბრალო სარკეში იმ ქალბატონის სულთან ერთად გამოგვეცხადა... მამაჩემის ბაბუის, ქრისტეფორეს, ხატებაც. მკაცრად „გვიცქერდნენ“. მეტი ვერაფერი მოვიფიქრე და ნაკურთხი წყალი მივასხურე „გაცოცხლებული“ სარკის ზედაპირს. სარკემ გაიტკაცუნა და ორ ადგილზე გაიბზარა, თითქოს რაღაც უზარმაზარი ენერგია იყო მასში და ის განიმუხტა...

ბოლოს, მე და რეზომ სარკე მიწიდან ამოვიღეთ, ყუთში ჩავდეთ, ლენინგრადში წავიღეთ, იმ მაღაზიაში დავაბრუნეთ, საიდანაც წამოვიღეთ და ვთხოვეთ იქაურ ხელოსნებს, ნივთი იმ მოხუცი ქალისთვის დაებრუნებინათ. რატომღაც ჩავთვალეთ, რომ იმ სარკეში ჩაბუდებული აჩრდილი თუ სული „შინ დაბრუნებას“ ითხოვდა... ვერ გეტყვით, დაუბრუნეს თუ არა სარკე პატრონს თუ ისევ სხვას მიჰყიდეს, მაგრამ იმ დღის შემდეგ ჩვენს სახლში არავითარი მოჩვენება აღარ გვინახავს.

**— არც ბაბუა ქრისტეფორე გამოგცხადებიათ?!**

— არა და, ღმერთმა დაგვიფაროს. მას დავამარხეთ მაშინ გულზე ის სარკე და მისი „პროტესტიც“ ამით იყო გამოწვეული.

ისე, ერთ რამესაც გეტყვით, თუმცა კი არ ვიცი, რამდენად საინტერესო იქნება ეს: სანამ ის სარკე არ დავაბრუნეთ, თითქმის მთელი წელიწადი უნაყოფოდ ვიარე. ის სარკე რომ გავიტანეთ სახლიდან, მერელა დავფეხმძიმდი და ახლა სამი შვილის დედაც ვარ. შინაგანად მწამს, რომ სარკის უარყოფითი ენერგია მოქმედებდა ჩემზე და საერთოდ ჩვენი სახლის აურაზე.

მას შემდეგ ძველი ნივთების და საერთოდ, სარკის შიში დამჩემდა და ვერა და ვერ გავთავისუფლდი. ოქროც რომ იყოს, გაურკვეველი წარმოშობის ნივთს შინ არაფრით შემოვიტან. ანტიკვარულ ნივთებს პატრონის სული და განწყობილება მოჰყვებათ და თუ ისინი უშუალო მემკვიდრეებს ნებაყოფლობით არ გადაეცემა, მხოლოდ მუზეუმებშია მათი ადგილი.

მე ვერაფერს დავუმატებ ქალბატონი მაიას ნაამბობს. ის კი მიხარია, რომ საბედნიეროდ, არც ისე ხშირია ამგვარი უცნაურობები!..

*ინგა ჯაყელი*

## ოსტროვსკის სული არ ტოვებს თავის სახლს



ალექსანდრ ოსტროვსკი, „რუსული სიტყვის ჯადოქარი“, დაიბადა მოსკოვში, დიაკვნის, ნიკოლოზ ოსტროვსკის ოჯახში. ეს სახლი ღვთისმშობლის ეკლესიის გვერდით იდგა. ამჟამად იგი მუზეუმს ეკუთვნის. ცნობილ ავადსახსენებელ წლებში ეკლესია დაანგრიეს და მასთან ერთად გაანადგურეს სასაფლაოც. დიაკვნის სახლი კომუნალურ ბინებად აქციეს. იქიდან გაუთავებელი ყვირილი, ლოთობა და ლანძღვა-გინება ისმოდა...

ბოლოს და ბოლოს, სახლი დაუბრუნეს თეატრალურ საზოგადოებას, გაწმინდეს, გაასუფთავეს და მოაწყვეს გამოფენა.

ერთხელ ფოტოკორესპონდენტებმა გადაიღეს მუზეუმი და სახლი. გამჟღავნებული მასალა მთლიანად წუნი გამოდგა. განიზრახეს ხელახალი გადაღება. გადამღებ ჯგუფს მუზეუმის თანამშრომლებმა გაუმხილეს, — აქ უცნაური ამბები ხდება: ღამღამობით ნივთები გადაადგილდება ხოლმე, ექსკურსანტებს ხშირად გული მისდითო.

მამის გარდაცვალების შემდეგ ოსტროვსკიმ და მისმა ძმამ დედინაცვლისგან გამოისყიდეს მამისეული სახლი შელკოვოში და მწერალი სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა.

— ალექსანდრ ნიკოლაევიჩი ღამღამობით ხშირად არის აქ, — ჰყვება სახლის მომვლელი, — ისმის ფეხის ხმა. ძველ თანამშრომლებს ეს არ უკვირთ, ახლებს ეშინიათ და გარბიან... ის ხომ ამ სახლში გარდაიცვალა და სული არ ტოვებს აქაურობას...

თითქოს ამის პასუხად მოულოდნელად გაიღო ფართო ფანჯარა და მწერლის კაბინეტში ქაღალდები აშრიალდა... ჩინელთა შეხედულებით, გარდაცვლილთა სულები უხილავნი არიან. ისინი მაშინ მოევლინებიან ხოლმე სააქაოს, როცა ხდება ან მოსალოდნელია ბოროტმოქმედება, როცა ირღვევა სიკეთისა და ბოროტების თანაფარდობა... საერთოდ, ადამიანთა სულები სამუდამოდ არასოდეს ტოვებენ იმ სახლებს, სადაც ცხოვრობდნენ და აღესრულნენ.

*მირ ნოვოსტეი №29*

## „საზალდო–სალადო“ გვერდის პასუხები

I. **რებუსი**
ვისაც თევზი უნდა, ფეხიც უნდა დაისველოსო;

II. ხავსი;

III. მე-2 სურათი;

IV. 4, 2, 7, 5, 3, 6, 1.

V. 1. — ბ);
2 — დ);
3 — ბ).


## ბუასილი — უსისხლოდ დაძლეული პრობლემა

ტკივილი და დისკომფორტი, ბუასილის დროს, ბევრისათვის არის ნაცნობი. ყოველი მე-9 ადამიანი ამ დაავადების მსხვერპლი ხდება. უახლესი გამოკვლევების შედეგად, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბუასილის წარმოშობის ძირითად მიზეზს სისხლის მიმოქცევისა და შორისის კუნთების ფუნქციის დარღვევა წარმოადგენს.

ასეთი სახის დარღვევები უმეტესწილად ვითარდება ეგრეთ წოდებულ მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორიც არის – მძიმე ფიზიკური შრომით დაკავებული ადამიანები, სპორტსმენები (სიმძიმეების აწევა), ე. წ. „მჯდომარე“ პროფესიის მქონე პირები. მშობიარობა და ხშირი შეკრულობები ბუასილის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენენ.

ბუასილისათვის, ტრადიციულად, დამახასიათებელია ორი ძირითადი სიმპტომი: სისხლდენა (51%) და კვანძების გამოვარდნა (37%). აგრეთვე აღინიშნება დისკომფორტი, ტკივილი, ქავილი და ლორწოვანი გამონადენი.

ბუასილს შეიძლება ჰქონდეს მწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობა. მწვავე ბუასილის დროს აუცილებელია კონსერვატიული მკურნალობის ჩატარება, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ დაავადების პროფილაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოწესრიგებასა და „გაღიზიანებული მსხვილი ნაწლავის“ – კოლიტის მკურნალობაში, რომელიც აღენიშნებათ დაავადებულთა ნახევარზე მეტს.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერმენტულ საშუალებებს, რომლებიც მოქმედებენ სწორი და მსხვილი ნაწლავის ფლორაზე და პერისტალტიკაზე, ჰიდროფილურ კოლოიდებს და სხვ., ვინაიდან, ნაწლავის შიგთავსის კონსისტენციის რეგულაცია და მისი ტრანზიტი მსხვილ ნაწლავში წარმოადგენს ბუასილის პროფილაქტიკისა და მკურნალობის აუცილებელ წინაპირობას.

კლინიკაში დანერგილია თანამედროვე ლაზერომაგნიტური და კვანტური თერაპია, სისხლის სტიმულაცია ლაზერით. გარდა ამისა, „ექიმი გილი“ გთავაზობთ ბუნებრივი და მცენარეული პრეპარატების ფართო არჩევანს, რაც საშუალებას იძლევა უმოკლეს დროში მიღწეულ იქნას მკურნალობის მაქსიმალური ეფექტი.

კონსერვატიული მკურნალობა ნაჩვენებია ბუასილის ქრონიკული მიმდინარეობის დაწყებით სტადიაში და მწვავე მიმდინარეობის დროს. მკურნალობა მოიცავს საერთო და ადგილობრივ თერაპიას. ადგილობრივი თერაპია მოიცავს ტკივილითი სინდრომის ლიკვიდაციას, ჰემოროიდალური კვანძების თრომბოზის, ანთების და სისხლდენის მკურნალობას.

ზოგადი თერაპია ითვალისწინებს ფლებოტროფული პრეპარატების გამოყენებას, რომელთა მოქმედება ამაღლებს ვენების ტონუსს, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და მიკროცირკულაციას კავერნოზულ სხეულებში.

ბოლო წლებში, მედიცინაში ახალი ტექნოლოგიების განვითარებასა და ახალი პრეპარატების შექმნასთან დაკავშირებით, ამერიკასა და ევროპის მრავალ ქვეყანაში ტიპური ოპერაცია ბუასილის დროს უტარდება პაციენტთა მხოლოდ 17%–20%-ს; უმეტესწილად გამოიყენება ე. წ. ნაკლებინვაზიური (უოპერაციოდ) მკურნალობის მეთოდები.

სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი“ აღჭურვილია თანამედროვე, უნიკალური აპარატურით, ზემოთ აღნიშნული უსისხლო „ოპერაციების“ ჩასატარებლად ამბულატორიულ პირობებში. ასეთი მეთოდიკა თავიდან აცილებს პაციენტს ნარკოზს, საავადმყოფოში ყოფნას და რაც მთავარია, მტანჯველ ტკივილებს, რომელიც ახასიათებს ჩვეულებრივი ოპერაციის შემდგომ პერიოდს. მათ, ვისთვისაც ბუასილი ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად და მოუცილებელ ჭირად ქცეულა, დღეს ეძლევათ უნიკალური საშუალება უკან მოიტოვონ დისკომფორტითა და ტკივილით გატანჯული დღეები. ნუ იტყვით უარს ჯანმრთელ და აქტიურ ცხოვრებაზე.

სამედიცინო ცენტრი
„ექიმი გილი“
ტ: 29-05-25 25-27-09
ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

# საქართველოს ფიფადან არ გარიცხავენ

## წინასაარჩევნო „ომში“ მსოფლიო ფეხბურთის ხელმძღვანელობა ჩაერია



ზეპ ბლატერი

უკვე დიდი ხანია, საფეხბურთო წრეებში ქართულ ფეხბურთში არსებული მძიმე ვითარების გამოსწორების გზებსა და მეთოდებზე ფიქრობენ და აქ აზრებიც იყოფა: ნაწილი მიიჩნევს, რომ მდგომარეობას ესა თუ ის პიროვნება შეცვლის, ზოგიერთი კი სისტემის გაუმჯობესებაზე ამყარებს მთელ იმედებს.

წინასაარჩევნოდ ისეთი ვითარება შეიქმნა, კიდევ ერთხელ წამოტივტივდა ნაცნობი თემა — პროფესიული საფეხბურთო ლიგის დაარსების იდეა. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ არ დაუშვა ჩემპიონატში იმ გუნდების მონაწილეობა, რომლებმაც 3 აგვისტომდე, ანუ ქვეყნის პირველობის დაწყებამდე ვერ შეძლეს საწევრო გადასახადის (22.000 ლარის) შეტანა ფედერაციის ანგარიშზე. პირველ ტურში 3 მატჩი ჩაიშალა. არადა, ყველას ახსოვს, რომ ჟორდანიას პრეზიდენტობის დროს, ჩემპიონატის დაწყებამდე ყოველთვის უწევდნენ შეღავათს გუნდებს, რომლებიც დროულად ვერ იხდიდნენ გადასახადს. გამოდის, მაშინაც ირღვეოდა დებულება და ჟორდანიამ პრინციპულობა ვერ გამოიჩინა.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და ქვეყნის პირველობის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი, **რომან შოთაძე** მიიჩნევს, რომ სავსებით სწორად იქცევიან:

— *თანხის არგადამხდელი კლუბები და ის პირები, რომლებიც მათ უკან დგანან, ერთმანეთში მოლაპარაკებულები არიან. მათ ჰქონდათ დადგენილი თანხის ნახევარი და თავისუფლად შეეძლოთ, დაეწყოთ ჩემპიონატი. ამიერიდან, კომპრომისი გამორიცხულია. ძალიან ცუდად იქცევიან. მათ უნდათ დაანახვონ ხალხს ფედერაციის უპრინციპობა და ამას არ დავუშვებთ. დავით პეტრიაშვილი უპრინციპობას გვაბრალებს და ახლა გამოჩნდება, ვინ როგორი შეუვალია გადაწყვეტილების შესრულებისას. ყველა გუნდი გავაფრთხილეთ, რომ მეორე ტურამდე აუცილებლად უნდა შემოიტანონ მთლიანი თანხა — 22 ათასი ლარი. თუ არადა, გათამაშებიდან მოიხსნებიან.*

სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი, **დავით პეტრიაშვილი** ამ ყოველივეს მის მხარდამჭერებზე ზეწოლად ნათლავს:

— *„ფეარ პლეის“ პრინციპებში ნაკლებად ჯდება კონკურენტის შევიწროება და მის მხარდამჭერებზე ზეწოლა, რისი მაგალითებიც ამ საარჩევნო მარათონში საკმარისად იყო: სეზონის გახსნასთან დაკავშირებული ბოლო ინციდენტიც იმავეს მოწმობს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კლუბების მიერ გადასახადების სრულად გადარიცხვასთან დაკავშირებით, ეგზომ პრინციპული არასდროს ყოფილა. ეს „პრინციპულობა“ კი კვლავ ისეთ გუნდებზე ვრცელდება, რომლებმაც ამჟამინდელი პრეზიდენტისადმი არცთუ სახარბიელო დამოკიდებულება ღიად დააფიქსირეს. მათი მხრიდან დაუმორჩილებლობის სურვილი რომ ყოფილიყო, სრულ თანხას არც ჩემი კანდიდატურის წამომყენებელი „დინამო“ გადაიხდიდა. მე მინდა მივმართო სფფ-ის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას — ნუ გადავალთ ზღვარს, ნურც ქმედებებში და ნურც ლექსიკაში. მოვუწოდებ მათ — დავსხდეთ მაგიდასთან და ცივილიზებულ დებატებში წარმოვაჩინოთ ჩვენი თავი და ჩვენი სამომავლო პროგრამა.*

ზოგიერთი, კლუბის ინტერესების დაცვის ერთადერთ საშუალებად პროფესიული საფეხბურთო ლიგის დაარსებას მიიჩნევს. იდეა ახალი არ არის, ძველია და კვლავ ამოატივტივა ცხოვრებამ.

წნორის „მილანის“ მეპატრონემ **მარიამ ფირცხალაიშვილმა** განაცხადა:

— *ფედერაციისგან არც არასდროს მოგვითხოვია და ბუნებრივია, არც მიგვიღია ერთი თეთრიც კი, მაგრამ ახლა უკვე წიხლის დაჭერას ცდილობენ და ეს არის გაუგებარი. ბატონმა რომან შოთაძემ იკითხა, — თუკი გუნდებს საწევროს გადახდის საშუალება არ გააჩნიათ, უეფას ლიცენზიის აღებას როგორ აპირებენო? აქამდე ისე მოვაღწიეთ, რომ ფედერაცია არ დაგვხმარებია და განა მარტო ჩვენ? ასეთ შემთხვევაში, სჭირდება კი ჩემპიონატს ასეთი ხელმძღვანელობა? მისი დებულება ისე შედგა, რომ გუნდებისთვის აზრი არც უკითხავთ. ჩვენ მხოლოდ დაბეჭდილ დებულებას გვიგზავნიან, რომელსაც ყურმოჭრილი მონებივით უნდა დავემორჩილოთ. ამიტომაც ვფიქრობ, გუნდებთან კონსულტაციები წამოვიწყო პროფესიონალური საფეხბურთო ლიგის შექმნაზე, რომელიც ფედერაციისგან დამოუკიდებლად იარსებებს. ჟორდანიას შეუძლია უეფას 800 ათასი დოლარი სთხოვოს ოფისის აშენებისთვის. არც ის იქნებოდა ურიგო, უეფასთვის აეხსნა, რომ მათ გაითვალისწინონ სამოქალაქო ომის შემდეგ ქვეყანაში არსებული მძიმე მდგომარეობა და ქართული გუნდებისთვის დახმარება ეთხოვა. მე მგონი, უეფა წინააღმდეგი არ იქნებოდა.*

შესაძლოა, ფეხბურთის ფედერაციის თავკაცებმა მცირე ხნის წინ იტალიასა და ავსტრიაში მომხდარი ფაქტები მოიშველიონ. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ იტალიური ფეხბურთის ხელმძღვანელებმა 2 აგვისტოს სერია B-დან გარიცხეს იტალიის ორგზის ჩემპიონი და თასის ოთხგზის მფლობელი, საყოველთაოდ ცნობილი საფეხბურთო კლუბი „ფიორენტინა“. მის ადგილს „ტერნანა“ დაიკავებს. „ფიორენტინამ“ ვერ შეძლო ფინანსური პრობლემების გადაწყვეტა და საკადრისი სასჯელიც მიიღო. სახელოვანი კლუბის მომავალი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. მალე შესაძლოა, კლუბმა საერთოდ შეწყვიტოს არსებობა.

ორი თვის წინ, ანალოგიური ფაქტი მოხდა ავსტრიაშიც, სადაც ფინანსური პრობლემების გამო, ქვეყნის ჩემპიონი „ტიროლი“ რეგიონლიგაში ჩამოაქვეითეს და ჩემპიონთა ლიგაში თამაშსაც გამოასალმეს. რა თქმა უნდა, არც „მეტალურგს“, არც „მილანსა“ და „მერანს“ ქართული ფეხბურთის განვითარებაში იმხელა როლი არ უთამაშიათ, როგორც თავიანთ ქვეყნებში „ფიორენტინასა“ და „ტიროლს“, მაგრამ გასათვალისწინებელი ის არის, თუ როგორ ვითარებაში არიან ქართული და ევროპული გუნდები. ერთეულების გარდა ჩვენთან ყველას უჭირს და არ ჩანს ყელში წაჭერის აუცილებლობა, თორემ ავსტრიასა და იტალიაში ასეთ ცნობილ კლუბებს რომ გაუჭირდებათ, მართლა გაკიცხვის ღირსნი არიან — ევროპაში ამგვარი რამ მხოლოდ უნიჭო მმართველთა ხელშია შესაძლებელი.

ასეა თუ ისე, ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში შექმნილ დაპირისპირებაზე მსჯელობა ფიფას თავკაცებმაც გადაწყვიტეს. ფიფას პრეზიდენტმა, ზეპ ბლატერმა, მერაბ ჟორდანია და ვალერი ჩოლარია შვეიცარიაში დაიბარა და წარმოშობილი დავის დეტალურ გარჩევას შეუდგნენ. ჟორდანიასა და ჩოლარიას ფიფაში ვიზიტის დეტალები ჯერჯერობით უცნობია. მთავარია, რომ საქართველოს ფიფადან გარიცხვა აღარ ემუქრება (რაც აქ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სავსებით რეალური იყო). ითქვა ისიც, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდება არ შეესაბამება ფიფას წესდებას და უნდა შეიცვალოს, თუმცა 24 აგვისტოს დაგეგმილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები აუცილებლად დათქმულ დროს უნდა ჩატარდეს და ამის შემდგომ ექვსი თვის ვადაში უნდა შეიცვალოს წესდება. ერთი სიტყვით, ჩვენს ფეხბურთში ისეთივე არეულ-დარეული ვითარებაა, როგორიც ჩვენსავე საფეხბურთო ჩემპიონატში და საეჭვოა, არჩევნებმა, რომელიც ჩატარდება თუ არა, არავინ იცის, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინოს.

# კახა ცხადაძე მოედანს უბრუნდება



ლონდონის „არსენალისა“ და ინგლისის ნაკრების მეკარეს, დევიდ სიმენს არავინ ახსენებს მსოფლიო ჩემპიონატზე დაშვებულ ერთადერთ შეცდომას და არსენ ვენგერმა კიდევ ერთი წლით სთხოვა გუნდში დარჩენა: რობერტო ბაჯო, მიუხედავად იმისა, რომ 35 წლისაა, სერია A-ში 200 გოლის გატანაზე ოცნებობს; გარი მაკალისტერი 37 წლისაა და პრემიერ-ლიგაში კიდევ თამაშობს.

ასეთი მაგალითების მოსმენისას, ქართველი ფეხბურთელები თეთრი შურით „სკდებიან“. როგორი საქმეა, კახა ცხადაძე, ნიკა ჩხეიძე, მურთაზ შელია, ჯერ კიდევ ეროვნული ნაკრების წევრებად ითვლებოდნენ, როდესაც 30 წლის ასაკში, ფაქტობრივად, ფეხბურთის თამაშს გამოეთხოვნენ.

თუმცა, როგორც ირკვევა, კახა ცხადაძე ჯერ არ აპირებს კარიერის დასრულებას. არადა, ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „შინდისფერთა“ გუნდის პირველ კაპიტანს აღარ უთამაშია.

მუხლის ტრავმით კახა მსოფლიოს ჩემპიონმა, ფრანგმა დიუგარიმ „დააჯილდოვა“ — როცა 1995 წელს, ინტერტოტოს გათამაშებაში „აინტრახტი“ „ბორდოს“ ხვდებოდა. დიუგარისთან ერთად ზიდანიც თამაშობდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ფრანგმა თავდამსხმელმა ქართველ მცველს ისე გვარიანად მიარტყა მუხლში ფეხი, რომ კახა დიდი ხნის მანძილზე არათუ ფეხბურთზე, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, არ დახეიბრებულიყო. მაგრამ მაინც მოახერხა ფეხზე დადგომა, „ალანიაშიც“ მოასწრო თამაში, „მანჩესტერ სიტისა“ და ბოლოს თბილისის „ლოკომოტივშიც“. თუმცა, მისი სურვილი — დაბრუნებოდა ეროვნულ ნაკრებს — სურვილადვე დარჩა.

ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს კახამ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ფეხბურთელის კარიერაზე. ამ ყოველივეს რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცმა, აკაკი ჩხაიძემაც შეუწყო ხელი — 32 წლის კაცი ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ლოკომოტივის“ მწვრთნელად დანიშნა. გამოუცდელობის კვალობაზე, ცხადაძემ მწვრთნელის ნიჭი გამოავლინა და არაორდინარული, მეტად სარისკო ტაქტიკით (ხშირად გუნდს ორი(?!) მცველით ათამაშებდა) გამარჯვებებს აღწევდა.

თუმცა, მოთამაშეთა ტრავმების გამო, „ლოკომოტივს“ გაუჭირდა „ტორპედოსთვის“ ჩემპიონობის ჩამორთმევა და თავმოყვარე ცხადაძეც გადადგა. ასე დარჩა ჰაერში ერთ დროს ყველაზე ცნობილი და პოპულარული ქართველი ფეხბურთელი. მართალია, მწვრთნელობის დროსაც თამაშობდა, მაგრამ საქართველოში თითქმის ყველამ დაივიწყა მისი ფეხბურთელობა.

ცხადაძე მაინც მიზანმიმართული და უტეხი აღმოჩნდა. საქართველოს ჩემპიონატშიც გამოჩნდა, რომ კახამ ფორმის აღდგენა მოახერხა და სამი თვის ფიქრისა და ნერვიულობის შემდეგ გადაწყვიტა, თამაში განეახლებინა. შესაძლოა, ვინმემ გაიოცოს, მაგრამ კაცს ნაადრევად ნუ დავაბერებთ — ჯერ მხოლოდ 33 წლის გახლავთ, რაც ლიბეროსთვის შესანიშნავი ასაკია:

— *თავს მშვენივრად ვგრძნობ,* — ამბობს **კახა**, — *ფიზიკურადაც კარგად ვარ და რაც მთავარია, კიდევ შემიძლია თამაში.*

ამჟამად იგი „დინამოს“ ფარმკლუბთან ერთად დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს და მწვრთნელებს აოცებს. იმ დროს, როდესაც 17-18 წლის ბიჭები ისვენებენ, ათიდან ერთ პროცედურას მიაჩუმათებენ, კახა პირნათლად ასრულებს მწვრთნელის დავალებებს, ისევე მონდომებულია, როგორც კარიერის დასაწყისში და იმედი აქვს, რომ მალე დაუდგება სიხარულის პერიოდი.

— *იმედი მაქვს, რომ სერიოზული მიზნების მქონე კლუბი მიმიწვევს. ცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქოს ამბიცია და წარმატების მიღწევის სურვილი დავკარგე. მადლობა ღმერთს, ისევ ჯანმრთელი ვარ და ეს სტიმულს მიძლიერებს. მომენატრა ფეხბურთი, ტრავმა აღარ მაწუხებს და თამაშზე უარი რატომ უნდა ვთქვა?!*

ცხადაძე იმედოვნებს, რომ რუსეთის პრემიერ-ლიგის რომელიმე კლუბი მისით დაინტერესდება:

— *ასეთ შემთხვევაში ნაკრების მწვრთნელებს ჩემზე დაკვირვების მეტი საშუალება ექნებათ. ისევე, როგორც წლების წინ, დღესაც ვოცნებობ ნაკრებში თამაშზე. საამისოდ კი საქმეშიც უნდა მნახონ. სწორედ ამიტომ, მზად ვარ, რუსული კლუბის წინადადება მივიღო. მიხარია, რომ ჩემს სურვილს ალექსანდრე ჩივაძეც გაგებით მოეკიდა, — თუკი სერიოზულ კლუბში ითამაშებ, ნაკრებში დაბრუნების პრობლემას არ შეგიქმნიო.*

მოდით, **გიორგი ქინქლაძესაც** მოვუსმინოთ.

— *მას შემდეგ, რაც კახა ცხადაძე ნაკრებიდან წავიდა, ყოჩის გარეშე დარჩენილ ფარას დავემსგავსეთ.*

ჩივაძეც ასე ფიქრობს და მას სხვისგან არ ესწავლება ყოფილი კაპიტნის ფასი. კალაძის არყოფნაში უკანა მცველის მწვავე დეფიციტია და ახლა ყველაფერი ისევ ცხადაძეზეა დამოკიდებული.

— *მწვრთნელობა? ამაზე აღარც ვფიქრობ,* — ამბობს კახა, — *რუსეთში მეგობრები მყავს, რომლებიც დახმარებას მპირდებოდნენ, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემთვის ჯერ ნაადრევია ბუცების დაკიდება და მწვრთნელობა. ჯერ თამაშის ჟინი უნდა მოვიკლა.*

***ლაშა დუმბაძე***

## საჭადრაკო კლუბი



**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლd2-f4!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **ორ** სვლაში.




# ქართველები ლიგას ემშვიდობებიან

წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის გათამაშება ჯერ არც დაწყებულა, საქართველოსთვის კი უკვე დამთავრდა. ჩეხურმა „სპარტამ“ შინ 3:0 მოგების შემდეგ, არც ქუთაისში დაინდო საქართველოს ჩემპიონი და ორი მატჩის ჯამში 5:1 გაიმარჯვა. თავად ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გაიკვალა გზა, ქუთაისელები კი ეროვნული ჩემპიონატის ამარა დატოვა. „სპარტასთან“ საპასუხო მატჩზე სასწაულის იმედად ქუთაისის სტადიონზე მაინც შეიკრიბა 5.000 მაყურებელი. ზურაბ იონანიძის მიერ 33-ე წუთზე გატანილმა გოლმა ტრიბუნებიც გამოაცოცხლა და თამაშიც. ჩეხები უმალ მოეგნენ გონს, პირველი ტაიმის დასრულებამდე სამიოდე წუთით ადრე, ანგარიში გათანაბრდა, მეორე ტაიმის დაწყებიდან ათი წუთი იყო გასული, როცა სტუმრებმა მეორეც გაიტანეს და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირეს. სენსაციები არც სხვა შეხვედრებში დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, რომ იმ გუნდთაგან, სადაც ქართველი ფეხბურთელები გამოდიან, ვერც ერთმა ვერ გადალახა მეორე ეტაპი, რიგის „სკონტო“ ბულგარულ „ლევსკისთან“ დამარცხდა, ტირასპოლის „შერიფი“ კი ავსტრიის „გრაცერმა“ გამოაგდო.

### ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო შეხვედრები. 7 აგვისტო

*ბაზელი* (შვეიცარია) 3:0 ჟილინა (სლოვაკეთი) (1:1)
*ლევსკი* (ბულგარეთი) 2:0 სკონტო (ლატვია) (0:0)
პიუნიკი (სომხეთი) 2:2 *დინამო* (უკრაინა) (0:4)
ბელშინა (ბელარუსი) 0:1 *მაკაბი* (ისრაელი) (0:4)
*ჟელეზნიჩარი* (ბოსნია) 1:0 ლილესტრიომი (ნორვეგია) (1:0)
*პარტიზანი* (იუგოსლავია) 4:0 ჰამარბი (შვედეთი) (1:1)
*გრაცერი* (ავსტრია) 2:0 შერიფი (მოლდოვა) (4:1)
დინამო (რუმინეთი) 0:1 *ბრიუგე* (ბელგია) (1:3)
*ლეგია* (პოლონეთი) 1:1 ვარდარი (მაკედონია) (3:1)
დინამო (ალბანეთი) 0:4 *ბრონდბიუ* (დანია) (0:1)
*ჰაპოელი* (კვიპროსი) 4:2 მარიბორი (სლოვენია) (1:2)
ზაგრები (ხორვატია) 2:1 *ზალაეგერსეგი* (უნგრეთი) (0:1)
ჰიბერნიანსი (მალტა) 3:3 *ბოავიშტა* (პორტუგალია) (0:4)

დახრილი შრიფტით გამოყოფილია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები

### ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. 14–21 აგვისტო

სპორტინგი (პორტუგალია) — ინტერი (იტალია)
მილანი (იტალია) — ლიბერეცი (ჩეხეთი)
რუსენბორგი (ნორვეგია) — ბრონდბიუ (დანია)
შახტიორი (უკრაინა) — ბრიუგე (ბელგია)
აპოელი (კვიპროსი) — აეკ (საბერძნეთი)
ბარსელონა (ესპანეთი) — ლეგია (პოლონეთი)
ლევსკი (ბულგარეთი) — დინამო (უკრაინა)
ჟელეზნიჩარი (ბოსნია) — ნიუკასლი (ინგლისი)
პარტიზანი (იუგოსლავია) — ბაიერნი (გერმანია)
გენკი (ბელგია) — სპარტა (ჩეხეთი)
მაკაბი (ისრაელი) — შტურმი (ავსტრია)
სელტიკი (შოტლანდია) — ბაზელი (შვეიცარია)
ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ფენერბახჩე (თურქეთი)
ზალაეგერსეგი (უნგრეთი) — მანჩესტერი (ინგლისი)
ბოავიშტა (პორტუგალია) — ოსერი (საფრანგეთი)
ლოკომოტივი (რუსეთი) — გრაცერი (ავსტრია)

### ინტერტოტოს თასი. ნახევარფინალი. საპასუხო შეხვედრები. 7 აგვისტო

ასტონ ვილა (ინგლისი) 0:2 *ლილი* (საფრანგეთი) (1:1)
სლავენი (ხორვატია) 0:1 *შტუტგარტი* (გერმანია) (1:2)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 1:3 *ბოლონია* (იტალია) (1:5)
*ტრუა* (საფრანგეთი) 2:1 ვილიარეალი (ესპანეთი) (0:0)
ტილბურგი (ჰოლანდია) 0:1 *მალაგა* (ესპანეთი) (1:2)
სოშო (საფრანგეთი) 0:2 *ფულემი* (ინგლისი) (0:1)

დახრილი შრიფტით გამოყოფილია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები

# ავტოსალონი

## MERCEDES SLR-ის ნახვა უკვე შესაძლებელია

ჟურნალ Autoweek-ის ფოტორეპორტიორებმა დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხეს ფირზე აღებეჭდათ კომპანია „მერსედესის“ მომავალი საოცრება — SLR-ი. საერთაშორისო ავტოსალონზე წარდგენამდე, სპეციალური ავტოტესტების გავლის დროსაც კი, ახალ მოდელებს დამატებით დეტალებს უმონტაჟებენ, რათა აბეზარი პაპარაცებისგან და დროზე ადრე გახმაურებისგან დაიცვან. „მერსედესის“ კონსტრუქტორები ამჯერად აეროდინამიკურ გამოცდას აწარმოებდნენ და ტესტირების ზუსტი შედეგის მისაღებად ავტომობილის კორპუსს დამატებითი დეტალები მოხსნილი ჰქონდა. ერთადერთი, რაც მნახველს მოდელის აღქმაში შეუშლის ხელს, სპეციალურად შერჩეული საღებავია. ავტომობილი V8 ტიპის, 5,5ლ-ის მოცულობის ძრავით არის აღჭურვილი, რომელიც 555 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს. წინასწარი, დაუზუსტებელი მონაცემებით, იგი 100კმ/სთ სიჩქარეს 4 წამზე ნაკლებ დროში განავითარებს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 320 კმ/სთ-ია. რაც შეეხება ტექნიკურ სიახლეებს, ასეთები ახალ „მერსედესში“ უხვად იქნება — დაწყებული საჭის ტრაექტორიით, მოძრავი ფარებით და დამთავრებული ელექტრონული მუხრუჭებით. Mercedes SLR -ის წარმოება ინგლისში, McLaren-ის ქარხანაშია გადაწყვეტილი, რაც მაღალ სიჩქარეზე მისი საიმედოობის კიდევ ერთი გარანტი იქნება. წელიწადში მხოლოდ 50 მანქანას გამოუშვებენ და მისი საორიენტაციო ფასი 350 ათასი დოლარი იქნება. ავტომობილი წარმოებაში ჯერ არ ჩაუშვიათ, მაგრამ კომპანია დაკვეთებს უკვე იღებს — ამისთვის ავანსის, 35 ათასი დოლარის გადახდაა საჭირო.




## უკანასკნელი ROLLS-ROYCE-ი

ხელით აწყობილი, პომპეზური ლიმუზინების ეპოქა დასასრულს უახლოვდება. „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ ნომერში მსოფლიო ავტოწარმოებაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებზე ვწერდით. მსოფლიო საავტომობილო ბიზნესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ფასს უფრო ენიჭება, ვიდრე გამძლეობას თუ ხარისხს. ეს ფაქტი ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ დაამტკიცა ჰენრი ფორდმა, როდესაც პირველმა მსოფლიოში, „ლიზის“ სერიული წარმოება დაიწყო. აღნიშნული მოდელი „ფორდ T“-ის სახელითაც იყო ცნობილი და საკმოდ მარტივი, მდარე ხარისხის კონსტრუქცია ჰქონდა. სამაგიეროდ, ძალიან დიდი რაოდენობით გამოდიოდა და შესაბამისად, იაფიც ღირდა. შედეგად, „ლიზი“ ავტოწარმოების ბესტსელერად იქცა. ფორდის მიერ შემუშავებული სტრატეგია დროთა განმავლობაში დანარჩენმა ავტოკომპანიებმაც გადაიღეს. თანდათან, მსოფლიოს საავტომობილო სამყარო სერიული წარმოების გიგანტებად და ხელით აწყობის ელიტარულ ავტოწარმოებად დაიყო. სერიული ავტოფირმები ჯერ კომპანიებად, შემდეგ კი კორპორაციებად გაერთიანდნენ — დღეს ყოველ სერიოზულ ავტოკორპორაციაში რამდენიმე საავტომობილო მარკა შედის. როდესაც წარმოებაში ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი ბრუნავს, თანამედროვე ტექნოლოგიების კვლევისა და დანერგვის საშუალებაც ჩნდება. შესააბამისად, ხარისხი ფასის უკუპროპორციულად იზრდება. ხელით წარმოების ტრადიციული კომპანიები კი საკმაოდ მძიმე დღეში აღმოჩნდნენ. „იაგუარი“, „ბუგატი“ და „მაძერატი“ სხვადასხვა ავტოგიგანტებმა მხოლოდ იმისთვის შეიძინეს, რომ თავისი საავტომობილო გამა პრესტიჟული მარკით გაემდიდრებინათ. მათი ბედი გაიზიარა ლეგენდარულმა როლსროისმაც, რომელიც გერმანულმა BMW-მ შეიძინა. თავის დროზე ამ ფაქტს ბრიტანელთა აღშფოთება მოჰყვა, რადგან „როლს-როისს“ ქვეყნისეროვნულ სიამაყედ თვლიდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ლეგენდარული ლიმუზინი ბავარიელთა ხელში სერიული წარმოიების ჩვეულებრივ მოდელად იქცეოდა. ვარაუდი მაშინ დაუჯერებელი იყო, თუმცა ძალიან მალე რეალური გახდა — წელს ქალაქ ქრიუში განთავსებული ქარხნიდან ხელით აწყობილი უკანასკნელი „როლს-როისი“ გამოვა. 2003 წლის 1 იანვრიდან კი სერიული წარმოების „როლს-როისი“ მოგვევლინება. როგორც ჩანს, BMW შეეცდება ახალი მოდელით „მერსედესის“ „მაიბახს“ გაუწიოს კონკურენცია. ბავარიელთა მტკიცებით, სერიული მოდელი „როლსროისის“ საუკეთესო ტრადიციებს შეინარჩუნებს და ამავე დროს ტექნოლოგიურად ულტრათანამედროვე იქნება. მიუხედავად ამისა, მას ხელით აწყობილი ლეგენდარული „როლს-როისის“ ჩანაცვლება აშკარად გაუჭირდება.



## კაბრიოლეტი დიზელზე?

გერმანულმა კომპანია „აუდიმ“ მსოფლიოში პირველად, კაბრიოლეტის ტურბოდიზელის მოდიფიკაცია გამოუშვა. AUDI A4-ის ახალ კაბრიოლეტს 6 ცილინდრიანი, 2,5ლ მოცულობის ძრავა ექნება. აქამდე ავტომშენებლობაში მიჩნეული იყო, რომ დიზელის ძრავები მხოლოდ საოჯახო ან სპეცდანიშნულების ავტომობილებზე გამოდგებოდა. მაგრამ ახალი ტურბოსისტემის გამოყენებამ დიზელის დამონტაჟება სპორტულ ავტომობილებზეც შესაძლებელი გახადა. დიზელის ძრავიანი აუდის კაბრიოლეტი 100 კმ/სთ-ის განვითარებას 9 წამს ანდომებს, ხოლო მისი მაქიმალური სიჩქარე 226 კმ/სთ-ია. რასაკვირველია, მთავარი ამ შემთხვევაში მაინც ეკონომიურობაა — ახალი „აუდი“ 100 კმ-ზე 7ლიტრ დიზელის საწვავს მოიხმარს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავისი 70-ლიტრიანი ავზით ერთ ავსებაზე ათას კმ-მდე მანძილის დაფარვა შეუძლია.




## VAZ-ი ახალ მოდელს გამოუშვებს

დიდი ხნის წვალების შემდეგ, VAZ-ის კონსტრუქტორებმა ნამდვილი ავტომობილის შექმნა მოახერხეს. ყოველ შემთხვევაში, პირველად გამოქვეყნებული ფოტოებიდან ასეთი შთაბეჭდილება რჩება. „კლასიკის“ დიზაინი თანამედროვე სტილშია შესრულებული და „ფოლკსვაგენის“ ბოლოდროინდელ უნივერსალებს წააგავს. რუსმა ავტომშენებლებმა სპეციალურად ახალი მოდელისთვის განსხვავებული ძრავა შექმნეს — 1,7ლ მოცულობის აგრეგატი ევროსტანდატების გათვალისწინებით არის აგებული და „ევრო-3“-ის სერტიფიკატსაც ფლობს. რამდენად საიმედო იქნება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ახალ რუსულ ავტომობილს რამდენიმე ევროპული სიახლეც ექნება — სავარძლების გათბობა, მთელ კორპუსზე უნიფიცირებული გასაღები და საჭის მექანიზმის რეგულირება.



## ყველა ცხენი FERRARI-ს არ ეკუთვნის...

სწორედ ასეთი დადგენილება გამოიტანა გერმანიის ქალაქ მანჰეიმის სასამართლომ, რომელიც კომპანია „ფერარის“ მიერ შეტანილ სარჩელს განიხილავდა. აღნიშნული ქალაქის ერთ-ერთი იუველირი ოქროსგან ცხენის პატარა ფიგურებს ამზადებდა და ტურისტებზე 35 ევროდ ყიდიდა. „ფერარის“ მენეჯერებმა იგი ავტოფირმის სიმბოლოდ აღიქვეს და იუველირს საავტორო უფლებების დარღვევისთვის უჩივლეს. სასამართლომ კი სავსებით ლოგიკური განაჩენი გამოიტანა — ყველა ცხენი FERRARI-ს არ ეკუთვნის...

## სიცხე უსაფრთხო მოძრაობის წინააღმდეგ

ევროპელი მეცნიერების გამოკვლევით, ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვი გზებზე ტემპერატურის მატების პროპორციულად იზრდება. განსაკუთრებით ცხელ დღეებში ავტოკატასტროფები 15-20%-ით უფრო ხშირად ხდება, ვიდრე გრილ დღეებში. საერთოდ, ფსიქოლოგიაში ცნობილია ფაქტი, რომ მაღალი ტემპერატურის დროს ადამიანებში აგრესია იზრდება. ახლახან ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს — მომხიბლავი გოგონა ერთსა და იმავე მონაკვეთზე მოძრაობდა და შუქნიშნის მწვანე ფერზე მანქანის დაძვრას აგვიანებდა. თუ აპრილის თვეში მის უკან მყოფი მძღოლები მოთმინებას იჩენდნენ, ივლისის ცხელ დღეს გოგონა გინებით აიკლეს. გამოკვლევამ ისიც ცხადყო, რომ სიცხეში მოძრაობისას კრიტიკულ ვითარებაში მძღოლის რეაქციაც გაცილებით უფრო დაბალია.

რასაკვირველია, კონდიციონერი ამ შემთხვევაში ყველა პრობლემას ხსნის, ხოლო ვინც ამ ბედნიერებას მოკლებულია, ექიმები თავისუფალი სამოსის ტარებას და რაც შეიძლება ბევრი სითხის მიღებას ურჩევენ.

## PORSCHE-ს ჯიპი საკმაოდ ძვირი ეღირება

კომპანია Porsche-ს მენეჯერებმა ახალი ყველგანმავალის, Cayenne-ის ოფიციალური ფასები გამოაქვეყნეს. საბაზო, სტანდარტული მოდელი 60 ათასი ევრო ეღირება. რასაკვირველია, სხვადასხვა ქვეყანაში საბაჟო ტარიფების შესაბამისად, სხვაობა 1000 ევროს ფარგლებში იმერყევებს. სტანდარტული მოდელი V8 ტიპის, 4,5 ლ მოცულობის ძრავით იქნება აღჭურვილი და 340 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს. მისი მაქსიმალური სისწრაფე 242 კმ/სთ იქნება. ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს 7,2 წამში აღწევს. რაც შეეხება არასტანდარტულ მოდელს, მისი ძრავის მოცულობა თითქმის იგივეა, მაგრამ ორი ტურბოგამაძლიერებლით და შესაბამისად, სისწრაფეც გაცილებით მეტი აქვს — 266 კმ/სთ. ყოველწლიურად, ლაიფციგის ქარხანაში 25 ათასი მოდელის გამოშვებაა განზრახული.




## მონაზვნებს ბრიტანეთში დიდ პატივს სცემენ...

ყოველ შემთხვევაში, ასეთი დასკვნა გამოიტანა ერთმა ინგლისელმა რეპორტიორმა, რომელმაც მონაზვნის სამოსში გადაცმულმა, ინგლისის სხვადასხვა მხარეში მანქანით იმოგზაურა. ლოიდ ტომსონის თქმით, მოგზაურობის ორი კვირა მის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი დღეები იყო, რადგან მიუხედავად პოპულარობისა, საჭესთან ჯდომისას მისთვის ასეთი პატივი არასოდეს უციათ. მონაზვნის სამოსში გამოწყობილ ლოიდს საცობის დროს გზას უთავისუფლებდნენ და ცდილობდნენ გაეტარებინათ, მას გზას უთმობდნენ აგრეთვე ავტოსადგომებზე (ინგლისში, ისევე როგორც მთელ ევროპაში, გასაჩერებელი ადგილის მწვავე დეფიციტია), და რაც მთავარია, პოლიცია მისადმი განსაკუთრებით თავაზიანი იყო. ძნელი სათქმელია, აღმოჩნდება თუ არა მაცდური ლოიდის გამოკვლევა სხვა მძღოლებისთვის, მაგრამ დიდი ბრიტანეთი რომ კვლავაც ტრადიციების ქვეყნად რჩება, ფაქტია.

## ახალი „მაზდა“ მხოლოდ ქალებმა დაამზადეს

კორპორაცია „მაზდა“ უახლოეს მომავალში საზოგადოებას ახალ მოდელს, MPV Sports -ს წარუდგენს. მოდელის დაპროექტებაზე მხოლოდ და მხოლოდ ქალები მუშაობდნენ. კომპანიის მენეჯერთა განცხადებით, ახალი მოდელი სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის არის განკუთვნილი და შესაბამისად, მათი საჭიროებისა და გემოვნების გათვალისწინებაც ქალებს მიანდეს. შედეგმაც არ დააყოვნა — ავტომობილის სალონში სპეციალური, დამატებითი სარკეა დამონტაჟებული, რომელსაც პარფიუმერიისთვის საჭირო სათავსები აქვს. სავარძლებზე კი გადმოსაშლელი მაგიდებია, სხვადასხვა საგნების ჩასაწყობი ბუდეებით. ახალი „მაზდა“ ათასნაირი ჯიბეებისა და სათავსების რაოდენობით მსოფლიო რეკორდსმენი იქნება. კონსტრუქტორმა ქალებმა სხვადასხვა ღილაკების გაფორმებაზე უფრო იზრუნეს, ვიდრე აეროდინამიკურ მაჩვენებლებსა და სისწრაფეზე.



*გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა*

# ბექჰემს ვარდისფერი მოსწონს



27 წლის დევიდ ბექჰემი, ინგლისის ნაკრების კაპიტანი, ამ ბოლო დროს ფრჩხილებზე ვარდისფერ ლაქს ისვამს. ეს ძალიან მოსწონს თურმე მის მეუღლეს ვიქტორიას, სხვებს — არც ისე.

ფეხბურთელს, ეტყობა, საკუთარი გარეგნობის სრული ფემინიზაცია აქვს განზრახული. ჯერ იყო და, თეძოზე გრძელი ქსოვილი — სარონგი შემოიხვია. მერე თითები ბეჭდებით დაიმშვენა და, როგორც ამბობენ, ცოლის საცვლებსაც ხმარობს. თოფ-მოდელის, ლიზ ჰარლის ბავშვის ნათლობაზე ყველამ — ჰიუ გრანტმა, პეტ ქენზითმა, ელ მაკფესონმა და სხვებმა, საკუთარი თვალით იხილეს ფეხბურთელის ვარდისფრად მბზინავი ფრჩხილები. ლაქი მამაკაც ვარსკვლავებს შორის სიახლე არ გახლავთ, ოღონდ, მაგალითად, რობი უილიამსი და ლენი კრავიცკი ისეთ ფერებს არჩევენ, რომლებიც მამაკაცურ საწყისთან ასოცირდება. დევიდ ბექჰემი კი ნაზ ვარდისფერს ამჯობინებს და ბევრის აზრით, ძალზე უჩვეულოდაც გამოიყურება.

**სტარი**

# ეგონა, კუჭი ამეშალაო და ბავშვი კი შვა....



ცივილიზებულ ქვეყნებში არიან გოგონები, რომლებმაც არ იციან ორსულობის სიმპტომები.

18 წლის ინგლისელმა ემა კარშოუმ აღიარა: დარწმუნებული ვიყავი, რომ მუცელი ღორმუცელობისაგან მეზრდებოდა. ერთხელაც მუცელი ამტკივდა, მეგონა, კუჭი ამეშალა, შევედი ტუალეტში და... საბედნიეროდ, ახალშობილ ბიჭუნას არაფერი დაშავებია.

სხვათა შორის, ემას დედას რატომღაც არ უფიქრია და არც გაჰკვირვებია, რატომ ეზრდებოდა ქალიშვილს მუცელი.

**დეილი მირორი**

# დაიმახსოვრეთ, მსხალი ასეთი აღარ იქნება



იაპონელ სელექციონერებს (რომლებმაც კვადრატული საზამთროები გამოიყვანეს) არაბებიც არ ჩამორჩნენ და ხილ-ბოსტნეულზე ატარებენ ცდებს — სხვადასხვა გეომეტრიულ ფორმას აძლევენ. კვადრატული საზამთროები უკვე მოჰყავთ არაბეთის ფერმებში (და ჩვენმა მკითხველმა მისი ფოტოც იხილა). ასე რომ, იაპონელ სელექციონერებს მალე გარე ბაზარზე ღირსეული კონკურენტი გაუჩნდებათ.

ახლა არაბ სელექციონერებს სამკუთხა ტკბილი წიწაკის, კიტრის, ყაბაყის და მარწყვის გამოყვანა აქვთ განზრახული. ამ სფეროში ექსპერიმენტები ალბათ შეცვლის კაცობრიობის წარმოდგენას საგანთა არსზე. ხახვი შეიძლება „შიშველი“ დარჩეს, მსუქანი კაცის ღიპზე კი აღარავინ იტყვის, საზამთროსავით მრგვალიაო. ალბათ სელექციონერთა მსახვრალი ხელი მსხალსაც მისწვდება და მაშინ ნათურას კი არ შეადარებენ მსხალს, პირიქით — იტყვიან, სინამდვილეში აი, ასეთი იყო ნამდვილი მსხალიო.

**პრიროდა №30**

# „აბა, ერთი კიდევ ვჭამოთ...“

ნიუ-იორკში, ჰოთ-დოგების გადასანსვლის შეჯიბრზე ერთმა გალეულმა, 24 წლის იაპონელმა ტაკერუ კობაიასიმ 12 წუთში 50,5 ჰოთ-დოგი გადასანსლა. ამით მან შარშანდელი მსოფლიო რეკორდი მოხსნა — 50-სოსისიანი ფუნთუშა. კონკურსმა საბოლოოდ გააცამტვერა მითი იმაზე, რომ გემრიელი ჭამა-სმა მხოლოდ ღორმუცელებს, ჩასუქებულებს შეუძლიათ. საქმე ის არის, რომ შეჯიბრში დამარცხებული ამერიკელი ბუკერი 186 კგ-ზე მეტს იწონის, მსოფლიო ჩემპიონი კობაიასი კი შეჯიბრის წინ 51,3 კგ-ს იწონიდა, სამაგიეროდ, რეკორდის დამყარების შემდეგ 7 კგ მოიმატა.

**ეხო პლანეტი №30**

# 178 ათასი დოლარი ნახატის ერთ სანტიმეტრში



ძველი ევროპელი ოსტატების ნამუშევართა ტრადიციულ „ბაზრობაზე“, რომელიც ივლისის დასაწყისში ერთდროულად მიმდინარეობდა ლონდონის ორ — „სოთბისა“ და „ქრისტის“ აუქციონზე რამდენიმე სენსაცია მოხდა. მოულოდნელად გამოჩნდა რუბენსის „ახალი“ ტილო — „ყრმათა ცემა“, რომელიც კარგა ხანს ითვლებოდა მხატვრის მოწაფის ნამუშევრად. ახლა კი ცნობილი ავტორის სურათი „სოთბის“ აუქციონზე საარაკო ფასად — 76,2 მლნ დოლარად გაიყიდა, რითაც იქცა ოსტატის ყველაზე ძვირად ღირებულ ტილოდ და ფასით — მსოფლიოში მესამე ნახატად. მასზე ძვირია მხოლოდ ვან გოგის „ექიმ გაშეს პორტრეტი“ (82,5მლნ) და რენუარის AuMoulin de la Galete (78,1მლნ).

ამბობენ, „ყრმები“ კანადელ კოლექციონერ დევიდ ტომსონს — საგაზეთო მაგნატის, ლონდონის „თაიმსის“ ყოფილი მფლობელის, ლორდ ტომსონის ვაჟს ერგოო.

პიტერ ბრეიგელის ხის პანელი — „ლოთის ადგილი საღორეშია“, იმავე დღეს გაიყიდა „ქრისტის“ აუქციონზე 5 მლნ დოლარად. თუ მის ზომას გავითვალისწინებთ — 18 სმ დიამეტრი — აღმოჩნდება, რომ ეს თითქმის ყველაზე დიდი თანხაა ნახატის კვადრატულ სანტიმეტრში ოდესმე გადახდილი.

**დენგი №29**

# ულვაშა ქალები ერთგულები ყოფილან



რუმინეთის ერთ-ერთი მთიანი მხარის, დიმბოვიტის მკვიდრთ ოდითგან ღრმად სწამთ, რომ თუ ქალს კოკობი ულვაში არ უბიბინებს ზედა ტუჩზე, მისი ფასი გროშ-კაპიკია — გათხოვება არ ეღირსება.

და აი, თურმე რატომ: დიმბოვიტელთა შეხედულებით, ულვაში ჭეშმარიტი ნიშანია ქალის სექსუალურობისა და, რაც მთავარია, ულვაშა ქალები ერთგულნი და ნაყოფიერნი არიან! გოგონები, რომელთაც ღინღლი არ ამშვენებთ, ათასნაირი ეშმაკობით ცდილობენ ულვაშის გაზრდას. თუ არაფერი გამოუვიდათ, მაშინ უნდა დაემშვიდობონ სამშობლო-მხარეში გათხოვებაზე ოცნებას...

**მეგაპოლის-ექსპრესი №30**

# ასე იცის დიდმა სიყვარულმა



ინგლისელი ბილ ოსტინი 65 წლისაა, მისი ცოლი მარგარეტი — 57-ის. ისინი 34 წელია, ცოლ-ქმარი არიან და ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ ჰქონიათ სქესობრივი კავშირი. ქალბატონ ოსტინს პანიკურად ეშინია სექსის.

— ყოველთვის, როცა ამ საქმეს დავაპირებდით, ჩამესმოდა დედაჩემის სასოწარკვეთილი ხმა, — ეს საზიზღრობაა, დამამცირებელიაო და ველარაფერს ვახერხებდი, — ამბობს მარგარეტი. იგი ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, — თუკი დედოფალ ელისაბედს და ქალბატონ თეტჩერს შეუძლიათ ჰქონდეთ ცოლქმრული ურთიერთობა, მაშინ, ეტყობა, ეს არც ისე დამამცირებელიაო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ბილ ოსტინმა განაცხადა, — ძალიან მიყვარს მეუღლე, პატივს ვცემ მის გრძნობას, ამიტომ საჭიროდ ვთვლი, მსხვერპლი გავიღოო.

**ნიუ ზუიქი**

# ეროვნული სირცხვილი



პეკინის ახალგაზრდული გაზეთი საშვილიშვილო საქმეს აკეთებს — უკულტურო თანამოქალაქეებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. გაზეთის ყველა ნომერში იბეჭდება იმ პეკინელთა ფოტოები, რომლებიც თავიანთი გარეგნობით არცხვენენ მსოფლიო ტურიზმის უდიდეს ცენტრსა და მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქს.

ფოტოზე მსხვილი პლანითაა წარმოსახული შიშველი მუცელი (ძველი ტრადიციისამებრ, ცხელ დღეებში ჩინელები წელამდე შიშვლდებიან).

საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები რედაქციას ფოტოებს აწვდიან, მაგრამ რედკოლეგია ზედმიწევნით იცავს პეკინელების პირადი ცხოვრების საიდუმლოების უფლებას და მხოლოდ იმ ფოტოებს აქვეყნებს, სადაც სახე არ ჩანს. გაზეთი ირწმუნება, აქციის დაწყების შემდეგ შემარცხვენლების რაოდენობა შემცირდაო. აქციას სიკეთეც მოჰყვა — ტირაჟი გაცილებით სწრაფად იყიდება — ყველას უნდა იხილოს მეზობლის ან კოლეგის შიშველი ღიპი.

**ვოკრუგ სვეტა №30**

# წინასწარმეტყველი — პერსონა ნონ გრატა



ძნელი სათქმელია, რაზეა დაფუძნებული წინასწარმეტყველ ტუნდე ბაკარეს პროგნოზები ნიგერიის მომავლის შესახებ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — უკანასკნელი თვეების ყველა მისი წინასწარმეტყველება ახდა. გააფრთხილა ბაკარემ მთავრობა, ეთნიკური შეტაკებებია მოსალოდნელიო და ასეც მოხდა; ქალაქის გარეუბანში უდიდესი იარაღის საწყობი აფეთქდებაო და გამართლდა (აფეთქებამ ათასზე მეტი კაცი შეიწირა). ნიგერიის მთავრობა დიდად არ უგდებს ყურს ბაკარეს პროგნოზებს, მაგრამ სულ ცოფს ყრიან, როცა ნაწინასწარმეტყველები გამართლდება ხოლმე.

ამიტომ ერთ-ერთი მოგზაურობიდან დაბრუნებულ ბაკარეს, მთავრობის უშიშროების სამსახურის მუშაკებმა პასპორტი ჩამოართვეს და დააკავეს.

საბედნიეროდ, პოპულარულ წინასწარმეტყველს ცნობილი სამართალდამცველი ფაბენხიმი გამოექომაგა: „ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ბაკარეს პროგნოზების გაკეთების კონსტიტუციური უფლება აქვს“. ფაბენხიმი დარწმუნებულია, რომ პოლიციელთა ქმედება ბოროტი შურისძიებაა... შურისძიება საკუთარი არაშორსმჭვრეტელობის გამო.

**ორაკული №8**

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ვოლფგანგ ამადეუს **მოცარტის** სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | თ | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ს | ი | ნ | ჰ | ი | ო | | | ა | ე | ი | კ | ი | | ტ | შ | | ა | ი | ნ | ჯ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**დ.** სირიის დედაქალაქი; **ა.** ვესტგუთების ბელადი, რომელმაც რომი აიღო; **ი.** მოსკოვის „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე; **ს.** ავღანელი ჯარისკაცი; **ვ.** მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა ალბერტ აინშტაინი; **ე.** ერთ-ერთი შერეკილის სახელი მხატვრულ ფილმში „შერეკილები“; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ე.** კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **თ.** წვრილი ღვედი; **ჩ.** ხიზრი ალდამოვის ისტორიული სამშობლო; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **ნ.** მონღოლების მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი; **თ.** ძველებრაული სახელწოდება ბიბლიის პირველი ხუთი წიგნისა, რომლის ავტორობაც მიეწერება მოსეს; **ა.** ზოროასტრიზმის წმინდა წიგნების კრებული; **ნ.** კრივის ტერმინი: მდგომარეობა, როდესაც მოკრივე მოწინააღმდეგის დარტყმისაგან ძირს არის დავარდნილი; **ე.** ატმოსფერული მოვლენა; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **თ.** თავის ქალას ზედა ნაწილი; **ა.** დიეგო მარადონას მეორე სახელი; **დ.** წელზე შემოწყობილი ხელები, როდესაც იდაყვები განზეა გაწეული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ჩ.** ჩამიჩი; **ვ.** ვიცინი; **ე.** ემოცია; **ნ.** ნუდიზმი; **თ.** თუნგი; **ა.** აპენინი; **ნ.** ნარცისი; **ე.** ელეგია; **რ.** რეგვენი; **თ.** თავადი; **ა.** ავენიუ; **დ.** დანია; **ა.** არიზონა; **რ.** რუანდა; **მ.** მაუგლი; **ო.** ონტარიო; **ი.** იტალია; **წ.** წყნეთი; **ყ.** ყაენი; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნეილონი; **თ.** თიანეთი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **მცოდნე რეგვენი აუტანელია.**

# მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია** და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს უკვე თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო (თქვენთვის ყველაზე საინტერესო) სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

## №31 (305) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

ჩვენს რეიტინგებში მონაწილეებზე დაკვირვებამ ერთი უცილობელი ფაქტის წინაშე დაგვაყენა — გამოკითხვებში მამაკაცები უფრო აქტიურად ებმებიან, ვიდრე ქალბატონები... ამჯერადაც თითქმის უცვლელია თანაფარდობა. რეიტინგის თემიდან გამომდინარე, — **შოუბიზნესის წარმომადგენელ ქალბატონთაგან, რომელი იმსახურებს თქვენს სიმპათიას ყველაზე მეტად?** — ეს არც უნდა იყოს გასაკვირი. შოუბიზნესში მონაწილე მშვენიერი ქალბატონებით უდავოდ დაინტერესდებოდნენ ჩვენი მკითხველი-მამაკაცები. ამიტომაც, რეიტინგში მონაწილე 481 რესპონდენტიდან 159 ქალია, 320 — მამაკაცი (ორი ბარათი შეცდომით იყო შევსებული).

ჩვენი მკითხველის აზრით, შოუბიზნესის წარმომადგენელ ქალბატონთაგან ყველაზე დიდ სიმპათიას ლელა წურწუმია იმსახურებს საშუალო ქულით — **7,11**. რესპონდენტთა 60-მა იგი, მაქსიმალური — 8 ქულით შეაფასა. მინიმალური ქულა კი 1-მა დაუწერა.

მომდევნო, მე-2 ადგილზე ეკა კახიანი გახლავთ 5,74 საშუალო ქულით. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური ქულით იგი რესპონდენტთა მხოლოდ 11-მა შეაფასა. მე-3 ადგილზე საშუალო ქულით 5,61 მაკა ასათიანი გავიდა, თუმცა 19-მა იგი მაქსიმალური ქულით შეაფასა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ლელა წურწუმიას ჩამორჩა. რესპონდენტ მამაკაცების აზრით, ეს მშვენიერი ქალბატონი მე-2 ადგილზეა, ხოლო ეკა კახიანი — მესამეზე.

პირველ სამ ადგილზე გასულ შოუბიზნესით დაკავებულ ქალბატონებს საგრძნობლად ჩამორჩა ყველა დანარჩენი კანდიდატი. თუმცა, გემოვნებაზე არ დაობენო, ნათქვამია და ბოლო ადგილებზე გასულებსაც ჰყავთ თავიანთი თაყვანისმცემლები, რისი დასტურიც არის ის მაქსიმალური ქულები, რომლებიც მათ დაიმსახურეს.




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა ორი რესპონდენტის ბარათი-რეიტინგი. მათი ავტორები არიან ქალბატონი **რუსუდან მანჩხაშვილი** და 24 წლის **მ. გეგუჩაძე** ქუთაისიდან. საპრიზო თანხა 100 ლარი მათ შორის განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 14 აგვისტოს, 17 საათზე.

## №32 (306) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის შეიცინეაში*

**№32 (306) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 14 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №32 (306) — რეაბილიტაცია
**თქვენი აზრით, ვის მიმართ იყო ხელისუფლება ყველაზე უსამართლო?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

| №32(306) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი | | |
|---|---|---|
| № | | ქულა |
| 1 | ჯაბა იოსელიანი | |
| 2 | გურამ აბსანძე | |
| 3 | ზვიად გამსახურდია | |
| 4 | გია ჭანტურია | |
| 5 | გუჯარ ყურაშვილი | |
| 6 | თენგიზ კიტოვანი | |
| 7 | ვალერი გელბახიანი, ირაკლი დოკვაძე | |
| 8 | იგორ გიორგაძე | |

*მკითხველის შეიცინეა*

დაასახელეთ ყველაზე ეთიკური ქართველი პოლიტიკოსი

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

______________________ ______________________
ასაკი ტელეფონი

**მკითხველის შეიცინეის შედეგები**

ყველაზე პოპულისტი ქართველი პოლიტიკოსი

| | | |
|---|---|---|
| 1. | მიხეილ სააკაშვილი | 43% |
| 2 | შალვა ნათელაშვილი | 15% |
| 3. | ვახტანგ რჩეულიშვილი | 10% |
| 4. | ედუარდ შევარდნაძე | 8% |
| 5. | გურამ შარაძე | 5% |
| 6.-7. | ასლან აბაშიძე | 2% |
| 6.-7. | ზურაბ ჟვანია | 2% |
| 8.-10. | კობა დავითაშვილი | 1% |
| 8.-10. | თემურ შაშიაშვილი | 1% |
| 8.-10. | თამაზ ნადარეიშვილი | 1% |

მკითხველთა 3 მიიჩნევს, რომ ყველა ქართველი პოლიტიკოსი პოპულისტია.

მკითხველის რეიტინგში 465 რესპონდენტი მონაწილეობდა.

**მკითხველის პრემია**

**შედეგი ასეთია:**

**1. ზურაბ მჭედლიშვილი — „შევარდნაძეს შპს „საქართველოს“ დირექტორობა უნდა...“ — 83 ხმა**

**2. ეთერ თარიმანი — „სად წასულხართ, ბაჩლელებო?!“ — 52**

**3. ხათუნა ყვირალაშვილი — „ჩარჩოიანებმა“ ნუგზარ შევარდნაძისთვის ფულის „დაწერვა“ გადაწყვიტეს...“ — 49**

**4. ეკა ლომიძე— „ამბავი „ბაბა□ჯოსი“ და თეთნულდისა“ — 40**

**5. ეკა მახარაშვილი — „ქართველი მსახიობი ისე თამაშობს, თითქოს ხვალ უნდა მოკვდეს“ — 32**



თქვენი პრემიის — 50 ლარის მფლობელია ჟურნალისტი **ზურაბ მჭედლიშვილი.**

*მკითხველის პრემიის ლაურეატის გამოვლენაში 362 მკითხველი მონაწილეობდა.*

# ფოტოანტიკვარი © ფოტოანტიკვარი ©

**პოპულარული ადამიანების ბავშვობის ფოტოებით უნდა ამოიცნოთ ისინი და უპასუხოთ კითხვას — „აბა, ვინ ვარ ახლა მე?“ თუ ძველ ალბომებში თქვენც მოგეპოვებათ ცნობილი პიროვნებების ბავშვობის დროინდელი „ფოტოანტიკვარები“, გამოუგზავნეთ თქვენი საყვარელი გაზეთის რედაქციას.**



**გია ბაჩიჩილაძე (უცნობი)– ბაგრა, 1971 წ. ფოტო მოგვაწოდა ჟურნალმა „ბომონდმა“**

მკითხველებმა შემოთავაზებულ ფოტოზე „ამოიცნეს“: უმრავლესობამ (80%-მა) — გიორგი ბარამიძე; დასახელდნენ: კობა დავითაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი (რამდენჯერმე). ორი მკითხველი, როგორც ჩანს, „ბურთის სიყვარულმა“ შეიყვანა შეცდომაში და მანუჩარ მაჩაიძე „ამოიცნეს“. ერთმა ფოტოზე სწორედ ის ამოიცნო, ვინც შემოგთავაზეთ (უცნობი), სხვამ კი მისი ძმა — ლევანი...





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



— აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

— „საკალელი“ ვარ, არა? „მიყვარს ცეკვა-თამაში... სიმღერაც...“

ფოტო განწყობისთვის



— ააა. ვინ ვარ ასეთი მე?

წინა კროსვორდის პასუხები




15/VIII … პირველი მეოთხედი

… დღეები:

14/VIII … 21-დან-23 სთ-მდე

17/VIII … 18-დან – 21 სთ-მდე


## ტრავოლტამ საყვარელი ვაჟი „მოწამლა“

ჯონ ტრავოლტა ყველას უყვება კოშმარულ ამბავს, თუ როგორ მოეწამლა შვილი იმის გამო, რომ ჯო და მისი მეუღლე მსახიობი კელი პრესტონი გამუდმებით ამუშავებდნენ ნოხებს ნაირ-ნაირი ქიმიკატით.

...ერთ მშვენიერ დღეს ბიჭუნამ ქიმიკატებით გაჟღენთილი ჰაერი ჩაისუნთქა და გონება დაკარგა. ექიმებმა პატარას აღმოუჩინეს იშვიათი და სასიკვდილო დაავადება — კავასაკის სინდრომი, რომელიც იწვევს ციებას და აჩერებს გულს, თუ ავადმყოფს დროზე არ უმკურნალეს. მოხდა საოცრება და ბავშვი გამოჯანმრთელდა.



ამჟამად ტრავოლტების ოჯახი მოუწოდებს მშობლებს, არ მოშხამონ შვილები ქიმიკატებით. ისეთ აქტიურ პროპაგანდას ეწევიან ქიმიკატების წინააღმდეგ, რომ მთელი ქიმიური კომპანიები აუჯანყდნენ. კორპორაციები, რომელთაც მილიარდობით შემოსავალი დაკარგეს, სარჩელის შეტანას აპირებენ სასამართლოში ტრავოლტების წინააღმდეგ.

ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) ძვ. ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:ლიანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიტაიას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (კოლხეთის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან“; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მშვიდობის გამზ. პოლიციასთან. უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაჟაფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - ინოტექების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.

ქალაქებში და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. ახმეტასა და დედოფლისწყაროში ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან. ჟინვალსა და დუშეთში – თვის III კვირის ოთხშაბათს.

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტურია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

(32) უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი ______

______

______

______

______

______

______

______

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№32 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 15 აგვისტოს (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## ამერიკული კროსვორდი (ასოციაცია)

ამერიკულ კროსვორდში …

| |
|---|
| იოგი, მაცოცხლებელი სუბსტანცია |
| ორმო, წყალი |
| ფანჯარა, საკიდი |
| სასიგნალო მოწყობილობა, კამათელი |
| აკვნის ხელმოსავლები, ცის თაღი; ბავშვი, ფაფა |
| ხერხემალი, ძვალი |
| ქარონი, გონდოლიერი; ყურძენი, „ლადა“ |
| კინორეჟისორი, პოლონური სახელი; ნაყინი, ჩხირი |
| ნამდვილი გვარი, ვოლტერი; ლას-ვეგასი, რულეტი |
| ბალახი, სილამაზე |
| შემოქმედთა წრე, პუჩინი |
| ღმერთი, პაპირუსის ნავი; საფეხბურთო მოედანი, ბალახიანი ადგილი |
| … ელჩენი, სიტყვა; ქვეწარმავალი, ჭადრაკი |
| საუკეთესო ქაშაყი, რუსული დუეტი |
| ქალის გრძელი, ვიწრო შარფი, … კუნთოვანი ორგანო, მეტყველება |
| ზვინი, მომკილი თავთავი |
| ვიოლინო, ცხენი |






* * *



— დედა, ქუჩაში ბიჭები ბენტერას და ლენჩს მეძახიან... ბენტერა ვარ?

— ბიჭი! შენ ხომ სამი სახლის იქით ცხოვრობ...


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50




ყოველ ოთხშაბათს ყველაფერი ბოლოდის შესახებ


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუთხუზი
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“©
გამოდის ორშაბათობით